# მ ც ხ ე თ ა

## არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები

## ტ ო მ ი VI

I

ალექსანდრე კალანდაძე

## სამთავრო. წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები

II

## მცხეთა. 1976–1979 წლების არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები

„მეცნიერება“
თბილისი
1982

902.6(С 41)
63.4 (2 Г)
902. 6(47.922)
მ 977

„მცხეთა“ სერიის VI ტომში ქვეყნდება სამთავროს სამაროვანზე 1938—1940 წწ. გათხრილი გვიანბრინჯაოს ხანის ბოლო საფეხურისა და ადრერკინის პერიოდის (XI—VI სს.) სამარხეული კომპლექსები.

დიდი მცხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის დიფერენცირებული ანალიზისა და წინამავალ მკვლევართა შრომების კრიტიკული გააზრების საფუძველზე, აგრეთვე, შესაბამისი პარალელების გათვალისწინებით, პროფ. ალ. კალანდაძემ შეიმუშავა მცხეთის პალეომეტალური კულტურის განვითარების სკალა. ამ სკალის მიხედვით გვიანბრინჯაოს ეპოქის ბოლო ეტაპი საქართველოსათვის XI—X სს-ზე მოდის, ხოლო ადრერკინისა — IX—VI სს-ზე.

კრებულში ქვეყნდება აგრეთვე კამარახევის სამაროვანზე 1976—1977 წწ. გათხრილი, ძვ. წ. IV—III სს. სამარხეული კომპლექსების კატალოგი და მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის 9 დამოუკიდებელ უბანზე გამოვლენილი ძეგლები. მოცემულია მათი მოკლე ანალიზი და განსაზღვრულია მათი წინასწარული თარიღი.

წინამდებარე კრებულში გამოქვეყნებული არქეოლოგიური მასალა წარმოადგენს პირველხარისხოვან წყაროს საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიის უძველესი თუ ძველი ისტორიის შესწავლისათვის.

წიგნი, უპირველეს ყოვლისა, განკუთვნილია სპეციალისტ-არქეოლოგთათვის, მაგრამ იგი ბევრ საინტერსოსა და საყურადღებოს აუწყებს, აგრეთვე, ისტორიული მეცნიერების სხვა დარგის სპეციალისტებსა და ყველას, ვინც დაინტერესებულია ჩვენი ქვეყნის ძველი ისტორიით.

რედაქტორი — ანდრია აფაქიძე
Редактор — Андриа Апакидзе
Editor — Andria Apakidze

ძ $\frac{10602}{М607(06)-82}$ 223—82 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1982

## წინასიტყვაობა

„მცხეთა" სერიის IV და V წიგნებში გამოქვეყნდა საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი ძეგლები, რომელთა აღმოჩენა და პუბლიკაციისათვის მომზადება დაკავშირებულია ქართული საბჭოთა არქეოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, მცხეთის არქეოლოგიური გათხრების ცნობილი ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის პროფესორ ალექსანდრე ნესტორის ძე კალანდაძის სახელთან. ეს მასალა მოიცავს ძვ. წ. XVII—X საუკუნეების სამარხეულ კომპლექსებს.

სამთავროს სამაროვნის წინაანტიკური სამარხეული მასალა დიდი ხანია შესულია მეცნიერულ მიმოქცევაში, მაგრამ სრული სახით სამარხეული კომპლექსები პირველად „მცხეთა" სერიის IV—VI ტომებშია გამოქვეყნებული. ეს, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს ამ ეტალონური მნიშვნელობის არქეოლოგიური მასალის შეუფერხებელ გამოყენებას, კავკასიის სინქრონული სამაროვნებისა და, საზოგადოდ, კავკასიური ცივილიზაციის კვლევას. მკითხველი დარწმუნდება, რომ წლების მანძილზე ავტორს გამოწვლილვით უკვლევია ეს ზღვა მასალა, გულდასმით უძებნია პარალელური ძეგლები და შეუქმნია მათი პერიოდიზაციის ახლებური სქემა, რომლის მიხედვითაც ახლა გამოქვეყნებულია სამთავროს წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები.

ამ მასალის ერთ წიგნად გამოქვეყნება, რა თქმა უნდა, დიდად გააადვილებდა მრავალრიცხოვანი მასალით სარგებლობას, მაგრამ ალექსანდრე კალანდაძის მოულოდნელმა გარდაცვალებამ შეაფერხა ეს დიდი მეცნიერული საქმე, შეიცვალა შესაძლებლობები. ასეთ ვითარებაში რედაქცია იძულებული შეიქმნა მთელი მასალა სამად დაეყო და სამ წიგნად გამოექვეყნებინა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ნამდვილად ერთიანი მასალის დანაწილება მოხდა, დაინტერესებული სპეციალისტები კმაყოფილებით შეხვდებიან სამთავროს წინაანტიკური ხანის უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური ძეგლების გამოქვეყნებას.

სამთავროს წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლების გამოცემას ქართულ ენაზე უნდა მოჰყვეს მომავალი რუსული გამოცემა, რასაც, როგორც ცნობილია, დიდი ხანია მოელიან საბჭოთა არქეოლოგები.

წინამდებარე წიგნის სასტამბოდ მომზადების ფრიად ძნელი სამუშაო შეა-

სრულეს განსვენებული მეცნიერის თანამშრომლებმა, კოლეგებმა და მოწაფეებმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის თანამშრომლების თ. ბიბილურის, მ. კაჭკაჭიშვილის, ნ. ღლონტის, აგრეთვე, ლ. მაჭავარიანის, ნ. ამბრიაშვილის, ტ. ელიავას ლ. ფავლენიშვილის წვლილი წიგნის ტექსტისა და საილუსტრაციო მასალების შერჩევა-მომზადებისა და შესაფერისად გაფორმების საქმეში.

წინამდებარე ტომში ქვეყნდება აგრეთვე კამარახევის სამაროვნის სამარხეული კომპლექსები (თ. ჯღარკავა), მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის 1979 წლის ანგარიში (ავტორთა კოლექტივი) და კ. მელითაურის ნაშრომი „კარსნისხევის გვიანანტიკური სახლები“. როგორც ვხედავთ, ეს ნაწილი მოიცავს მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ უკანასკნელ წლებში მიკვლეული ძეგლების პუბლიკაციასა და მათი მეცნიერული გააზრების ცდას.

წინამდებარე წიგნში გამოქვეყნებული მასალის სააღრიცხვო ნომრები და სხვა პირობითი ნიშნების განმარტება გამოქვეყნებულია „მცხეთა“ სერიის IV და V ტომებში (იხ. წინასიტყვაობები).

ალექსანდრე კალანდაძე

# სამთავროს წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები

## გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხეული კომპლექსები

### ძვ. წ. XI—VI სს.

**სამარხი № 2**
**(1938, N, სურ. 1)**

1 (12—54:79; სურ. 5,6)* ქილა შავად გამომწვარი თიხისა. აქვს ოდნავ გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი პირი, ძალიან დაბალი ღარისებრი ყელი, დამრეცი მხრები; ზედა მხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ოდნავ გამოყოფილი, ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი. შემკულია ყელის ძირთან წყვილი და მხარზე სამი ამოღარული კონცენტრული ხაზით. ზედაპირზე შავპრიალაა, ადგილ-ადგილ მონაცრისფრო ლაქები აქვს.

სიმაღლე — 25,4; დმ. პირის — 10,9; მუცლის — 30,2; ძირის — 10,2 სმ.

2 (12—54:80; სურ. 12,13). კოჭობი შავად გამომწვარი თიხისა. აქვს სწორბაკოიანი ფართო პირი, დაბალი ცილინდრული ყელი, ზედა მხარეს ფართო, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული მუცელი, ოდნავ გამოყოფილი, ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი და მუცელზე შეერთებული ოვალურ-განივკვეთიანი ბრტყელი ყური ზედა მხარეს ცხოველური რქების სტილიზებული გამოსახულების დანაძერწით. ყელი გოფრირებულია; ზედაპირზე შავპრიალაა.

სიმაღლე — 13; დმ. პირის — 9; მუცლის — 13; ძირის — 6,5 სმ.

3. (12—54:81; სურ. 3,9) ხელადა მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. ახასიათებს ოდნავ გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი პირი, საშუალო ზომის ცილინდრული ყელი, დამრეცი მხრები, ზედა მხარეს ფართო,

---

* ამ ნივთის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ III გეიანბრინჯაო III — რედ.).

ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი, ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი და პირიდან გამომდინარე მხარზე დაძერწილი მრგვალგანივკვეთიანი ყური. ყელი გოფრირებულია. მხრის ძირთან სამი ამოღარული კონცენტრული ხაზი ამკობს, მხრებზე კი ირიბი შავი პრიალა ხაზები. ზედაპირზე მოშავო-მონაცრისფროდაა გაპრიალებული ადგილ-ადგილ მონაცრისფრო ლაქებით.

სიმაღლე — 29,2; დმ. პირის — 8; მუცლის — 20, ძირის — 7,5 სმ.

4 (12—54:82; სურ. 8,11), ხ ე ლ ა დ ა მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. ახასიათებს: ოდნავ გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი პირი, დაბალი ცილინდრული ყელი, დამრეცი მხრები, შუაზე ფართო, ძირის მახლობლად — მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი, პირიდან გამომდინარე მრგვალგანივკვეთიანი ყური მხარზეა შეერთებული. ზედაპირზე მოშავო-მონაცრისფროდაა გაპრიალებული, ყელი გოფრირებულია, მხრის ძირთან ფართო ამოღარული ხაზი და მხრებზე წვერით ზემოთ მიმართული ურთიერთგადამკვეთი ამოღარული ხაზებით დაფარული სამკუთხედების მწკრივითაა შემკული.

სიმაღლე — 19; დმ პირის — 8,4; მუცლის — 18, ძირის —9 სმ.

5 (12—54:83). ლ ა ნ გ ა რ ი შავად გამომწვარი თიხისა. აქვს ფართო მრგვალბაკოიანი პირი, ჩაღარული ყელი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული ტანი და ოდნავ გამოყოფილი შიგნით შეწეული ბრტყელი ძირი. ზედაპირზე შავპრიალაა.

სიმაღლე — 7,5; დმ პირის — 27,6; ძირის — 7,4 სმ.

6 (12—54:84; სურ. 2,10). კ ო ჭ ო ბ ი მოშავო-მოწაბლისფროდ გამომწვარი თიხისა. ახასიათებს: ოდნავ გადაშლილი პირი, ვიწრო ბრტყელი ბაკო, ძალიან დაბალი ყელი, დამრეცი მხრები, შუაზე ფართო, ძირთან მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი. მხრებზე, ორ მოპირდაპირე მხარეს აქვს სწორკუთხა განივკვეთის მქონე მრგვალ ნახვრეტიანი თითო შვერილი. ზედაპირზე ემჩნევა გაპრიალების კვალი.

სიმაღლე — 10,3; დმ პირის — 6,3; მუცლის — 12,1; ძირის —6,7 სმ.

7 (12—54:85; სურ. 4,7). ტ ო ლ ჩ ა მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. ფართო სწორბაკოიანი პირი, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული ტანი, ბრტყელი ძირი და ტანის ზედა მხარეს შეერთებული სწორკუთხა განივკვეთიანი ყური ახასიათებს. ყურის ზედა მხარეს ოვალური მოყვანილობის ვიწრო ბრტყელი დანაძერწით. პირს ქვემოთ წყვილი პარალელური ფართო კონცენტრული ხაზითაა შემკული.

სიმაღლე — 12; დმ პირის — 11,1; ძირის — 6,4 სმ.

**სამარხი № 9 (1938, N)**

8 (12—54:156; სურ. 14,21)*. ორყურა ქილა მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. ახასიათებს ოდნავ გადაშლილი მრგვალბაკოიანი პირი, დაბალი ყელი, კვერცხისებრი მოყვანილობის ტანი და ბრტყელი ძირი. ყელის ძირთან ერთი და მხარზე წყვილი კონცენტრული ამოღარული ხაზითაა შემკული, მხრებზე ურთიერთგადამკვეთი წნევით დატანილი პრიალა ხაზებით, ძუცლის ზედა ნაწილზე ირიბი პრიალა ზოლებით. სწორკუთხა განივკვეთის მქონე ბრტყელი ყურები მუცლის გაფართოებულ ნაწილზე აქვს მიძერწილი, ორ მოპირდაპირე მხარეს. ზედაპირგაპრიალებული.

სიმაღლე — 27; დმ. პირის — 10,5; მუცლის — 25; ძირის — 8 სმ.

9 (12—54:157; სურ. 18). ქვაბქოთანა შავად გამომწვარი თიხისა. მრგვალბაკოიანი ფართო პირი, შუაზე წიბოიანი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული მუცელი და ბრტყელი ძირი ახასიათებს. ზედაპირზე გაპრიალებულია, ადგილ-ადგილ მოწითალო ლაქები აქვს.

სიმაღლე — 15,5; დმ პირის — 19,5; მუცლის —26; ძირის — 9,5 სმ.

10 (12—54:158; სურ. 15, 16). ლანგარი ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა. ფართო პირი, დაბრტყელებული ბაკო, ჩაღარული ყელი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული ტანი და ბრტყელი ძირი აქვს. შიგნით პირზე მოშავო-მონაცრისფროდაა გაპრიალებული. შეიმჩნევა ირიბი წნევით დატანილი ხაზები.

სიმაღლე — 7; დმ პირის — 32; ძირის — 12 სმ.

11 (12—54:159). კოჭობის ნატეხები, მოწაბლისფროდ გამომწვარი თიხისა. ოდნავ გადაშლილი მრგვალბაკოიანი პირი, ბირთვისებრი მუცელი და ბრტყელი ძირი ჰქონია. კვარცნარევი, სუსტად გამომწვარი თიხისაა, ხაოიანი ზედაპირი აქვს, ხელით ნაძერწი.

12 (12—54:$159_2$). ტოლჩა თიხისა ცალყურა, დამტვრეული.

13 (12—54:$159_3$). სამარილე შავად გამომწვარი თიხისა. პირი ადგილ-ადგილ ჩამომტვრეული ჰქონია.

სიმაღლე — 1,8; დმ პირის — 55, ძირის — 3 სმ.

14 (12—54:160; სურ. 17,20). ანკესი (ნემსი) ბრინჯაოსი მრგვალგანივკვეთიანი მავთულისა. ყუნწიანია, წვერისკენ თანდათან გაწვრილებულია და მოღუნული.

მთლიანი სიგრძე —10,3; მოღუნული ნაწილის —3,3; დმ ღეროსი — 3 მმ.

15 (12—54:160; სურ. 22,23). დუგმა დედალი, ბრინჯაოსი.

სიგრძე — 2,6; სიგანე — 2,7 სმ.

* ამ ნივთის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია: გბ III (გვიანბრინჯაო III — რედ.).

16 (12—54:161; სურ. 22,23). დ უ გ მ ა დედალი, ბრინჯაოსი, ვიწრო ბრტყელი ფირფიტისა.

სიგანე — 1 სმ.

17 (12—54:162; სურ. 19). კ ო ჰ ო ბ ი (2) თიხისა. მ ძ ი ვ ე ბ ი პასტისა, ცისფერი და ყავისფერი, წვრილი, სხვადასხვა ფორმის (105).

**სამარხი № 10 (1938, N)**

19 (12—54:163. სურ. 33)*. ქ ი ლ ა ორყურა მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. ახასიათებს ოდნავ გადაშლილი მრგვალბაკოიანი პირი, დაბალი ყელი, დამრეცი მხრები, ზედამხარეს ფართო, ძირისკენ შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი. სწორკუთხა განივკვეთის მქონე ფართო, ბრტყელი ყურები ორ მოპირდაპირე მხარეს მუცელზე აქვს შეერთებული. ყელის ძირთან სამი და მხრის ძირთან ხუთი ამოღარული პარალელური ხაზით არის შემკული.

სიმაღლე — 32,5; დმ პირის — 13; მუცლის — 31; ძირის — 11 სმ.

20 (12—54:164; სურ. 29). ხ ე ლ ა დ ა მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. ოდნავ გადაშლილი ფართო პირი, დაბალი ფართო ყელი, დამრეცი მხრები, ბირთვისებრი მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. სწორკუთხაგანივკვეთიანი ბრტყელი ყური ყელზე და მხარზე აქვს შეერთებული. ყელის ძირში და მხრის ძირთან წყვილ-წყვილი ამოღარული ფართო ხაზი ამკობს.

სიმაღლე — 21; დმ პირის — 9,5; მუცლის — 20,5; ძირის — 10 სმ.

21 (12—54:165; სურ. 32). ტ ო ლ ჩ ა მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. აქვს ფართო სწორბაკოიანი პირი, ძირთან ოდნავ შევიწროებული ცილინდრული ტანი და ფართო ბრტყელი ძირი. სწორკუთხა განივკვეთის მქონე ბრტყელი ყური პირისა და ძირის მახლობლადაა შეერთებული, ზედა მხარეს ბიბილოსებრი დანაძერწით. პირის მახლობლად წყვილი ფართო ღრმა ღარი ამკობს.

სიმაღლე — 15; დმ პირის — 14; ძირის — 11 სმ.

22 (12—54:166; სურ. 30). ლ ა ნ გ ა რ ი შავად გამომწვარი თიხისა, აქვს ფართო მომრგვალებულბაკოიანი პირი, ჩაღარული ყელი, ძირისკენ დაქანებული ტანი, ოდნავ გამოყოფილი, ირგვლივ დაკეჭნილი ბრტყელი ძირი.

სიმაღლე — 6; დმ პირის — 29; ძირის — 11 სმ.

23 (12—54:167) კ ო ჰ ო ბ ი ს ნატეხები მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, კვარც და სილა ნარევი თიხისა; ხელით ნაძერწი, ხაოიანი ზედაპირი აქვს. ოდნავ გაშლილი პირი, ბირთვისებრი მუცელი და ბრტყელი ძირი ჰქონია.

24 (12—54:167$_1$). ქ ი ლ ა თიხისა, ძალიან დამტვრეული.

---

* ამ ნივთის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია: გბ. III, (გვიანბრინჯაო III, რედ.).

25 (12—54:168; სურ. 28). ბეჭედი ბრინჯაოს ბრტყელი ფირფიტისა, თავებგახსნილი და ორი ასეთივე ბეჭდის ორი ნატეხი.

მთელის დმ — 1,5 სმ.

26 (12—54:169; სურ. 31). სამაჯური ბრინჯაოსი, თავებგახსნილია და ერთიმეორეზე გადატანილი ნახევარწრისებურგანივკვეთიანი რკალით.

27 (12—54:170; სურ. 25). საკინძი ბრინჯაოსი, სფერული თავი და მრგვალგანივკვეთიანი ღერო აქვს. ყელი შუაზე შინდისებრი მოყვანილობისაა. თავსა და ბოლოში თითო რელიეფური კონცენტრული ხაზით შემკული. ყელს ქვემოთ ოვალური ნახვრეტი აქვს.

სიგრძე — 14,3 სმ.

28 (12—54:171). საკინძის ნატეხი, ბრინჯაოსი. აქვს სფერული თავი, შუაზე გამსხვილებული თავსა და ბოლოში წყვილ-წყვილი რელიეფური ხაზებით შემკული ყელი, ყელს ქვემოთ მრგვალი ნახვრეტი და მრგვალგანივკვეთიანი ღერო. ღეროს მცირე ნაწილი აქვს შერჩენილი.

სიგრძე — 5,5 სმ.

29 (12—54:172; სურ. 26). საკინძი ბრინჯაოსი, სოკოსებრთავიანი, რელიეფური ხაზებით შემკული გრძელი ყელი, ყელის ძირში ოვალური ნახვრეტი და მრგვალგანივკვეთიანი ღერო აქვს. წვერმოტეხილია.

სიგრძე — 8,6 სმ.

30 (12—54:173; სურ. 24). საკინძი ბრინჯაოსი, სოკოსებრთავიანი, შუაზე შინდის ნაყოფისებრი მოყვანილობისაა. თავსა და ბოლოში რელიეფური ხაზებით შემკული; ყელს ძირში ოვალური ნახვრეტი და მრგვალგანივკვეთიანი ღერო აქვს.

სიგრძე — 13,4 სმ.

31 (12—54:174). საკინძის ღეროს ორი ნატეხი ბრინჯაოსი. მრგვალგანივკვეთიანი.

32 (12—54:175; სურ. 27). საკინძი ბრინჯაოსი, სწორთავიანი, თავიდან წვერისკენ თანდათან გაწვრილებული. თავის ძირთან მრგვალი ნახვრეტი აქვს. თავი და თავს ქვემოთ ნახვრეტის მახლობლად შემკულია ირიბი ამოკაწრული ფხური სახეებით.

სიგრძე — 11,3; ღეროს უდ. სიმსხო — 5 მმ.

**სამარხი № 66[1]**
**(1938, N)**

33. (12—54:19; სურ. 34). ხელადა მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. ახასიათებს ოდნავ გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი პირი; დაბალი, გოფრირებული და ამოღარული კონცენტრული ხაზებით შემკული ყელი, დამრეცი მხრები, ზედა მხარეს ფართო, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი. მხარზე წყვილი ფართო ამოღარული კონცენტრული ხაზითაა შემკული. პირიდან გამომდინარე სწორკუთხა განივკვეთიანი ყური მხარზეა შეერთებული.

სიმაღლე — 20,3; დმ პირის — 8,9; მუცლის — 18,5; ძირის — 8,5 სმ.

34. (12—54:20). მ ძ ი ვ ე ბ ი ქარვის, სერდოლიკისა და პასტის. უმეტესობა პატარა. სფერულია, არის შინდისკურკისებრი, წახნაგოვანი და კასრისებრი მოყვანილობისაც.

35. (12—54:$20_1$). ქ ო თ ნ ი ს ფრაგმენტი წითელი თიხისა.

36 (12—54:$20_2$). თ ე ფ შ ი ს ნატეხები წითელი თიხისა.

37 (12—54:$20_3$; სურ. 35). ლ ა ნ გ ა რ ი შავად გამომწვარი თიხისა. აქვს მრგვალბაკოიანი ფართო პირი, ჩაღარული ყელი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული ტანი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი.

სიმაღლე — 9; დმ პირის — 29; ძირის — 11,5 სმ.

38 (12—54:21; სურ. 36). ნ ი ჟ ა რ ა კაური (2). ერთი ოვალური მოყვანილობისაა, მეორე — ერთ მხარეს გაფართოებული, მძივებად გამოყენებული, ზურგაკლილი.

39 (12—54:22; სურ. 38, 39, 42, 43). ს ა კ ი ნ ძ ე ბ ი (2) ბრინჯაოსი, აქვთ სიგრძეზე დაღარული კონუსური თავი, მრგვალგანივკვეთიანი ღერო, რელიეფური სარტყლებით შემკული ყელი, ყელის ძირთან ღერო გაბრტყელებულია და ზედ მრგვალი ნახვრეტი აქვთ.

სიგრძე — 9,5 სმ.

40 (12—54:23; სურ. 41, 45). ნატეხი ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი წვრილი მავთულისა, შესაძლოა ნემსის ნატეხი იყოს. თავი და ბოლო აკლია.

სიგრძე — 7,5 სმ.

41 (12—54:24; სურ. 40, 44). ი ლ ა რ ი ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი მავთულისა, სიგრძეზე დაღარული მრგვალი თავი. თავს ქვემოთ მრგვალი ნახვრეტი. თავიდან 4,4 სმ სიგრძეზე ღერო რელიეფური სარტყლებითაა შემკული. წვერი გაბრტყელებულია, დაგლუვებული და მოხრილი.

სიგრძე — 6,5 სმ.

42 (12—54:25; სურ. 37). ს ა ყ უ რ ე (?) ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი მავთულისა. თავები გახსნილი აქვს და ერთიმეორისაგან დაშორებული.

დმ — 1,9 სმ.

**სამარხი № 58 (1939, N)**

43. (12—54:1598)*. დ ო ქ ი მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, ოდნავ გადაშლილი მრგვალბაკოიანი პირი, საშუალო ზომის ყელი, დამრეცი მხრები, ბირთვისებრი მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. სწორკუთხა

---

* ამ ნივთის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ. III, XI—X (გვიანბრინჯაო III, ძვ. წ. XI—X სს. — რედ.).

განივკვეთიანი ვიწრო, ბრტყელი ყური, რომელსაც ზედა მხარეს მოგრძო რელიეფური დანაძერწი ამკობს, ყელზე და მხარზეა შეერთებული. ყელის ძირთან სამი ამოღარული კონცენტრული ხაზითაა შემკული, მუცლის ქვედა ნაწილი (ძირის მახლობლად) სიგრძივი წვრილი პრიალა ხაზებით. ერთ მხარეს მუცელი და ყელის ნაწილი შავი ფერისაა. ადგილ-ადგილ მოწაბლისფრო ლაქები შეიმჩნევა.

სიმაღლე — 25; დმ პირის — 9,5; მუცლის — 20,5; ძირის — 10 სმ.

44 (12—54:1599). ქილა მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, ოდნავ გადაშლილი მრგვალბაკოიანი პირი, ძალიან დაბალი ღარისებრი ყელი, ბირთვისებრი მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. ყელის ძირში სამი და მუცელზე სამი არათანაბარი, უსწორმასწორო, დაუდევრად ამოღარული კონცენტრული ხაზები ამკობს.

სიმაღლე — 15,5; დმ პირის — 11,3; მუცლის — 18; ძირის — 7 სმ.

45 (12—54:1598). დოქი ცალყურა, მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, ცალმხარეს შავია, ადგილ-ადგილ მოვარდისფრო ლაქებით. მრგვალბაკოიანი ოდნავ გადაშლილი პირი, საშუალო სიმაღლის ყელი, ბირთვისებრი მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. ოვალურგანივკვეთიანი ვიწრო ბრტყელი ყური ყელზე და მხარზე აქვს შეერთებული. ყელის ძირთან სამი ფართო ღრმა ამოღარული კონცენტრული ხაზითაა შემკული, მუცლის ქვედა ნაწილი, ძირის მახლობლად, ირგვლივ პარალელური ვერტიკალურად დაშვებული წვრილი შავი პრიალა ზოლებით. ყურის ზედა მხარეს რელიეფური დანაძერწი აქვს.

სიმაღლე — 25; დმ. პირის — 9,5; მუცლის — 20,5, ძირის — 9,9 სმ.

46 (12—54:1599). ქილა მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. მრგვალბაკოიანი ოდნავ გადაშლილი პირი, ძალიან დაბალი ღარისებრი ყელი, დაქანებული მხრები. ზედა მხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ძირი აქვს. ყელის ძირთან დაუდევრად ამოღარული უთანაბრო, ზოგან სამი და ზოგან ერთი ამოღარული კონცენტრული ხაზი ამკობს; მხრის ძირთან კი ასევე დაუდევრად ამოღარული უთანაბრო ზოგან წყვილი, ზოგან სამი, ზოგ ადგილზე კი ერთი ამოღარული კონცენტრული ხაზი გასდევს.

სიმაღლე — 15,5; დმ პირის — 11,3: მუცლის — 18; ძირის — 7 სმ.

47 (12—54:1599$_1$). ქილა თიხისა, ნაკლული. გარედან ირგვლივი წიბოები ამკობს (2 ჩანს მხოლოდ), თან ახლავს 11 ნატეხი. ძირი ბრტყელია. — 12,5 სმ.

48 (12—54:1600). ჭურჭლის ნატეხები (ორი ჭურჭლისა). ერთი ჭურჭლისა ძირია მუცლის ნაწილით და ყელ-პირის ნატეხები. გამომწვარია მოშავო-მონაცრისფროდ, აქვს ოდნავ გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი პირი

და ბრტყელი ძირი. მეორე ჰურჰლისა პირისა და გვერდის თითო ნატეხია. განატეხში მოვარდისფროა, ზედაპირებზე მოშავო და მონაცრისფრო.

49 (12—54:1601). დ ო ქ ი ს ყელ-პირი მხრების ნაწილით. მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. ოდნავ გადაშლილი მრგვალბაკოიანი პირი, დაბალი ყელი, დამრეცი მხრები და პირიდან გამომდინარე მხარზე შეერთებული მრგვალგანივკვეთიანი მსხვილი ყური აქვს. ყელი დაფარულია წვრილი კონცენტრული ზოლებითა და ხორბლის მარცვლის სახეების ერთი მწკრივით. მხრები დაფარულია ურთიერთგადამკვეთი წნევით დატანილი ირიბი ხაზებით.

დმ პირის — 11,8 სმ.

50 (12—54:1602). ლ ა ნ გ ა რ ი მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. ფართო მრგვალბაკოიანი დეფორმირებული პირი, ჩაღარული დაბალი ყელი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული ტანი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს.

სიმაღლე — 7,6; დმ პირის — 26,9; ძირის — 8 სმ.

51 (12—54:1603—1606; სურ. 46—49). ს ა კ ი ნ ძ ე ბ ი ბრინჯაოსი (4). ერთს (№ 1603) სიგრძეზე დაღარული სფერული თავი აქვს, შუაზე გაწსხვილებული და თავსა და ბოლოში რელიეფური ხაზით დაბოლოებული ყელი. ყელის ძირთან ოვალური ნახვრეტი და მრგვალგანივკვეთიანი ღერო; დანარჩენ სამს—სიგრძეზე დაღარული ბირთვისებრი თავი, სამ-სამი რელიეფური სარტყლით შემკული ყელი, ყელის ძირთან ოვალური ნახვრეტი და მრგვალგანივკვეთიანი ღერო. ორს — წვერი ნაკლული აქვს.

სიგრძე — 6.8; 7; 10,5; დმ თავის — 0,6; 0,8 სმ.

52 (12—54:1607; სურ. 51). ბ ე ჭ ე დ ი ბრინჯაოს ბრტყელი ფირფიტისა, თავები გახსნილი აქვს და ერთიმეორეზე გადატანილი, თავებთან ერთ მხარეს უფრო ვიწროა მეორეზე.

დმ — 2,2; სიგანე — 0,8; 0,3 სმ.

53 (12—54:1608; სურ. 50). ღ ი ლ ი (კილიტი) ბრინჯაოსი, ნახევარსფერული, ყუნწმოტეხილი

დმ — 1 სმ.

**ორმოსამარხი 84 (საერთო ნუმერაციით, 1938, N)***

მიწის ზედაპირიდან 1,50 მ სიღრმეზე აღმოჩნდა, ეპირა 0,95 (ა. დ.) X 0,70 (ჩ. ს.) ფართობი. თავისქალის, ორიოდ ნეკნის და ბარძაყ-წვივის ძვალთა მდებარეობის მიხედვით, აქ მოზრდილი ინდივიდი ყოფილა დასვენებული, თავით აღმოსავლეთით დამხრობილი, მარჯვენა გვერდზე, ფეხებმოხრილად. მიცვალებულისათვის ჩაუ-

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით ავტორს ფანქრით მიუწერია: გბ. III, XI—X (გვიანბრინჯაო III, ძვ. წ. XI—X სს. — რედ.).

ტანებიათ გოჭის ნაწილები, 7-ოდე თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს რგოლები, საკინძები და სხვ.

54 (12—54:47; სურ. 63,64). ხ ე ლ ა დ ა ცალყურა, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. ოდნავ გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი პირი, ცილინდრული ყელი, დამრეცი მხრები, განიერი მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. პირიდან გამომდინარე მრგვალგანივკვეთიანი ყური მხარზეა შეერთებული. ყელზე ხუთი და მხარზე სამი ამოღარული კონცენტრული ხაზი ამკობს. მუცელზე ადგილ-ადგილ ლეგამონაცრისფრო ლაქები შეინიშნება.

სიმაღლე — 17; დმ პირის — 8,5; მუცლის — 17; ძირის — 7 სმ.

55 (12—54:48). ხ ე ლ ა დ ა შავად გამომწვარი თიხისა, ყელი და ყური მოტეხილი ჰქონია, მხარზე შემკული ყოფილა ამოღარული კონცენტრული ხაზით. ისეთივე ყოფილა, როგორიც № 47 ხელადა, ოღონდ ეს ცოტა უფრო პატარა.

სიმაღლე — 9; დმ ძირის — 6,5 სმ.

56 (12—54:49; სურ. 65). ჩ ა ნ ჩ ხ უ რ ა მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, ბირთვისებრი, შიგ რაღაც ყრია და ჩხრიალებს.

დმ — 6 სმ.

57 (12—54:50; სურ. 66). კ ო ჭ ო ბ ი მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, მრგვალბაკოიანი ფართო პირი, წიბოიანი მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს.

სიმაღლე — 6.1; დმ პირის — 8; მუცლის — 10; ძირის — 4,7 სმ.

58 (12—54:51). ჭ უ რ ჭ ლ ი ს ფრაგმენტები მოვარდისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, ოდნავ გადაშლილი მრგვალბაკოიანი პირი და დაბალი ღარისებრი ყელი ჰქონია. ერთ ნატეხზე შერჩენილია კონუსური მოყვანილობის კოპი. სუსტად გამომწვარი, ხელით ნაძერწი.

59 (12—54:52); ჭ უ რ ჭ ლ ი ს ფრაგმენტები მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, ზედაპირზე მოშავო-მონაცრისფრო, ოდნავ გადაშლილი პირი, პირის ირგვლივ ირიბად დაკეჭნილი რელიეფური სარტყელი ჰქონია.

60 (12—54:53). ქ ო თ ნ ი ს ნატეხები, გადანატეხში მოწაბლისფრო, ზედაპირზე მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. ჭურჭელს ჰქონია ოდნავ გადაშლილი პირი, ქობიანი ბაკო, ძალიან დაბალი ღარისებრი ყელი, ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი, ოვალურგანივკვეთიანი ბრტყელი ყური მხარზე და მუცელზე აქვს შეერთებული. ყურს ზედა მხარეს ცხოველური რქების სტილიზებული დანაძერწი ამკობს. ყელის ძირში წყვილი ამოღარული ხაზით და ფრჩხილისეული სახეების ერთი მწკრივითაა შემკული.

61 (12—54:54; სურ. 59, 61, 62, 67). ს ა მ ა ჯ უ რ ე ბ ი ან ს ა კ ა ნ ჭ ურ ე ბ ი (4) ბრინჯაოსი (სამარხში ფეხებთან აღმოჩნდა) ნახევარწრისებრი გა—

ნივკვეთით. ზურგზე ამოკაწრული პარკეტული სახეებით შემკული თავები გახსნილი აქვთ და ერთიმეორეზე მცირედ დაშორებული.

დმ — 6,5 სმ.

62 (12—54:55; სურ. 57, 58, 60) სამაჯურები ბრინჯაოსი (3). ორი მათგანი ოთხწახნაგაა. თავები გახსნილი აქვთ. ერთს თავი თავზე აქვს გადადებული, მეორეს—დაშორებული. მესამე ოვალურგანივკვეთიანია, თავი თავზე აქვს გადატანილი.

63 (12—54:56; სურ. 54). საკინძები (2) ბრინჯაოსი. მრგვალგანივკვეთიანი ღერო და თავები კონუსისებრი მოყვანილობისა აქვთ. ერთი შემკულია ამოღარული პარკეტული და რომბული სახეებითა და ამოღარული პარალელური ხაზებით. მეორე — ამოღარული ხაზებით შექმნილი ოთხკუთხედებით და ამოღარული კონცენტრული ხაზით. თავის დასასრულთან მრგვალი ნახვრეტი აქვთ.

სიგრძე — 7; 7,5; თავის სიმსხო — 1,5; 1,3 სმ.

64 (12—54:57; სურ. 55). მახათი ბრინჯაოს წვრილი მავთულისა, თავი გაბრტყელებული და ზედ მრგვალი ნახვრეტი აქვს, წვერისკენ ოდნავ გაღუნულია.

სიგრძე — 11 სმ.

65 (12—54:58; სურ. 52). თმის კავსაკუდი (2) ბრინჯაოსი, ოვალური მოყვანილობისა, წვრილი ოვალურგანივკვეთიანი მავთულისა; ბოლოები გაბრტყელებული და აღუნული აქვს. ერთი მთელია, მეორე—დამტვრეული.

66 (12—54:59; სურ. 53). საყურე, ბრინჯაოსი (იქნებ ვერცხლისა?), მრგვალგანივკვეთიანი წვრილი მავთულისა, თავები ერთიმეორეზე აქვს გადატანილი. დმ — 1,4 სმ.

67 (12—54:60; სურ. 56). მძივები (22) სარდიონისა (5) მოწითალო-მოვარდისფრო, მანდარინისებრი, ბორბლისებრი და უფორმო, თეთრი პასტისა (5) ბიკონუსური გვერდებდაღარული, მინისა—ბიკონუსური (1), ბირთვისებრი (10).

**სამარხი № 11**
**(1938, N)**

68 (12—54:177; სურ. 84)*. ქილა შავად გამომწვარი თიხისა, ოდნავ გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი ფართო პირი, დაბალი ღარისებრი ყელი, დამრეცი მხრები, ზედამხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. ყელზე წყვილი და მხარზე სამი ამოღარული კონცენტრული ხაზითაა შემკული. ზედაპირზე ლაქისებრი სიპრიალე აქვს.

---

* ამ ნივთის აღწერილობის გვერდით, მაცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ III (გვიანბრინჯაო III — რედ.).

სიმაღლე — 19,5; დმ პირის — 18,5; მუცლის — 27; ძირის — 9,5 სმ.

69 (12—54:177). ლ ა ნ გ ა რ ი თიხისა, დამტვრეული და ნაკლული.

70 (12—54:178; სურ. 83). ტ ო ლ ჩ ა ცალყურა, მოშავო-მოწაბლისფროდ გამომწვარი თიხისა, სწორბაკოიანი, ფართო პირი, ძირთან ოდნავ შევიწროებული ცილინდრული ტანი და ბრტყელი ძირი აქვს. ზედა მხარეს მოგრძო რელიეფურ დანაძერწიანი, სწორკუთხა განივკვეთის მქონე ბრტყელი ყური პირს ქვემოთ ტანზე აქვს შეერთებული. პირის მახლობლად წყვილი ფართო ღრმა კონცენტრული ხაზი და სიგრძეზე წნევით დატანილი ხაზები ამკობს.

სიმაღლე — 13,5; დმ პირის — 11,5; მუცლის — 14; ძირის — 8,5 სმ.

71 (12—54:179; სურ. 81). დ ო ქ ი ცალყურა, მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, ოდნავ გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი პირი, დაბალი ყელი, გადგმული მხრები, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. პირიდან გამომდინარე სწორკუთხაგანივკვეთიანი ბრტყელი ყური მხარზე აქვს შეერთებული. მხარზე და მუცელზე სამ-სამი ფართო ამოღარული სარტყელი ამკობს. ადგილ-ადგილ შეინიშნება მოვარდისფრო ლაქები.

სიმაღლე — 31; დმ პირის — 12; მუცლის — 27,5; ძირის—12,5 სმ.

72 (12—54:180; სურ. 82). ფ ი ნ ჯ ა ნ ი ცალყურა, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, სწორბაკოიანი ფართო პირი, ძირის მახლობლად ოდნავ შევიწროებული ცილინდრული ტანი და ბრტყელი ძირი აქვს. ოვალურგანივკვეთიანი, ზედა მხარეს რელიეფურდანაძერწიანი, ბრტყელი ყური პირს ქვემოთ ტანზე აქვს შეერთებული. პირს ქვემოთ წვრილი ამოღარული ხაზით და ირგვლივ სიგრძეზე წნევით მსუბუქად დატანილი ზოლებითაა შემკული.

სიმაღლე — 10, დმ პირის — 11; ძირის — 8,5 სმ.

73 (12—54:181; სურ. 72). კ ო ჭ ო ბ ი მოწაბლისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, ოდნავ გადაშლილი მრგვალბაკოიანი ფართო პირი, წიბოიანი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს.

სიმაღლე — 6,5; დმ პირის — 13; მუცლის — 18; ძირის 6 სმ.

74 (12—54:182; სურ. 71). ქ ი ლ ა ორყურა მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, ოდნავ გადაშლილი სწორბაკოიანი პირი, დამრეცი მხრები, ბირთვისებრი მუცელი, ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი და მხრებზე ორ მოპირდაპირე მხარეს მიძერწილი, მრგვალნახვრეტიანი, ბრტყელი, მაღლა აცქვეტილი შვერილი აქვს. მხრის ძირთან ამოღარული კონცენტრული ხაზითაა შემკული.

სიმაღლე — 8,0; დმ პირის — 6,0; მუცლის — 11, ძირის — 4,5 სმ.

75 (12—54:183; სურ. 85). ნ ე მ ს ი ბრინჯაოს წვრილი მავთულისა, ყუნწმოტეხილი. სიგრძე — 7,2 სმ.

76 (12—54:184; სურ. 73—76). ბ ე ჭ დ ე ბ ი ბრინჯაოს თხელი ფირფიტისა (4). ორ მათგანს თავი თავზე აქვს გადატანილი, ორი კი ერთიმეორისაგან დაშორებულია.

დმ — 2; სიგანე — 1,2—1,5 სმ.

77 (12—54:187; სურ. 68). ბ ე ჭ ე დ ი ოვალურგანივკვეთიანი ბრინჯაოს ვიწრო მავთულისა. დმ — 2 სმ.

78 (12—54:188; სურ. 77—80). ვ ა რ დ უ ლ ე ბ ი (7) ბრინჯაოს თხელი ფირფიტისა, ოთხქიმიანი, შუაზე გახვრეტილი.

სიგანე — 1,7 სმ.

79 (12—54:189, 190; სურ. 69, 70). ს ა კ ა ნ ჭ უ რ ე ბ ი (2) ბრინჯაოსი, სწორკუთხა განივკვეთიანი მსხვილი მავთულისა, თავები გახსნილი აქვს და ერთიმეორეზე დაშორებული. დეფორმირებულია. ზურგზე შემკულია ჭდეული სახეებით.

80 (12—54:191, 192, სურ. 89, 90). ს ა კ ი ნ ძ ე ბ ი ბრინჯაოსი, სოკოსებრი მოყვანილობის სიგრძეზე დაღარული თავი, რელიეფური სარტყლებით შემკული ყელი, ყელის ძირთან ოვალური ნახვრეტი და მრგვალგანივკვეთიანი ღერო აქვს.

სიგრძე — 11, 8 სმ.

81 (12—54:193; სურ. 88). ს ა კ ი ნ ძ ი ს ნატეხი ბრინჯაოსი, სიგრძეზე დაღარული სოკოსებური თავი და რელიეფური სარტყლებით შემკული ყელი აქვს. გადატეხილია ნახვრეტზე.

სიგრძე — 2,6 სმ.

82 (12—54:194; სურ. 86). ღ ე რ ო ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი წვრილი მავთულისა. საკინძისა უნდა იყოს.

სიგრძე — 11 სმ.

83 (12—54:195; სურ. 87). ღ ე რ ო ბრინჯაოს საკინძისა, წვერი მოტეხილი აქვს. მრგვალგანივკვეთიანი, წვერისკენ გალუნული.

სიგრძე — 5,2 სმ.

84 (12—54:196). საკინძის ღეროს ნატეხები (2) ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი მავთულისა, აქვს ოვალურგანივკვეთიანი ნახვრეტი და ნახვრეტს ზემოთ წყვილი რელიეფური სარტყელი.

**სამარხი № 12**
**(1938, N)**

85 (12—54:197). კ ო ჭ ო ბი შავად გამომწვარი თიხისა, ოდნავ გადაშლილი პირი, მომრგვალებული ბაკო, ძალიან დაბალი ყელი, წიბოიანი მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. ზედაპირზე შეიმჩნევა გაპრიალების კვალი.

სიმაღლე — 7: დმ პირის — 5; მუცლის — 10; ძირის — 4 სმ.

86 (12—54:198). ტ ო ლ ჩ ა მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, ოდნავ გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი პირი, ძალიან დაბალი ყელი, დამრეცი

მხრები, ზედამხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი და მაღალქუსლიანი ჩაღრმავებული ძირი ჰქონდა (ქუსლი მოტეხილი აქვს და დაკარგული); ოვალურგანივკვეთიანი ბიბილოებიანი ბრტყელი ყური მხარზე და მუცელზე აქვს შეერთებული. ყელზე და ძირთან წყვილ-წყვილი ამოღარული ხაზი ამკობს, მუცლის ქვედა ნაწილზე. ძირის მახლობლად ურთიერთგადამკვეთი პრიალა ხაზებით შექმნილი ბადისებრი სახეები.

სიმაღლე — 12,5; დმ პირის — 9,7; მუცლის — 13, ძირის — 5,5 სმ.

**87** (12—54:199). დ ე რ გ ი შავად გამომწვარი თიხისა, ოდნავ გადაშლილი ფართო პირი, ქობიანი ბაკო, დაბალი ღარისებრი ყელი, დამრეცი მხრები, ზედამხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული და ოდნავ გამოყოფილი, ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი. ყელზე ერთი, ყელის ძირთან წყვილი ამოღარული კონცენტრული ხაზი ამკობს; მხრებზე წყვილ ამოღარულ ხაზს შორის სავარცხლის კბილის ირიბი მწკრივებით დაფარული წყვილი სარტყელი, მუცლის ქვედა ნაწილზე წნევით დატანილი მსუბუქი სიგრძივი ხაზები.

სიმაღლე — 30; დმ პირის — 17; მუცლის — 36; ძირის — 9,9 სმ.

**88** (12—54:$199_1$). ლ ა ნ გ ა რ ი შავად გამომწვარი თიხისა. ნატეხები.

**89** (12—54:$199_2$). ქ ო თ ა ნ ი შავად გამომწვარი თიხისა, მუცელფართო.

**სამარხი № 13 (1938, N; სურ. 91)**

**90** (12—54:200; სურ. 92,105)*. ჯ ა მ ი შავად გამომწვარი თიხისა, ფართო, მრგვალქობიანი პირი, წიბოიანი, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული ტანი და ოდნავ გამოყოფილი ბრტყელი ძირი აქვს.

სიმაღლე — 8; დმ პირის — 21,6; ძირის — 7,5 სმ.

**91** (12—54:$200_1$). ლ ა ნ გ ა რ ი თიხისა, ძალიან დამტვრეული.

**92** (12—54:$200_2$). კ ო ჭ ო ბ ი თიხისა, ცალყურა, ყურზე ორი კორძით, პატარა მუცლიანი; ყური და ყელი მოტეხილი ჰქონია.

სიმაღლე — 10; დმ პირის — 7; მუცლის — 11; ძირის — 4,5 სმ.

**93** (12—54:201; სურ. 96, 104). ტ ო ლ ჩ ა შავად გამომწვარი თიხისა, ოდნავ გადაშლილი სწორბაკოიანი ფართო პირი, დაბალი ცილინდრული ყელი, გადგმული მხრები, ზედამხარეს ფართო, ძირისაკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ქუსლიანი, შიგნით ჩაღრმავებული ძირი აქვს. სწორკუთხა განივკვეთიანი ბრტყელი ყური მხარზე და მუცელზე აქვს შეერთებული. ყური შემკულია მოგრძო რელიეფური დანაძერწით. ყელზე სამი ამოღარული კონცენტრული ხაზი ამკობს (პირი და ქუსლი ნაკლულია).

სიმაღლე — 13; დმ პირის — 9,5; მუცლის — 14; ძირის — 7,2 სმ.

**94** (12—54:$201_1$). ფ ი ნ ჯ ა ნ ი თიხისა, ცალყურა, პატარა. დამტვრეული.

**95** (12—54:202; სურ. 93, 103). ქილა მონაცრისფროდ გამომწვარი თიხი-

---

* ამ ნივთის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ III (გვიანბრინჯაო III — რედ.).

სა, ოდნავ გადაშლილი მრგვალბაკოიანი პირი, ძალიან დაბალი ღარისებრი ყელი, ბირთვისებრი მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. მუცლის ზედა ნაწილზე შემკულია ერთი ამოღარული კონცენტრული ხაზით. ადგილ-ადგილ აქვს შავი ლაქები. ოდნავ დეფორმირებულია.

სიმაღლე — 12; დმ პირის — 8,6; მუცლის — 16; ძირის — 7 სმ.

**96** (12—54:203; სურ. 94, 106). ქ ი ლ ა მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, ოდნავ გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი პირი, ძალიან დაბალი ღარისებრი ყელი, დამრეცი მხრები, ზედამხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ბრტყელი ძირი აქვს. ყელის ძირთან სამი ამოღარული ხაზი და მხრის ძირთან ორ ამოღარულ ხაზს შორის ნაჭდევი წიწვიანი სახეებით დაფარული სარტყლითაა შემკული (პირი ნაკლულია). მუცლის ქვედა ნაწილზე ირგვლივ წნევით სიგრძეზე მსუბუქად დაღარული ხაზებითაა დაფარული.

სიმაღლე — 25,2; დმ პირის — 16,5; მუცლის — 29; ძირის — 9,4 სმ.

**97** (12—54:204; სურ. 95, 107). დ ო ქ ი ცალყურა, შავად გამომწვარი თიხისა, ოდნავ გადაშლილი ფართო პირი, მრგვალქობიანი ბაკო, მაღალი ძაბრისებრი ყელი, დამრეცი მხრები, ბირთვისებრი მუცელი, ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი დეფორმირებული ძირი და ოვალურგანივკვეთიანი ბრტყელი ყური პირთან ყელზე და მხარზე აქვს შეერთებული. ყელის ძირთან წყვილ ამოღარულ ხაზს შორის ირიბი ნაკაწრი ხაზებით დაფარული სარტყლით არის შემკული, მუცელზე ორ ამოღარულ ხაზს შორის წვერით ქვემოთ დაშვებული დაღარული ხაზებით დაფარული სამკუთხედებით.

სიმაღლე — 30,3; დმ პირის — 11,5; მუცლის — 25; ძირის — 9,5 სმ.

**98** (12—54:205; სურ. 97, 102). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, სიგრძეზე დაღარული და კონცენტრული ამოღარული ხაზით შემკული მრგვალი თავი აქვს; დაღარული ყელი, ყელს ქვემოთ ოვალური ნახვრეტი და მრგვალგანივკვეთიანი ღერო. წვერმოტეხილია.

სიგრძე 9,3 სმ.

**99** (12—54:205$_1$). ს ა კ ი ნ ძ ე ბ ი (3) ბრინჯაოსი იმავე ტიპისა, როგორიც № 205 საკინძია. ერთს წვერი გაღუნული აქვს.

სიგრძე — 9; 9,5 და 11 სმ; ღეროს სიმსხო — 5—6 მმ.

**100** (12—54:206; სურ. 98, 100). მ ა ხ ა თ ი ბრინჯაოს წვრილი მრგვალგანივკვეთიანი მავთულისა, ყუნწი ღეროს მოღუნვით აქვს გაკეთებული.

სიგრძე — 13,2 სმ.

**101** (12—54:207; სურ. 99, 101). მ ძ ი ვ ე ბ ი სარდიონისა (18) მოწითალო-მოვარდისფრო და მოწითალო წვრილი, მანდარინისებრი და ოვალური (2) მოყვანილობისა, ნახევრადგამჭვირვალე და გაუმჭვირვალე (2).

102 (12—54:208, სურ. 112)*. კ ო ჰ ო ბ ი ს მ ა-

სამარხი № 14 (1938, N) გ ვ ა რ ი პაწია ჰურჰელი, მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, მომრგვალებულბაკოიანი პირი, ძალიან დაბალი ცილინდრული ყელი, დამრეცი მხრები, შუაზე ფართო, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული დეფორმირებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. ხელითაა ნაძერწი; ხაოიანი ზედაპირი და ადგილ-ადგილ შავი ლაქები აქვს.

სიმაღლე — 5,2; დმ პირის — 4,6; მუცლის — 6,3; ძირის — 3,9 სმ.

103 (12—54:208₁). ჯ ი ლ ა თიხისა, პატარა, 8 ნატეხად დამტვრეული.

104 (12—54:209; სურ. 108). ჯ ი ლ ა შავად გამომწვარი თიხისა, ოდნავ გადაშლილი სწორბაკოიანი ფართო პირი, ძალიან დაბალი ლარისებრი ყელი, დამრეცი მხრები, ზედა მხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი. მხრის ძირთან შემკულია ამოღარული კონცენტრული ხაზით. ადგილ-ადგილ შეინიშნება მონაცრისფრო-მოწაბლისფრო ლაქები. ლაქისებრი სიპრიალე აქვს.

სიმაღლე — 16; დმ პირის — 18; მუცლის — 23; ძირის — 7 სმ.

105 (12—54:210; სურ. 110). ხ ე ლ ა დ ა ცალყურა რუხად გამომწვარი თიხისა, ოდნავ გადაშლილი ფართო პირი, ქობიანი ბაკო, საშუალო ზომის ყელი, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული ფართო მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს, პირიდან გამომდინარე სწორკუთხა განივკვეთის მქონე, ვიწრო, ბრტყელი ყური მუცლის ზედა ნაწილზეა შეერთებული. ყელის ძირთან შემკულია წყვილ ამოღარულ ხაზს შორის წიწვიანი სახეებით დაფარული სარტყლით. ადგილ-ადგილ მოწაბლისფრო ლაქები აქვს.

სიმაღლე — 13; დმ პირის — 8,2; მუცლის — 14; ძირის — 8,9 სმ.

106 (12—54:211; სურ. 111). კ ო ჰ ო ბ ი მოვარდისფრო მოწაბლისფროდ გამომწვარი თიხისა, მომრგვალებულბაკოიანი პირი, დაბალი ყელი, დამრეცი მხრები, ზედამხარეს ფართო, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. ხელითაა ნაძერწი. ზედაპირზე ხაოიანია.

სიმაღლე — 10; დმ პირის — 6,1 ,მუცლის — 9; ძირის — 4,4 სმ.

107 (12—54:212; სურ. 109). ჯ ი ლ ა ორყურა, რუხად გამომწვარი თიხისა. ოდნავ გადაშლილი მრგვალბაკოიანი პირი, დამრეცი მხრები, ზედა მხარეს ფართო, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. ოვალურგანივკვეთიანი ბრტყელი ყურები ორ მოპირდაპირე მხარეს მუცლის ზედა ნაწილზე აქვს შეერთებული (ყურები მოტეხილია — შერჩენილია მცირე ნაწილი), ყელზე და მხარზე შემკულია სამ-სამი ამოღარული კონცენტრული ხაზით.

---

* ამ ნივთის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ. III, (გვიანბრინჯაო III — რედ.).

სიმაღლე — 28,9; დმ პირის — 11,6; მუცლის — 24; ძირის — 10 სმ.

**სამარხი № 21 (1938, N; სურ. 113)**

**108** (12—54:281; სურ. 114)*. ლ ა ნ გ ა რ ი შავად გამომწვარი თიხისა, ბრტყელბაკოიანი ფართო პირი, დაბალი ყელი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული ტანი და ბრტყელი ძირი აქვს. შიგნით პირზე შეიმჩნევა პრიალა ზოლები.

სიმაღლე — 7; დმ პირის — 29,5; ძირის — 10 სმ.

**109** (12—54: 281). ქ ო თ ა ნ ი თიხისა, მოზრდილი, ორყურა, დამსხვრეული.

**110** (12—54:282). მ ა ხ ა თ ი ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი მავთულისა. ყუნწი ღეროს მოღუნვითაა გაკეთებული.

სიგრძე — 12 სმ.

**სამარხი № 22 (1938, N)**

**111** (12—54:283; სურ. 120)**. დ ო ქ ი ცალყურა, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. ოდნავ გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი პირი, ძაბრისებრი, გოფრირებული ყელი, დამრეცი მხრები, ზედამხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. მრგვალგანივკვეთიანი ყურის მცირე ნაწილია შემორჩენილი მხარზე.

მხრის ძირთან ოთხი ამოღარული პარალელური ხაზი გასდევს და წყდება ყურის მახლობლად ორივე მხარეს. მხრებზე შემკულია ირიბი ხაზებით დაშტრიხული, წვერით ზემოთ მიმართული სამკუთხედებით.

სიმაღლე — 25; დმ პირის — 9; მუცლის — 23; ძირის — 8,5 სმ.

**112** (12—54:284; სურ. 118). ფ ი ნ ჯ ა ნ ი შავად გამომწვარი თიხისა, ფართო მომრგვალებულბაკოიანი პირი, დაბალი ცილინდრული, გოფრირებული ყელი, დამრეცი მხრები, ზედამხარეს ფართო, ძირის მახლობლად მკვეთრად შევიწროებული და ოდნავ გამოყოფილი, ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. ოვალურგანივკვეთიანი ბრტყელი ყური მუცელზე აქვს შეერთებული. ზედაპირზე შეიმჩნევა მონაცრისფრო ლაქები.

სიმაღლე — 11; დმ პირის — 9,5; მუცლის — 13; ძირის — 5,6 სმ.

**113** (12—54:285; სურ. 119). ხ ე ლ ა დ ა მონაცრისფრო-მოწაბლისფროდ გამომწვარი თიხისა. ოდნავ გადაშლილი ნაკლული პირია, გოფრირებული ყელი (შემორჩენილია ყელ-პირის ნახევარი), დამრეცი მხრები, ზედა მხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი, ერთ მხარეს ოდნავ გამოყოფილი, მოპირდაპირე მხარეს გამოუყოფელი ბრტყელი ძირი და პირიდან გამომდინარე მხარზე შეერთებული მრგვალგანივკვეთიანი ყური აქვს.

---

* ამ ნივთის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ III, (გვიანბრინჯაო III, ძვ. წ. X სს. — რედ.).

** ამ ნივთის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ III, X—IX (გვიანბრინჯაო III, ძვ. წ. X—IX სს. — რედ.)

**114** (12—54:286; სურ. 115). საკინძი ბრინჯაოსი, სწორი სამი კონცენტრული ღარით შემკული თავი, თავს ქვემოთ მრგვალი ნახვრეტი და მრგვალგანივკვეთიანი ღერო აქვს.

სიგრძე — 7,8 სმ.

**115** (12—54:287; სურ. 116). ნემსი ბრინჯაოსი, თავთან გაბრტყელებულია და ზედ მრგვალი ნახვრეტი აქვს. ღერო მრგვალგანივკვეთიანი წვრილი მავთულისაა.

სიგრძე 7,2 სმ.

**116** (12—54:288; სურ. 117). მძივები სარდიონისა (1) მანდარინისებრი მოყვანილობისა; პასტისა, ბრტყელოვალური მოყვანილობისა (1), ზედაპირზე ირიბი ხაზებით შემკული.

**117** (12—54:289—291). ობსიდიანის ანატკეცები, ბოლისფერი. № 290 მეორედი დამუშავების კვალით, № 291 კარგად გამოსახული დარტყმის სიბრტყით და შესაბამისი ბურცვით.

**სამარხი № 23 (1938, N)**

**118** (12—54:292). ქათხა ნაკლული. შემორჩენილია ძირისა და ტანის ნაწილი. გამომწვარია მოწითალო-მონაცრისფროდ. წელში გამოყვანილი ტანი და ბრტყელი ძირი აქვს. ტანზე ერთ ადგილას შემორჩენილია ოვალურგანივკვეთიანი ბრტყელი ყურის ნაწილი. სქელკეციანია. ზედაპირზე ემჩნევა გაპრიალების კვალი. შემორჩენილი ნაწილის ზომებია:

სიმაღლე — 14,5; დმ პირის — 14,2 სმ.

**119** (12—54:293; სურ. 122). კოჭბისმაგვარი ჭურჭელი (პაწია) მოშავო-მოწაბლისფროდ გამომწვარი თიხისა. სწორბაკოიანი ფართო პირი, ძალიან დაბალი ყელი, წიბოიანი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს.

სიმაღლე — 5,6; დმ პირის — 7,6; მუცლის — 9,1; ძირის — 3,9 სმ.

**120** (12—54:294; სურ. 121). ფინჯანი შავად გამომწვარი თიხისა, სწორბაკოიანი ფართო პირი, წელში გამოყვანილი, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული ტანი და ბრტყელი ძირი აქვს, ნახევარწრისებრ განივკვეთიანი ყური პირის მახლობლად და ტანის გაფართოებულ ნაწილზე აქვს შეერთებული. ტანის ზედა ნაწილი შემკულია ექვსი კონცენტრული ღარით.

სიმაღლე — 7, დმ პირის — 7, ძირის — 3,6 სმ.

**121** (12—54:295). ქვაბ-ქოთანა მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, მრგვალბაკოიანი ფართო პირი, ძალიან დაბალი ღარისებრი ყელი, წიბოიანი მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. ყელის ძირთან წყვილი ამოლარული ირიბად დაკეჭნილი სარტყელი ამკობს.

სიმაღლე — 19, დმ პირის — 20, მუცლის — 25; ძირის — 10 სმ.

**122** (12—54:296). დერგი ორყურა, მონაცრისფროდ გამომწვარი თი-

ხისა. ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი, ქობიანი ბაკო, დაბალი ყელი, დამრეცი მხრები. ზედა მხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. სწორკუთხა განივკვეთიანი ფართო, ბრტყელი ყურები ორ მოპირდაპირე მხარეს მუცლის ზედა ნაწილზე აქვს შეერთებული. ყელის ძირთან ოთხი და მხრის ძირთან სამი ამოღარული კონცენტრული ხაზი ამკობს.

სიმაღლე — 34; დმ პირის — 12,1; მუცლის — 32; ძირის — 10,3 სმ.

**123** (12—54:297). ს ა მ ა ჯ უ რ ი ბრინჯაოსი ოვალურგანივკვეთიანი ვიწრო სქელი ფირფიტისა. თავები გახსნილი, გაბრტყელებული, მომრგალებული და ერთიმეორეზე გადატანილი აქვს.

დმ — 5,5; რკალის სიფართე — 0,5 სმ.

**124** (12—54:8821). გაურკვეველი დანიშნულების ნივთი, მოყვითალო ძვლისა. გამოჭრილია ერთიან ძვალში. ერთი ბოლო სწორკუთხა განივკვეთის მქონე, ბოლოში მრგვალნახვრეტიან ღეროს წარმოადგენს; ღეროს მეორე ბოლო გამოჭრილია წრისებურად. რკალი ღეროსთან შედარებით თხელია, რკალის განივკვეთიც სწორკუთხაა. რკალი ნაკლულია.

სიმაღლე — 7,3; წრის გარეთა დიამეტრი — 3,3 სმ.

**ორმოსამარხი 92 (1939, N).**

**125** (12—54:2081; სურ. 123). ქ ი ლ ა ორყურა, შავად გამომწვარი, აქვს მრგვალბაკოიანი ვიწრო პირი, საშუალო სიმაღლის ყელი, დამრეცი მხრები, ბირთვისებრი მუცელი და ბრტყელი ძირი. ოვალურგანივკვეთიანი ბრტყელი ყურები ორ მოპირდაპირე მხარეს მუცელზე აქვს შეერთებული. ყელის ძირთან ერთი და მხრის ძირთან სამი ამოღარული კონცენტრული ხაზითაა შემკული. მხრებზე სიგრძივი და მუცელზე ძირამდე ურთიერთგადამკვეთი წნევით დატანილი პრიალა ხაზები ამკობს.

სიმაღლე — 21; დმ პირის — 9,5; მუცლის — 21,5; ძირის — 9,5 სმ.

**126** (12—54:2082; სურ. 124). ლ ა ნ გა რ ი შავად გამომწვარი თიხისა (ნაკლული). აქვს ვიწრო ბრტყელბაკოიანი ფართო პირი, დაბალი, ოდნავ ღარისებრი ყელი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული ტანი და ბრტყელი ძირი; ყელზე აქვს გადასაწური დაბალი მილი.

სიმაღლე — 9,4; დმ პირის — 29,5; ძირის — 10 სმ.

**127** (12—54:$2082_1$); კ ო ჭ ო ბ ი თიხისა, დამტვრეული.

სიმაღლე — 7,5; დმ პირის — 6; ძირის — 4,5 სმ.

**128** (12—54:2083). ს ა მ ა ჯ უ რ ი ბრინჯაოსი, ოვალურგანივკვეთიანი წვრილი მავთულისა, თავები გახსნილი აქვს და ერთიმეორეზე გადატანილი. ზურგი დაფარულია ჭდეული სახეებით.

დმ — 4,8. რკალის სიმსხო — 3 სმ.

სამარხი № 97
(1939, N)

129 (12—54:2160) ჭ უ რ ჭ ე ლ ი შავად გამომწვარი თიხისა, პატარა, აკლია ყელპირი. აქვს ბირთვისებრი მუცელი და პატარა ბრტყელი ძირი. მხრებზე წყვილი ამოღარული კონცენტრული ხაზითაა შემკული, მხრებს ქვემოთ სიგრძივი პრიალა პარალელური ზოლებით. ადგილ-ადგილ შეიმჩნევა ზედაპირის გაპრიალების კვალი. შემორჩენილი ნაწილის ზომებია:

სიმაღლე — 9,5; დმ მუცლისა — 11,5, ძირის — 5 სმ.

**130** (12—54:2161). ქოთნის ნატეხები შავად გამომწვარი თიხისა. აქვს მრგვალბაკოიანი პირი, დაბალი ყელი, ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი. ყელის ძირთან წყვილი ამოღარული კონცენტრული ხაზი და მათი პარალელური ფრჩხილისეული სახეების ერთი მწკრივი ამკობს, ქუსლზე ირგვლივ ირიბი ჭდეებითაა შემკული. მუცლის ნატეხზე შემორჩენილია ოვალურგანივკვეთიანი ბრტყელი ყურის ნაშთი.

**131** (12—54:2162). ჭურჭლის ნატეხები. გადანატეხში მოწითალო-მოვარდისფრო, ზედაპირზე მონაცრისფრო ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. ერთ ნატეხს შერჩენილი აქვს ყურის არსებობის კვალი. შემკული ყოფილა ამოღარული ხაზებით.

სამარხი № 138
(1939, N)

**132** (12—54:2705; სურ. 126). ხ ე ლ ა დ ა ცალყურა, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, ადგილ-ადგილ მოწაბლისფრო ლაქებით. ოდნავ გადაშლილი პირი, ქობიანი ბაკო, საშუალო სიმაღლის ძაბრისებრი მოყვანილობის ყელი, დამრეცი მხრები, ზედამხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. პირიდან გამომდინარე მრგვალგანივკვეთიანი ყური მხარეზეა შეერთებული. ყელის ძირში და მხრის ძირთან ყურის შეერთების გასწვრივ თითო წყვილი ამოღარული კონცენტრული ხაზითაა შემკული, მხრებზე ირიბად დაშტრიხული პატარა ტოლფერდა თხუთმეტი სამკუთხედია განლაგებული ყურის შეერთების გასწვრივ.

სიმაღლე — 19,5; დმ პირის — 8; მუცლის — 19, ძირის — 8,5 სმ.

**133** (12—54:2706). ჭ უ რ ჭ ე ლ ი (ქილა) მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა (ყელ-პირი აკლია). დამრეცი მხრები, ბირთვისებრი მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. ყელის ძირთან და მხრის ძირთან ძალიან დაუდევრად არის ამოღარული კონცენტრული ხაზები. ზოგან სამი, ზოგან კი ორი ერთიმეორესთან არათანაბარი მანძილით გავლებული ხაზია.

სიმაღლე — 26; დმ პირის — 27; ძირის — 9 სმ.

**134** (12—54:2706) ს ა დ ღ ვ ე ბ ე ლ ი ცალყურა, მოშავო თიხისა, ზედანაწილი ნაკლული აქვს. მუცელზე აქვს სასულე მილი.

**135** (12—54:2707; სურ. 125). ლ ა ნ გ ა რ ი შავად გამომწვარი თიხისა (პატარა). აქვს ბრტყელბაკოიანი ფართო პირი, ძალიან დაბალი ჩაღარული

ყელი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული ტანი და ოდნავ გამოყოფილი, ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი. ტანის ზედა ნაწილზე და ძირზე ატკეცილი აქვს ზედაპირი.

სიმაღლე — 3,5; დმ პირის — 17,5; ძირის — 7,5 სმ.

**136** (12—54:2708; სურ. 127). ქ ო თ ა ნ ი ცალყურა, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა. მრგვალბაკოიანი ფართო პირი, დაბალი, თითქმის ღარისებრი ყელი, ზედამხარეს ფართო, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული მუცელი და ოდნავ გამოყოფილი, ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. ზედა მხარეს მოგრძო რელიეფურ დანაძერწიანი ბრტყელი ყური მუცელზე აქვს შეერთებული. ყელის ძირთან ერთი ამოღარული კონცენტრული ხაზი და ერთი მწკრივი მისი პარალელური ხორბლისმარცვლისებური სახეებით არის შემკული. ასეთივე სახეებითაა ირგვლივ შემკული ჭურჭლის ქუსლი.

სიმაღლე — 17; დმ პირის — 12; მუცლის — 18; ძირის — 9 სმ.

**137** (12—54:2709). ნ ე მ ს ი ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი წვრილი მავთულისა. ერთი ბოლო გაბრტყელებული აქვს და ზედ მრგვალი ნახვრეტია, მეორე წაწვეტებული აქვს და ზედ მრგვალი ნახვრეტია.

სიგრძე — 7,5 სმ.

**სამარხი № 144**
**(1939, N)**

**138** (12—54:2751; სურ. 136, 137). ლ ა ნ გ ა რ ი ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა. მომრგვალებულბაკოიანი ფართო პირი, დაბალი ჩაღარული ყელი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული ტანი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. შიგნით პირზე დაფარულია ირიბი და სწორი წნევით დატანილი ხაზებით დაფარული მოგრძო სამკუთხედისებური სახეებით, რომელთა წვერები ძირის შუა ნაწილზე ებჯინება ერთი მეორეს.

სიმაღლე — 10; დმ პირის — 33; ძირის — 10 სმ.

**139** (12—54:2752; სურ. 143). ქ ვ ა ბ-ქ ო თ ა ნ ა, მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, მრგვალბაკოიანი პირი, წიბოიანი მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. პირს ქვემოთ შემკულია ამოღარული კონცენტრული ხაზით.

სიმაღლე —12; დმ პირის — 17; მუცლის — 19,5; ძირის — 8 სმ.

**140** (12—53:2753; სურ. 141). ქ ვ ა ბ ქ ო თ ა ნ ი ს მაგვარი პაწია ჭურჭელი მოვარდისფრო-მოწაბლისფროდ გამომწვარი თიხისა, ოდნავ გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი პირი, ძალიან დაბალი ჩაღარული ყელი, წიბოიანი მუცელი და ოდნავ გამოყვანილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. პირი ერთ ადგილზე ჩაჭყლეტილია, დეფორმირებულია. ხელით ნაძერწი უნდა იყოს.

სიმაღლე — 6,5; დმ პირის — 8,5; მუცლის — 10,5; ძირის — 5 სმ.

**141** (12—54:2754; სურ. 134, 140). ქ ი ლ ა ორყურა, მოშავოდ გამომწვა-

·რი თიხისა, ადგილ-ადგილ მონაცრისფრო ლაქებით. ფართო პირი, ქობიანი ბაკო, ძალიან დაბალი ღარისებრი ყელი, ბირთვისებრი მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. სწორკუთხა განივკვეთის მქონე ბრტყელი ყურები მუცლის ზედა ნაწილზე ორ მოპირდაპირე მხარეს აქვს შეერთებული. ყელის ძირთან სამი და მუცელზე, ყურების გასწვრივ წყვილი ამოღარული კონცენტრული ხაზითაა შემკული. ყურებს შორის ორ მოპირდაპირე მხარეს თითო მრგვალი დაბალი კოპი აქვს.

სიმაღლე — 22; დმ. პირის — 20; მუცლის — 28; ძირის — 10,5 სმ.

**142** (12—54:2754₁). ქ ი ლ ა შავად გამომწვარი თიხისა, ორყურა, პირგადაშლილი, ყელდაბალი, ყელზე და მხარზე ყურების შეერთების გასწვრივ ამოღარული კონცენტრული ხაზებითაა შემკული.

სიმაღლე — 22,2; დმ პირის — 20; ძირის — 10,5 სმ.

**143** (12—54:2755; სურ. 135, 142). ტ ო ლ ჩ ა ცალყურა, ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, სწორბაკოიანი ფართო პირი, ძირთან ოდნავ შევიწროებული, თითქმის ცილინდრული ტანი და ბრტყელი ძირი აქვს. ზედა მხარეს მობრტყო რელიეფურ დანაძერწიანი სწორკუთხა განივკვეთის მქონე ყური ტანზე აქვს ოდნავ მრუდეთ შეერთებული. პირს ქვემოთ წყვილი კონცენტრული ხაზითაა შემკული.

სიმაღლე — 10; დმ პირის — 11,5; ძირის — 9 სმ.

**144** (12—54:2756; სურ. 139). ნ ე მ ს ი ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი წვრილი მავთულისა. ერთი ბოლო მოღუნულია და ღეროზე მირჩილული, რითაც წარმოქმნილია მოგრძო ყუნწი, მეორე ბოლო წაწვეტებულია.

სიგრძე — 9,3 სმ.

**145** (12—54:2757—2760; სურ. 138). ს ა კ ი ნ ძ ე ბი ბრინჯაოსი (4), სოკოსებრი მოყვანილობის სიგრძეზე დაღარული სფერული თავი; თავს ქვემოთ შუაზე გამსხვილებული და თავსა და ბოლოში წყვილი რელიეფური ხაზით შემკული ყელი, ყელის ძირთან ოვალური ნახვრეტი და მრგვალგანივკვეთიანი ღერო აქვთ. ერთზე (№ 2759) დაღარული ხაზები ოდნავ შესამჩნევადაა გაკეთებული.

სიგრძე — 9; 8,2; 7 სმ.

**თრმოსამარხი 6/1939, N)***

**146** (12—54:1003). ჯ ა მ ი ს ნატეხი მოვარდისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისა. აქვს ფართო სწორბაკოიანი პირი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული ტანი და ბრტყელი ძირი, ზაოიანი ზედაპირი. ხელითაა ტლანქად ნაძერწი.

სიმაღლე — 6,2 სმ.

---

* სამარხის აღწერილობის ზემოთ, მარჯვნივ, ავტორს მიუწერია მელნით: აღრეული სამარხი უნდა იყოს (რედ).

147 (12—54:1004). ქ ო თ ნ ი ს ნატეხები მოვარდისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი თიხისა. ოდნავ მოყრილი მომრგვალებულბაკოიანი პირი, ცილინდრული ტანი და ბრტყელი ძირი აქვს. ხელითაა ტლანქად ნაძერწი. პირს ქვემოთ ირგვლივ გაუყვება ნედლ თიხაზე თითის დაწოლით შექმნილი ფოსოები.

სიმაღლე — 17 სმ.

148 (12—54:1005). ჯ ა მ ი ს (?) თუ თ ე ფ შ ი ს (?) ნატეხი რუხად გამომწვარი ქვიშანარევი მსხვილმარცვლოვანი თიხისა, მოყრილი სწორბაკოიანი პირი ძირისკენ მკვეთრად დაქანებული ტანი და დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. ხელითაა უხეშად ნაძერწი.

სიმაღლე — 3,7; დმ პირის — 9,6; ძირის — 5,5 სმ.

149 (12—54:1006). ლ ა ნ გ ა რ ი შავად გამომწვარი თიხისა. ბრტყელბაკოიანი ფართოქობიანი პირი, დაბალი ჩაღარული ყელი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული ტანი და ბრტყელი ძირი აქვს. ყელზე პატარა გადასაწური მილი აქვს.

სიმაღლე — 8,9; დმ პირის — 27,5; ძირის — 9,5 სმ.

**სამარხი № 8 (1939, N).**

150 (12—54:1015). ჯ ა მ ი ს ნატეხი მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. ფართო პირი, ქობიანი ბაკო, წიბოიანი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული ტანი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს (ლანგარისებრი მოყვანილობისაა).

სიმაღლე — 3,8; დმ ძირის — 5,5 სმ.

151 (12—54:1016). ქ ო თ ა ნ ი ცალყურა, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა. ფართო პირი, ზემოდან დაბრტყელებული ბაკო, დაბალი ცილინდრული ყელი, ბირთვისებრი მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. მრგვალგანივკვეთიანი მსხვილი ყურის ნაშთი, შერჩენილია ყელისა და მუცელზე. ყელზე ერთი და მუცლის ზედა ნაწილზე წყვილი ხორბლისმარცვლისებრი სახეების კონცენტრული სარტყელი ამკობს.

სიმაღლე — 10,5; დმ პირის — 10,6; მუცლის — 14,9; ძირის —6,2 სმ.

152 (12—54:1016₁). ლ ა ნ გ ა რ ი შავად გამომწვარი თიხისა, პატარა, ღრმა.

153 (12—54:1016₂). კ ი ლ ი ტ ე ბ ი ბრინჯაოსი (5). ოთხი ნახევარსფერული, ერთი რომბული მოყვანილობისა. შიგნით მხარეს ყუნწი აქვთ.

**სამარხი № 25 (1939, N)**

154 (12—54: 1169). ლანგრის ყელ-პირის ნატეხი ტანის მცირე ნაწილით. მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა (გადანატეხში მოვარდისფროა, ზედაპირებზე შავი). აქვს ფართო მომრგვალებულბაკოიანი პირი, დაბალი ჩაღარული ყელი. გარეთ პირზე ხაოიანია, ემჩნევა ჩარხისმიერი ზოლები, შიგნით პირზე შავპრიალაა

**155** (12—54:1170) მაღალი ჭურჭლის ნატეხები მოწითალო-მოწაბლის-ფროდ გამომწვარი თიხისა. შიგნით პირზე ემჩნევა ჩარხისმიერი ზოლები, გარეთა პირზე მონაცრისფროდაა გაპრიალებული. ბრტყელძირიანია.

**156** (12—54:1171, 1172). ს ა მ ა ჯ უ რ ე ბ ი ბრინჯაოსი, სწორკუთხა განივკვეთიანი მავთულისა. თავები გახსნილი აქვთ და ერთიმეორეზე დაშორებული.

დმ — 5,5 სმ.

**სამარხი № 28**
**(1939, N)**

**157** (12—54:1216). ქ ო თ ნ ი ს ძირ-გვერდების ნატეხები, ყურიანი. გადანატეხში შავია, ზედაპირებზე მოვარდისფრო. ოდნავ გადაშლილი სწორი პირი, დაბალი ყელი, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი ჰქონია. ოვალურგანივკვეთიანი ვიწრო ბრტყელი ყურის ნაწილი შემორჩენილია მუცლის ნატეხებზე.

**158** (12—54:1217). ჭურჭლის ძირი მუცლის ნაწილით, მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. ადგილ-ადგილ მოვარდისფრო ლაქებით. ფართო, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. ზედაპირზე შეიმჩნევა გაპრიალების კვალი და წნევით დატანილი მსუბუქად დაღარული ხაზები. შიგნით პირზე დაფარულია ჩარხისმიერი წვრილი ზოლებით.

დმ ძირის — 11,2 სმ.

**159** (12—54:1218). კ ო ჭ ო ბ ი მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, ოდნავ გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი პირი, ძალიან დაბალი ღარისებრი ყელი, ზედამხარეს ფართო, ძირთან მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ქუსლდაკეჭნილი ბრტყელი ძირი აქვს. ოვალურგანივკვეთიანი, ბრტყელი, მოგრო, მაღლა აღუნული შვერილი მუცლის ზედა ნაწილზეა შეერთებული. ყელზე წყვილი რელიეფური ხაზი და ყელის ძირთან ფრჩხილისეული სახეების ერთი მწკრივი ამკობს. მუცელი დაფარული აქვს ჩარხისმიერი წვრილი კონცენტრული ზოლებით.

სიმაღლე — 8,6; დმ პირის — 6,9; მუცლის — 9; ძირის — 4,6 სმ.

**160** (12—54:1218$_1$). ს ა მ ა ჯ უ რ ე ბ ი (2) ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი, ზურგზე ჭდეული სახეებით შემკული, თავები გახსნილი აქვთ და ერთიმეორესთან მიტანილი.

დმ — 5,3 სმ.

**161** (12—54:1218$_2$). მ ძ ი ვ ე ბ ი პასტისა თეთრი და ცისფერი.

**162** (12—54:1219). ე შ ვ ი ღორისა.

სიგრძე — 3,5 სმ.

სამარხი № 82[1] (1939, N)

163 (12—54:1256). ქურქლის ძირგვერდის ნაწილი (დიდი ორყურა ქურქლისა უნდა იყოს, შერჩენილი აქვს ერთი ყური), მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. ზედა მხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. მუცლის ზედა ნაწილზე შერჩენილი აქვს მოგრძო რელიეფური დანაძერწით შემკული ოვალურგანივკვეთიანი ბრტყელი ყური. შემკული ყოფილა წვერით ქვემოთ დაშვებული ამოღარული ხაზებით გამოსახული სამკუთხედებით, მხრის ძირთან წყვილ ამოღარულ კონცენტრულ ხაზს შორის ირიბი ნაკაწრი ხაზებით დაფარული სარტყლით. ზედაპირზე ხაოიანია.

დმ ძირის — 12,5 სმ.

164 (12—54:1257; სურ. 128). დ ო ქ ი ცალყურა, შავადგამომწვარი თიხისა, ოდნავ გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი პირი (ყელ-პირის დიდი ნაწილი აკლია), დაბალი ვიწრო ყელი, დამრეცი მხრები, ზედა მხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. პირიდან გამომდინარე მრგვლაგანივკვეთიანი ყური მხარზეა დაძერწილი. მხრები შემკულია გადამკვეთი ხაზებით, დაშტრიხული სამკუთხედებით, მუცლის ძირთან კი ორ ამოღარულ კონცენტრულ ხაზს შორის სავარცხლის კბილის ირიბი ხაზებით დაფარული სარტყლით.

სიმაღლე — 28,5; დმ პირის — 26,5; ძირის — 10,2 სმ.

165 (12—54:1258). ს ა მ ა ჯ უ რ ი ბრინჯაოსი ოთხწახნაგა თავები გახსნილი აქვს და ერთიმეორეზე გადატანილი.

დმ ძირის —4,7 სმ.

სამარხი № 146 (1939, N)

166 (12—54:2777). ლ ა ნ გ ა რ ი შავად გამომწვარი თიხისა (პატარა). მომრგვალებულბაკოიანი ფართო პირი, ცილინდრული ყელი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული ტანი და ბრტყელი ძირი აქვს.

სიმაღლე — 4,5; დმ პირის — 19,5; ძირის — 9 სმ.

167 (12—54:2778; სურ. 129). ს ა დ ღ ვ ე ბ ე ლ ი მოწაბლისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა*. პირი მოტეხილი აქვს, ყელის მცირე ნაწილია შემორჩენილი. აქვს კვერცხისებური მოყვანილობის ტანი და პატარა ბრტყელი ძირი. მხარზე აქვს პატარა სასულე ნახვრეტი. მხრის ძირთან წყვილ ამოღარულ კონცენტრულ ხაზს შორის ამოღარული ტალღური სახეებით დაფარული სარტყლით არის შემკული.

სიმაღლე — 26; დმ მუცლის — 25; ძირის — 7,5 სმ.

* ამ სადღვებლის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გშ III, XI—X (გვიანბრინჯაო III, ძვ. წ. XI—X სს — რედ.).

**168** (12—54:$2778_1$) ლ ა ნ გ ა რ ი შავად გამომწვარი თიხისა, პატარა, ღრმა-ბრტყელძირიანი.

სიმაღლე — 4,5; დმ პირის — 20; ძირის — 10 სმ.

**169** (12—54:2779). ბ ე ჭ ე დ ი ბრინჯაოსი მრგვალგანივკვეთიანი მსხვილი მავთულისა, თავები გახსნილი აქვს და ერთიმეორისაგან დაშორებული.

დმ — 2; რკალის სიმსხო — 3 მმ.

**170** (12—54:2780). მ ძ ი ვ ე ბ ი სარდიონისა (13) ვარდისფერი და მოწითალო-მოვარდისფრო, მანდარინისებრი და ბორბლისებრი მოყვანილობისა, დიდ-პატარა.

დმ უდიდესის — 0,9; უმც. — 0,5 სმ.

**სამარხი № 148**
**(1939, N)**

**171** (12—54:2797. სურ. 130). დ ო ქ ი ცალყურა, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. ადგილ-ადგილ მოწაბლისფრო ლაქებით. აქვს ოდნავ გადაშლილი ფართო პირი, ქობიანი ბაკო, საშუალო სიმაღლის ფართო ყელი, ბირთვისებრი მუცელი და ბრტყელი ძირი ზედა მხარეს რელიეფურ დანაძერწიანი, სწორკუთხა განივკვეთიანი ვიწრო ბრტყელი ყური. ყელზე და მხარზე აქვს შეერთებული. ყელისა და მხრების ძირებთან წყვილ ამოღარულ კონცენტრულ ხაზს შორის ურთიერთგადამკვეთი ამოკაწრული ხაზებით დაფარული თითო სარტყელი ამკობს.

სიმაღლე — 25; დმ პირის — 9,5; მუცლის — 19,5; ძირის — 10,5 სმ.

**172** (12—54:2798; სურ. 131). ტ ო ლ ჩ ა ცალყურა, მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა ადგილ-ადგილ მოწაბლისფრო ლაქებით. აქვს ფართო სწორბაკოიანი პირი, ძირთან ოდნავ შევიწროებული ტანი და ბრტყელი ძირი. ზედა მხარეს მობრტყო რელიეფურდანაძერწიანი ბრტყელი ყური ტანის ზედა ნაწილზე აქვს შეერთებული. პირის მახლობლად წყვილი კონცენტრული ხაზითაა შემკული.

სიმაღლე — 12; დმ პირის — 13,5; მუცლის — 14; ძირის — 9,5 სმ.

**173** (12—54:2799; სურ. 132). ფ ი ნ ჯ ა ნ ი ცალყურა, მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, ადგილ-ადგილ მოშავო ლაქებით. ოდნავ გადაშლილი სწორბაკოიანი ფართო პირი, ძალიან დაბალი ყელი, ბირთვისებრი მუცელი და დაბალქუსლიანი, შიგნით ჩაღრმავებული ძირი აქვს. ოვალურგანივკვეთიანი პატარა ბრტყელი ყურის ნაშთი მხარზე და მუცლის ზედა ნაწილზე აქვს შეერთებული. მუცლის მთელ კორპუსზე შეიმჩნევა ჩარხისმიერი წვრილი ზოლები, ზედაპირზე ხაოიანია.

სიმაღლე —9; დმ პირის —7; მუცლის — 9,5; ძირის — 3,8 სმ.

**174** (12—54:2800; სურ. 133). ლ ა ნ გ ა რ ი მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. მრგვალბაკოიანი ფართო პირი, ძალიან დაბალი ყელი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული ტანი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. გარეთ ზედაპირი ტანსა და ძირზე დაფარულია

ჩარხისმიერი კონცენტრული ზოლებით. ქუსლი ირგვლივ შემკულია ხორბლის-მარცვლისებრი სახეებით. პირის ნაწილი აკლია. ერთ ადგილზე პირი დეფორმირებულია.

სიმაღლე — 7: დმ პირის — 29,5; ძირის — 10,5 სმ.

175 (12—54:2801). მძივები ცისფერი პასტისა ,მოკლე ცილინდრული იოტები (92); მოყვითალო პასტისა (2). დაბალცილინდრული მოყვანილობისა. დმ — 2; 3 მმ.

**ორმოსამარხი № 142 (1939, N)**

176 (12—54:2733; სურ. 144). ხელადა ცალყურა, მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. გადაშლილი ფართო პირი, ქობიანი ბაკო, შუაზე გამოყვანილი ყელი, დამრეცი მხრები, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. ზედა მხარეს რელიეფური დანაძერწით შემკული სწორკუთხა განივკვეთის მქონე ბრტყელი ყური პირის მახლობლად ყელზე და მხარზე აქვს შეერთებული. ყელის ძირთან სამი დაუდევრად ამოღარული კონცენტრული ხაზითაა შემკული.

სიმაღლე — 21; დმ პირის — 9,5; მუცლის — 16,5; ძირის — 9,3 სმ.

177 (12—54:2733). ჭურჭელი თიხისა.

178 (12—54:2734; სურ. 145). დოქი ცალყურა ,მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. ადგილ-ადგილ მოშავო ლაქებით. აქვს გადაშლილი ფართო პირი, საშუალო სიმაღლის ფართო ყელი, დამრეცი მხრები, ზედა მხარეს ფართო, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი. რელიეფური დანაძერწით შემკული სწორკუთხა განივკვეთის მქონე ბრტყელი ყური პირის მახლობლად ყელზე და მხარზე აქვს შეერთებული. ყელზე შეიმჩნევა წვრილი კონცენტრული ზოლები, ყელის ძირში და მუცლის ზედა ნაწილზე სამ-სამი დაუდევრად ამოღარული კონცენტრული ხაზი ამკობს.

სიმაღლე — 27,5; დმ პირის — 11,5; მუცლის — 22; ძირის —12 სმ.

179 (12—54: $2734_1$). ლანგარი თიხისა*.

180 (12—54:2735; სურ. 146)** ტოლჩა ცალყურა, შავად გამომწვარი თიხისა. ფართო სწორბაკოიანი პირი, კასრისებრი მოყვანილობის ტანი და ბრტყელი ძირი აქვს. მობრტყო რელიეფურდანაძერწიანი სწორკუთხა განივკვეთის მქონე ბრტყელი ყური ტანის ზედა ნაწილზეა შეერთებული. პირს ქვემოთ ყურის შეერთების გასწვრივ წყვილი ამოღარული კონცენტრული ხაზი ამკობს.

სიმაღლე — 11,5; დმ პირის — 10,5; ძირის — 9 სმ.

---

* ამ ნივთის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ III, XI—X სს. (გვიანბრინჯაო III, ძვ. წ. XI—X სს. — რედ.).

** ამ ნივთის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ III, XI—X სს. (გვიანბრინჯაო III, ძვ. წ. XI—X სს. — რედ.).

181 (12—54:2736). საკინძი ბრინჯაოსი, ბირთვისებრი თავი შუაზე გამსხვილებული, თავისკენ წყვილი და ღეროსკენ ერთი რელიეფური კონცენტრული ხაზებით შემკული ყელი, ყელის ძირთან ოვალური ნახვრეტი და მრგვალგანივკვეთიანი ღერო აქვს.

სიგრძე — 13,5 სმ.

182 (12—54:2737). ნატეხები ბრინჯაოს წვრილი მავთულისა, მრგვალგანივკვეთიანი. ერთი ნატეხი გადუნულია (3 ნატეხი).

**ორმოსამარხის ნაშთი 19-ე (1940, N)** აღმოჩნდა VII ფართობის O ნაწილში, მ-ის სიღრმეზე. შიგ აღმოჩნდა ბავშვის ნაკლული ჩონჩხი, რის მიხედვით გაიკვლეოდა, რომ იგი დასვენებული უნდა ყოფილიყო მარჯვენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთით მიქცეული, მოხრილად. თან ახლდა შემდეგი ინვენტარი*:

183 (12—54:5405; სურ. 147). კოჭობი უმორგვოდ ნაძერწი, მოვარდისფროდ, მდარედ გამომწვარი მჭლე თიხისა, ცალყურა, წინა მხარეს შავად შებოლილი. სწორბაკოიანი ფართო პირი, დაბალი ყელი, ბირთვისებრი მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ქუსლიანი ძირი აქვს. სწორკუთხა განივკვეთის მქონე ვიწრო ბრტყელი ყური, რომელსაც შუაზე გაბრტყელებული რელიეფური ნაძერწი ამკობს, მუცელზე აქვს შეერთებული (ყური მოტეხილია, შერჩენილი აქვს მცირე ნაწილი). ყელზე რელიეფური და ყელის ძირთან ნაჩხვლეტი წერტილების სარტყელი ამკობს.

სიმაღლე — 8,8; დმ პირის — 6,5; მუცლის — 9,2; ძირის — 4,5 სმ.

184 (12—54:5406; სურ. 148). ხელადა ცალყურა, სამფეხიანი, შავად გამომწვარი თიხისა. ფართო, ოდნავ გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი პირი, მაღალი, ძაბრისებრი მოყვანილობის ყელი, წიბოიანი მუცელი და განზე გადგმული სამფეხიანი ბრტყელი ძირი აქვს. პირიდან გამომდინარე ოვალურგანივკვეთიანი ბრტყელი ყური მუცელზე წიბოს ზემოთ აქვს შეერთებული. პირს ქვემოთ შემკულია რელიეფური სარტყლით.

სიმაღლე — 14; დმ პირის — 7; მუცლის — 11; ძირის — 6.9 სმ.

185 (12—54:5406). კოჭობი თიხისა, ცალყურა, პატარა. დაკარგულია.

186 (12—54:5407, 5408). მძივები პასტისა და სარდიონისა (141). მათგან სამოცი ცისფერი მინის, სიგრძეზე დაღარული ბიკონუსური მძივია; ორმოცდაჩვიდმეტი — ცისფერი პასტის იოტი (ერთი მოყვითალო), ორი თეთრი პასტის კბილის მოყვანილობისაა და ოთხი მოწითალო-მოყავისფრო სარდიონის მანდარინისებრი მოყვანილობის მძივი.

სიგრძე — 1,4; 0,6; დმ. — 2; 4; 5; 7 მმ.

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ III, XI—X სს. (გვიანბრინჯაო III, ძვ. წ. XI—X სს. — რედ.).

**ორმოსამარხის ნაშთი მე-20 (1940, N)**

აღმოჩნდა VII ფართობის შუა ნაწილში 2,0 მ სიღრმეზე. შემონახული იყო მხოლოდ სრულწლოვანის მარჯვენა თეძოს ძვალი და წვივების ნაწილი ტერფითურთ, რომელთა განლაგების მიხედვით მიცვალებული წოლილა მარჯვენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ მიქცეული. ეჭირა 0,45×0,70 მ ფართობი. ამის გარდა შემორჩენოდა შემდეგი ინვენტარი:*

187 (12—54:5409; სურ. 149). ქ ი ლ ა ორყურა, მოვარდისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, ზედაპირზე — მოშავო-მონაცრისფრო-მოწაბლისფრო ლაქებით. ოდნავ გადაშლილი პირი, ქობიანი ბაკო, დაბალი, ცილინდრული ყელი, კვერცხისებური მოყვანილობის ტანი და პატარა ბრტყელი ძირი აქვს. სწორკუთხა განივკვეთის მქონე ბრტყელი ყურები ორ მოპირდაპირე მხარეს მუცლის ზედა ნაწილზე აქვს შეერთებული. ყელის ძირთან ერთი და მხრის ძირთან სამი ამოღარული კონცენტრული ხაზითაა შემკული (პირი ნაკლულია, შერჩენილია მხოლოდ მცირე ნაწილი).

სიმაღლე — 28; დმ პირის — 22,5; ძირის — 7 სმ.

188 (12—54:5410; სურ. 150). დ ე რ გ ი ორყურა, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. ოდნავ გადაშლილი მრგვალბაკოიანი ფართო პირი, დაბალი ღარისებრი ყელი, დამრეცი მხრები, ზედამხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ოდნავ გამობურთული ძირი აქვს. პატარა ოვალურგანივკვეთიანი ზონარგასაყრელი ბრტყელი ყური, ყელის მახლობლად მხარზე აქვს დაძერწილი. ყური სიგანეზე წყვილი ღრმა ღარითაა შემკული. ჭურჭელი ნაკლულია; ცალი ყურია შემორჩენილი. ყურების ორ მოპირდაპირე მხარეს ბრტყელი თითო ჰორიზონტალური შვერილი აქვს. მხრებზე შემკულია სიგრძივი ფართო პრიალა ხაზებითა და წვერით ქვემოთ და წვერით ზემოთ მიმართული რომბული ნაჭდევებით დაფარული ტოლფერდა სამკუთხედების ორი მწკრივით.

სიმაღლე — 27; დმ პირის — 16,7; მუცლის — 29; ძირის — 9,5 სმ.

189 (12—54:5411) ჭურჭლის ნატეხები (3) მოწითალოდ გამომწვარი თიხისა. ადგილ-ადგილ შავად შემურული ბრტყელძირიანი, ხელით უხეშად ნაძერწი პატარა ჭურჭელი ყოფილა.

190 (12—54:5411$_1$). ქ ი ლ ა შავად გამომწვარი თიხისა, უყურო.

სიმაღლე — 19,5; დმ პირის — 12; მუცლის — 22; ძირის — 9 სმ.

191 (12—54:5412). მრგვალი, გრძელი მონაცრისფრო ქვის ნატეხი (ჩამოტეხილი აქვს ორივე მხარეს). ზედაპირზე ემჩნევა გაპრიალების კვალი.

სიგრძე — 7,7; დმ — 3,5 სმ.

192 (12—54:5413). ნახშირის ფრაგმენტები.

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით ავტორის მიუწერია ფანქრით: გბ III, XI—X (გვიანბრინჯაო III, XI—X სს. — რედ.).

**ორმოსამარხის ნაშთი 21-ე (1940, N)**

VII ფართობის შუა ნაწილში იყო 2,05 მ სიღრმეზე. ადამიანის ძვალთაგან აღარა შემორჩენილა. იყო მხოლოდ წვრილფეხა რქოსანი საქონლის ძვლები და შემდეგი ინვენტარი:*

**193** (12—54:5414) ლანგრის ნატეხები შავად გამომწვარი თიხისა. მომრგვალებულბაკოიანი ფართო პირი, დაბალი, ოდნავ ჩაღრმავებული ყელი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული ტანი და ბრტყელი ძირი აქვს.

**194** (12—54:5415; სურ. 151). ჰ უ რ ჰ ე ლ ი შავად გამომწვარი თიხისა. ყელ-პირი და მხრების ნაწილი აკლია. დამრეცი მხრები, ზედამხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ძირი აქვს. ყელის ძირთან სამი და მხარის ძირთან ერთი ამოღარული კონცენტრული ხაზითაა შემკული, მუცლის ქვედა ნაწილი მონაცრისფროა და ირგვლივ შემკულია სიგრძეზე დაშვებული პრიალა შავი ხაზების ჯგუფების მონაცვლეობით.

დმ მუცლის — 22,5, ძირის — 7,7 სმ.

**195** (12—54:5416; სურ. 154). ტ ო ლ ჩ ა ცალყურა, მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, სწორბაკოიანი ფართო პირი ძირთან ოდნავ შევიწროებული, თითქო ცილინდრული ტანი და ფართო ძირი აქვს. ზედამხარეს ბრტყელი რელიეფური დანაძერწით შემკული სწორკუთხა განივკვეთიანი ბრტყელი ყური ტანზეა შეერთებული. პირის მახლობლად წყვილი ამოღარული კონცენტრული ხაზითაა შემკული.

სიმაღლე — 9,6; დმ პირის — 9,7; ძირის — 7 სმ.

**196** (12—54—5417; სურ. 153). ფ ი ნ ჯ ა ნ ი ცალყურა, მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა (ნაკლულია — პირის უდიდესი ნაწილი აკლია). სწორბაკოიანი ფართო პირი, ძირთან ოდნავ შევიწროებული, თითქმის ცილნდრული ტანი და ბრტყელი ძირი აქვს. ყური მოტეხილი აქვს, ეტყობა მხოლოდ ნაშთი. პირის მახლობლად წვრილი კონცენტრული ღარი ამკობს.

სიმაღლე — 8; დმ პირის — 5,3 სმ.

**197** (12—54:5418). სხვადასხვა ჰურჰლის ნატეხები. მათგან ჩვიდმეტი ერთი ჰურჰლის გვერდების ნატეხებია შავად გამომწვარი თიხისა, ოთხ ნატეხზე შერჩენილია ამოღარული ხაზები; სამი ნატეხი მეორე ჰურჰლის გვერდების ნატეხია შავად გამომწვარი თიხისა. ერთი მესამე ჰურჰლის ფრაგმენტია ღარული ხაზებით და ფრჩხილისეული სახით შემკული. ოთხი—მეოთხე ჰურჰლის ნატეხია მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა; სამი—ძირგვერდის ნატეხი ბრტყელძირიანი, ერთი გვერდისა. სქელკეციანებია.

* სამარხის აღწერილობის გვერდით, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ III, XI—X (გვიანბრინჯაო III, პირობითად (?), ძვ. წ. XI—X სს. — რედ.).

**198** (12—54:5419; სურ. 152). დ ო ქ ი ცალყურა, მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. მრგვალბაკოიანი ოდნავ გადაშლილი ფართო პირი, ცილინდრული ფართო ყელი, დამრეცი მხრები, ზედამხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ძირი აქვს. მხარზე, ყურის შეერთების გასწვრივ შემკულია წყვილი კონცენტრული ამოღარული ხაზით. პირიდან გამომდინარე მრგვალგანივკვეთიანი მსხვილი ყური მხარზეა შეერთებული.

სიმაღლე — 24, დმ პირის — 9,5, მუცლის — 22, ძირის — 10 სმ.

**199** (12—54:5420; სურ. 155). ქ ვ ა ბ ქ ო თ ა ნ ა მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, მომრგვალებულბაკოიანი, ფართო, ოდნავ გადაშლილი პირი, წიბოიანი მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ძირი აქვს. პირის მახლობლად წყვილი ფართო ამოღარული კონცენტრული ხაზი ამკობს.

სიმაღლე — 11, დმ პირის — 14,7; მუცლის — 17,5; ძირის —8,5 სმ.

**200** (12—54:5420). მ ძ ი ვ ი სარდიონისა, მოვარდისფრო, მანდარინისებრი მოყვანილობისა.

დმ — 1 სმ.

**ორმოსამარხი 161-ე (1940, N; სურ. 167)**

აღმოჩნდა VII თხრილის „ა“ ნაწილში 1,75 მ სიღრმეზე, ეჭირა 1,10×0,85 მ ფართობი. შიგ ესვენა სრულწლოვანი ადამიანის ჩონჩხი თავით აღმოსავლეთით დამხრობილი, მარცხენა გვერდზე, თავისუფლად ფეხებმოხრილი, ხელები სახის წინ ეწყო, იგი გულმკერდის ნაწილით ლანგარზე ესვენა. თავთან რიყის ქვები ეწყო. ახლდა მსხვილფეხა რქოსანის კანჭის ძვლები და შემდეგი ინვენტარი:*

**201** (12—54:4579; სურ. 169). დ ო ქ ი ცალყურა, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. ოდნავ გადაშლილი მრგვალბაკოიანი პირი, საშუალო სიმაღლის ყელი, ბირთვისებური მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. პირიდან გამომდინარე სწორკუთხა განივკვეთიანი ბრტყელი ყური, ყელის მახლობლად მუცელზე აქვს შეერთებული. ყელზე ირგვლივ სიგრძივი შავი პრიალა ფართო ზოლები, ყელის ძირში და მუცელზე სამ-სამი ამოღარული კონცენტრული ხაზითაა შემკული. დოქის ქვედა ნაწილზე და ძირზე ზედაპირი დაზიანებულია (აქერცლილია).

სიგრძე — 24; დმ პირის — 10,5; მუცლის — 23; ძირის — 0,7 სმ

**202** (12—54:4580; სურ. 173). ქ ო თ ა ნ ი მუქნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, მომრგვალებულბაკოიანი, ოდნავ გადაშლილი პირი, ძალიან დაბალი ღარისებრი ყელი, ბირთვისებრი მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან და-

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხენა მხარეს, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ III, XI—X (გვიანბრინჯაო III, ძვ. წ. XI—X სს. — რედ.).

ბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. მუცლის ზედა ნაწილზე ამოღარული კონცენტრული ხაზი ამკობს.

სიგრძე — 13,5; დმ პირის — 4,5; მუცლის —15,5; ძირის —6,7 სმ.

**203** (12—54:4581; სურ. 172). ხ ე ლ ა დ ა ცალყურა, მუქნაცრისფრად გამომწვარი თიხისა. ოდნავ გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი პირი, საშუალო სიმაღლის ყელი, დამრეცი მხრები, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული, ოდნავ წიბოიანი მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. ძირზე გამოსახულია გამრავლების ნიშანი. პირიდან გამომდინარე ოვალურგანივკვეთიანი ბრტყელი ყური მხარზე აქვს დაძერწილი. ყელის ძირთან სამი და მხრის ძირთან ერთი ამოღარული კონცენტრული ხაზი ამკობს.

სიმაღლე — 15; დმ. პირის — 7,2; მუცლის — 14; ძირის — 6 სმ.

**204** (12—54:4582; სურ. 175). კ ა თ ხ ა ცალყურა, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, სწორბაკოიანი ფართო პირი, კასრისებრი მოყვანილობის ტანი და ბრტყელი ძირი აქვს. ოვალურგანივკვეთიანი ბრტყელი ყური პირის მახლობლად და ტანის ქვედა ნაწილზე აქვს შეერთებული. ყურის ზედა ნაწილზე შუაზე გაბრტყელებული რელიეფური დანაძერწი აქვს. პირის მახლობლად წყვილი ფართო კონცენტრული ღარი ამკობს.

სიგრძე — 13; დმ. პირის — 12,8; ძირის — 9,6 სმ.

**205** (12—54:4583; სურ. 171). ლ ა ნ გ ა რ ი შავად გამომწვარი თიხისა, მრგვალბაკოიანი ფართო პირი, დაბალი ჩაღარული ყელი, ყელის ძირთან მკვეთრი წიბო, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული ტანი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. ძირზე და გარეთ ზედაპირზე დაფარულია კონცენტრული ზოლებით. ადგილ-ადგილ ნაცრისფერი ლაქები აქვს.

სიმაღლე — 8; დმ პირის — 33; ძირის — 9,6 სმ.

**206** (12—54:4584; სურ. 168). ქ ი ლ ა მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. მომრგვალებულბაკოიანი ფართო პირი, დამრეცი მხრები, ზედა მხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. ადგილ-ადგილ მონაცრისფრო ლაქები აქვს.

სიმაღლე — 17,5; დმ პირის — 10,2; მუცლის —2,5; ძირის — 8,7 სმ.

**207** (12—54:4585; სურ. 170). ს ა მ ა რ ი ლ ე შავად გამომწვარი თიხისა, სწორბაკოიანი პირი, ძალიან დაბალი ყელი, ბირთვისებრი მუცელი, ოდნავ გამოყოფილი, დაბალქუსლიანი დაბლა დაწეული ბრტყელი ძირი აქვს.

სიმაღლე — 4,1; დმ პირის — 4,1; მუცლის — 6,3; ძირის — 3,2 სმ.

**208** (12—54:4586; სურ. 174). ფ ი ნ ჯ ა ნ ი ცალყურა, შავად გამომწვარი თიხისა, ოვალურგანივკვეთიანი ვიწრო ბრტყელი ყური, ყურის ზედა მხარეს

შუაზე გაბრტყელებული რელიეფური დანაძერწი ამკობს, პირის მახლობლად წყვილი ამოღარული კონცენტრული ხაზი (ფინჯანს ტანის ქვედა ნაწილი და ძირი აკლია).

სიმაღლე — 7,8 დმ პირის — 8,5 სმ.

**209** (12—54:4587; სურ. 177). მ ა ხ ა თ ი ბრინჯაოსი, წვრილი მრგვალგანივკვეთიანი მავთულისა. აქვს 2 ოვალურგანივკვეთიანი ნახვრეტი.

სიგრძე — 11,8 სმ.

**210** (12—54:4588; სურ. 176). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, სიგრძეზე დაღარული მრგვალი თავი, შუაზე ფართო, თავსა და ბოლოში წყვილ-წყვილი რელიეფური სარტყელით შემკული ყელი; ყელის ძირთან ოვალური ნახვრეტი, მრგვალგანივკვეთიანი წვრილი ღერო აქვს.

სიგრძე — 9; თავის დმ — 7; ღეროს დმ — 2 მმ.

**211** (12—54: 4589, 4590; სურ. 178). მ ძ ი ვ ე ბი სარდიონისა (3) წვრილი, წითელი, მანდარინისებრი მოყვანილობისა, პასტისა, შინდისებრი (1), მანდარინისებრი (3) და მოკლე ცილინდრული (ბევრი), მოყვითალო.

**ორმოსამარხი 168-ე (1940, N)**

აღმოჩენილი იყო VII ფართობის O ნაწილში, 1,80 მ სიღრმეზე, ეპირა 1,25×0,80 მ ფართობი. საფლავში აღმოჩნდა 9—10 წლის ყრმის ჩონჩხი, ოთხ სიპ ქვას შორის მოთავსებული, თავით აღმოსავლეთისკენ მიქცეული, მარჯვენა, გვერდზე მწოლარე, თავისუფლად ფეხებმოხრილი. ხელები, ჩანს, სახის წინ ეწყო. ჩონჩხი ძალიან ჩალეწილ-დაფშვნილია. მასთან იყო შემდეგი ინვენტარი*.

**212** (12—54:4598; სურ. 180). ლ ა ნ გ ა რ ი მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, გარეთ ზედაპირზე შავია, ადგილ-ადგილ მონაცრისფრო ლაქებით. მრგვალბაკოიანი, ქობიანი ფართო პირი, დაბალი ყელი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული ტანი და ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. ძირზე ექვსი მრგვალი ნახვრეტი აქვს. ქუსლი ირგვლივ შემკულია ჭდეული სახეებით.

სიმაღლე — 8; დმ პირის — 29; ძირის — 12 სმ.

**213** (12—54:4599; სურ. 182). დ ო ქ ი ცალყურა რუხად გამომწვარი თიხისა. გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი ფართო პირი, მაღალი ფართო ყელი, დამრეცი მხრები, ბირთვისებრი მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. სწორკუთხა განივკვეთიანი, შუაზე ოდნავ ჩაღრმავებული ბრტყელი ყური პირის მახლობლად ყელზე და მხარზე აქვს შეერთებული, ყურს ზედა მხარეზე ამკობს ვიწრო რელიეფური დანაძერწი. ყელის ძირთან წვრილ, დაუდევრად ამოღარულ ხაზს შორის ასევე დაუდევრად ამოღარული წიწვიანი სახეებით დაფარუ-

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ III, XI—X (ცვიანბრინჯაო III, XI—X სს. — რედ.).

ლი სარტყლითაა შემკული, ხოლო მხრის ძირთან წყვილ ამოღარულ ხაზს შორის ამოღარული გადამკვეთი ხაზებით დაფარული სარტყლით, რომელიც ყურის შეერთების მახლობლადაა შეწყვეტილი.

სიმაღლე — 24,6; დმ პირის — 12; მუცლის — 20,5; ძირის — 10 სმ.

**214** (12—54:4600; სურ. 181). ქ ი ლ ა მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, ერთ მხარეს შავი ლაქებით; მომრგვალებულბაკოიანი ფართო პირი, დაბალი ყელი, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული ტანი და ბრტყელი ძირი აქვს. ძირზე შეიმჩნევა წვრილი კონცენტრული ზოლები (პირი ნაკლულია).

სიმაღლე — 23; დმ პირის — 10; მუცლის — 15,5; ძირის — 6,5 სმ.

**215** (12—54:4601; სურ. 185). ქ ი ლ ა რუხად გამომწვარი თიხისა, მონაცრისფრო ლაქებით; მომრგვალებულბაკოიანი ფართო პირი, დაბალი, თითქმის ღარისებრი ყელი დამრეცი მხრები, ზედა მხარეს ფართო, ძირთან მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. ყელის ძირთან სამი ამოღარული კონცენტრული ხაზი ამკობს.

სიმაღლე — 15; დმ პირის — 10,2 სმ.

**216** (12—54:4602; სურ. 183). ქ ი ლ ა მოშავო-მოწაბლისფროდ გამომწვარი თიხისა. სწორბაკოიანი ფართო პირი, ძალიან დაბალი ყელი, ბირთვისებრი მუცელი და ძალიან დაბალქუსლიანი, ოდნავ დაბლა დაწეული ბრტყელი ძირი აქვს. მუცლის ზედა ნაწილზე ირიბად ნაჭდევი ხაზების სარტყელი ამკობს (ნაკლულია)

სიმაღლე — 16; დმ პირის — 12,6; მუცლის — 18; ძირის — 8,5 სმ.

**217** (12—54:4603; სურ. 179). კ ო ჭ ო ბ ი ს მ ა გ ვ ა რ ი პაწია ჭურჭელი, რუხად გამომწვარი თიხისა, სწორბაკოიანი, ოდნავ გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, ბირთვისებრი მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. უხეშადაა ხელით ნაძერწი (ნაკლულია).

სიმაღლე — 7; დმ პირის — 4,4; მუცლის — 7; ძირის — 2,8 სმ.

**218** (12—54: 4604; სურ. 184). ს ა მ ა ჯ უ რ ი ს ნატეხები (2) ბრინჯაოსი, ვიწრო, ბრტყელი ოვალურგანივკვეთიანი მავთულისა.

დმ — 5; რკალის სიგანე — 5 მმ.

**219** (12—54:4605). კ ი ლ ი ტ ი ბრინჯაოსი, ნახევარსფერული მოყვანილობისა, განივად გაკეთებული ყუნწით.

დმ — 1 სმ.

**220** (12—54:4606). მ ძ ი ვ ი სარდიონისა, მოვარდისფრო, წვრილი, მანდარინისებრი მოყვანილობისა.

დმ — 4,5 სმ.

**ორმოსამარხი 165-ე (ბავშვისა) (1940, N)**

აღმოჩენილი იყო VII ფართობის O ნაწილში, 2,0 მ. სიღრმეზე, ეჭირა 0,65×0,55 მ ფართობი. შიგ ესვენა დაახლოებით 5—6 წლის ბავშვის ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისკენ დამხრობილი, თავისუფლად ხელფეხმოხრილი. თავსა და ფეხებთან რიყის ქვები ედო. ჩონჩხთან აღმოჩნდა შემდეგი ინვენტარი*:

221 (12—54:4629). კოჯბის მაგვარი მოყვანილობის პაწია ჭურჭელი, მოწაბლისფროდ გამომწვარი თიხისა, ოდნავ გადაშლილი სწორბაკოიანი პირი, ძალიან დაბალი ყელი, დამრეცი მხრები, ბირთვისებრი მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. ყელზე ოდნავ შესამჩნევი რელიეფური სარტყელი ამკობს. ძირი და ცალი მხარე შავადაა შებოლილი. ხელით ნაძერწია.

სიმაღლე — 4,2; დმ პირის — 3,4; მუცლის — 5; ძირის — 2,5 სმ.

222 (12—54:4630). ტოლჩა ცალყურა, შავად გამომწვარი თიხისა. სწორბაკოიანი ფართო პირი, ძირთან ოდნავ შევიწროებული, თითქმის ცილინდრული ტანი და ფართო ბრტყელი ძირი აქვს. სწორკუთხა განივკვეთიანი ბრტყელი ყური ტანზე აქვს შეერთებული. ყურის ზედა მხარეზე უნაგირისებრი რელიეფური დანაძერწი აქვს. პირის მახლობლად წყვილი ამოღარული კონცენტრული ხაზი ამკობს.

სიმაღლე — 10,5; დმ პირის — 10,5; ძირის — 8,7 სმ.

223 (12—54:4631). ქოთანი ცალყურა, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, სწორბაკოიანი ფართო პირი, ძალიან დაბალი ცილინდრული ყელი, მხარგანიერი, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. პატარა ხვრელიანი, შუაზე ოდნავ ჩაღრმავებული ფართო ყური მუცელზე აქვს შეერთებული. ხელითაა ნაძერწი მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან, ხაოიანი ზედაპირი აქვს.

სიმაღლე — 11,3; დმ პირის—8,5; მუცლის — 12; ძირის — 6,2 სმ.

224 (12—54:4632). ლანგარი მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა. ზედაპირზე შავად გაპრიალებული. მრგვალბაკოიანი ფართო პირი, დაბალი ცილინდრული ყელი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული ტანი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს (ნაპირები და გარეთა ზედაპირის ნაწილი დაზიანებულია და აქერცლილი).

სიმაღლე — 6,5; დმ პირის — 25; ძირის — 8,3 სმ.

225 (12—54:4633). დოქი ცალყურა, რუხად გამომწვარი თიხისა, ოდნავ გადაშლილი ფართო პირი, ძაბრისებრი მოყვანილობის ყელი, დამრეცი მხრები, ზედამხარეს ფართო, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. ოვალურგანივკვეთიანი ყური ყელზე და მხარზე

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ III, XI— (გვიანბრინჯაო III, ძვ. წ. XI — ს. — რედ.).

აქვს შეერთებული. ყურის ზედა მხარე მცენარეული სახეებითა და ვერტიკალური ხაზებით დაღარული ვიწრო ბრტყელი რელიეფური დანაძერწითაა შემკული. პირთან და ყელის ძირთან სამ-სამი, მხრის ძირთან კი ხუთი ამოღარული კონცენტრული ხაზითაა შემკული.

სიმაღლე — 29,5; დმ პირის — 12,2; მუცლის — 23; ძირის — 12,7 სმ.

**226** (12—54:4634). ჭურჭლის ძირი გვერდების ნაწილით (პატარა ჭურჭლის) მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. ბრტყელი ძირი აქვს. გვერდები ერთ მხარეს შავპრიალაა, მოპირდაპირე მხარეს მონაცრისფრო. ზედაპირზე დაფარულია ირიბად დაშტრიხული რომბებითა და წყვილ ვერტიკალურ ხაზს შორის ირიბი მოკლე ხაზებით დაფარული სახეებით.

დმ. ძირის — 3,5 სმ.

**227** (12—54:4635). სამაჯურის ნატეხები (2) ბრინჯაოსი, ოვალურგანივკვეთიანი მავთულისა, თავები გახსნილი აქვს და ერთიმეორესთან მიტანილი.

დმ — 4 სმ. რკალის სიგანე — 5 მმ.

**სამარხი № 167-ე (1940, N)**

**228** (12—54:4651)*. ქ ი ლ ა მოწაბლისფროდ გამომწვარი თიხისა. ზედაპირზე მუქი ნაცრისფერი. ოდნავ გადაშლილი, მრგვალბაკოიანი პირი, ძალიან დაბალი ღარისებრი ყელი, გადგმული ოდნავ დამრეცი მხრები, ზედა მხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. ძირზე ნაპირებთან ფართო ღრმა ამოღარული კონცენტრული ხაზი ამკობს (პირი ნაკლული აქვს).

სიმაღლე — 12,5; დმ პირის — 12; მუცლის — 17; ძირის — 7,4 სმ.

**229** (12—54:4652). ფ ი ნ ჯ ა ნ ი ცალყურა, მუქნაცრისფრად გამომწვარი თიხისა. სწორბაკოიანი ფართო პირი, ძირთან ოდნავ შევიწროებული, თითქმის ცილინდრული ტანი და ფართო ბრტყელი ძირი აქვს. ოვალურგანივკვეთიანი ბრტყელი ყური პირისა და ძირის მახლობლად ტანზე აქვს შეერთებული. ყურის ზედა მხარეს ბრტყელი ვიწრო რელიეფური დანაძერწი აქვს. პირთან ფართო ღრმა კონცენტრული ხაზი ამკობს.

სიმაღლე — 8,5; დმ პირის — 8; ძირის —6,4 სმ.

**230** (12—54:4653). ქ ი ლ ა მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. მომრგვალებულბაკოიანი ოდნავ გადაშლილი ფართო პირი, ძალიან დაბალი ღარისებრი ყელი, დამრეცი მხრები, ზედამხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ძირი აქვს. ყელზე შეიმჩნევა წვრილი კონცენტრული ზოლები, მხრის ძირთან სამი ამოღარული კონცენტრული ხაზითაა შემკული. ყელის ძირთან აქა-იქ შეიმჩნევა ზოგან წყვილი, ზოგან თითო ამოღარული კონცენტრული ხაზის მაგვარი შემკულობა

---

* ამ ნივთის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ III, XI—X (გვიანბრინჯაო III, ძვ. წ. XI—X სს. — რედ.).

სიმაღლე — 21,3; დმ პირის — 15; მუცლის — 25; ძირის — 9,5 სმ.

**231** (12—54:4654). დ ო ქ ი ცალყურა, მუქნაცრისფრად გამომწვარი თიხისა. გადაშლილი ფართო პირი, საშუალო სიმაღლის ფართო ყელი, დაქანებული მხრები, შუაზე ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული ფართო მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. სწორკუთხა განივკვეთიანი ბრტყელი ყური პირთან და მხარზე აქვს შეერთებული. ყელის ძირთან და მუცელზე სამ-სამი დაუდევრად ამოღარული კონცენტრული ხაზითაა შემკული (ყელ-პირი ნაკლულია).

სიმაღლე — 20,4; დმ პირის — 9,7; მუცლის — 22; ძირის — 9 სმ.

**232** (12—54:4655). დ ო ქ ი ცალყურა, შავად გამომწვარი თიხისა, ოდნავ გადაშლილი მრგვალბაკოიანი პირი, მაღალი გოფრირებული ცილინდრული ყელი, გადგმული ოდნავ დამრეცი მხრები, ფართო, ძირის მახლობლად მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ოდნავ გამოყოფილი დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. პირიდან გამომდინარე მრგვალგანივკვეთიანი, ზურგზე გრეხილი ყური მხარზე აქვს შეერთებული. მხრის ძირთან წყვილ ამოღარულ ხაზს შორის ფხური სახეებით დაფარული სარტყელი ამკობს; მხრები დაფარულია წვრილი, ირიბი, შავი პრიალა გადამკვეთი ხაზებითა და ვერტიკალურად დაშვებული ფართო შავპრიალა წყვილ-წყვილი ხაზების მორიგეობით.

სიმაღლე — 23,5, დმ პირის — 10; მუცლის — 21,5; ძირის —8,5 სმ.

**233** (12—54:4656). მ ა ხ ა თ ი ბრინჯაოს წვრილი მავთულისა, ერთი ბოლო გახვრეტილი აქვს და ზედ მრგვალი ნახვრეტია გაკეთებული. წვერისკენ გაღუნულია

სიგრძე — 11,1 სმ.

**234** (12—54:4657). ე შ ვ ი ღორისა.

სიგრძე — 4,9 სმ.

**235** (12—54:4658, 4659). მ ძ ი ვ ე ბ ი სარდიონისა, დიდ-პატარა, მოწითალო-მოვარდისფრო მანდარინისებრი მოყვანილობისა.

დმ. 4; 9 მმ.

**ორმოსამარხი 173-ე (1940, N)**

აღმოჩნდა VII ფართობის O ნაწილში, 2,55 მ სიღრმეზე, ფართობზე, რომელიც 1,35×1,0 მ მოიცავდა, ოთხ რიყის ქვას შორის ესვენა საშუალო სიმაღლის სრულწლოვანის კარგად დაცული ჩონჩხი თავით აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული, მარცხენა გვერდზე მძინარე ადამიანის პოზაში, საგრძნობლად მოხრილი ქვედა კიდურებით. ხელები სახის წინ ელაგა. აქ აღმოჩნდა შემდეგი ინვენტარი*:

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ ავტორს მიუწერია ფანქრით გბ. III, XI—X სს. (გვიანბრინჯაო III, ძვ. წ. XI—X სს. — რედ.).

236 (12—54:4760). საღვევზელი ცალყურა შავად გამომწვარი თიხისა. ოდნავ გადაშლილი პირი, ქობიანი ბაკო, საშუალო სიმაღლის ყელი, დამრეცი მხრები, ზედამხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ოდნავ გამობერილი ბრტყელი ძირი აქვს. მრგვალგანივკვეთიანი მსხვილი ყური ჰორიზონტალურად ჰქონია მხარზე შეერთებული (ყური მოტეხილია და დაკარგული). ყურთან ერთ მხარეს აქვს პატარა გადასაწური მილი.

მხრის ძირთან, ყურის შეერთების გასწვრივ, წყვილი ფართო კონცენტრული ამოღარული ხაზითაა შემკული; მხრებზე მცენარეული სახეებით. ყელზე შეიმჩნევა წვრილი კონცენტრული ზოლები.

სიმაღლე — 34; დმ პირის — 11,8; მუცლის — 28: ძირის — 10,5 სმ.

237 (12—54:4761). ქილა მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, ადგილადგილ შავი ლაქებით. გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი ფართო პირი, ძალიან დაბალი ყელი, დაქანებული გოფრირებული მხრები, ზედა მხარეს ფართო, ძირთან მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ოდნავ შესამჩნევად გამოყოფილი ძირი აქვს.

სიმაღლე — 25,5; დმ პირის — 19; მუცლის — 28,5; ძირის — 10,5 სმ.

238 (12—54:4762). ლანგარი შავად გამომწვარი თიხისა. ფართო მრგვალბაკოიანი პირი, ძალიან დაბალი ყელი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული ტანი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. გარეთ ზედაპირზე ძირი და გვერდების ნაწილი შავია, ნაწილი კი ირგვლივ მოწაბლისფრო-მონაცრისფროა.

სიმაღლე — 8; დმ პირის — 27; ძირის — 9 სმ.

239 (12—54:4763). ქოთანი ცალყურა, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა. ოდნავ გადაშლილი სწორბაკოიანი ფართო პირი, ძალიან დაბალი ყელი, ზედამხარეს ფართო, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. ოვალურგანივკვეთიანი ბრტყელი ყური მუცელზე ჰქონია შეერთებული. პირზე და ყელზე შეიმჩნევა წვრილი კონცენტრული ზოლები. მუცელზე შეიმჩნევა დაუდევრად გამოსახული ვერტიკალური პრიალა ზოლები.

სიმაღლე — 17,9; დმ პირის — 13,5; მუცლის — 16; ძირის — 8 სმ.

240 (12—54:4764). კოთხო ცალყურა (კოჰბისმაგვარი მოყვანილობისაა), შავად გამომწვარი თიხისა, სწორბაკოიანი ფართო პირი, გოფრირებული დაბალი ყელი, ბირთვისებრი მუცელი და ოდნავ გამოყოფილი დაბალქუსლიანი, დაბლა დაწეული ბრტყელი ძირი აქვს. ოვალურგანივკვეთიანი პატარა ბრტყელი ყური მუცელზე ჰქონდა შეერთებული (ყური მოტეხილი აქვს და დაკარგული). მუცლის ზედა ნაწილი შემკულია დაღარული ხაზებით შექმნილი პარკეტული სახეებით.

სიმაღლე — 12; დმ პირის — 7; მუცლის — 13; ძირის — 6,5 სმ.

241 (12—54:4765). ქ ი ლ ა შავად გამომწვარი თიხისა, გადაშლილი ბრტყელბაკოიანი, მრგვალქობიანი ფართო პირი, ძალიან დაბალი ყელი, ზედა მხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული ფართო მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. ყელის ძირთან წყვილი ფართო კონცენტრული ღარითაა შემკული.

სიმაღლე — 23; დმ პირის — 19,2; მუცლის — 30; ძირის — 10,5 სმ.

242 (12—54:4765$_1$) მ ა ხ ა თ ი ბრინჯაოსი. დაკარგულია.

სიგრძე — 13,5; ღეროს სიმსხო — 0,3 სმ.

243 (12—54:4766). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი (2 ნატეხი). წვერიდან თავისკენ 8,7 სმ სიგრძეზე მრგვალგანივკვეთიანია, მის ზემოთ კი ოთხკუთხა განივკვეთიანი მავთულისა. თავიდან 2,3 სმ მანძილზე აქვს ოვალური მოყვანილობის ნახვრეტი.

სიგრძე — 14; თავის სიგანე — 0,6 სმ.

244 (12—54:4766$_1$). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, მსხვილი, გრძელი, მრგვალთავიანი, თავს ქვემოთ 1 სმ მანძილზე ორმხრივი გასქელება ნახვრეტის გარშემო (დაკარგულია).

სიგრძე — 15; უდ. სიმსხო — 1 სმ.

245 (12—54:4767—4769). მ ძ ი ვ ე ბ ი სარდიონისა, მოვარდისფრო და მოწითალო, დიდ-პატარა (100), მოგრძო, კასრისებრი მოყვანილობისა (1), დაბალცილინდრული, მანდარინისებრი მოყვანილობისა და უმრავლესობა უფორმო

დმ — 4,5; 2 მმ; 1,8; 1,6 მ.

**სამარხის ნაშთი 15-ე (1940, N)** აღმოჩენილი იყო VII თხრილის SO ნაწილში, 1,50 მ სიღრმეზე. ეპირა 0,60×0,45 მ ფართობი, გადარჩენილი იყო მხოლოდ სრულწლოვანის ცალი ტერფი ფალანგებითურთ ახლდა წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის ძვლები და ერთადერთი თიხის ჰურჭელი*:

246 (12—54:5373; სურ. 156). დ ო ქ ი ცალყურა შავად გამომწვარი თიხისა, მონაცრისფრო ლაქებით. აქვს ოდნავ გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი ფართო პირი, დაბალი, თითქმის ცილინდრული ფართო ყელი, გადგმული მხრები; ზედა მხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ქუსლიანი ძირი. პირიდან გამომდინარე ოვალურგანივკვეთიანი ყური მხარზეა შეერთებული. ყელი გოფრირებულია, მხრებზე ყურის შეერთების გასწვრივ სამი ამოღარული კონცენტრული ხაზითაა შემკული.

სიმაღლე — 24; დმ პირის — 11,3; მუცლის — 25; ძირის — 9,4 სმ.

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: პ. გბ. III (პირობითად /?/) გვიანბრინჯაო III — რედ.).

**ორმოსამარხი 152-ე (1940, N; სურ. 157)**

VII თხრილის SO ნაწილში აღმოჩნდა 1,8 მ სიღრმეზე. გადახურული იყო მჭიდა ფილაქვით 1,0×0,86 მ ზომისა, რომელსაც ჩაქცევისას ძალიან დაუზიანებია შიგთავსი: ჩონჩხი და თანმხლები ინვენტარი. ამათ მიერ მოკავებული ფართობი 1,70 (S—N)×2,0 (O—W) მ უდრიდა. მიცვალებული იწვა აღმოსავლეთით თავდამხრობილი, მარჯვენა გვერდზე, მოხრილად; ხელები სახის წინ ეწყო. თავი ორ ქვას შორის ედო, ფეხებთანაც რიყის ქვები ელაგა; საშუალო სიმაღლის ახალგაზრდა ჩანდა. მიცვალებულს, ვითარცა წარჩინებულს, თან ახლდა მდიდარი ინვენტარი*:

**247** (12—54:4460; სურ. 160). ქ ო თ ა ნ ი ცალყურა, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა. ზედაპირზე შავი, ოდნავ გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი ფართო პირი, ძალიან დაბალი ყელი, ბირთვისებრი მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. ოთხკუთხა განივკვეთის მქონე, ზედა მხარეს რელიეფურ დანაძერწიანი ბრტყელი ყური მუცლის ზედა ნაწილზე აქვს შეერთებული. პირთან შეიმჩნევა ამოღარული კონცენტრული ხაზი, ყელის ძირთან შემკულია ირგვლივ ჰდეული სახეების ერთი მწკრივით და ძირის ირგვლივ ფრჩხილისეული სახეების ერთი მწკრივით. აქვს ხაოიანი ზედაპირი.

სიმაღლე — 14,5; დმ პირის — 10,8; მუცლის — 15,5; ძირის — 8 სმ.

**248** (12—54:4461; სურ. 165). დ ე რ გ ი ორყურა, მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, ოდნავ გადაშლილი მრგვალბაკოიანი ფართო პირი, დაბალი ღარისებრი ყელი, დამრეცი მხრები, ზედაწხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. სწორკუთხა განივკვეთიანი ბრტყელი, შუაზე ოდნავ ჩაღრმავებული ყურები ორ მოპირდაპირე მხარეს მუცლის გაფართოებულ ნაწილზე აქვს შეერთებული, ყურებს შორის ორ მოპირდაპირე მხარეს აქვს უნაგირისებრი მოყვანილობის დანაძერწი. ყელის ძირთან და მხრის ძირთან სამ-სამი ამოღარული კონცენტრული ხაზითაა შემკული.

სიმაღლე — 32; დმ პირის — 20; მუცლის — 33; ძირის — 11,5 სმ.

**249** (12—54:4462; სურ. 161). ქ ო თ ა ნ ი ცალყურა, მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, ოდნავ გადაშლილი, მომრგვალებულბაკოიანი პირი, ძალიან დაბალი ღარისებრი ყელი, ზედა მხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. სწორკუთხა განივკვეთის მქონე, ზედამხარეს ბრტყელი რელიეფური დანაძერწით შემკული ყური მუცლის გაფართოებულ ნაწილზეა შეერ-

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს ფანქრით მიუწერია: გბ. III, — ძრ. I, X—IX (გვიანბრინჯაო III — ადრერკინა, I, ძვ. წ. X—IX სს. რედ.).

თებული. ყელის ძირთან ირგვლივ ფრჩხილისეული სახეების ერთი მწკრივით და ქუსლზე ირიბად ნაჭდევი ერთი მწკრივითაა შემკული.

სიმაღლე — 13; დმ პირის — 10; მუცლის — 14; ძირის — 6,5 სმ.

**250** (12—54:4463; სურ. 162). დ ო ქ ი ცალყურა, მომწვო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. მრგვალბაკოიანი, ოდნავ გადაშლილი ფართო პირი, შუაზე ოდნავ გამოყვანილი ფართო ყელი, ბირთვისებრი მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. სწორკუთხა განივკვეთის მქონე, ზედამხარეს მობრტყო რელიეფურდანაძერწიანი ბრტყელი ყური პირის მახლობლად ყელზე და ყელის მახლობლად მუცელზე აქვს შეერთებული. ყელის ძირთან და მუცლის შუაზე სამ-სამი ამოღარული კონცენტრული ხაზითაა შემკული.

სიმაღლე — 31; დმ პირის — 12,5; მუცლის — 25; ძირის — 12,5 სმ.

**251** (12—54:4464; სურ. 164). ქ ვ ა ბ ქ ო თ ა ნ ა მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. მრგვალბაკოიანი ფართო პირი, ძალიან დაბალი ყელი, წიბოიანი მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. წიბოსა და ყელს შორის მუცელი გოფრირებულია. ადგილ-ადგილ შავი ლაქები აქვს.

სიმაღლე — 14; დმ პირის — 17,8; მუცლის — 23; ძირის — 10 სმ.

**252** (12—54:4465; სურ. 163). ლ ა ნ გ ა რ ი მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, მრგვალ-ბაკოიანი ფართო პირი, დაბალი ყელი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული ტანი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ირგვლივ ქუსლდაკეჭნილი ბრტყელი ძირი აქვს.

სიმაღლე — 7,8; დმ პირის — 32; ძირის — 11,8 სმ.

**253** (12—54:4466; სურ. 166). ხ ე ლ ა დ ა ცალყურა მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. ოდნავ გადაშლილი ფართო პირი, საშუალო ზომის ყელი, დამრეცი მხრები, ზედამხარეს ფართო, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. სწორკუთხა განივკვეთის მქონე ზედამხარეს რელიეფურ-დანაძერწიანი ბრტყელი ყური პირის მახლობლად ყელზე და მხარზე აქვს შეერთებული. ყელის ძირთან და მხრის ძირთან სამ-სამი ამოღარული კონცენტრული ხაზითაა შემკული.

სიმაღლე — 22,3; დმ პირის — 9,5; მუცლის — 18,5; ძირის — 10,3 სმ.

**254** (12—54:4467; სურ. 158, 159). ხ ა ხ ვ ი ლ ი ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი ტარი, დაბალი სამკუთხედებად დაფანჯრული ტარის ქუდი ზემოდან ტიხრით. ფართო, ამოკაწრული, ირიბად დაშტრიხული წყვილ-წყვილი ხაზით შემკული ვადა და ფართო პირი აქვს, რომელსაც შუაზე გასდევს მკვეთრი ქედი, ქედთან შემკულია ამოღარული ხაზებით. თან ახლავს 4 თავკომბალა მანჭვალი.

სიგრძე — 49; სიგანე დავასთან — 7,5 სმ.

**255** (12—54:4468). შუბისპირი ბრინჯაოსი, მთლიანმასრიანი, მასრაზე შუაში ორ მოპირდაპირე მხარეს მრგვალი ნახვრეტი აქვს. მასრას ნახვრეტებთან თავსა და ბოლოში პუნქტირით შევსებული წყვილ-წყვილი ამოკაწრული ხაზი და მათ შორის ამოკაწრული უწყვეტი სპირალი ამკობს. პირს მხრეები მორკალული აქვს, წვერისკენ თანდათანობით შევიწროებული. პირს გასდევს მაღალი ქედი.

სიგრძე — 16; სიგანე მხრებთან — 3,7; მასრის დმ — 1,5 სმ.

**256** (12—54:4471). ისრისპირები (18) ბრინჯაოს თხელი ფირფიტისა, ტოლფერდა სამკუთხედისებრი მოყვანილობისა. ზოგს შერჩენილი აქვს ბრტყელი ყუნწის ნაშთი, ზოგი უყუნწო ჩანს. წვერის მახლობლად ყველას პატარა მრგვალი ნახვრეტი აქვს. უმრავლესობა დაზიანებულია.

უმცირესის სიგრძე — 2,5; უდიდესის სიგრძე — 4,5 სმ.

**257** (12—54:$4471_1$). ისრისპირები ბრინჯაოსი (3) სამკუთხედისებრი მოყვანილობისა, ბრტყელყუნწიანი. ყუნწებს ხის ნაშთები ჰქონია შერჩენილი. ხის ნაწილები გაპობილი ყოფილა და ზედ ყუნწზე ჰქონია წამოცმული.

სიგრძე — 3,3—6; სიგანე — 2—2,5 სმ.

**258** (12—54:4472). ისრისპირი ბრინჯაოს თხელი ფირფიტისა, ტოლფერდა სამკუთხედისებრი მოყვანილობისა, ორფრთიანი, ბრტყელყუნწიანი.

სიგრძე — 3,7 სმ.

**259** (12—54:4473). ისრისპირი ძვლისა, ტოლფერდა სამკუთხედისებრი მოყვანილობისა, კიდეები გაპრიალებული (ნალესი) აქვს, შუაზე პაწია მრგვალი ნახვრეტით.

სიგრძე — 2,8; სიგანე — 1,3 სმ.

**260** (12—54:4474). ღარისებრი ნივთის ნატეხები ბრინჯაოსი (3), ერთი შუაზე გადუნულია. დაჟანგულია ძალიან.

**261** (12—54:$4474_1$) ხის ქარქაშის (?) ფრაგმენტები (90-მდე). უდიდესს აშკარად ეტყობა რაღაცის ანაბეჭდი, წიწვისებრი სახეებისა, საკმაოდ გრძელი ხაზების სისტემა. ფრაგმენტი იმავე დროს სწორედ ბუდის ნაწილის შთაბეჭდილებას სტოვებს. ეს ქარქაში დაკავშირებულია № 4467 მახვილთან.

**262** (12—54:4475). საკინძი ბრინჯაოსი, სოკოსებრი მოყვანილობის თავი, შუაში გამსხვილებული და თავსა და ბოლოში წყვილ-წყვილი რელიეფური სარტყლებით შემკული ყელი, ყელის ძირთან ოვალური ნახვრეტი და წვერისკენ თანდათანობით შევიწროებული, მსხვილი მასიური ღერო აქვს.

სიგრძე — 13; თავის დმ — 1 სმ.

**263** (12—54:4476). სამაჯური ბრინჯაოსი, ნახევარწრისებრ განივკვეთიანი მსხვილი მავთულისა. თავები გახსნილია და ერთიმეორეზე დაშორებული.

დმ — 7 სმ.

264 (12—54:4477). ს ა რ ტ ყ ლ ი ს ნატეხები ბრინჯაოსი, ბრტყელი თხელი ფირფიტისა, მომრგვალებული კიდეები, ბოლოებში თითო მრგვალი ნახვრეტი აქვს.

სიგრძე — 80; სიგანე — 10; სისქე — 0,7 სმ.

(ზოგები აღებულია სამარხში. ამჟამად ნატეხებითაა წარმოდგენილი).

265 (12—54:4478). დ უ გ მ ა ბრინჯაოსი, დედალი (ცალმხარეს სპირალი მოტეხილი აქვს).

სიმაღლე — 2,2 სმ.

266 (12—54:4479). დ უ გ მ ე ბ ი ს ნატეხები (?) ბრინჯაოსი. ერთი სპირალია და ოთხი მოღუნული ღეროს ნატეხები.

267 (12—54:4480). ღ ე რ ო ს ნატეხი ბრინჯაოს გაღუნული მრგვალგანივკვეთიანი მავთულისა.

სიგრძე — 5 სმ.

268 (12—54:4481). მ ი ლ ა კ ე ბ ი და მილაკების ნატეხები (80), ბრინჯაოსი. ბრინჯაოს ფირფიტა მოღუნულია და პირები ერთიმეორეზე გადატანილი. საკრავი ინსტრუმენტის (სონარის) ნაწილები უნდა იყოს.

სიგრძე — 6,5 სმ. დმ — 6 მმ.

269 (12—54:4482). კ ი ლ ი ტ ი ბრინჯაოსი მრგვალი, ტიხრიანი.

270 (12—54:4483—4488). მ ძ ი ვ ე ბ ი სარდიონისა (21) დიდ-პატარა, მოწითალო-მოვარდისფრო, მანდარინის მოყვანილობისა (17); ბრტყელი ექვსწახნაგა (1), მოწითალო; მოწითალო-მოვარდისფრო, შინდისებრი მოყვანილობისა, შუაზე წიბოიანი, ორფერდა (1); მოვარდისფრო პასტისა, მოყვითალო იოტები (2), ცილინდრული მოკლე, მრგვალი სამი კოპით (1).

271 (12—54:4489—4490). თ ა ს მ ი ს ნაწყვეტები. გრეხილი ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი.

**სამარხის ნაშთი № 8 (1939, N)**

272 (12—54:2829). ფ ი ნ ჯ ა ნ ი ცალყურა, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, მრგვალბაკოიანი პირი, ძალიან დაბალი ყელი, ზედა მხარეს ფართო, ძირთან მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. ოვალურგანივკვეთიანი ბრტყელი ყური მუცელზე აქვს შეერთებული. ყელზე რელიეფური სარტყელი და ყურზე ბოლოებშოკვეთილი მობრტყო რელიეფური დანაძერწი ამკობს.

სიმაღლე — 8,5; დმ პირის — 5,5; მუცლის — 9,5; ძირის — 5 სმ.

273 (12—54:2829₁). ქ ო თ ა ნ ი ორყურა, თიხისა, ყური ბიბილოებიანი აქვს. ყელთან შემკულია ამოღარული კონცენტრული ხაზითა და ძირის ირგვლივ ნაჭდევი სახეების ერთი მწკრივით.

274 (12—54:2830). ლ ა ნ გ ა რ ი მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. აქვს ბრტყელბაკოიანი ფართო პირი, ძალიან დაბალი ჩაღარული

ყელი, ყელის ძირთან მკვეთრწიბოიანი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული ტანი და დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი: წიბო შემკულია ტალღური სახეებით.

სიმაღლე — 7; დმ პირის — 24; ძირის — 10,5 სმ.

275 (12—54:2831). ტოლჩისმაგვარი ჭურჭელი, ცალყურა, მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, ოდნავ მოყრილი მომრგვალებულბაკოიანი ფართო პირი, ზედამხარეს ფართო, ძირთან მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. მრგვალგანივკვეთიანი მსხვილი ყური პირის მახლობლად მუცლის გაფართოებულ ნაწილზე აქვს შეერთებული. პირს ქვემოთ სამი კონცენტრული ღარი ამკობს.

სიმაღლე — 14,5; დმ პირის — 16; მუცლის — 20; ძირის — 8,3 სმ.

276 (12—54:2832). ნატეხები ოთხი სხვადასხვა თიხის ჭურჭლისა. ერთი მონაცრისფროდ გამომწვარი ბრტყელძირიანი, ყურიანი, სქელკეციანი ჭურჭლის ნატეხებია, შემკულია ფრჩხილისეული სახეებით (როგორც ჩანს, შემკულობა გაუკეთებიათ ყურის შეერთებამდე. შემდეგ მიუძერწიათ ყური). ყურის მხოლოდ ნაშთია შემორჩენილი. ყურის ანატკეცის ქვეშ არის ფრჩხილისეული სახეები. ჭურჭელი ხელითაა ნაძერწი უხეში თიხისაგან. გამოწვის ხარისხი დაბალია, ხაოიანი ზედაპირი აქვს.

მეორე ჭურჭლისა ერთი ნატეხია მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა; ერთ ნაპირთან შემკულია ნაჭდევის სახეების ერთი მწკრივით. მესამე ჭურჭლისაც ერთი ნატეხია მოწითალოდ გამომწვარი თიხისა; აქვს ხაოიანი ზედაპირი. მეოთხე ჭურჭლისაც ერთი ნატეხია შავად გამომწვარი თიხისა; მონაცრისფრო, ხაოიანი ზედაპირი აქვს.

277 (12—54:2833). ტოლჩის ნატეხები ცალყურა, მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. სწორბაკოიანი პირი და მრგვალგანივკვეთიანი ყური აქვს. პირის მახლობლად წყვილი პარალელური კონცენტრული ამოღარული ხაზი ამკობს.

278 (12—54:2833$_1$). ნატეხები ორი სხვადასხვა ჭურჭლისა. ერთი ჭურჭლის ძირია გვერდების ნაწილით; გადანატეხში მოვარდისფროა, ზედაპირზე მონაცრისფრო. ძირი ბრტყელია, გვერდები შემკულია ირიბი გადამკვეთი პრიალა შავი ხაზებით. მეორეს ნატეხები გამომწვარია მოყავისფროდ, ზედაპირზე შავია; შემკულია სიგრძივი წნევით დატანილი პრიალა ხაზებით. ჭურჭლის მუცლის ნატეხებია.

279 (12—54:2834). ნატეხები შვიდი ჭურჭლისა. ერთი მათგანი პირ-გვერდის ნატეხია მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, სწორბაკოიანი პირი აქვს, პირს ქვემოთ შემკულია სამი ამოღარული პარალელური ხაზით და მათ შორის ირიბი ნაჭდევი ხაზებით. ცამეტი—ქოთნის გვერდებისა და ყურის ნატეხია შავად გამომწვარი თიხისა, ზედაპირხაოიანი, მხარზე ამოღარული და ფრჩხილისეული სახეებით შემკული; ყური ოვალურგანივკვეთიანია, ბრტყელი. ორი გვერდის ნატეხია მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა.

ერთი — გვერდის ნატეხია, ყელის მცირე ნაწილით, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა. ხაოიანი ზედაპირი აქვს.

სამი — ერთი ჰურჰლის გვერდის ნატეხია, გადანატეხის შუაზე ზოგან შავი, ნაპირებზე მოწითალო, ზოგან კი მოწითალო, ზედაპირზე ერთი მოწითალო შავი ლაქებით, ერთი — ზედაპირზე შავია, ერთი—ზედაპირის ნახევარზე—მონაცრისფროა, ნახევარზე — შავი.

სამი — ერთი ჰურჰლის ნატეხია, ორი—გვერდისა და ერთი — ძირ-გვერდისა, მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. გვერდის ერთი ნატეხი შემკულია ამოღარული წყვილი ხაზით, ორი სიგრძივი პრიალა შავი ხაზებით. ძირი ბრტყელია, დაბალქუსლიანი. ექვსი, ერთი ჰურჰლის გვერდების ნატეხია მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. შემკული ამოღარული სწორი სიგრძივი ირგვლივი ხაზებითა და სიგრძივი ირიბი ურთიერთგადამკვეთი ხაზებით.

**სამარხის ნაშთი № 4 (1939, N)**

280 (12—54:2835). საკინძი ბრინჯაოსი, ბირთვისებრი თავი აქვს. თავს ქვემოთ დაღარული ყელი, ყელის ძირთან ოვალური ნახვრეტი და მსხვილი მრგვალგანივკვეთიანი, წვერისკენ თანდათანობით გაწვრილებული ღერო.

სიგრძე — 11,4 სმ; ღეროს სიმსხო — 5 მმ.

281 (12—54:2836—2839). სამაჯურები ბრინჯაოსი (4), ორი მათგანი მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაა. თავები გახსნილი აქვს და ერთიმეორეზე გადატანილი, თავებთან შემკულია თავსა და ბოლოში ამოკაწრული განივი წყვილ-წყვილი ხაზით, მათ შორის მოთავსებული არე წიწვიანი სახეებითაა დაფარული, ორი კი (2838—2839) ნახევარწრისებრ განივკვეთიანია, თავები გახსნილი აქვთ და ერთიმეორისაგან დაშორებული. ესენი პირველებთან შედარებით წვრილი მავთულისაა.

დმ — 6,5; 7,5 სმ.

282 (12—54:2840). თმის შესამკობი რგოლი ბრინჯაოსი: ერთ-ნახევარი ხვია, ოვალურგანივკვეთიანი ვიწრო, ბრტყელი მავთულისა. თავები გახსნილი აქვს და ერთიმეორეზე გადატანილი.

დმ — 1,8 სმ.

283 (12—54:2841). მძივები (76) სამი—მოწითალო ფერის, სარდიონისა, ცილინდრისებრ-ჭრაკვეთილი ბიკონუსური მოყვანილობისა; დანარჩენი ცისფერი პასტისაა, მოგრძო შინდისებრი მოყვანილობისა სიგრძივი და განივი დაღარული ხაზებით შემკული; მორგვისებრი და ბიკონუსური მოყვანილობისა, სიგრძეზე დაღარული.

სიგრძე — 7; 4; სიმსხო — 3 მმ.

სამარხის ნაშთი № 5 (1939, N)

284 (12—54:2842). ტოლჩა ცალყურა, შავად გამომწვარი თიხისა. სწორბაკოიანი ფართო პირი, ძირთან ოდნავ შევიწროებული, თითქმის ცილინდრული ტანი და ბრტყელი ყური პირისა და ძირის მახლობლად ჰქონია შეერთებული (ყური მოტეხილია და ნაკლული). პირის მახლობლად წყვილი ფართო კონცენტრული ამოღარული ხაზითაა შემკული.

სიმაღლე — 8,5; დმ პირის — 10,5; ძირის — 8 სმ.

სამარხი № 46 (1939, N)

285 (12—54:1465, (სურ. 187)* ტოლჩა ცალყურა, მოწითალო-მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა. წინა მხარეს მოშავო-მონაცრისფრო, ოდნავ მოყრილი სწორბაკოიანი პირი; ძირის მახლობლად მკვეთრად შევიწროებული ფართო ტანი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. მრგვალგანივკვეთიანი მსხვილი ყური პირს ქვემოთ ტანზე აქვს შეერთებული. დამზადებულია ქვიშანარევი უსუფთაო თიხისაგან: ხელითაა ნაძერწი, ხაოიანი ზედაპირი აქვს.

სიმაღლე — 13,8; დმ პირის — 11,8; მუცლის — 14; ძირის — 7 სმ.

286 (12—54:1466; სურ. 186). ხელადა ცალყურა მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. ოდნავ გადაშლილი ფართო პირი, ქობიანი ბაკო, ძაბრისებრი ყელი, გადგმული ოდნავ დამრეცი მხრები; ზედამხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. პირიდან გამომდინარე მრგვალგანივკვეთიანი წვრილი ყური მხარზეა შეერთებული. ყელი გოფრირებულია, მხრები წვერით ზემოთ მიმართული ირიბად დაშტრიხული სამკუთხედებით არის შემკული; ყურის გასწვრივ მხრის ძირთან სამი ამოღარული კონცენტრული ხაზით და მხრის ძირიდან მუცლის ზედა ნაწილი სიგრძივი სამ-სამი რელიეფური ხაზების ჯგუფებით. მუცლის ქვედა ნაწილი დაფარულია ამოღარული კონცენტრული ხაზებით.

სიმაღლე — 17,1; დმ პირის — 8,6; მუცლის — 16,5; ძირის — 8,4 სმ.

287 (12—54:1467) ჰურჰლის პირ-გვერდებისა და ძირის ნატეხები მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, ოდნავ გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი ფართო პირი, ძალიან დაბალი ღარისებრი ყელი და ბრტყელი ძირი ჰქონია. ყელის ძირთან შემკულია ამოღარული კონცენტრული ხაზით, მხრებზე ამოღარული ტალღური ხაზით. ზედაპირხაოიანია.

288 (12—54:1468—1471; სურ. 188). საწვივე რგოლები ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი, ნახევარწრისებრ-განივკვეთიანი და სწორკუთხა განივკვეთიანი მავთულისა. თავები გახსნილი აქვთ და ორს ერთიმეორეზე გადატანი-

---

* ამ ნივთის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: არ I, IX—VIII (ადრერკინა I, ძვ. წ. IX—VIII სს. — რედ.).

ლი, ორს კი ერთიმეორეზე მცირედ დაშორებული ორი — ზურგზე წიწვიანი, ურთიერთგადამკვეთი ირიბი ხაზებითა და განივად ამოღარული სახეებითაა შემკული, ორი კი ზურგდაკეჭნილია.

დმ — 5,5—6 სმ.

**289** (12—54:1472). რ გ ო ლ ე ბ ი ბრინჯაოსი მრგვალგანივკვეთიანი წვრილი მავთულისა. ერთს თავი თავზე აქვს გადატანილი, მეორეს ერთიმეორისგან დაშორებული. ზურგზე შემკულია ჭდეული სახეებით.

დმ — 1,3; 1,4 სმ.

**290** (12—54:1473). მ ძ ი ვ ე ბ ი თეთრი პასტისა (1), მოკლე ცილინდრული; მინისა (2) მოცისფრო, ერთი — მანდარინისებრი, მეორე — მოგრძო.

**291** (12—54:1474). ნიჟარა კონუსური მოყვანილობისა.

**ორმოსამარხი 90, (1939, N)**

**292** (12—54:2066; სურ. 189). ქ ი ლ ა, გადანატეხში მოწითალო-მოვარდისფრო, ზედაპირზე შავად გაპრიალებული; ოდნავ გადაშლილი სწორბაკოიანი ფართო პირი, დაბალი ძაბრისებრი ყელი, ოდნავ დამრეცი გადგმული მხრები, ზედა მხარეს ფართო, ძირთან მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. მხრის ძირთან წყვილ ამოღარულ პარალელურ ხაზს შორის წიწვიანი სახეებით დაფარული სარტყელი და მხრებზე ირგვლივ, წვერით ქვემოთ მიმართული ირიბად დაშტრიხული ტოლფერდა სამკუთხედები ამკობს*.

სიმაღლე — 21,5; დმ პირის — 19; მუცლის — 28,5; ძირის — 12 სმ.

**293** (12—54:2067). ქ ი ლ ა (ნაკლული) მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. კვერცხისებრი მოყვანილობის მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. სწორკუთხა განივკვეთის მქონე ბრტყელი ყურის ნაშთი შერჩენილია მხარს ქვემოთ მუცელზე. ყელის ძირთან ერთი ამოღარული ტალღური და მხრის ძირთან ოთხი ამოღარული სწორი კონცენტრული ხაზით ყოფილა შემკული, მხრებზე შემორჩენილია სიგრძეზე ირიბი ურთიერთგადამკვეთი ხაზების მწკრივები და მათ შორის მცენარის სქემატური გამოსახულების მონაცვლეობა.

შემორჩენილი ნაწილის სიმაღლე — 29; დმ მუცლის —28; ძირის — 10,7 სმ.

**294** (12—54:2068). ტ ო ლ ჩ ა ყურიანი, მოწაბლისფროდ გამომწვარი თიხისა. აქვს სწორბაკოიანი ფართო პირი, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული, თითქოს წელში გამოყვანილი ტანი და ბრტყელი ძირი. ზედა მხარეს ბიბილოებიანი ნახევარწრისებრ-განივკვეთიანი ყური პირისა და ძირის მახლობლად აქვს შეერთებული. პირს ქვემოთ წყვილი დაუდევრად ამოღარული ხაზი ამკობს. ხელითაა ნაძერწი მსხვილმარცვლოვანი თიხისგან; დეფორმი-

* ამ ნივთის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: არ. I, IX—VIII (ადრერკინა I, ძვ. წ. IX—VIII სს. — რედ.).

რებულია (თითქოს წელში უნდა ყოფილიყო გამოყვანილი, მაგრამ სწორედ ვერ გამოუყვანიათ.

სიმაღლე — 10,8; დმ პირის — 11; ძირის — 7 სმ.

295 (12—54:2069). ტ ო ლ ჩ ა ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა. სწორბაკოიანი ფართო პირი, წელში გამოყვანილი, წიბოიანი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული ტანი და ბრტყელი ძირი აქვს. აღდგენილია თაბაშირით. ყური აკლია.

სიმაღლე — 13; დმ პირის — 11,5; ძირის — 6 სმ.

**ორმოსამარხის ნაშთი 10-ე (1940, N)** აღმოჩენილი იყო VII ფართობის SO ნაწილში, ზედაპირიდან 1,50 მ სიღრმეზე; ეპირა 0,80×0,50 მ ფართობი. შიგ აღმოჩნდა ადამიანის მაჯის ძვალი, ნეკნების ნაწილი და ხელის ფალანგები. ახლდა შემდეგი ინვენტარი:*

296 (12—54:5374; სურ. 190). ქ ი ლ ა, გადანატეხში მოვარდისფრო თიხისა, ზედაპირზე შავი, მოვარდისფრო ლაქებით. აქვს ოდნავ გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი პირი, დაბალი ყელი, კვერცხისებრი მოყვანილობის ტანი და ოდნავ გამოყოფილი ქუსლიანი ძირი (პირი ნაკლულია). ყელის ძირთან სამი ამოღარული კონცენტრული ხაზი შეიმჩნევა.

სიმაღლე — 14; დმ მუცლის — 11; ძირის — 5 სმ.

297 (12—54:5375) ლ ა ნ გ ა რ ი (პატარა) მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, სწორბაკოიანი ფართო პირი, დაბალი ყელი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული ტანი და ოდნავ გამოყოფილი ძირი აქვს (ნაკლულია). შიგნით პირზე შემკულია სწორი და ტალღური წნევით დატანილი პრიალა ხაზებით. გარეთ ზედაპირზე დაფარულია წვრილი ჩარხისმიერი ზოლებით.

სიმაღლე — 5,8; დმ პირის — 22,5; ძირის — 9 სმ.

298 (12—54:5376; სურ. 191). საკინძი ბრინჯაოსი, აქვს მრგვალი თავი, რომელიც შემკულია ზემოდან განივი ამოღარული ხაზებით, შუაზე ირიბი ნაკაწრი ხაზებით დაფარული რელიეფური სარტყლით და სარტყლის ძირთან წყვილი ღრმა კონცენტრული პირით. თავს ქვემოთ 5 სმ დაშორებით ოვალური ნახვრეტი აქვს. ნახვრეტსა და თავს შორის ირიბი ნაკაწრი თუ ნაჭდევი ხაზებით დაფარული სარტყელი და სარტყლის ქვემოთ წყვილი ამოღარული კონცენტრული ხაზით შემკული ყელია (გატეხილია ნახვრეტზე)

სიგრძე — 7,5; თავის დმ — 7; ღეროს დმ — 3 მმ.

299 (12—54:5377; სურ. 192). მ ძ ი ვ ე ბ ი სარდიონისა (23) წითელი, ერთი დაბალცილინდრული, უხეშად ნაკეთები, ჩეხილი, გაუმჭვირვალე, სამი—

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორის ფანქრით მიუწერია: არ. I, IX—VIII (ადრერკინა I, ძვ. წ. IX—VIII სს. — რედ.).

მანდარინისებრი მოყვანილობისაა. დანარჩენები—წვრილი, ხუთწახნაგა, ნახევ-რადგამჭვირვალე.

**სამარხი № 68 (1939, N)**

**300** (12—54:1744; სურ. 195). ლ ა ნ გ ა რ ი შავად გამომწვარი თიხისა. აქვს მომრგვალებულბაკოიანი ფართო პირი, დაბალი გოფრირებული ცილინდრული ყელი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული ტანი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი.

სიმაღლე — 8; დმ პირის — 26; ძირის — 9 სმ.

**301** (12—54:1745). ფიალას ნატეხები (2). გადანატეხში მოვარდისფრო, ზედაპირზე შავი, აქვს მომრგვალებულბაკოიანი ფართო პირი; წიბოიანი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული ტანი და ოდნავ გამოყოფილი დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი; პირს ქვემოთ სამი ამოღარული კონცენტრული ხაზით ყოფილა შემკული.

სიმაღლე — 4,5; დმ პირის — 10,7; ძირის — 5 სმ.

**302** (12—54:1746; სურ. 194). ხ ე ლ ა დ ა ცალყურა, შავად გამომწვარი თიხისა (პირის და ყელის ნაწილი მოტეხილია). აქვს დამრეცი მხრები, ზედა მხარეს ფართო, ძირისაკენ თანდათანობით შევიწროებული მუცელი და ოდნავ გამოყოფილი, ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი. ოვალურგანივკვეთიანი ვიწრო ბრტყელი ყურის ნაწილი შეერთებულია მხარზე. მხრის ძირთან წყვილი კონცენტრული ამოღარული ხაზი ამკობს.

დმ მუცლის — 21; ძირის — 8,5 სმ.

**303** (12—54:1747; სურ. 193). ქ ი ლ ა ორყურა, რუხად გამომწვარი თიხისა, ადგილ-ადგილ მოვარდისფრო. ოდნავ გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი პირი, ძალიან დაბალი ღარისებრი ყელი, დამრეცი მხრები, ზედა მხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. სწორკუთხაგანივკვეთიანი პატარა ფართო ბრტყელი ყურები ორ მოპირდაპირე მხარეს მხარზე და მუცელზე აქვს შეერთებული. ყურების გასწვრივ ორ მოპირდაპირე მხარეს აქვს რელიეფური შუაზე ჩაღრმავებული წრისებრი შვერილი. მხრები შემკულია წნევით მსუბუქად დატანილი ტეხილი ხაზებით, მხრის ძირთან ყურების გასწვრივ წყვილ ამოღარულ კონცენტრულ ხაზს შორის ირიბად ღრმად ნაკვეთი ხაზებით დაფარული სარტყლით. ყელის ძირთან არათანაბრად ამოღარული ზოგან წყვილი, ზოგან სამი კონცენტრული ხაზით.

სიმაღლე — 24; დმ პირის — 14,5; მუცლის — 36; ძირის — 11,5 სმ.

**სამარხი № 74 (1939, N)**

**304** (12—54:1860; სურ. 196). ქ ი ლ ა მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, ოდნავ გადაშლილი ფართო პირი, ქობიანი ბაკო, ძალიან დაბალი ყელი, კასრისებრი ტანი და ბრტყელი ძირი აქვს.

სიმაღლე — 13; დმ პირის — 9,3; მუცლის — 11,5; ძირის — 6 სმ.

სამარხი № 78 (1939, N)

305 (12—54:1911₁) ქ ო თ ა ნ ი თიხისა, ცალყურა, ძირგამოტეხილი, ყელის ირგვლივ ფრჩხილისეული სახეების ერთი მწკრივით შემკული.

სიმაღლე — 16; დმ პირის — 11,5; ძირის — 7 სმ.

306 (12—54:1912; სურ. 199). ქ ი ლ ა მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. ადგილ-ადგილ შავი ლაქები აქვს. ვიწრო სწორბაკოიანი პირი, კვერცხისებრი მოყვანილობის ტანი და ბრტყელი ძირი აქვს. პირთან სამი ამოღარული კონცენტრული ხაზითაა შემკული.

სიმაღლე — 15; დმ პირის — 8; მუცლის — 11; ძირის — 6 სმ.

307 (12—54:1912₁). ხ ე ლ ა დ ა თიხისა, ცალყურა, მუცელგანიერი და დაბალი, ყურზე ზედამხარეს წყვილი ბიბილოსებრი რელიეფური დანაძერწი აქვს. ძირის მახლობლად 5 ამოღარული კონცენტრული ხაზი ამკობს.

სიმაღლე — 21; დმ პირის — 10; ძირის — 11,5 სმ.

308 (12—54:1913; სურ. 197). ქ ი ლ ა ორყურა, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. ვიწრო პირი, ქობიანი ბაკო, საშუალო სიმაღლის ყელი, დამრეცი მხრები, კვერცხისებრი მოყვანილობის მუცელი და ოდნავ გამობერილი ბრტყელი ძირი აქვს. სწორკუთხა განივკვეთიანი ყურები, ორ მოპირდაპირე მხარეს, მუცლის გაფართოებულ ნაწილზე აქვს შეერთებული. ყელის ძირთან წყვილი და მხრის ძირთან სამი ამოღარული კონცენტრული ხაზითაა შემკული.

სიმაღლე — 31,5; დმ პირის — 9,8; მუცლის — 21; ძირის —8 სმ.

309 (12—54:1914; სურ. 198). ლ ა ნ გ ა რ ი შავად გამომწვარი თიხისა. ფართო პირი, ქობიანი ბაკო, ძალიან დაბალი ყელი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული ტანი და ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. ძირი და ტანი დაფარულია კონცენტრული ღარებით. ქუსლი ირგვლივ ფრჩხილისეული სახეებითაა შემკული.

სიმაღლე — 6,5; დმ პირის — 27; ძირის — 10,5 სმ.

სამარხი № 89 (1939, N)

310 (12—54:2062; სურ. 200). კოჭობი ცალყურა, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა. ყურის მოპირდაპირე მხარეს შავადაა შებოლილი. ოდნავ გადაშლილი სწორბაკოიანი პირი, ძალიან დაბალი ყელი, ბირთვისებრი მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. ზედა მხარეს ბიბილოსებრი რელიეფურდანაძერწიანი, ნახევარწრისებრი განივკვეთიანი ყური მუცლის ზედანაწილზე აქვს შეერთებული. ყელს ქვემოთ, ყურის შეერთების გასწვრივ, შემოუყვება არასწორად განლაგებული ფრჩხილისეული სახეების ერთი მწკრივი, ძირის ირგვლივ ირიბი ნაკეჭნი ხაზები აქვს, მუცლის მთელი კორპუსი დაფარულია ამოღარული კონცენტრული ხაზებით.

სიმაღლე — 9; დმ პირის — 8; მუცლის — 11; ძირის — 3 სმ.

**311** (12—54:2063). ფ ი ა ლ ა შავად გამომწვარი თიხისა. ზედაპირზე ადგილ-ადგილ მოწაბლისფრო ლაქებით. ოდნავ მოყრილი მომრგვალებულბაკოიანი ფართო პირი, დაბალი ცილინდრული ყელი, ზედა მხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული ტანი და ბრტყელი ძირი აქვს. პირს ქვემოთ ღრმა კონცენტრული ხაზი ამკობს, ტანზე დაფარულია ჩარხისმიერი კონცენტრული ზოლებით.

სიმაღლე — 4,5; დმ პირის — 12,5; ძირის — 4 სმ.

**312** (12—54:2064). ქ ი ლ ა გადანატეხში მოვარდისფრო, ზედაპირზე მოწაბლისფრო-მონაცრისფრო, ერთ ადგილზე შავი ლაქით. ოდნავ გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი პირი, დაბალი ყელი, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. ყელს ქვემოთ წყვილი ფართო კონცენტრული ღარი ამკობს (ნაკლულია).

სიმაღლე — 14; დმ პირის — 10; ძირის — 4,4 სმ.

**313** (12—54:2065). მ ძ ი ვ ე ბ ი მინისა (18), მომწვანო-მოცისფრო, მოცისფრო-მოლურჯო, ცისფერი, მონაცრისფრო და ყვითელი; შავი და თეთრი ხაზების სარტყლის ინკრუსტაციით. სარტყელი არ იკვრის. კასრისებრი და მანდარინისებრი მოყვანილობისა, ერთი ნაკლულია.

სიგრძე — 0,9; 0,8; დმ — 0,8; 0,7 სმ.

**ორმოსამარხი 164-ე (1940, N)** აღმოჩენილი იყო VII ფართობის O ნაწილში 2,0 მ სიღრმეზე. სამარხის ორმოს ზომებია: 1,20×1,0 მეტრი. შიგ ესვენა მოზრდილი ინდივიდის ჩონჩხი მარცხენა გვერდზე, თავისუფლად ფეხებმოხრილი და თავით აღმოსავლეთით მიქცეული, ხელები სახის წინ ეწყო. ჩონჩხი ოთხ რიყის ქვას შორის იყო მოქცეული. მიცვალებულს თან ახლდა შემდეგი ინვენტარი*:

**314** (12—54: 4607)**. ხ ე ლ ა დ ა ცალყურა, რუხად გამომწვარი თიხისა, გადაშლილი მრგვალბაკოიანი პირი, საშუალო სიმაღლის ყელი, დამრეცი მხრები, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული ფართო მუცელი და დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. ოვალურგანივკვეთიანი ბრტყელი ყური პირთან და მხარზე აქვს ოდნავ მრუდედ შეერთებული (პირი ნაკლულია). ყელის ძირიდან ოთხი ერთიმეორისაგან 3 სმ-ის მანძილით დაშორებული ვიწრო რელიეფური სარტყელი ამკობს. ძირზე შეინიშნება კონცენტრული ზოლები.

სიმაღლე — 20; დმ პირის — 8; მუცლის — 17; ძირის — 11 სმ.

**315** (12—54:4608; სურ. 217). ქ ვ ა ბ-ქ ო თ ა ნ ი, რუხად გამომწვარი თიხისა, ზედაპირზე ადგილ-ადგილ მონაცრისფრო ლაქებით. მრგვალბაკოიანი

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: ას. I, IX—VIII (ადრეკინა I, IX—VIII სს. — რედ.).

** ფიფე.

ფართო პირი, დაბალი ღარისებრი ყელი, ოდნავ წიბოიანი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებულია მუცელი და დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. ძირზე შეიმჩნევა კონცენტრული წვრილი ზოლები.

სიმაღლე — 12,6; დმ პირის — 12,3; მუცლის — 15,3; ძირის — 8,3 სმ.

316 (12—54:4609). ტოლჩა ცალყურა, მოწაბლისფრო-მოშავოდ გამომწვარი თიხისა. სწორბაკოიანი ფართო პირი, კასრისებრი მოყვანილობის ტანი და ბრტყელი ძირი აქვს. სწორკუთხაგანივკვეთიანი ბრტყელი ყური ტანის ზედა ნაწილზე აქვს შეერთებული ოდნავ მრუდედ. ყურის ზედა ნაწილზე შუაზე დაბრტყელებული რელიეფური დანაძერწი აქვს, პირის მახლობლად ყურის შეერთების გასწვრივ წვრილი ამოღარული კონცენტრული ხაზი ამკობს.

სიმაღლე — 11,5; დმ პირის — 10,8; ძირის — 9,4 სმ.

317 (12—54:4610; სურ. 216). ხელადა ცალყურა, მუქნაცრისფრად გამომწვარი თიხისა. ოდნავ გადაშლილი მრგვალბაკოიანი პირი, საშუალო სიმაღლის ყელი, შუაზე ფართო, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. სწორკუთხა განივკვეთიანი ბრტყელი ყური პირის მახლობლად ყელზე და ყელის მახლობლად მუცელზე აქვს შეერთებული. ყურის ზედა მხარეზე შუაში გაბრტყელებული რელიეფური დანაძერწი აქვს. ყელი დაფარულია წვრილი ზოლებით, ყელის ძირთან სამი ამოღარული კონცენტრული ხაზი ამკობს.

სიმაღლე — 21,2; დმ პირის — 10; მუცლის — 16,5; ძირის — 9,5 სმ.

318 (12—54:4611). კოჭბისმაგვარი ძალიან პატარა ჭურჭელი, მოწაბლისფროდ გამომწვარი თიხისა, მრგვალბაკოიანი პირი, ძალიან დაბალი ღარისებური ყელი, ბირთვისებრი მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. ყელის ძირთან წყვილი ამოღარული კონცენტრული ხაზი ამკობს (ზედა პირი აქერცლილია).

სიმაღლე — 6,5; დმ პირის — 5,3; მუცლის — 7,9; ძირის — 3,6 სმ.

319 (12—54:4612). რქის ძირი ირმისა, ტოტებწაჭრილი, გახვრეტილი. ნახვრეტის დმ — 2,6 სმ; ნახვრეტის სიღრმე — 5,5 სმ.

320 (12—54:4613—4616; სურ. 218). საკინძები ბრინჯაოსი (4). ერთს (№ 4615) სიგრძეზე დაღარული სოკოსებრი მოყვანილობის თავი, შუაზე გამსხვილებული, თავსა და ბოლოში წყვილ-წყვილი რელიეფური სარტყლით შემკული ყელი; ყელის ძირთან მრგვალი ნახვრეტი და მასიური ღერო აქვს; დანარჩენებს სფერული თავი, ისეთივე შემკულობის ყელი, როგორიც პირველს, ოღონდ ერთს (№ 4613) თავთან ერთი რელიეფური სარტყელი აქვს (ნაცვლად ორისა), ყელის ძირთან ოვალური ნახვრეტი და მრგვალგანივკვეთიანი ღერო. ორის ღერო დამტვრეულია.

სიგრძე — 7,7; 10; 13,7; 16; თავის დმ — 9 მმ; 1; 1,2 სმ.

**321** (12—54:4617; სურ. 222). სამაჯური ბრინჯაოსი, ოვალურგანივკვეთიანი მავთულისა, თავები გახსნილი აქვს და ერთიმეორეზე გადატანილი, ზურგზე შემკულია ჰდეული სახეებით.

დმ — 5,7; რკალის სიგანე — 5 მმ.

**322** (12—54:4618—4622: სურ. 220; 221). საწვივე რგოლები (4) ბრინჯაოსი, ნახევარწრისებრ განივკვეთიანი, ორი მსხვილი და ორი შედარებით წვრილი მავთულისა. თავები გახსნილი აქვთ და ორს თავითავზე აქვს გადატანილი, ორს კი თავები ერთიმეორისაგან დაშორებული.

დმ — 7,3; 6,4; 7,1; 6,2 სმ. რკალის სიმსხო — 4; 5; 8; 9 მმ.

**323** (12—54:4623—4626 სურ. 219). მძივები სარდიონისა (19). ექვსი მათგანი მოწითალო-მოვარდისფროა, კბილისებრი მოყვანილობისა, ოთხი წვრილია, წითელი, ორი მათგანი მანდარინისებრი მოყვანილობისაა, ორი კი ბიკონუსური მოყვანილობისა; ერთი მოგრძო შინდისებრი მოყვანილობისაა, მოწითალო-მოვარდისფრო-მონაცრისფრო ზრეებით.

სიგრძე — 9 მმ; 1,2 სმ; დმ — 3; 6; 8 მმ; 1,2 სმ.

**324** (12—54:4627). მძივები პასტისა, თეთრი (47). ოდნავ მომსხო, გამჭოლი ნახვრეტებით (1); მოგრძო სამტყუპა (4); კოპებიანი (4) და დანარჩენი წვრილი, მოკლე ცილინდრული იოტები ცისფერი პასტისა.

**325** (12—54:4628). ობსიდიანის ნატეხი ნუკლეუსისმაგვარი. შავი.

სიგრძე — 3,7; სიგანე — 1,8 სმ.

**სამარხი № 176 (1940, N; სურ. 201)**

**326** (12—54:4808; სურ. 204)*. ქილა შავად გამომწვარი თიხისა, ოდნავ გადაშლილი მრგვალბაკოიანი პირი, ძალიან დაბალი ღარისებრი ყელი, გადგმული, ოდნავ დამრეცი მხრები. ზედა მხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. ყელის ძირში და ქუსლის ირგვლივ წყვილ-წყვილი ამოღარული კონცენტრული ხაზითაა შემკული. ზედაპირზე აქა-იქ შეიმჩნევა მოწაბლისფრო და შავი ლაქები. ჭურჭლის ზედა მხარე გაპრიალებულია შავად, ქვედა — ხაოიანზედაპირიანია.

სიმაღლე — 12,3; დმ პირის — 10; მუცლის — 16,5 ძირის — 6,5 სმ.

**327** (12—54:4809; სურ. 202, 203). ხელადა ცალყურა, მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. ოდნავ გადაშლილი მრგვალბაკოიანი პირი, საშუალო სიმაღლის ფართო ყელი, დამრეცი მხრები, ბირთვისებრი მუცელი და ოდნავ შესამჩნევად გამოყოფილი ბრტყელი ძირი აქვს. პირიდან გამომდინარე ოვალურგანივკვეთიანი ბრტყელი ყური მხარზეა დაძერწილი. ყელის ძირში ოთხი და მუცელზე სამი ამოღარული კონცენტრული ხაზითაა შემკული. ყელზე კი ირ-

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: არ. I, IX—VIII (ადრერკინა I, ძვ. წ. IX—VIII სს. — რედ.).

გვლივ ვერტიკალური, წვრილი, მსუბუქად დაღარული ხაზებით. მუცლის ქვედა ნაწილზე ერთ მხარეს შავია.

სიმაღლე — 20,3; დმ პირის — 8,6; მუცლის — 18; ძირის — 8,9 სმ.

**328** (12—54:4810; სურ. 206, 207). ფ ი ნ ჯ ა ნ ი ცალყურა შავად გამომწვარი თიხისა. სწორბაკოიანი ფართო პირი, ძალიან დაბალი ყელი, ზედა მხარეს ფართო, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. ოვალურგანივკვეთიანი ბრტყელი ყური მუცელზე აქვს შეერთებული. ყელზე სამი ღრმა კონცენტრული ღარი, ძირზე ქუსლის პარალელური ამოღარული კონცენტრული ხაზი ამკობს. მუცლის ქვედა ნაწილზე მონაცრისფროა და ზედ ირგვლივ ვერტიკალური შავი პრიალა ფართო ხაზებითაა შემკული ძირამდე. მუცლის ზედა მხარე შავპრიალაა. ყურის ზედა მხარეს მრგვალი რელიეფური დანაძერწი აქვს.

სიმაღლე — 10,3; დმ პირის — 8,6; მუცლის — 10,5; ძირის — 6 სმ.

**329** (12—54:4811; სურ. 208, 209). ქ ი ლ ა რუხად გამომწვარი თიხისა, ადგილ-ადგილ მოწაბლისფრო ლაქებით (ყელ-პირის ძალიან მცირე ნაწილი აქვს შემორჩენილი), დამრეცი მხრები, ზედამხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. ყელის ძირში წყვილი კონცენტრული ხაზი და მხარზე წყვილ კონცენტრულ ხაზს შორის სავარცხლის კბილის შტამპით დაფარული სარტყელი ამკობს.

სიმაღლე — 21; დმ პირის — 12,5; მუცლის — 27; ძირის — 9 სმ.

**330** (12—54:4812; სურ. 205). ლ ა ნ გ ა რ ი რუხად გამომწვარი თიხისა. ბრტყელბაკოიანი ფართო პირი, დაბალი ყელი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული ტანი და ბრტყელი ძირი აქვს.

სიმაღლე — 8; დმ პირის — 29,2; ძირის — 12 სმ.

**331** (12—54:4813; სურ. 210, 211). ხ ე ლ ა დ ა ცალყურა, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, ზედაპირზე შავად გაპრიალებული, მოწაბლისფრო ლაქებით (ყელ-პირის დიდი ნაწილი აკლია), გადაშლილი ფართო პირი, მომრგვალებული ბაკო, დაბალი ყელი ,დამრეცი მხრები ბირთვისებრი მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს.

სიმაღლე — 27; მუცლის — 25; ძირის — 11 სმ.

**332**. (12—54:4814; სურ. 213). ნ ე მ ს ი ბრინჯაოსი, ყუნწზე გადატეხილი, შუაზე ოდნავ გაღუნული. მრგვალგანივკვეთიანი წვრილი მავთულისა.

სიგრძე — 10,2; ღეროს სიმსხო — 1,5 მმ.

**333** (12—54:4815—4818; სურ. 214; 215). ს ა კ ი ნ ძ ე ბ ი ბრინჯაოსი (4), სამი—მთელი ფრთის ნატეხები, სწორთავიანები, მრგვალგანივთვეკიანი მავთულისა. წვერიდან თავისკენ თანდათნობით გამსხვილებული. სამს—თავები შემკული აქვთ, თავსა და ბოლოში თითო ამოღარული კონცენტრული ხაზითა

და მათ შორის ირგვლივ ფხური ამოკაწრული სახეებით. მეოთხეს ორნამენტი არ ემჩნევა. თავს ქვემოთ მრგვალი ნახვრეტი აქვთ.

სიგრძე — 9,5; 11,3; 7,8; 7,7 სმ.

**334** (12—54:4819; სურ. 212). მძივები პასტისა, თეთრი მოგრძო ცილინდრული (29); ცისფერი, ოდნავ მოგრძო მრგვალი (20), მოკლე ცილინდრული იოტები (4); მოყვითალო მოკლე, ცილინდრული (2) და მინისა (1) მანდარინისებრი, მოყვითალო.

სიგრძე — 1,9; 0,9; 0,3 სმ.

**სამარხი № 184**
**(1940, N)**

**335** (12—54: 4922; სურ. 226)*. ხელადა ცალყურა, მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. ოდნავ გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი ფართო პირი, საშუალო სიმაღლის ყელი, დამრეცი მხრები და ბირთვისებრი მუცელი (ძირი და მუცლის ნახევარი აკლია) აქვს. პირდაპირ გამომდინარე სწორკუთხა განივკვეთიანი ვიწრო, ბრტყელი ყური მხარზე შეერთებული. ყელზე პირის მახლობლად სამი ფართო ღრმა ამოღარული კონცენტრული ხაზითაა შემკული, მხრის ძირთან კი სამი წვრილი ამოღარული კონცენტრული ხაზით.

სიმაღლე — 15,1; დმ პირის — 8; მუცლის — 14; ძირის — 5,7 სმ.

**336** (12—54:4923; სურ 225). კათხა ცალყურა (სასმისი). სწორბაკოიანი ფართო პირი, კასრისებრი მოყვანილობის ტანი და ბრტყელი ძირი აქვს. ნახევარწრისებრი განივკვეთიანი ბიბილოებიანი ყური ტანზე აქვს შეერთებული, პირის მახლობლად ოთხი ამოღარული კონცენტრული ხაზითაა შემკული.

სიმაღლე — 11,1; დმ პირის — 9,9; ძირის — 6,3 სმ.

**337** (12—54:4923). კოჭობი წაბლისფრად გამომწვარი თიხისა, პაწია.

დმ პირის — 3,6; ძირის — 5,5 სმ.

338 (12—54:4924). ჭურჭლის ნატეხები, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, ზედაპირზე მუქი ნაცრისფერი. სწორბაკოიანი, ოდნავ გადაშლილი პირი და ბრტყელი ძირი ჰქონია.

დმ ძირის — 5,2 სმ.

**339** (12—54:4925). ლანგარი რუხად გამომწვარი თიხისა. მრგვალბაკოიანი ფართო პირი, დაბალი, ჩაღარული, კიდესთან წიბოიანი ყელი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული ტანი და მცირედ გამოყოფილი ბრტყელი ძირი აქვს. გარეთა ზედაპირზე ემჩნევა წვრილი კონცენტრული ზოლები.

სიმაღლე — 8; დმ. პირის — 29; ძირის — 10,5 სმ.

**340** (12—54:$4925_3$). ხელადა შავად გამომწვარი თიხისა, მოზრდილი, სადა.

სიმაღლე — 23; დმ პირის — 10; მუცლის — 20; ძირის — 8,5 სმ.

**341** (12—54:4926; სურ. 223). ქილა ორყურა, მონაცრისფროდ გამომ-

---

* ნივთის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: არ. I, IX—VIII (ადრერკინა I, ძვ. წ. IX—VIII სს. — რედ.).

წვარი თიხისა. მომრგვალებულბაკოიანი გადაშლილი ფართო პირი, დაბალი ღარისებრი ყელი, დამრეცი მხრები, ზედა მხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი აქვს. სწორკუთხა განივკვეთის მქონე ყურები ორ მოპირდაპირე მხარეს მუცლის გაფართოებულ ნაწილზე აქვს შეერთებული. ყურების ზედა მხარესა და ყურებს შორის, ცალმხარეს უნაგირისებრი მოყვანილობის რელიეფური დანაძერწითაა შემკული (მოპირდაპირე მხარეს მუცელი ნაკლულია). ყელის ძირთან ერთად ფართო, დაბალი კონცენტრული ღარით და მხრების ძირთან, წყვილ ამოღარულ კონცენტრულ ხაზს შორის, ირიბი ჭდეებით დაფარული სარტყლით არის შემკული. ძირზე, ქუსლის ირგვლივ, ფართო ღრმა ღარი შემოუყვება.

სიმაღლე — 7; დმ. პირის — 21,3; მუცლის — 33; ძირის — 10 სმ.

**342** (12—54:4927; სურ. 224). კ ო ჭ ო ბ ი ცალყურა, მოწაბლისფროდ გამომწვარი თიხისა, სწორბაკოიანი ფართო პირი, ძალიან დაბალი ყელი, ბირთვისებრი მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. პატარა ხვრელიანი ნახევარწრისებრ განივკვეთიანი ვიწრო ყური მუცელზე აქვს შეერთებული. ყელის ძირთან ფრჩხილისეული სახეების კონცენტრული სარტყელი ამკობს. ყურზე შუაზე გაბრტყელებული რელიეფური დანაძერწი აქვს. ხელითაა ნაძერწი უხეში თიხისაგან, სუსტადაა გამომწვარი, ხაოიანი ზედაპირი აქვს. წინა მხარე შემურული აქვს შავად.

სიმაღლე — 7,7; დმ პირის — 6,7; ძირის — 4,8 სმ.

**343** (12—54:4928). ხ ე ლ შ უ ბ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი მთლიანჭასრიანი, მასრაზე გამჭოლი ორი ნახვრეტით. პირი მხრებმომრგვალებული სამკუთხედისებრი მოყვანილობისა, შუაზე მრგვალი მაღალი ქედი გასდევს, რომელიც მასრის გაგრძელებას წარმოადგენს.

სიგრძე 13,5; პირის სიგანე — 3; მასრის დმ — 1,7 სმ.

**344** (12—54:4929). ი ს რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოს თხელი ფირფიტისა, სამკუთხედისებრი მოყვანილობისა, ორფრთიანი.

სიგრძე — 2,8; სიგანე — 1,4 სმ.

**345** (12—54:4930). ი ს რ ი ს პ ი რ ი ძვლისა, მრგვალგანივკვეთიანი ყუნწი და პირი ბრტყელია და ოთხკუთხა განივკვეთიანი (2 ნატეხი).

სიგრძე — 8,7; სიგანე — 5 მმ.

**346** (12—54:4931). ჩ ქ ი ფ ი (წარბების გამოსაქნელი მაშა) ბრინჯაოსი, ვიწრო ბრტყელი ფირფიტისა, ორად მოღუნული, ბოლოებთან ოდნავ გაფართოებულია და შიგნით გაღუნული.

სიგრძე — 7,5 სმ.

**სამარხი № 188 (1940, N)**

847 (12—54:4973)*. კოჯობი ცალყურა, რუხად გამომწვარი თიხისა, ადგილ-ადგილ მოწითალო ლაქებით (შიგნით პირთან). სწორბაკოიანი ოდნავ გადაშლილი ფართო პირი, დაბალი ფართო ყელი, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული მუცელი და ფართო ბრტყელი ძირი აქვს. პირიდან გამომდინარე ნახევარწრისებრგანივკვეთიანი ვიწრო ყური მუცელზე აქვს შეერთებული.

სიმაღლე — 9,5; დმ პირის —8,3; მუცლის — 9,3; ძირის — 6,2 სმ.

848 (12—54:4974). ფიალა მორუხო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, ადგილ-ადგილ მოწითალო ლაქებით. სწორბაკოიანი ფართო პირი, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული, შუაზე რელიეფურსარტყლიანი ტანი და ბრტყელი ძირი აქვს.

სიმაღლე — 3,7; დმ პირის — 11,2; ძირის —7,7 სმ.

849 (12—54:4975). მახათის ნატეხი ბრინჯაოს მსხვილი მავთულისა. წვერი მოტეხილი აქვს. შემორჩენილი აქვს ყუნწის ნაწილი. მრგვალგანივკვეთიანია.

სიგრძე — 5 სმ; ღეროს სისქე — 3 მმ.

850 (12—54:4976—4977). საკინძები ბრინჯაოსი. აქვს სამკუთხედებად დაკეჭნილი ოთხკუთხა განივკვეთის მქონე თავი, დაღარული ყელი. ყელთან ღერო გაბრტყელებულია და ზედ მრგვალი ნახვრეტი აქვს. ნახვრეტს ქვემოთ ღერო მრგვალგანივკვეთიანია. ერთს წვერი მოტეხილი აქვს.

სიგრძე — 9,8; 7,8; ღეროს სისქე — 3 სმ.

851 (12—54:4978). რგოლის ნატეხები (2) ბრინჯაოსი, წვრილი მრგვალგანივკვეთიანი მავთულისა.

დმ — 3,5 სმ; რკალის სისქე — 2 მმ.

852 (12—54:4979—4981). მძივები სარდიონისა, მოწითალო (6), მოთაფლისფრო (1), მანდარინისებრი, ხუთწახნაგა და უფორმო; მინისა (2) თეთრი ირიზაციით ბიკონუსური მოყვანილობისა და შავი ქვისა დოლისებრი მოყვანილობისა.

დმ — 4,5; 9; 6; 8 მმ.

**სამარხი № 24 (1938, N)**

853 (12—54:298). ქვაბქოთანა მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, ოდნავ გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი პირი, ძალიან დაბალი ყელი, წიბოიანი მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი. ჭურჭლის მთელი კორპუსი და ძირი დაფარულია ჩარხისმიერი კონცენტრული ხაზებით. მუცლის ზედა ნაწილზე და ძირზე ქუსლის ირ-

---

* ამ ნივთის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: არ. I, IX—VIII (ადრერკინა I, ძვ. წ. IX—VIII სს. — რედ.).

გვლივ, ფრჩხილისეული სახეების თითო კონცენტრული მწკრივითაა შემკული*.
სიმაღლე — 13,5; დმ. პირის — 15,5; მუცლის — 17,5; ძირის — 9 სმ.
**354** (12—54:299). ფ ი ნ ჯ ა ნ ი შავად გამომწვარი თიხისა. ყელ-პირი მოტეხილი აქვს. ბირთვისებრი მუცელი, ჯამისებურად ჩაღრმავებული ქუსლი და სწორკუთხა განივკვეთიანი ვიწრო, ბრტყელი ყური, ზედა მხარეს მრგვალი მოგრძო რელიეფური დანაძერწით. ქუსლი შემკულია ამოკაწრული წყვილი კონცენტრული ხაზით.
სიმაღლე —9,4; დმ მუცლის — 12; ქუსლის — 8,3 სმ.
**355** (12—54:300). ფ ი ნ ჯ ა ნ ი მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. მომრგვალებულბაკოიანი პირი, ძალიან დაბალი ყელი, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული მუცელი, ბრტყელი ძირი და მუცელზე შეერთებული ოვალურ-განიკვეთიანი, ზედამხარეს ზოომორფულდანაძერწიანი ყური აქვს. ყელზე რელიეფური სარტყელი და ძირზე ირგვლივ ამოკაწრული კონცენტრული ხაზი ამკობს.
სიმაღლე — 8,8; დმ პირის — 7; მუცლის — 8; ძირის — 4,9 სმ.
**356** (12—54:301). ხ ე ლ ა დ ა ცალყურა შავად გამომწვარი თიხისა, ოდნავ გადაშლილი ფართო სწორბაკოიანი პირი, საშუალო ზომის ცილინდრული ყელი, დამრეცი მხრები. ზედამხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ოდნავ დაბლა დაწეული ბრტყელი ძირი აქვს. მრგვალგანივკვეთიანი ყურის მცირე ნაწილი აქვს შერჩენილი მხარზე. ყელზე ფართო ღარი, მხრის ძირთან სამი ამოღარული კონცენტრული ხაზი და მხრებზე წნევით მსუბუქად დაღარული ბადისებრი სახეებითაა შემკული. ზედაპირზე ლაკისებრი სიკრიალე აქვს.
სიმაღლე — 20; დმ პირის — 9; მუცლის — 18; ძირის — 8,6 სმ.
**357** (12—54:30). ჭურჭლის ნატეხი ძირ-გვერდების ნაწილით. ძირის ნაპირები ჭდეული სახეებითაა შემკული.
**358** (12—54:302). ღეროს ნატეხი ბრინჯაოსი, მრგვალგანიკვეთიანი წვრილი მავთულისა.
სიგრძე — 5,5; სიმსხო — 0,1 სმ.
**359** (12—54:303). ღეროს ნატეხები (2) ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი წვრილი მავთულისა.
სიგრძე —8; სიმსხო — 0,1 სმ.
**360** (12—54:304—307). ს ა მ ა ჯ უ რ ე ბ ი ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვე-

---

* — ამ ნივთის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით; არ II (ადრერკინა II, ძვ. წ. VIII ს. — რედ.).

თიანი მავთულისა (4), დიდ-პატარა. თავები გახსნილი აქვთ და ერთიმეორეზე გადატანილი.

დმ — 3,6; 4,3; 4,5; სიმსხო — 0,2; 0,3 სმ.

361 (12—54:308, 309). ს ა მ ა ჯ უ რ ე ბ ი (6) ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი მავთულისა, თავები გახსნილი აქვს და ერთიმეორეზე მცირედ დაშორებული. ზურგზე შემკულია ოთხ-ოთხი განივი რელიეფური ხაზით და მათ შორის პატარა ბორცვის მონაცვლეობით.

დმ — 5,5 სმ.

362 (12—54:309). ს ა მ ა ჯ უ რ ი ბრინჯაოსი ჰდეულზედაპირიანი. თავები გახსნილი ჰქონია და ერთიმეორესთან მიტანილი.

დმ — 4,5 სმ.

363 (12—54:310). ს ა მ ა ჯ უ რ ი ს ნატეხები რკინისა, წვრილი მრგვალგანივკვეთიანი მავთულისა.

რკალის სიმსხო — 0,3 სმ.

364 (12—54:311). მ ძ ი ვ ე ბ ი სარდიონისა (25), ნახევრადგამჭვირვალე და ერთი გაუმჭვირვალე. მოვარდისფრო, მოწითალო-მოვარდისფრო და მოწითალო-მოყავისფრო. მანდარინისებრი, შინდისებრი, დოლისებრი და ხუთწახნაგა; ძვლისა (2), იოტები ოთხკუთხა გამჭოლი ნახვრეტებით.

365 (12—54:312). მ ძ ი ვ ე ბ ი პასტისა (23) თეთრი (20) ბიკონუსური მოყვანილობისა გვერდებდაღარული, ცისფერი (1) კასრისებრი მოყვანილობისა, ბოლოებზე კონცენტრული და შუაზე სიგრძივი ამოღარული ხაზებით შემკული.

**სამარხი № 25**
**(1938, N)**

366 (12—54:313). ქ ო თ ა ნ ი შავად გამომწვარი თიხისა, ოდნავ გადაშლილი მრგვალბაკოიანი ფართო პირი, დაბალი ყელი, დამრეცი მხრები, ზედამხარეს ფართო, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. ზედა მხარეს მოგრძო რელიეფურდანაძერწიანი სწორკუთხა განივკვეთის მქონე ბრტყელი ყური მხარზე და მუცელზე აქვს შეერთებული. ყელის ძირთან შემკულია წყვილი ამოღარული კონცენტრული ხაზითა და მათ შორის ფრჩხილისეული სახეების ერთი მწკრივით.

სიმაღლე — 16,5; დმ პირის — 12; მუცლის — 17,5; ძირის — 8,5 სმ.

367 (12—54:313$_1$). ხ ე ლ ა დ ა თიხისა, ცალყურა, მუცლის ზემოთ თითქმის ბრტყელი, ქვემოთ კონუსური მოყვანილობისა. ყელი, ყური და მუცლის 1/5 მოტეხილი აქვს.

368 (12—54:314). ქ ო თ ნ ი ს ნატეხები მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, ზედაპირზე მოწაბლისფრო. ჰქონია ოდნავ გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი პირი, დაბალი ყელი და ბრტყელი ძირი, ზედა მხარეს მოგრძო რელიეფურდანაძერწიანი, ოვალურგანივკვეთიანი ბრტყელი ყურის ნაწილია შერჩე-

ნილი მუცლის ნატეხზე. ყელზე წვრილი ამოღარული კონცენტრული ხაზითაა შემკული.

**369** (12—54:315). კ ო ჭ ო ბ ი მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, ოდნავ გადაშლილი მრგვალბაკოიანი პირი, დაბალი ყელი, ბირთვისებრი მუცელი და ფართო ბრტყელი ძირი აქვს. მუცლის ზედა ნაწილი კონცენტრული ამოღარული ხაზებითაა დაფარული. ქვედა მხარეს, სიგრძეზე დაშვებული წნევით მსუბუქად დაღარული ირიბი ხაზებით.

სიმაღლე — 10; დმ პირის — 7,8; მუცლის — 11; ძირის — 7 სმ.

**370** ($12—54:315_1$). კ ო ჭ ო ბ ი თიხის ბიბილოებიანი ყურით.

სიმაღლე — 3,8; დმ პირის —8; ძირის — 3,8 სმ.

**371** ($12—54:315_2$). ნ ე მ ს ი ს ნატეხი ბრინჯაოსი.

სიგრძე — 3,5; ღეროს სიმსხო —1 მმ.

**ორმოსამარხი 29 (1938, N)** აღმოჩნდა N უბანზე 228 და 223 ქვისსამარხებს შორის, ზუსტად 224-ე ქვისსამარხს ქვეშ. გათხრილი იყო სამხრეთი ჯგუფის მიერ. სამარხში აღმოჩნდა საშუალო სიმაღლის ინდივიდის ჩონჩხი, დასვენებული მარჯვენა გვერდზე (ქალისა უნდა იყოს) ნაწილობრივ თიხის ლანგარზე მოთავსებული, თავით აღმოსავლეთისაკენ მიქცეული; ქვედა კიდურები თავისუფლად (სწორკუთხოვნად) მოხრილი აქვს. ხელები სახის წინ დაწყობილი*. მას ახლდა შემდეგი ინვენტარი: სახის წინ—ბრინჯაოს გრძელი საკინძი და ძვლის სავარცხელი (?); თავს ქვეშ—ბრინჯაოს ნემსის ფრაგმენტი, გულმკერდის არეში—სარდიონისა და პასტის მძივები; სამარხის სხვადასხვა ნაწილში თიხის შვიდი სხვადასხვა ფორმისა და ზომის ჭურჭელი**.

**372** (12—54:8846; სურ. 232). ლ ა ნ გ ა რ ი თიხისა, ფართო, მაღალი, პირგადმოშლილი, მაღალნაპირიანი, მკვეთრად ჩავიწროებული კალთები აქვს. შიდაპირი შავად ნაპრიალებია და ნაპირთან ახლო მკრთალი ღარი გადასდევს, გარეპირი კი ღია მონაცრისფროა.

სიმაღლე ჭურჭლის — 10,3; ნაპირის — 3; ქუსლის — 0,5; დმ პირის — 35,0; ძირის — 9,5 სმ.

**373** (12—54:8847; სურ. 229). ქ ი ლ ა ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, მაღალი, ოდნავ პირგადმოშლილი, დაბალცილინდრულყელიანი, მხრებგანიერი, კვერცხისებრმუცლიანი; ბრტყელი, ოთხკუთხგანივკვეთიანი ყური ჰქონია, რომელთაგან ცალი მოტეხილი და დაკარგულია ადრევე. ყელის ძირსა და მხარზე სამ-სამი ღარი გადასდევს.

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით ავტორს ფანქრით მიუწერია: გბ. III, X—IX — (გვიანბრინჯაო III, ძვ. წ. X—IX სს. — რედ.).

** ყდაზე საქაღალდისა, რომელშიაც პროფ. ალექსანდრე კალანდაძის ნაშრომის X—VI საუკუნეების სამარხეული კომპლექსების აღწერილობა იყო, ავტორს მელნით წაუწერია: „მ. ბარამიძის, ნ. ოქროპირიძის, ე. მაჭავარიანის თანამშრომლობით“.

სიმაღლე — 35,5; დმ პირის 11,7; მუცლის — 31,3; ძირის — 12,5 სმ.

374 (12—54:8841; სურ. 227). ქილა რუხლეგად გამომწვარი თიხისა, ოდნავ პირგადმოშლილი, დაბალყელიანი, სფერულმუცლიანი. მხარზე ირგვლივ სამი ღრმა ღარი არტყია.

სიმაღლე — 20,5; დმ პირის 16,5; მუცლის — 26,0; ძირის —8,5 სმ.

375 (12—54:8842; სურ. 231). კათხა რუხლეგად გამომწვარი თიხისა, ოდნავ პირგადმოშლილი და წელში გამოყვანილი. პირს გარედან ოთხი ღარი გადასდევს ირგვლივ. ყური და ძირი მომტვრეული და დაკარგული აქვს. სიმაღლე (შემონახული ნაწილისა) — 10,9; დმ პირის — 15,5; მუცლის დმ — 11,1 სმ.

376 (12—54:8843; სურ. 233). კათხა-სასმისი შავად გამომწვარი თიხისა, შავპრიალა, პირფართო, წელში გამოყვანილი, ძირჩავიწროებული; ცალყურა, რომელსაც ბიბილოსებრი სარტყელი აძერწია. ოდნავ გამოყოფილი ქუსლის გარშემო ღარი არტყია, ხოლო ძირი ურთიერთგადამკვეთი მკრთალი ხაზებით აქვს დასერილი.

სიმაღლე — 10,7; დმ პირის — 11,3; მუცლის (გამოყვანილი წელში) — 8,7; ძირის — 6,3 სმ.

377 (12—54:8844; სურ. 230). კოჭობი (სამარილე?) შავლეგად გამომწვარი თიხისა, პაწია, პირგადმოშლილი, ბიკონუსურმუცლიანი. პირის დიდი ნაწილი ჩამოტეხილ-დაკარგულია, ზედაპირი აქერცლილი აქვს.

სიმაღლე — 5,3; მუცლის დმ — 8,5; ძირის დმ — 4,7 სმ.

378 (12—54:8845; სურ. 228). კათხა რუხლეგად გამომწვარი თიხისა, სწორად პირკვეთილი ,კასრისებრტანიანი, რამდენადმე უსწორმასწორო და არაპროპორციული, შეუსაბამოდ მძიმე, ცალყურა, რომელზედაც აცქვეტილი ყურისმაგვარი საცეცული აძერწია.

სიმაღლე — 15,0; დმ პირის — 10,7; მუცლის — 13,5; ძირის — 7,0 სმ.

379 (12—54:8848). საკინძი ბრინჯაოსი, დიდი, სამთავროსათვის უჩვეულოდ გრძელი, თავის (ყუის) ნაწილში ოთხკუთგანივკვეთიანი, მასიური და მკრთალი თევზიფხური ნაჭდევებით შემკული. თავიდან 5 სანტიმეტრზე პაწია, მაგრამ წესიერ-მრგვალი ნახვრეტი აქვს.

სიგრძე — 22,3 სმ; უდ. წახნაგის სიფართე — 0,5 სმ.

380 (12—54:8849). ნემსის ფრაგმენტი, ბრინჯაოსი, წვრილი.

სიგრძე 3,3 სმ.

381 (12—54:8850). სავარცხელი (?) ძვლისა. სავარაუდო 5 კბილისგან ორია შერჩენილი, თავგადაყელილია და გახვრეტილი.

სიმაღლე — 3,4; სიფართე — 1,8 სმ.

382 (12—54:8851). მძივები ვარდისფერი სარდიონისა, უმთავრესად ჩანდარინისებრი, რამდენიმე დაბალცილინდრული, ხუთიოდე ბრტყელ-მრგვალი, წყვილიც შინდისკურკის მოყვანილობისა. 73 ც.

383 (12—54:8852). მ ძ ი ვ ე ბ ი მოყვითალო პასტისა, მოკლე, მილაკისებ-რი, ერთიც კასრისებრი, გვერდჩაღარული. 20 ცალი.

**ორმოსამარხი 30 (1938, N)**

გათხრილი იყო სამხრეთი ჯგუფის მიერ ჩრდილო უბან-ზე; აღმოჩნდა 223-ე ქვისსამარხის ქვეშ. კარგად დაცუ-ლი ჩონჩხი საშუალოზე მაღალი ადამიანისა (ჩანს, ქა-ლისა) იწვა ამ სქესისათვის უჩვეულო პოზაში) მარჯვე-ნა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისკენ მიქცეული, თავისუფლად მოხრილი ქვე-და კიდურებით. ხელების სახის წინ ჰქონდა დაწყობილი. მიცვალებულს თან ახლდა წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის ძვლები — თავრიელის სახით და სხვა სამარხეული ინვენტარი — თიხის 9 ჭურჭელი — თავსა და ფეხებთან. ყელის მიდამოში — სარდიონის მძივები და ერთიც პასტისა, მოჭიქული. სარდიონის მძივები (100-ზე მეტი) სამაჯურადაც ჰქონია გამოყენებული. მარცხენა ხელ-თან — ბრინჯაოს საკინძი*.

384 (12—54:8853). ლ ა ნ გ ა რ ი ღია მონაცრისფროდ გამომწვარი თიხი-სა, მასიური, სქელკედლიანი, თითქმის სწორ გადმოწეულბაკოიანი, დაბალნა-პირიანი, ღრმა, მძიმე.

სიმაღლე ჭურჭლის — 9,1; ნაპირის — 2,2; ბაკოს სიგანე — 1,5; დმ პი-რის —34,3; ძირის — 11,0 სმ.

385 (12—54:8856). ლ ა ნ გ ა რ ი (ან ღრმა ჯამი) შავლეგად გამომწვარი თიხისა, ტიპოლოგიურად და ტექნოლოგიურად წინამავლის მსგავსი, ოღონდ ზომცრო, ოდნავ ძირგამოყოფილი.

სიმაღლე ჭურჭლის — 7,7; ნაპირის 1,7; დმ პირის — 25,4; ძირის — 9,0;

386 (12—52:8857). დ ო ქ ი შავად გამომწვარი თიხისა, შავპრიალა, დაბა-ლი, პირგადმოშლილი, ყელფართო, სფერულმუცლიანი, ცალყურა, რომელიც პირსა და მხარს აერთებს. მხარს სამი მკრთალი, ხოლო მუცელს ერთი ღრმა და ფართო ღარი ამკობს. ღარებს შორისი ზედაპირი დაფარულია პრიალა ზოლე-ბისაგან შემდგარი რომბული ბადურით. პრიალა ზოლებივე ჩასდევს ყელს. 8 ფართო პრიალა ზოლი ამკობს ჭურჭლის ქვედა ტანს ძირამდე.

სიმაღლე ჭურჭლის — 22,7; ყელის — 5,5; დმ პირის — 11,3; ყელის — 9,0; მუცლის —21,0; ძირის —9,0 სმ.

387 (12—54:8859). ხ ე ლ ა დ ა რუხლეგად გამომწვარი თიხისა, პრიალა-ზედაპირიანი პირგადმოშლილი, მაღალყელიანი, სფერულმუცლიანი, მრგვალ-განივკვეთიანი, რომელიც ყელს მხართან აერთებს, შემკულია ბიბილოსებრი საცერულით. ყელსა და მხარს ირგვლივ შემოვლებული ხშირი ღარები (17)

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით ავტორს ფანქრით მიუწერია: გბ. III, X—IX (გვიანბრინჯაო III, ძვ. წ. X—IX სს. — რედ.).

ჭურჭლის ამ ნაწილს გოფრირებულის იერს აძლევს. ერთი ფართო და ღრმა ღარიც მუცლის უგანიერეს ნაწილს არტყია ირგვლივ.

სიმაღლე — 24,2; დმ პირის — 9,5; ყელის (უწვრილეს ნაწილში) — 4,9; ძირის — 17,0; ძირის — 7,3 სმ.

388 (12—54:8855). კ ა თ ხ ა შავლეგად გამომწვარი თიხისა, წელში გამოყვანილი ცილინდრის მოყვანილობისა, ცალყურა. იგი მრავალგანივკვეთიანია და შემკულია ბიბილოსებრი შვერილით (საცერულით). ტანი გოფრირებული აქვს.

სიმაღლე — 12,9; დმ პირის — 12,0; მუცლის (გამოყვანილ ნაწილში) — 11,0; ძირის — 6,9 სმ.

389 (12—54:8854). დ ე რ გ ი შავად გამომწვარი თიხისა, შავპრიალა, პირფართო, დაბალყელიანი, კვერცხისებრმუცლიანი. მხარ-მუცელი შუამდე ფართო ღრმა ღარებით არის შემკული, რაც გოფრირებულის შთაბეჭდილებას ტოვებს.

სიმაღლე — 25,3; დმ პირის — 18,7; მუცლის დმ — 25,5; ძირის დმ — 9.1 სმ.

390 (12—54:8860). ქ ი ლ ა შავად გამომწვარი თიხისა, შავპრიალა, პირგადმოშლილი, ყელმაღალი, კვერცხისებრმუცლიანი. ბრტყელი, ოთხკუთხგანივკვეთიანი წყვილი ყური აქვს. ყელის ძირსა და მხარს სამ-სამი მკრთალი ღარი ამკობს.

სიმაღლე ჭურჭლის — 24,3; ყელის —3,9; დმ პირის — 10,3; მუცლის— 22,1; ძირის — 7,9 სმ.

391 (12—54:8858). ქ ო თ ა ნ ი რუხ-ლეგად გამომწვარი თიხისა, ზედაპირხაოიანი, პირფართო, მაღალყელიანი, კვერცხისებრმუცლიანი, ცალყურა, რომელსაც აძერწია საცერული. მხარს ფრჩხილისეული ორნამენტის სარტყელი გადასდევს. მთელი ზედაპირი და ძირი ხშირი კონცენტრული (გონგისეული) ღარებით აქვს დაფარული. ძირის წიბოც დაკეჭნილია. კახური ტიპის ჭურჭელია.

სიმაღლე —20,1; დმ პირის — 13,9; მუცლის დმ — 20,0; ძირის დმ — 7,3 სმ.

392 (12—54:8861). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, თოქმა, მსხვილღეროიანი, მსხვილსფეროთავიანი, ყელდაღარული. წვრილ ღართა შორისი ნაწილი კასრისებურად არის გამოყვანილი. ფართონახვრეტიანი. წვერი ბლაგვი აქვს.

სიგრძე — 14,6; სფეროს დმ — 1,2; ნახვრეტის დმ — 0,4 სმ.

393 (12—54:8862). მ ძ ი ვ ე ბ ი ვარდისფერი სარდიონისა, მოზრდილი, შინდისკურკის მოყვანილობისა (16); წვრილი, მომრგვალებული, აგრეთვე დაბალცილინდრული. სულ 34 ც.

უდიდესი სიგრძე — 1,8; დმ — 0,9 სმ.

394 (12—54:8862). მ ძ ი ვ ი მწვანე მინისა, მრგვალი, მანდარინისებრი. დიამეტრი — 0,6 სმ.

**ორმოსამარხი 84 (1038, S; სურ. 284)** აღმოჩნდა 25-ე თხრილში. სამარხს გარშემო ეწყო რიყის ქვები და, როგორც ჩანს, გადახურული იყო ქვიშაქვის ფილაქვებით, რომლებიც გათხრის მომენტში ერთობ დეფორმირებული და დაშლილი იყო. სახურავის ჩაქცევას გამოუწვევია ჩონჩხის ძვალთა გადაადგილება, ერთ რიყის ქვას დაუჩეჩქვავს თავის ქალა. მიუხედავად ამისა, კარგად ჩანს, რომ მიცვალებული (დაახლ. საშუალო სიმაღლის დედაკაცი) იწვა მარცხენა გვერდზე თავით აღმოსავლეთით მიქცეული, თავისუფლად მოხრილი ხელფეხით. ხელები, როგორც ჩანს, სახის წინ ჰქონია დაწყობილი*. მიცვალებულთან აღმოჩენილი იყო შემდეგი ინვენტარი:

395 (12—54:8880). ჯ ა მ ი შავად გამომწვარი თიხისა, მომაღლო ნაპირიანი, რომლის გარშემო ღარები არტყია. წარმოდგენილია ნატეხების სახით, რის გამოც დაწვრილებით აღწერა ვერ ხერხდება.

396 (12—54:8881; სურ. 237, 238). კ ა თ ხ ა რუხფრად გამომწვარი, თიხისა, კასრისებრმუცლიანი. პირის გარშემო ღარი არტყია. ერთი, ოთხკუთხაგანივკვეთიანი ბრტყელი ყური აბია, რომელზედაც პაწია ბიბილოსებრი საცერულია დაძერწილი.

სიმაღლე — 12,1; დმ პირის — 11,9; მუცლის დმ — 12,5; ძირის დმ — 10,0 სმ.

397 (12—54:8882; სურ. 235; 236). ქ ი ლ ა მოწითალო-ვარდისფრად გამომწვარი თიხისა, პრიალაზედაპირიანი, პირფართო და ოდნავ გადმოშლილი, ყელდაბალი; მხრებგანიერი, კვერცხისებრმუცლიანი. ყელზე სამი, ყელის ძირზე ერთი ღრმა ღარი გადაკვდევს, ხოლო მხარ-მუცლის საზღვარზე სამი მკრთალი კონცენტრული ღარია ამოკაწრული.

სიმაღლე ჰურჭლის — 20,5; ყელის — 2,0; დმ პირის — 16,7; მუცლის — 25,1; ძირის — 9,1 სმ.

398 (12—54:8883; სურ. 239, 240). კ ო ჰ ო ბ ი შავად გამომწვარი თიხისა, შავპრიალა (გადასულია), ყელმაღალი, ელიფსურმუცლიანი, ქუსლგამოყოფილი.

სიმაღლე ჰურჭლის — 8,0; ყელის — 1,7; დმ პირის — 6,6; მუცლის—10; ძირის — 4,6 სმ.

399 (12—54:8884; სურ. 241, 242). კ ა თ ხ ა-ს ა ს მ ი ს ი ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, პრიალა ზედაპირიანი, კასრისებრმუცლიანი. პირს გარედან

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით ავტორს ფანქრით მიუწერია: გბ III, / X—IX (გვიანბრინჯაო III, ძვ. წ. X—IX სს. — რედ.).

წყვილი ღარი არტყია. ოთხკუთხაგანივკვეთიანი ბრტყელ ყურს ბიბილოსებრი საცერული აქვს დაძერწილი.

სიმაღლე — 10,8; დმ პირის — 10,8; მუცლის დმ —11,5; ძირის დმ — 8,8 სმ.

**400** (12—54:8885; სურ. 243, 244). საკინძი ბრინჯაოსი, სფერული, დაკეჭნილთავიანი, ყელდაღარული, ოვალურნახვრეტიანი. სამადაა გატეხილი.

სიგრძე — 12,7; სფეროს დმ — 0,9 სმ.

**401** (12—54:8886; სურ. 247, 248). ნემსის ნატეხები ბრინჯაოსი, 2 ფრაგმენტი.

**402** (12—54:8887; სურ. 245, 246). ანატკეცები ობსიდიანისა, დაუმუშავებელი — 4 ცალი.

**ორმოსამარხი 85 (1938, S; სურ. 249)**

აღმოჩნდა 26-ე თხრილში 0,90 სმ სიღრმეზე. გამთხრელის დაკვირვებით ეს ერთი სამარხი სამი ადამიანისათვის იყო განკუთვნილი. მართლაც, პირველი ჩონჩხი იწვა მარჯვენა გვერდზე (ალბათ ქალისა), თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიქცეული მკვეთრად მოხრილი კიდურებით. ხელები სახის წინ ეწყო. ინდივიდი შედარებით ახალგაზრდა ჩანს. ამის ფერხთით მეორე ჩონჩხია, იგივე ორიენტაციით, ოღონდ მარჯვენა გვერდზე მწოლარე (ალბათ მამაკაცისა), თავისუფლად ფეხებმოხრილი. ხელები ამასაც სახის წინ ეწყო. ქვედა კიდურების ძვლები რამდენადმე გადაადგილებული იყო. აღსანიშნავია, რომ ამ, მეორე, ჩონჩხის სამხრეთით, მის ფეხებთან სხვა (მესამის) ძვლის ნაშთებია: თავის ქალა და ხელის ძვალთა ნაწილი იყო. როგორც ჩანს, ამ ჩონჩხის დიდი ნაწილი და პირველი ორი ჩონჩხის თანმხლები ინვენტარის ძირითადი ნაწილი მსხვერპლად შესწირვია აქ შემდგომ ხანაში გამართული სამარხების მოწყობას. აქ მოკრებილი ინვენტარი შედგებოდა შემდეგი ნივთებისაგან*:

**403** (12—54:8888; სურ. 250, 251). ქილა (ფორმით გოზაურისა ჰგავს, მაგრამ ყური არა აქვს) შავად გამომწვარი თიხისა, მაღალი, ცილინდრული ყელი ჰქონია, მაგრამ პირის მოტეხილობის გამო, არ ჩანს როგორ მთავრდებოდა. მხრების სიგანივრე და ძირის ჩავიწროებულობა ჭურჭელს კვერცხისებრ მოყვანილობას აძლევს. ყელის ძირზე გადასდევს ოთხი ღრმა და წყვილი მკრთალი ღარი, მხარ-მუცლის საზღვარზე კი — წყვილი ღრმა ღარი. ყელს ჩამოსდევს წნევით ნაპრიალები ხაზები, ხოლო ყელის ძირისა და მხრის ღართა სისტემებს შორის ზედაპირი დაფარულია ასევე ნაპრიალები ზოლების ბადურით.

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით ავტორს ფანქრით მიუწერია: გბ III, XI—X — (ცვიანბრინჯაო III, ძვ. წ. XI—X სს. — რედ.).

სიმაღლე (შემონახული ნაწილისა) — 26,5; დმ მუცლის — 27,1; ძირის— 10,0 სმ.

**404** (12—54:8889; სურ. 252, 253). ს ა მ ა ჯ უ რ ი ბრინჯაოს ოვალურგანივკვეთიანი მავთულისა, პირგახსნილი, თავებგაწვრილებული; ზურგდაკეჭნილი ყოფილა.

დიამეტრი — 6,9; სიმსხო — 0,4 სმ.

**405** (12—54:8890; სურ. 254, 255). მ ძ ი ვ ე ბ ი ზოგი ღია, ზოგიც მუქი მოწითალო სარდიონისა, ზოგი დაბალცილინდრული, ძირითადად მრგვალი, მანდარინისებრი, დიდ-პატარა — 46 ცალი.

**406** (12—54:8891; სურ. 256, 257). მ ძ ი ვ ე ბ ი ღიამოწითალო-მოყავისფრო სარდიონისა, მოგრძო, ბრტყელი, ექვსწახნაგა, ოსტატურად გახეხილ-გაპრიალებული, 3 ცალი. ერთ მათგანს ორთავ მხარეზე სიგრძივი მკრთალი ღარები აქვს.

უდიდესი სიგრძე — 1,9; სიგანე — 1,5; სისქე — 0,8 სმ.

**407** (12—54:8892). მ ძ ი ვ ი მუქი მოყავისფრო ქვისა (სარდიონი?), პაწია მილაკისებრი.

სიგრძე — 0,4; 0,4 სმ.

**408** (12—54:8893; 8894; სურ. 258, 259). ა ნ ა მ ტ ვ რ ე ვ ე ბ ი ობსიდიანისა, ამორფული — 2 ცალი.

**ორმოსამარხი 45 (1938, S)**

აღმოჩნდა 25-ე თხრილში, ბავშვის ურნის (40-ე სამარხი ანტიკური ხანისა) ქვეშ, 1,20 მ სიღრმეზე; მოზრდილი ინდივიდის მკვეთრად მოხრილი ჩონჩხი იწვა მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ მიქცეული*.

**409** (12—54:8911). ა ნ ა ტ კ ე ც ი კვამლა ობსიდიანისა, პატარა, კარგად გაირჩევა დარტყმის მოედანი და ნიჟარისებრი ამონატკეცი (მუცლის მხარზე). თითქოს ხმარების კვალიც ეტყობა.

**ორმოსამარხი 46-ე (1938, S)**

აღმოჩენილი იყო 25-ე თხრილში. სამწუხაროდ, იგი დანგრეული იყო. სამარხის თავზე ერთი ვერტიკალურად დაყენებული ფილაქვა ჩანდა. მის ქვეშ და გარშემო ერთი მოზრდილი ინდივიდის არეული და უწესრიგოდ გადაადგილებული ძვლები ეყარა, ისევე უწესრიგოდ იყო მიმოფანტული შავი თიხის ჭურჭლის ცალკეული ფრაგმენტები და ბრინჯაოს საკინძის სამი ნატეხი.

---

* სამარხის აღწერილობის გვერდზე ავტორის ფანქრით მიუწერია: X—IX (?) (ძვ. წ. X—IX სს. — რედ.).

ამ დანგრეული სამარხიდან ამოღებული თავის ქალა (სავ. წიგნ. 467) შესწავლილია (ინდექსი 72, 59), მაგრამ სქესი გაურკვეველი დარჩა*.

**410** (12—54:8912). ძირ-გვერდის ფრაგმენტები შავად გამომწვარი თიხის ჰურჰლისა — 2 ცალი.

**411** (12—54:8913). ფრაგმენტ შავად გამომწვარი, ოდნავ ქუსლგამოყოფილი თიხის ჰურჰლისა, რომელსაც ყელის ძირსა და მხარზე სამ-სამი წვრილად ამოკაწრული ღარი გადასდევს — 11 ცალი.

**412** (12—54:8914). ფრაგმენტები შავად გამომწვარი თიხის ჰურჰლისა, რომელსაც მუცელზე სამი ღარი გადასდევს — 15 ცალი.

**413** (12—54:8915). ფრაგმენტები მონაცრისფროდ გამომწვარი თიხის ჰურჰლისა (ლ ა ნ გ ა რ ი ყოფილა) — 3 ცალი.

**414** (12—54:8916). ფრაგმენტები შავად გამომწვარი თიხის ჰურჰლისა (მოზრდილი ქილა ჩანს), რომელსაც მუცელზე სამი ღარი რტყმევია — 7 ცალი.

**415** (12—54:8917). ფრაგმენტები გარედან ლეგად, შიგნით აგურისფრად გამომწვარი თიხის ჰურჰლისა. პატარა კოჰობი ჩანს, ზედაპირხაოიანი. 19 ნატეხი.

**416** (12—54:8918). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, სფეროულთავიანი, რომელიც დაკეჰნილია და ყელდაღარული განივად; ოვალურნახვრეტიანი. წვერწატეხილი. 3 ნატეხია.

სიგრძე — 9,1; სფეროს დმ — 0,9 სმ.

**ორმოსამარხი 65 (1938, №; სურ. 339)** ალმოჩენილი იყო ფართობზე, 1,50 მ სიღრმეზე, 62-ე ქვისამარხის სამხრეთით, თითქმის მის ქვეშ. შიგ აღმოჩნდა ერთი მიცვალებულის ჩონჩხი, რომელიც უმთავრესად ზემოხსენებული სამარხის ქვეშ იყო და ერთიანად დაზიანებულიყო, ისე, რომ პოზის გარკვევა ვეღარ მოხერხდა, ვერც დამხრობისა. ინვენტარი კი სადიაცო იყო. იგი შეიცავდა შემდეგს*:

**417** (12—54:12). მ ა ხ ა თ ი ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი მავთულისა. თავი გაბრტყელებულია და ზედ მრგვალი ნახვრეტი აქვს, ბოლო წაწვეტებულია და გაღუნული.

სიგრძე — 12,2 სმ.

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით ავტორს ფანქრით მიუწერია: X—IX (?) (ძვ. წ. X—IX სს. — რედ.).

* სამარხის აღწერილობის გვერდით ავტორს ფანქრით მიუწერია: არ. I, X—IX. (აღრეკვანა I, ძვ. წ. X—IX სს. — რედ).

418 (12—54:13). საკინძი ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი მავთულისა. აქვს სწორი, ურთიერთგადამკვეთი ამოღარული ხაზებით შემკული თავი. თავს ქვემოთ (1,5 სმ) მრგვალი ნახვრეტი და წყვილი ამოღარული კონცენტრული ხაზი.

სიგრძე — 14,6 სმ.

419 (12—54:14). საკინძი ისეთივე, როგორიც № 13, ოღონდ ამას თავი ფხური სახეებით აქვს შემკული. ღერო ნახვრეტთან გაბრტყელებულია და ნახვრეტს ქვემოთაც 1 სმ-ზე ფხური სახეებითაა შემკული.

სიგრძე — 11 სმ.

420 (12—54:15). ჩქიფი ბრინჯაოს ბრტყელი ფირფიტისა. ერთი—შუაზე ვიწრო ბოლოებში გაფართოებული, ბრინჯაოს ფირფიტის მოღუნვითაა გაკეთებული. ბოლოები ოდნავ შიგნითაა გადუნული. ზედაპირზე შემკულია წერტილოვანი სახეების მწკრივებით.

სიგრძე — 5,2 სმ.

421 (12—54:16). მძივები სარდიონისა (7) შინდისებრი და მანდარინისებრი მოყვანილობისა; ცისფერი პასტისა (8) ოდნავ მოგრძო გვერდებდაღარული; თეთრი პასტისა (15) გრძელი ცილინდრული მოყვანილობისა.

422 (12—54:17). ქოთანი მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, აქვს სწორბაკოიანი ფართო პირი; ზედა მხარეს გოფრირებული, შუაზე ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი, ბრტყელი ძირი და პირიდან გამომდინარე მუცელზე დაძერწილი მრგვალგანივკვეთიანი ყური.

სიმაღლე — 14; დმ პირის — 9; მუცლის — 16; ძირის — 6 სმ.

423 (12—54:18). ქოთნის ნატეხები მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. აქვს ოდნავ გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი პირი, დაბალი ღარისებრი ყელი და ბრტყელი ძირი. ყელის ძირთან წყვილი ღრმა და ფართო ამოღარული სარტყლითაა შემკული.

პირის დმ —9,7; ძირის — 7 სმ.

**ორმოსამარხი 88 (1088, N)**

აღმოჩნდა VI თხრილის ცენტრალურ ნაწილში, 1,90 მ სიღრმეზე ღორღიან ფენაში, ეჭირა 1,48×1,30 მ ფართობი. ესვენა ორი ჩონჩხი დიდ-პატარა ადამიანისა. დიდისა ძალიან დაზიანებული იყო, მაგრამ ქვედა კიდურების განლაგების მიხედვით კარგად ჩანდა, რომ ცხედარი (წელსზედა ნაწილი ძალიან დაზიანებულიყო) მარცხენა გვერდზე წოლილა თავით აღმოსავლეთისაკენ მიქცეული და თავისუფლად ფეხებმოხრილი. შედარებით კარგად დაცული ბავშვის ჩონჩხი (ალბათ, ბიჭისა იყო) მარჯვენა გვერდზე იწვა, ასევე მოკუნტულად და აღმოსავლეთით დამხრობილი. ისე ჩანდა, თითქოს დიდს

გულში ჩაკრული უნდა ჰყოლოდა პატარა (დედა-შვილი?). მიცვალებულთ ახლ-და წვრილფეხა საქონლის ძვლები და შემდეგი ინვენტარი*:

424 (12—54:2018; სურ. 340). დ ო ქ ი ცალყურა, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი პირი; დაბალი ყელი: დამრეცი მხრები, ზედამხარეს ფართო, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. პირიდან გამომდინარე სწორკუთხა განივკვეთიანი ყური მხარზეა შეერთებული, ყელი გოფრირებულია, მხრებზე ყურის შეერთების გასწვრივ სამი ამოღარული სარტყელი აქვს.

სიმაღლე — 28; დმ პირის — 10; მუცლის — 26 სმ.

425 (12—54:2019; სურ. 341). ჯ ა მ ი მოყავისფროდ გამომწვარი, ფართო მრგვალბაკოიანი პირი; გოფრირებული ყელი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული ტანი და ბრტყელი ძირი აქვს. ყელზე ერთ ადგილას დატანებულია გადასაწური ტუჩიანი მრგვალი ნახვრეტი.

სიმაღლე — 9,5; დმ პირის — 27,5; ძირის — 9,0 სმ.

426 (12—54:2020; სურ. 342). ჰ ი ჰ ლ ა შავად გამომწვარი, ვიწრო მომრგვალებულბაკოიანი პირი, დაბალი ყელი, დამრეცი მხრები, ძირისკენ შევიწროებული, ქვევრისებრი მოყვანილობის ტანი და ბრტყელი ძირი აქვს. ყელზე წვრლი რელიეფური სარტყელი ძირის ირგვლივ ამოღარული კონცენტრული ხაზი ამკობს.

სიმაღლე — 11; დმ პირის — 5; მუცლის — 8; ძირის — 4 სმ.

427 (12—54:2021; სურ. 343). ქ ი ლ ა ორყურა, მოშავო-მოწაბლისფროდ გამომწვარი, ოდნავ გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი ფართო პირი; ძალიან დაბალი ღარისებრი ყელი; დამრეცი მხრები ზედა მხარე ფართო, ძირისკენ შევიწროებული მუცელი და ბრტყელი, ოდნავ გამობერილი ძირი აქვს. ოვალურგანივკვეთიანი ბრტყელი ყურები მუცლის ზედა ნაწილზე აქვს შეერთებული. მხრებზე წყვილი ამოღარული სარტყელი ამკობს.

სიმაღლე — 20,5; დმ პირის — 16; მუცლის — 25; ძირის —8,5 სმ.

428 (12—54:2022). ქ ო თ ა ნ ი ცალყურა, მოყავისფროდ გამომწვარი, ოდნავ გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი ფართო პირი, დაბალი ყელი, დამრეცი მხრები, ზედამხარეს ფართო, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული ფართო მუცელი და ბრტყელი ძირი. ბრტყელი ოვალურგანივკვეთიანი, ზედა მხარეს რელიეფურდანაძერწიანი ყური მუცელზეა მიძერწილი. ყელის ძირთან შემოყვება ფრჩხილისეული სახეების სარტყელი, ძირის ირგვლივ ვიწრო, ირიბად ნაკეჰნი ხაზები. ქოთნის მთელი კორპუსი დაფარულია ამოღარული კონცენტრული ხაზებით.

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით ავტორს ფანქრით მიუწერია: არ. I, X—IX (ადრერკინა I, ძვ. წ. X—IX სს. — რედ.).

სიმაღლე — 16; ღმ პირის — 15; მუცლის —21; ძირის — 10 სმ.

429 (12—54:2023). მახათი ბრინჯაოს წვრილი მავთულისა, ყუნწთან გაბრტყელებულია და გახვრეტილი ყუნწი დაზიანებულია.

სიგრძე — 13,5 სმ.

430 (12—54:2024). სამაჯური ბრინჯაოს ნახევარსფერულ განივკვეთიანი, თავები გახსნილი და ერთიმეორეზე გადატანილი აქვთ.

დიამეტრი — 4,5; რკალის სიმსხო — 6 მმ.

431 (12—54:2025, 2026). სამაჯურები ბრინჯაოსი (2) წვრილი მრგვალგანივკვეთიანი მავთულისა, თავები გახსნილი აქვთ და ერთს თავი თავზე აქვს გადადებული, მეორეს—ოდნავ დაცილებული ზურგები ჰდეული სახეებით დაფარული.

დიამეტრი — 7 სმ.

432 (12—54:2027). საკინძის ნატეხი რკინისა ბრინჯაოს თავით. თავი კონუსური მოყვანილობისაა, დაღარულია სიგრძეზე, ღერო მრგვალგანივკვეთიანია. დაჟანგულია ძალიან.

433 (12—54:2028). მძივი გიშრისა, მოგრძო ორი მოპირდაპირე გვერდი სწორკუთხა მოყვანილობისა, ორი კი დაწახნაგებული.

434 (12—54:2029; სურ. 346). მძივები სარდიონისა (14), მოწითალომოვარდისფრო, მათში გამოირჩევა, ცილინდრული ზარისებრი, ბიკონუსური გვერდებდაწახნაგებული, ბიკონუსური, ნავისებრი, შინდისებრი ცალ მხარეს განივად გახვრეტილი, ბრტყელი და მანდარინისებრი მოყვანილობისა.

435 (12—54:2030; სურ. 344). მძივები პასტისა (13), ცისფერი პასტისა (5), ერთი რომბისებრი ზედაპირდაღარული ბადისებრად; კასრისებრი (2), გვერდებდაღარული და მოგრძო მრგვალი (2), თეთრი პასტისა კასრისებრი (6), მანდარინისებრი (2).

436 (12—54:2031; სურ. 345). ნიჟარა კაურები 15 ც.

**ორმოსამარხი 109 (1939, N; სურ. 260)**

გაიწმინდა VI ფართობის ცენტრალურ ნაწილში, 2,0 მ სიღრმეზე. სამარხი, რომელსაც 1,80 მ ფართობი ეჭირა, გარშემოზღუდული იყო ერთი წყება რიყის ქვებით. სამარხში იწვა ზრდასრული ადამიანის ჩონჩხი (ქალისა) მარცხენა გვერდზე, თავისუფლად ფეხებმოხრილი, თავით SOO-კენ მიქცეული. მარჯვენა იდაყვის ძვლების მიხედვით ჩანს, რომ ხელები სახის წინ ჰქონია დაწყობილი. მიცვალებულს ჰხლებია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ძვლები და შემდეგი ინვენტარი*:

437 (12—54:2267; სურ. 261). ხელადა ცალყურა, მონაცრისფროდ გამომწვარი, აქვს ფართო, ოდნავ გადაშლილი მრგვალბაკოიანი პირი, მაღალი

* სამარხის აღწერილობის გვერდით ავტორს ფანქრით მიუწერია: არ I, X—IX—(ადრერკინა I, ძვ. წ. X—IX სს. — რედ.).

გამოყვანილი ყელი, დამრეცი მხრები, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული მრგვალი მუცელი, ბრტყელი ძირი და ყელზე და მხარზე მიძერწილი სწორკუთხა განივკვეთიანი ბრტყელი ყური ზედა მხარეს უნაგირისებრი დანაძერწით. ყელი დაფარულია ამოკაწრული კონცენტრული ხაზებით, მუცელზე შემკულია სამი ასიმეტრიული ამოღარული კონცენტრული ხაზით.

სიმაღლე — 25; დმ პირის — 10,5; ძირის — 9,8 სმ.

**438** (12—54:2268). ქ ი ლ ა მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, აქვს ოდნავ გადაშლილი მრგვალბაკოიანი პირი, დაბალი ჩაღარული ყელი, ბირთვისებრი მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ბრტყელი ძირი. ყელზე ორ მოპირდაპირე მხარეს აქვს პატარა მრგვალი ზონარგასაყრელი ნახვრეტი. ყელის ძირთან წყვილი პარალელური ამოღარული კონცენტრული ხაზი და მათ შორის ირიბი ნაჭდევი სახეები ამკობს, მუცელზე კი წყვილი სწორი და მათ შორის ერთი ამოღარული ტალღური კონცენტრული ხაზი.

სიმაღლე — 19; დმ პირის — 11; ძირის — 7,5 სმ.

**439** (12—54:2269). დ ე რ გ ი ორყურა, ნაცრისფრად გამომწვარი, აქვს ვიწრო ოდნავ გადაშლილი მრგვალბაკოიანი პირი, დაბალი ყელი, დამრეცი მხრები, კვერცხისებრი მუცელი, ბრტყელი ძირი და მუცელზე ორ მოპირდაპირე მხარეს მიძერწილი ოვალურგანივკვეთიანი ბრტყელი ყური. მხრებზე შემკულია სამი ამოღარული კონცენტრული ხაზით.

სიმაღლე — 31; დმ პირის — 11; ძირის — 9,5 სმ.

**440** (12—54:2270). დ ე რ გ ი მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, ორყურა, ფართო პირი, მსხვილი მრგვალი ბაკო, დაბალი, თითქმის ჩაღარული ყელი, დამრეცი მხრები; ზედა მხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი, პატარა, ოდნავ გამოყოფილი ბრტყელი ძირი და მუცელზე ორ მოპირდაპირე მხარეს მიძერწილი ოვალურგანივკვეთიანი ბრტყელი პატარა ყური აქვს. ყელის ძირთან წვრილი ამოღარული ხაზითა და მათ შორის ირიბად ნაკეჭნი სარტყლით არის შემკული, მუცელზე კი მხრების ძირთან ერთი და მუცლის შუაზე სამი ამოღარული კონცენტრული ხაზითა და მათ შორის ამოღარული ხაზებით შექმნილი შევრონებით, ყურებს შორის ორ მოპირდაპირე მხარეს თითო დაბალი შვერილი ამკობს.

სიმაღლე — 32,5; დმ პირის — 20; ძირის — 12 სმ.

**441** (12—54:2271). ხ ე ლ ა დ ა ცალყურა მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. ფართო მორგვალებულბაკოიანი პირი, ძაბრისებრი ყელი, დამრეცი მხრები, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული ფართო მუცელი და ბრტყელი ძირი. სწორკუთხა განიკვეთიანი ბრტყელი ყური შეერთებულია ყელზე და მხარზე. ზედა მხარეს აქვს ბრტყელი დანაძერწი, ყელის ძირში და მუცელზე შემკულია სამ-სამი ამოღარული ასიმეტრიული კონცენტრული ხაზით.

სიმაღლე — 24; დმ პირის — 10; ძირის — 11,8 სმ.

**442** (12—54:2272). დ ე რ გ ი ორყურა, ნაცრისფრად გამომწვარი, აქვს ოდნავ გადაშლილი პირი, ქობიანი ბაკო, დაბალი ვიწრო ყელი, დამრეცი მხრები, ფართო ძირის მახლობლად მკვეთრად შევიწროებული მუცელი, ბრტყელი ძირი და მუცელზე ორ მოპირდაპირე მხარეს მიძერწილი სწორკუთხა განივკვეთიანი ბრტყელი, შუაზე ოდნავ ჩაღრმავებული ყური. ყელის ძირთან და მხარზე დაუდევრად ამოღარული სამ-სამი, ზოგ ადგილას ოთხ-ოთხი კონცენტრული ხაზითაა შემკული.

სიმაღლე — 38; დმ პირის — 12; ძირის — 10,5 სმ.

**443** (12—54:2272-$_1$). ლ ა ნ გ ა რ ი. არ არის.

**444** (1254:2273). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი თავი წარმოადგენს ორ განშტოებული ფრინველის გამოსახულებას. ყელი დაღარულია და ყელის ძირთან ოვალური ნახვრეტი აქვს.

სიგრძე — 14,5 სმ.

**445** (12—54:2273-$_1$). ს ა დ გ ი ს ი (?) ბრინჯაოსი, მოგრძო მსხვილი, სიგრძეზე დაღარული თავით ზედ მრგვალი ნახვრეტი აქვს. წვერი თანდათანობითაა გაწვრილებული (წვერი დამტვრეულია).

**446** (12—54:2273-$_2$). მ ძ ი ვ ე ბი სარდიონისა (38) მუქი წითელი, მანდარინისებრი მოყვანილობისა. პასტისა, მოგრძო (1), ცილინდრული მოყვანილობისა, ცისფერი, თავსა და ბოლოში ამოღარული კონცენტრული და მათ შორის ირიბი სიგრძივი ღარებით შემკული.

**ორმოსამარხი 42 (1939, N; სურ. 262, 263)**

აღმოჩენილი იყო VI თხრილში, 1,40 მ სიღრმეზე. ეჭირა 1,14 (საა-ჩდდ) × 1,30 (სდდ-ჩაა) მეტრი ფართობი. შიგ აღმოჩნდა მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილად მწოლარე ჩონჩხი; ხელები სახის წინ უნდა სჭეროდა. მაღალი ინდივიდი ყოფილა (ბარძაყის ძვლის სიგრძე — 0,45 მ). მიცვალებულს ხლებია ცხვრის თავრიელი და შემდეგი ინვენტარი*:

**447** (12—54:1405; სურ. 264, 274). დ ო ქ ი შავად გამომწვარი თიხისა, შავპრიალა, პირგადაშლილი, ყელმომაღლო, ცალყურა, მხრებგანიერი, ოდნავ ქუსლგამოყოფილი. ყელ-მხარის შემაერთებელ მრგვალგანივკვეთიან ყურზე ზიზილოსებრი ლილვაკია გამოყვანილი საცერულად. პირის გარშემო გარედან ერთი, ხოლო ყელის ძირში სამი მკრთალი ღარი არტყია. მხარზე ირგვლივ ამოკაწრულია 11 სამკუთხედი. რომელთა კუთხეები დაშტრიხულია.

სიმაღლე — 26,5; დმ პირის — 10,0; მუცლის — 25,0;

ქუსლის — 9,6 სმ; კეცის საშ. სისქე — 0,5 სმ.

**448** (12—54:1406; სურ. 265, 272). კ ა თ ხ ა-ს ა ს მ ი ს ი შავად გამომ-

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით ავტორს ფანქრით მიუწერია: არ I, IX (ადრერკინა I, ძვ. წ. IX ს. — რედ.).

წვარი თიხისა, შავპრიალა, ცალთავგაფართოებული კასრის მოყვანილობისაა. პირის გარშემო სამი ღრმა ღარი არტყია.

სიმაღლე — 8,7; დმ პირის — 10; ძირის — 7,0 სმ.

449 (12—54:1407; სურ. 267). ქ ო თ ა ნ ი, ცალყურა, შავად გამომწვარი თიხისა. შავპრიალა. პეწიანი, პირმაღალი, ბრტყელგანიერი, კვერცხისებრტანიანი; ყურზე ლილვისებრი საკეროულია.

სიმაღლე ჭურჭლის — 16,5; პირის — 2,2; დმ პირის — 9,0; პირს გარშემო გარედან სამი ღარი გადასდევს.

450 (12—54:1408; სურ. 271). ფ რ ა გ მ ე ნ ტ ე ბ ი შავად გამომწვარი თიხის ქ ი ლ ი ს ა. ყურიანი.

451 (12—54:1409; სურ. 266, 273). დ ო ქ ი შავად გამომწვარი თიხისა, შავპრიალაზედაპირიანი, რომელსაც პეწი ახლაც შერჩენია და სასიამოდ ბრწყინავს. ოდნავ პირგადაშლილია, საშუალო სიმაღლის ყელი, დამრეცი მხრები, კვერცხისებრი ტანი და ოდნავ გამოყოფილი ქუსლი აქვს. პირსა და ყელის ძირს წყვილ-წყვილი კონცენტრული ღარი არტყია. მათ წვეროებით ებჯინება რომბულად დაშტრიხული 9 სამკუთხედი, რომლებიც ეყრდნობიან დაკეჩნილი ზედაპირისა და წყვილი ღარისგან შემდგარ სარტყელს. ყურს ლილვაკისებრი საკეროული ამკობს. პრიალა ვერტიკალური კლაკნილი ხაზები მუცლის ქვედა ნაწილს აჭკობს.

სიმაღლე ჭურჭლის — 22,0; ყელის — 5,0; დმ პირის — 9,0; მუცლის— 20,0; ძირის — 7,5 სმ.

452 (12—54:1410; სურ. 280). რ ვ ო ლ ი ბრინჯაოსი, მასიური, პირიპირზე შესული. მრგვალგანივკვეთიანი ღეროა; უსწოროდ თავწაკვეთილი თავების გამოსაჩენ მხარეზე ამოკაწრულია წერტილოვანი ხაზებით შეკულ სამკუთხედთა სამი წყება, რომლებიც ერთმანეთისაგან სამ-სამი ნაკაწრი ხაზით არის გამოყოფილი. უდ. დმ — 12,5; დმ — 8,2; სიმსხო — 2,2 სმ.

453 (12—54:1411; სურ. 278). რ ვ ო ლ ი ბრინჯაოსი. წინამავალის ასლი.

454 (12—54:1412; სურ. 277). რ ვ ო ლ ი ბრინჯაოსი. პირიპირზე შესული მსხვილი ღეროა, რომელსაც ცალი თავის გამოსაჩენ მხარეზე გამოსახულია პუნქტირით შევსებული სამკუთხედების წყება. სამკუთხედები ერთიმეორისაგან სამ-სამი განივად ნაკაწრი ხაზებით არის გამოყოფილი.

უდ. დმ — 11,3; შიდა დმ — 8,5; სიმსხო — 1,5 სმ.

455 (12—54:1413; სურ. 279). ზემოაღწერილის მსგავსია.

456 (12—54:1414; სურ. 268). ს ა კ ი ნ ძ ე ბ ი ს ფრაგმენტები ბრინჯაოსი (ორისა მაინც), ჩვეულებრივი სწორმრგვალი ღეროა, ნახვრეტს ზემოთ თევზიფხურად დაკაწრული. სამი ნატეხია.

457 (12—54:1415; სურ. 281). ს ა მ ა ჯ უ რ ი ს ფრაგმენტები. ღეროს ზურგი განივად ღრმად დაკეჩნილი ყოფილა. სიმსხო 0,3 სმ.

**458** (12—54:1416). ფრაგმენტები ბრინჯაოს მოგრძო ღარისებრი ფირფიტისა

**459** (სავ. წ. 936, 1939, N; სურ. 269, 276). ნ ე მ ს ი ბრინჯაოსი, წვერწატეხილი.

სიგრძე — 5 სმ.

**460** (12—54:1417; სურ. 270, 275). მ ძ ი ვ ე ბ ი ვარდისა და სისხლისფერი სარდიონისა. წვრილი, მანდარინისებრი (13), აგრეთვე ცისფერი პასტისა სხვადასხვა ფორმისა (72).

უდ. სიმაღლე — 0,3; დმ — 0,4; უმ. სიმაღლე — 0,4; დმ—0,5 სმ.

**ორმოსამარხი 52 (1939, N; სურ. 282);** VI თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში, 1,50 მ სიღრმეზე იყო ნაპოვნი. ეჭირა 1,65×1,25 მ ფართობი. შიგ საკმაოდ ტანმაღალი ქალის ჩონჩხი ესვენა, ოთხ სიპ ქვას შორის, მარცხენა გვერდზე, თავით O-კენ მიმართული, მენჯში თავისუფლად ფეხებმოხრილი, მაგრამ მუხლებში მკვეთრად წვივშემორკალული. ახლდა 7 თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს საკინძი და სარდიონის წვრილი მძივები*.

**461** (12—54:1587; სურ. 291). კ ო ჭ ო ბ ი მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, ოდნავ გადაშლილი სწორბაკოიანი პირი, ძალიან დაბალი ყელი, დამრეცი მხრები; ზედა მხარეს ფართო, ძირისკენ შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. მუცელზე მიძერწილი აქვს შვერილი, რომლის მცირე ნაწილია შერჩენილი. ყელის ძირთან და ძირის ირგვლივ შემკულია ფრჩხილისეული სახეებით. ემჩნევა ჩარხისმიერი ხაზები. ოდნავ დეფორმირებულია.

სიმაღლე — 8,2; დმ პირის — 6,7; მუცლის — 3,2 სმ.

**462** (12—54:1588; სურ. 284, 292). კ ო ჭ ო ბ ი (?) მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, სწორბაკოიანი პირი; დაბალი ყელი; გადგმული მხრები; ზედამხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. მხარზე ორ მოპირდაპირე მხარეს აქვს თითო ბრტყელი ზონარგასაყრელ ნახვრეტიანი შვერილი (ერთი ნაკლულია), მხრის ძირთან შემკულია ამოღარული სარტყლითა და ფართო ნაჭდევი წერტილების მწკრივით; ყელი და მხრები ამოღარულ სარტყლამდე სიგრძეზე დაშვებული პარალელური პრიალა ხაზებითაა დაფარული.

სიმაღლე — 7,5; დმ პირის — 4,6; მუცლის — 8,1; ძირის — 3,8 სმ.

**463** (12—54:1589). კ ო თ ხ ო მოშავოდ გამომწვარი. ფართო გადაშლილი სწორბაკოიანი პირი; წელში გამოყვანილი წიბოიანი ტანით; დაბალქუსლიანი პატარა ოდნავ შედრეკილი ძირი; მრგვალგანივკვეთიანი ყური წელზე და წიბოს-

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით ავტორს ფანქრით მიუწერია: არ I, IX (ადრერკინა I, ძვ. წ. IX ს. რედ.).

თან აქვს შეერთებული. წიბოზე შემოუყვება ხუთი შვერილი, რომელთაგან ორისა — ნაშთია შემორჩენილი.

სიმაღლე — 10; დმ პირის — 9,4; ძირის — 4,3 სმ.

464 (12—54:1590; სურ. 288). ქ ო თ ა ნ ი ცალყურა მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, ფართო გადაშლილი პირი, ქობიანი ბაკო, ძალიან დაბალი ლარისებრი ყელი, დაშრეცი მხრები, ზედა მხარეს ფართო, ძირისკენ შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი ახასიათებს. ოვალურგანივკვეთიანი, ზედა მხარეს ცხოველური რქების სტილიზებულ გამოსახულებიანი ყური მხარზე და მუცელზეა შეერთებული. ყელის ძირთან და ძირის ირგვლივ შემოუყვება ფრჩხილისეული სახეები. ზედაპირხაოიანია. ემჩნევა ჩარხისმიერი ხაზები.

465 (12—54:1591). ჰურჭელი მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, სწორბაკოიანი, ოდნავ გადაშლილი პირი და ფართო მუცელი ჰქონია

466 (12—54:1592; სურ. 290). ქ ი ლ ა ორყურა, მონაცრისფროდ გამომწვარი. ვიწრო გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი პირი. დაბალი ყელი; კვერცხისებრი მოყვანილობის მუცელი და ბრტყელი ძირი. ოვალურგანივკვეთიანი ბრტყელი ყური მუცელზეა შეერთებული, მეორე ყური აკლია (რადგან მუცლის ის ნაწილი ნაკლულია, სადაც ყური უნდა ჰქონოდა). ყელის ძირში და მხრებზე წყვილ-წყვილი ამოღარულმ სარტყელი ამკობს.

სიმაღლე — 30,4; დმ პირის — 11,8; მუცლის — 25,2; ძირის — 9,7 სმ.

467 (12—54:1593; სურ. 289). დ ე რ გ ი ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, ყელ-პირი აკლია. ზედამხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. მხრის ძირთან სამი ამოღარული სარტყელი და მხრებზე ირიბი გადამკვეთი მსუბუქი ღარებითაა შემკული.

დმ მუცლის — 30; ძირის — 12,4 სმ.

468 (12—54:1594; სურ. 283). ჯ ა მ ი მოვარდისფროდ გამომწვარი, ფართო, ბრტყელი ბაკოიანი პირი, ლანგრისებრი მოყვანილობის ტანი და ბრტყელი ძირი აქვს.

469 (12—54:1595; სურ. 285). მ ძ ი ვ ე ბ ი სარდიონისა მოწითალო-მოვარდისფრო (25), მათგან სამი ხუთწახნაგაა, ერთი კასრისებრი მოყვანილობის, ერთი მანდარინისებრი, დანარჩენი დაბალცილინდრული.

470 (12—54:1596; სურ. 286). მ ძ ი ვ ი, წითელი პასტისა (1), დაბალცილინდრული.

471 (12—54:1597; სურ. 287). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი. სოკოსებრი მოყვანილობის, სიგრძეზე მკვეთრად დაღარული პარკეტული სახეებით შემკული

თავი, დაღარული ყელი. ყელის ძირთან გაბრტყელებულია და ზედ პატარა მრგვალი ნახვრეტი აქვს; ღერო მრგვლაგანივკვეთიანია.

სიგრძე — 9 სმ.

ორმოსამარხი 208 (1940, N)

472 (12—54:8775). ლ ა ნ გ ა რ ი მუქი ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, დიდი, ღრმა, შიდაპირნაპრიალები, მომრგვალებულბაკოიანი, დაბალნაპირიანი, ოდნავ ქუსლგამოყოფილი. შიდაპირზე, ფსკერიდან ნაპირამდე რადიალურად ამოუდის 7 პრიალა ზოლი. შეკოწიწებულია.

სიმაღლე ჭურჭლის — 11,5; ნაპირის — 3,3; ქუსლის — 0,5; დმ პირის — 11,5; ქუსლის — 12,3; უდ. სისქე — 0,8 სმ.

473 (12—54:8776). ჭ ი ჭ ლ ა შავად გამომწვარი თიხისა, ნაპრიალები (გადასულია), პაწია, კოხტა, ძაბრისებურყელიანი; მხრისა და ნაპირის შემაერთებელი მრგვალგანივკვეთიანი ყური, ბირთვისებრი მუცელი და ოდნავ შესამჩნევი გამოყოფილი მრუდე ძირი აქვს. ყელზე სამი ღარი, ხოლო მხარზე წყვილი ღარისა და მათ შორის მოთავსებული ირიბხაზოვანი სარტყლისგან შემდგარი სახეები ამკობს*.

სიმაღლე — 9,9; დმ პირის — 5,3; მუცლის — 9,5; ძირის — 4,1 სმ.

474 (12—54:8777). ხ ე ლ ა დ ა შავად გამოწვარი თიხისა, შავპრიალა, ფართოდ გადმოშლილი ძაბრისებრი ყელ-პირი, ბირთვისებრი (თითქმის ელიფსური) მუცელი და კოხტად გამოყვანილი ერთიანი ქუსლი აქვს. ბიბილოებიანი, ცრუგრეხილი, ოვალურგანივკვეთიანი ყური მხარს ყელის ზედანაწილთან აერთებს. პირს გარედან ღრმა ღარი უვლის, ყელის ძირსა და მხარზე ოთხი სარტყელია, თითოეული წყვილი კონცენტრული ღარისა და მათ შორის მოთავსებული ირიბი ხაზებისგან შემდგარი.

სიმაღლე ჭურჭლის — 24,6; ყელის —9,7; ქუსლის — 0,7; დმ პირის— 8,5; ყელის უმც. — 4,5; მუცლის — 21,0 სმ.

475 (12—54:8778). ქ ვ ა ბ ქ ო თ ა ნ ი შავად გამომწვარი თიხისა, ნაპრიალები (გადასულია), პირფართო, ბიკონუსურმუცლიანი, ყელზე წყვილი ღარი გადასდევს.

სიმაღლე — 13,0; დმ პირის — 13,3; მუცლის — 19,5; ძირის —7,9 სმ.

476 (12—54:8779). ფ ი ა ლ ა შავად გამომწვარი თიხისა, შავპრიალა, პირფართო; ოდნავ გადმოშლილი, წიბოიანი, ქვემოთკენ მკვეთრად ჩავიწროებული მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ქუსლი აქვს.

სიმაღლე ჭურჭლის — 7,5; ქუსლის — 0,5; დმ პირის — 12,3; მუცლის —13,0; ძირის — 5,5 სმ.

477 (12—54:8780). ქ ი ლ ა ღია ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, ნა-

---

* ინვენტარის აღწერილობის გვერდით ავტორს ფანქრით მიუწერია: არ I, IX (ადრეარკინა I, ძვ. წ. IX ს. — რედ.).

პრიალები (გადასულია), პირ-ყელჩამომტვრეული. კვერცხისებრი ტანი, ბრტყელი ძირი და ოთხკუთხგანივკვეთიანი წყვილი ყური აქვს. მხარზე ნაკაწრი კონცენტრული ხაზები გადასდევს.

სიმაღლე (შემორჩენილი ნაწილისა) — 33,5; დმ მუცლის — 19,0; ძირის— 9,3 სმ

478 (12—54:8781). ხ ე ლ ა დ ა არათანაბრად (ღიად, მოშავოდ) გამომწვარი თიხისა, ნაპრიალები; ოდნავგადმოშლილი პირ-ბაკო, დაბალი ყელი, კვერცხისებრი მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. ბიბილოიანი ყური ყელს მხართან აერთებს. ყელის ძირზე რამდენიმე მკრთალი კონცენტრული ღარი არტყია. შეკოწიწებულია.

სიმაღლე — 22,1; დმ პირის — 9,5; მუცლის — 19,0; ძირის — 9,3 სმ.

479 (12—54:8782). ქ ი ლ ა ღია-ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, დიდი, პირფართო, დაბალყელიანი, მხრებგანიერი, ჩავიწროებულძირიანი, ოდნავ გამოყოფილი ქუსლი აქვს, ორყურა. ყურთა შორის და მათსავე დონეზე საპირისპიროდ მცირე ნაძერწი აქვს. ყელის ძირსა და მუცლის ირგვლივ სამ-სამი მკრთალი კონცენტრული ღარია. შეკოწიწებულია.

სიმაღლე — 29,5; დმ პირის — 19,0; მუცლის — 32,1; ძირის — 11,5 სმ.

480 (12—54:8783). ქ ი ლ ა ღია-ლეგად გამომწვარი თიხისა, ნაპრიალები (გადასულია), პირფართო კარგად ყელგამოყოფილი; ბირთვისებრი მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. ყელს ძირის ირგვლივ არტყია სამი მკრთალი ღარი. შეკოწიწებულია.

სიმაღლე ჭურჭლის — 22,3; ყელის — 27,0; დმ პირის — 17,5; მუცლის — 26,5; ძირის — 11,1 სმ.

481 (12—54:8784). თ ა ს ი შავად გამომწვარი თიხისა, შავპრიალა, შვეულგვერდებიანი. კონუსურ შეღრმავებულ ქუსლზე შემდგარი, გვერდებზე წყვილი ღარი არტყია ირგვლივ. ჩინებული ნახელავია. შეკოწიწებულია.

სიმაღლე ჭურჭლის — 4,9; ნაპირ-გვერდის — 1,7; ქუსლის — 1,7; დმ პირის — 9,7; ქუსლის — 5,5 სმ.

482 (12—54:8785). ფ ი ნ ჯ ა ნ ი შავად გამომწვარი თიხისა, შავპრიალა, თხელკედლიანი, ყელაშვეტილი, მხრებგანიერი. ჩავიწროებული ძირით დგას შეღრმავებულ თხელ ქუსლზე. მუცელზე ირგვლივ არტყია ფართო ღარ-კანელური, რომლის კიდეები წიბოებსა ქმნის. მუცელზე მიძერწილია ოვალურგანივკვეთიანი და გასახედიანი, გამოზიდული ყური, რომელზედაც მცირე განივი ლილვაკია დაძერწილი. ზუსტად ასეთი ფორმამოყვანილობის ჭურჭლებს ქვემოთ შევხვდებით, ოღონდ მოჭიქულებს.

სიმაღლე ჭურჭლის — 10,5; ყელის — 2,5; ქუსლის — 1,7; დმ პირის — 8,1; მუცლის — 10,1; ქუსლის — 5,7; კეცის სისქე — 0,4 სმ.

483 (12—54:8786). ფ ი ნ ჯ ა ნ ი არათანაბრად (წინ მოშავოდ, უკან ჩალისფრად) გამომწვარი თიხისა, უმორგვოდ ნაძერწი; სწორად წაკვეთილი პირი,

კვერცხისებრი, ქვემოთ ჩავიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. მუცელზე მიძერწილია ოვალურგანივკვეთიანი და ბიბილოთი შემკული ყური, ისე რომ 3/4 ხედში ყურაცქვეტილ შტაცებულ ცხოველს მიაგავს (როგორც ამას ძვ. წ. VIII ს. ბრინჯაოს სიტულებზე ვხედავთ).

სიმაღლე — 11,5; დმ პირის —9,1; მუცლის — 13,0; ძირის — 5,3 სმ.

484 (12—54:8787). ფინჯანი მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა; მოჭიქული (8785-ის მსგავსი), ფრიად კოხტა და ლამაზი, ყელაშვეტილი, ბურთულა მუცლიანი, ცალყურა, მკვეთრად გამოყოფილი მცირედ ძირშეღრმავებულ ქუსლზე დგას. ჭიქური მომწვანოა (კობალტი?), ალაგ-ალაგ სადაფისფერგადაკრული. როგორც შემდეგ (77-ე სამარხის აღწერისას) დავინახავთ, ამ ცალზეც ხანგამოშვებით მოყავისფრო ვერტიკალური ზოლები ჩამოსდევს—განივგრეხილის მსგავსი. შეკოწიწებულია, ნაკლული, ცალიც შემავრებული.

სიმაღლე ჭურჭლის — 10,5; ყელის — 2,5; ქუსლის — 1,7; დმ პირის — 7,1; მუცლის — 9,1; ქუსლის — 4,1 სმ.

485 (12—54:8788). თასი თხელფურცლოვანი ბრინჯაოსი. ფრიად დაშლილ-დაზიანებული და ძირგავარდნილიცაა, მაგრამ ჩანს, რომ პირგადაშლილი, წელში გამოყვანილი და სწორძირიანი (უქუსლო) ყოფილა (ზუსტად ასეთი მოყვანილობის ჭურჭელს, ოღონდ მოჭიქული თიხისას, გავეცნობით ქვემოთ, 77-ე სამარხის ინვენტარის აღწერილობისას). დეფორმირებულია. მიახლოებითი ზომები:

სიმაღლე — 14,0; დმ პირის — 7,5; დმ (წელში) — 4,5; ფურცლის — 0,1 სმ.

486 (12—54:8878). სარწყული ბრინჯაოს ორი ძალზე თხელი ფურცლისგან ნაკერი. ზედანაწილის მიხედვით, პირფართო, ყელდაბალი, ოდნავ მხარგამოწეული ყოფილა, პირზე მიმოქლონებულია ბრინჯაოს სქელი, მასიური, მაგრამ ვიწრო ფირფიტისგან გამოყვანილი ოთხი ყური, რომელთა გამოსაჩენ ზედაპირზე ტეხილი ხაზია ამოკაწრული. მხრიდან მოკიდებული ჭურჭელი ძირისკენ თანდათან ვიწროვდება, ისე რომ ჭურჭლის ქვედა მუცლის წარმომქმნელი მეორე ფურცელი ძირთან როგორ მოთავსდებოდა, ნათელი არ არის, თუმცა ვარაუდით ამის ძირი ისე უნდა დამთავრებულიყო, როგორც ძვ. წ. IX—VIII სს. ბრინჯაოს საცალების ძირები, რომლებიც მიმოქლონებული იყო ტანზე.

სიმაღლე (შემონახული ნაწილისა) — 19,5; ყურის სიმაღლე (მისი შემაღლება პირიდან, ე. ი. სახელურის გასახედის სიმაღლე — 3,3; ყურის მხარის სიგანე — 1,57; დმ პირის — 20; მუცლის — 23,7 სმ., ძლიერ კოროზირებულია.

487 (12—54:8803) ცული ბრინჯაოსი, კოლხური ტიპისა, მასიური, ექვსწახნაგა ტარიანი; შვეტილი ყუა, ოვალური სატარე ხვრელი და გორ-

და (ნახევარწრიული მოყვანილობის) სამუშაო, ფხიანი პირი აქვს. სატარეს გარედან ორივე მხარეზე თითო წიბო ჩამოსდევს.

სიგრძე — 15,7; პირის სიგრძე —7,1; სატარე ხვრელის ზომები: წინიდან 4,6×2,6; უკნიდან 4,2×2,0 სმ. ყუის თავის სიგანე — 4,7; უდ. სისქე (შუაში) — 4,4 სმ.

488 (12—54:8791). მახვილი ბრინჯაოსი, მთლიანადსხმული, წვერკვეთილი პირი წვერისაკენ თანდათან შეუმჩნევლად ვიწროვდება, ხოლო წვერთან მცირე მანძილზე ისევ ფართოვდება ასევე უმნიშვნელოდ და სქელდება. კიდიდან წვერამდე გასდევს მომაღლო, კარგად გამოკვეთილი ქედი, რომლის აქეთ-იქიდან ამოკაწრულია წყვილ-წყვილი მკრთალი ღარები კამარების ქვეშ.

489 (12—54:9804). მახვილი ბრინჯაოსი, წვეტიანი, მთლიანადსხმული. პირი წაგრძელებული სამკუთხედის მოყვანილობისაა, ვადიდან წვერამდე გასდევს გლუვზედაპირიანი დაბალი ქედი, რომლის ორივ მხარეს სამ-სამი მკრთალი ღარი, ხოლო მათ შორის, ზუსტად ქედზე, გველისებრ კლაკნილი ნაკაწრი ხაზი ჩასდევს თითქმის შუამდე. ვადაზე კი წვრილად ნაკაწრ ჩარჩოში ერთიმეორეზე გადგმული სპირალებია ჩასმული. ტარი გლუვია, იგი მთავრდება თავკვეცილი კონუსის მაგვარი, დაფანჯრული ქუდით და განივი ტიხრით. ვადაში გადატეხილია.

სიგრძე მახვილის — 48,0; ტარის — 11,0; ჩასაბღუჯი ნაწილის (გრიფის)— 8,8; სიგანე ვადაში — 5,3 სმ.

490 (12—54:13423). კილიტი ბრინჯაოსი, ნახევარსფერული, გარდიგარდმოყუნწიანი: ყაწიმის თასმის მოსართავი.

491 (12—54:8797). შუბისპირი ბრინჯაოსი, მთლიანადსხმული, ალისებრპირიანი. მასრის გაგრძელების სახით წარმოდგენილი ქედი წვერამდე გასდევს. ბეჯითად ალესილი ფხა რამდენადმე დაზიანებულ-დაკბილულია. მასრას გადასდევს წყვილი დაბალი ლილვი, მათ შორის ამდენივე ნახვრეტია ტარის დასამაგრებლად. წვერის მოზრდილი ნაწილი მოტეხილია (თან ახლავს).

სიმაღლე — 27,0; უდ. სიგანე (ფრთებში) —5,3; მასრის სიგრძე — 12,5; დიამეტრი — 1,9 სმ.

მასრაზე პუნქტირით შევსებული 6 სამკუთხედია წვერით იარაღის წვერისკენ მიმართული. ხაზოვან-წერტილოვანი ხერხით გამოსახულია ქორბუდა ირემი (ერთ მხარეზე), მეორე მხარზე კი — გარეული თხა კუდაპრეხილი, ორთავე თავდაყირა (თუ იარაღს წვერით ზემოთკენ მიმარულს დავიჭერთ). წყვილ ბეჭს ზემოთ მკრთალად ნაკაწრი წყვილი ხაზი და მათ შორის თევზიფხურით შევსებული სარტყელია. მის შემდეგ ორთავე მხარეზე ამოკაწრულია კლაკნილი ღარი (გველი?).

492 (12—54:8809). ბუნიკი ბრინჯაოსი, გრძელი, თავგანიერი, გუმბათისებრი, კოპებიანი, ტანდაკეჰნილი ბადისებრად, 5 ნისკარტიანი; შუბის ტარზე დასამაგრებლად.

სიგრძე — 15,1; უდ. დმ — 3,5; უმც. დმ — 2,5; უდ. სიმსხო — 0,2 სმ.

493 (12—54:8810). ბ უ ნ ი კ ი ბრინჯაოსი ,გუმბათისებრი, მოკლე, თავზე მრგვალკოპიანი, გვერდებზე კი ზურგჩაღარული 4 კოპია, მოგრძო, 4 ნახვრეტი აქვს, ტარსამაგრი.

სიგრძე — 4,3; დიამეტრი — 2,6 სმ.

494 (12—54:8792). რ გ ო ლ ი ბრინჯაოსი, თითქოს ექვსწახნაგა, მასიური, წესიერწრიული, პირშეკრული, ძლიერ დაჟანგული, ყაწიმის საკიდი რგოლია.

დმ — 4,7; სიმსხო — 0,8 სმ.

495 (12—54:8812). რ გ ო ლ ი ბრინჯაოსი მასიური, ექვსწახნაგა, წესიერწრიული, პირიპირთან მიტანილი (თითქმის), ჟანგისგან დაჭმული ყაწიმის რგოლია.

უდ. დმ — 5,3; შიდა დმ — 3,3 სმ.

496 (12—54:8794). ბ ა ლ თ ა ბრინჯაოსი, ორმაგბლოკური, ვიწრო ყელით შეერთებულ წყვილ ძაფის კოჭს მიაგავს. ყაწიმის თასმის საკლებ-სამატები უნდა იყოს.

სიგრძე — 3,5; დიამეტრი — 1,7 სმ.

497 (12—54:8795). ბ ა ლ თ ა ბრინჯაოსი (სარტყლის?). წარმოადგენს მასიურ ცრუგრეხილა წესიერ რგოლს, რომელზედაც ამოზიდულია თავკისერ დაკეპნილი დრაკონის (?) გამომხატველი კაუჭი. დრაკონს კარგად ეტყობა პირის ნახევი (ჭრილი). მოპირდაპირე მხარეზე გამოზიდულია ჭვირული მერცხლის კუდი, რომლითაც იგი, შესაძლოა, მაგრდებოდა სარტყელზე.

რგოლის დმ — 3,7; სიმსხო — 0,7; კაუჭის სიმაღლე — 3,1; სიმსხო — 0,7 სმ

498 (12—54:8790). ს ა რ ტ ყ ე ლ ი ფურცლოვანი ბრინჯაოსი, ფართო.

499 (12—54:8805). ი ს რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი, თხელი, ნესტარისებრი, სამკუთხა, ბრტყელყუნწიანი.

სიგრძე —2,6; სიგანე —1,6; ყუნწის სიგრძე — 0,9 სმ.

500 (12—54:8806). ი ს რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი, წინამავლის მსგავსი, ოღონდ მოდიდო.

სიგრძე — 3,7; სიგანე — 1,8; ყუნწის სიგრძე — 1,2 სმ.

501 (12—54:8808). ი ს რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი, თხელი, ნესტარისებრი, ქუსლამოღარული სამკუთხედის მსგავსი, შუაში წვრილი ნახვრეტი აქვს.

სიგრძე — 3,1; სიგანე — 1,5 სმ.

502 (12—54:8807). ი ს რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი, თხელი, ნესტარისებრი, ღრმად ქუსლამოღარული, ნახვრეტიანი.

სიგრძე უდიდესი ფრთის გაწვრივ — 3,8; სიგანე — 2,4 სმ.

503 (12—54:13418). ი ს რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი, თხელფურცლოვანი

გველის ნესტრისებრი, ფუძეამოღარული სამკუთხედის მოყვანილობისა, წვერთან ახლო ნახვრეტიანი. ნაკლული.

504 (12—54:13419). ისრისპირი ძვლისა, თხელფირფიტოვანი, წინამავლის მსგავსი. მაგრამ ამას ქუსლი ღრმად აქვს შეჭრილ-ამოღარული.

სიგრძე —2,7; სიგანე —1,2 სმ.

505 (12—54:8796). უმბირები ფარისა ბრინჯაოსი, თხელფირფიტოვანი (ან იქნებ ფალარები?), პაწია დაბალნაპირებიან ლამბაქს მოგვაგონებს. ორს ნაპირი მცირეზე შიგნით ყუნწისებრ აქვს ჩაბრუნებული (3 ცალი და მცირე ფრაგმენტები).

დიამეტრი — 11,0; სისქე — 0,1 სმ.

506 (12—54:13421). საკინძი ბრინჯაოსი, ხუთკოპიანი, ბურთულა თავი, პროფილირებული ყელი და ოვალური ნახვრეტი აქვს. სამადაა გატეხილი.

სიგრძე — 15,0; თავის დმ — 1,1 სმ.

507 (12—54:8811). ჩქიფი ბრინჯაოსი, დიდი. ორთავე გვერდზე კიდეების გასწვრივ წვრილი ნაკაწრი ხაზებითა და მათ ჩარჩოში მოთავსებული, 5 ერთიმეორეზე გადაბმული სპირალით შემკული.

სიგრძე — 11,7; ლოყის სიგანე — 1,4; სისქე — 0,2 სმ.

508 (12—54:8800—8802). ირმის ქანდაკებანი, სქელფირფიტოვანი ბრინჯაოსგან დამზადებული, თავაწეულნი, მყვირალ (ენაგადმოგდებულნი), სტატიკურ პოზაში გადმოცემული. ხაზგასმულია არაბუნებრივი, სქემატური თავი. ნესტოები, წვერი, ყურები, მაღალი, დატოტვილი რქები, მუხლის კვირისტავები, ზურგზე გადმოწეული აპრეხილი კუდი (ყუნწად ქცეული), წყვილ-წყვილად შეერთებული ჩლიქები. კისერს ქვემოთ, ზურგზე გრძელოვალური ჭვირი რაღაცაზე ჩამოსაკიდად (?). დამახასიათებელია კორძოვანი რქის ძირი. 3 ცალი, დაახლოებით თანაბარი ზომისა.

ნიმუშის სიმაღლე — 10,7; სიგანე (ფრთების გასწვრივ) — 4,1; სიგრძე (გულმკერდიდან გავამდე) — 5,9; გულმკერდის სიგანე — 1,7 სმ.

509 (12—54:8798). მილები ბრინჯაოს თხელი ფირფიტისა, დიდ-პატარა. 6 ცალი. ირმის ქანდაკებებთან დაკავშირებული.

უდიდესი სიგრძე — 27,0; დმ — 1,5; სისქე — 0,1 სმ.

510 (12—54:8799). მილაკები ბრინჯაოსი, თხელფირფიტოვანი, 5— თავისი სიდიდისა, დანარჩენი ფრაგმენტები. ზოგი ცალ-ცალკეა, ზოგიც — შეწყვილებული. სოინარისებრი საკრავი ინსტრუმენტისა უნდა იყოს.

უდ. სიგრძე — 9,9; დმ — 0,5 სმ.

511 (12—54:13420). დანის ფრაგმენტი (შესაძლოა, სატევრისაც იყოს) რკინისა, ცალპირლესილი ჩანს, მოკლეყუნწიანი და მანჭვლიანი. ორი ნატეხია.

შემორჩენილი ნაწილის სიგრძე — 12,6; სიგანე — 3,5 სმ.

**512** (12—54:8813). დ ა ნ ი ს პ ი რ ი რკინისა, გრძელი და ვიწრო, ცალპირლესილი, ტარშეურჩენელი.

სიგრძე — 16,0; სისქე — 2,0;

**513** (12—54:13422). ჩ ქ ი ფ ი ს სამი ფრაგმენტი, რკინისა, პატარა ყოფილა.

**514** (12—54:13425). ს ა ყ ბ ე უ რ ი რქისა წვრილზოლომზოხრილი და განივი, ოვალური ნახვრეტით, ღვედისთავის. სკვითურ ტრენზელს მიაგავს.

სიგრძე — 7,8; სიგანე — 1,4; ნახვრეტის სიგრძე —1,2 სმ.

**515** (12—54:8814—8815). ი რ მ ი ს რქისძირები, ტოტებწაკვეთილი (სამი ტოტი ჩანს) და ძირთან მრგვალი ნახვრეტია ალჭურვილი.

ლ ა ხ ტ ი ს თ ა ვ ი თუ იყო.

ნახვრეტის დმ — 2,1 სმ.

**ორმოსამარხი 42**
**(1938, N)**

აღმოჩენილი იყო 1,30 მ სიღრმეზე ქვისსამარხის ქვეშ (ნაწილობრივ). აშკარაა, რომ საფლავი დაზიანებულ იქნა ქვისსამარხის გამართვისას. ჩონჩხის ნაშთსა და ჩატანებულ ინვენტარს ეჭირა 0,68×0,62 მ ფართობი. თავის ქალისა და ზოგი ძვლის განლაგების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ აქ ესვენა ქალის ჩონჩხი, მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთ-აღმოსავლეთისკენ მიქცეული, ფეხებმოკეცილი უნდა ყოფილიყო, ხელები კი თითქოს სახის წინ ჰქონდათ. ჩონჩხს ახლდა თიხის ოთხი ჭურჭელი და ბრინჯაოს წყვილი სამაჯური*.

**516** (12—54:8; სურ. 308). ჯ ა მ ი (თუ თეფში) შავად გამომწვარი თიხისა, შავპრიალა, აქვს მრგვალბაკოიანი პირი, შემაღლებული ნაპირი, ოდნავ გამოყოფილი ქუსლი.

სიმაღლე — 6,0; დმ პირის — 21,5; ძირის — 8,0 სმ.

**517** (12—54:9; სურ. 307). დ ო ქ ი მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. აქვს ოდნავ გადაშლილი პირი, ქობიანი ბაკო, საშუალო ზომის ყელი, დამრეცი მხრები, ზედამხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ოდნავ გამოყოფილი, ძალიან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი; პირიდან გამომდინარე მხარზე დაძერწილი მრგვალგანივკვეთიანი ყური. ყელის ძირი შემკულია ირიბად ნაჭდევი ხაზების მწკრივით; მხრის ძირთან წყვილ ამოღარულ ხაზს შორის სავარცხლის შტამპით დაფარული ირიბი ხაზების სარტყლით, მხრებზე დაშტრიხული სამკუთხედებითა, წიწვიანი სახეებით, სამკუთხედში ჩახაზული ირიბი ხაზებით დაშტრიხული ჯვრის გამოსახულებით. ერთგან შეიდტოტა მცენარეც არის გამოსული (ცხოვრების ხე?).

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით ავტორს ფანქრით მიუწერია: არ. I, IX—VIII. (ადრერკინა I, ძვ. წ. IX—VIII სს. — რედ.).

სიმაღლე — 29,5; ღმ პირის — 10; მუცლის — 23,0; ძირის — 8,6 სმ.

518 (12—54:10). მ ძ ი ვ ე ბ ი ცისფერი პასტისა (5), ერთი ოდნავ მოგრძო, გვერდებდაღარული. ოთხი იოტი და ერთი თეთრი იოტი დაბალცილინდრული.

519 (12—54:11; სურ. 309, 310). ს ა მ ა ჯ უ რ ი და სამაჯურის ნატეხები ბრინჯაოსი. თავები გახსნილი აქვს და ერთიმეორეზე დაშორებული ნახევარწრისებრი განივკვეთის მქონე, ზურგდაკეჭნილი.

დიამეტრი — 6 სმ.

**ორმოსამარხის ნაშთი 9 (1939, N)**

VI თხრილის შუა ნაწილში, 1,90 მ სიღრმეზე აღმოჩნდა. სამარხში აღმოჩნდა ადამიანის მკლავის ერთი ძვალი და ზოგიც სხვა წვრილი ძვლები. ინვენტარიდან დარჩენილიყო თიხის ერთი პაწია ჭურჭელი, სარდიონის წყვილი მძივი და ბრინჯაოს სამაჯურის ორიოდე ფრაგმენტი*.

520 (12—54:2850; სურ. 311). კ ო ჭ ო ბ ი უფრო კი ფ ი ნ ჯ ა ნ ი ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, ზედაპირნაპრიალები, პირფართო, კვერცხისებრტანიანი. მრგვალგანივკვეთიანი ყური პირს მხართან აერთებს. ყელის ძირში თითქოს შვერული ღარები უჩანს. ხელით (უმორგვოდ) ნაძერწი უნდა იყოს.

სიმაღლე — 10,5; ღმ პირის — 6,3; მუცლის — 9,0; ძირის — 3,7 სმ.

521 (12—54:2851; სურ. 312, 313). ს ა მ ა ჯ უ რ ი ს ფრაგმენტი, მრგვალგანივკვეთიანი ღერო ყოფილა, ზურგდაკეჭნილი, ძლიერ დაჟანგული. რკალის სიგრძე — 4,1 სმ. თან ახლავს ბრინჯაოს ს ა კ ი ნ ძ ი ს (?) მცირე ფრაგმენტები ნახვრეტზე გადატეხილი 2,0 სიგრძისა.

522 (12—54:2852; სურ. 314). მ ძ ი ვ ე ბ ი წყვილი, მოწითალო სარდიონისა, ერთი მრგვალი, მანდარინისებრი, მეორე ხუთწახნაგაზედაპირიანი. ამის სიმაღლე და დიამეტრი — 0,5 სმ.

**ორმოსამარხი 96ᵇ (1939, N; სურ. 293—296)**

აღმოჩნდა VI ფართობის შუა ნაწილში, 96 ა-ე ორმოსამარხს ქვეშ, 2,20 მ სიღრმეზე; ეჭირა ფართობი 1,45×1,35 მ ღორღიან ფენაში. სამარხში ესვენა მოხუცი მამაკაცის ჩონჩხი, მარჯვენა გვერდზე, აღმოსავლეთით თავმიქცეული, მკვეთრად მოხრილი ხელ-ფეხით. იგი თითქოს გაჭედილი იყო თიხის ჭურჭლებსა და აღმოს. და სამხ. მხრიდან შემომზღუდავ რიყის ქვებს შორის. მიცვალებულს თან ახლდა ცხვრის თუ თხის თავ-ფეხის ძვლები, ბურვაკის მთელი ჩონჩხი და შემდეგი ინვენტარი**:

523 (12—54: 2141). კ ო კ ა. ადგილზე არ არის.

524 (12—54:2141-₁). ფ ი ნ ჯ ა ნ ი ცალყურა, მწვანედ მოჭიქული, ოდნავ

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით ავტორს ფანქრით მიუწერია: არ. I, IX—VIII (ადრერკინა I, ძვ. წ. IX—VIII სს. — რედ.).

** სამარხის აღწერილობის გვერდით ავტორს ფანქრით მიუწერია: არ. I, IX—VIII— (ადრერკინა I, ძვ. წ. IX—VIII სს. — რედ.).

გადაშლილი სწორბაკოიანი პირი; დაბალი ყელი; ფართო, ძირთან მკვეთრად შევიწროებული მუცელი და შიგნით ჩაღრმავებული ქუსლიანი ძირი ახასიათებს. სწორკუთხა განიკვეთიანი ვიწრო, ბრტყელი ყური მუცელზეა შეერთებული.

სიმაღლე — 8,5; დმ პირის — 6,5; მუცლის — 8; ძირის — 4 სმ.

**525** (12—54:2142; სურ. 299). **ტოლჩა** ცალყურა, შავად გამომწვარი, მომრგვალებულბაკოიანი პირი, კვერცხისებრი ჩოყვანილობის ტანი და შიგნით ჩაღრმავებული ქუსლიანი ძირი აქვს; სწორკუთხა განივკვეთიანი ბრტყელი ყური პირის მახლობლად და ტანის შუაზე აქვს შეერთებული; ყურის ქვედა მხარე რელიეფურადაა გაგრძელებული და ძირის მახლობლად პატარა ზონარგაყრილი ყურის მსგავსი ყურია გამოყვანილი. პირთან წყვილი ამოღარული კონცენტრული ხაზი ამკობს.

სიმაღლე — 16; დმ პირის — 8,5; მუცლის — 10,5; ძირის — 5,5 სმ.

**526** (12—54:2143). **ტოლჩა** ცალყურა, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, ოდნავ განზე გაწეული სწორბაკოიანი პირი; დაბალი ყელი; დამრეცი მხრები; ძირის მახლობლად მკვეთრად შევიწროებული ფართო მუცელი და შიგნით ჩაღრმავებული ქუსლიანი ძირი აქვს. სწორკუთხა განივკვეთიანი ბრტყელი ყური მხარზე და მუცელზე აქვს შეერთებული, პირის მახლობლად და ქუსლზე თითო ამოღარული კონცენტრული ხაზი ამკობს. ყურის შეერთების ადგილზე ზედამხარე ხუთი ფრჩხილისეული სახითაა შემკული.

სიმაღლე — 12,5; დმ პირის — 9; მუცლის — 12; ძირის — 6,5 სმ.

**527** (12—54:2144). **ქილა** შავად გამომწვარი, ოდნავ გადაშლილი მრგვალბაკოიანი პირი; დაბალი ყელი; გადგმული მხრები; ზედამხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ბრტყელი ძირი აქვს. ყელი გოფრირებულია, მხრებზე ერთი ფართო და ოთხი წვრილი ამოღარული სარტყელი და მათ შორის ირიბად დაღარული ხაზებით დაფარული წვერით ზემოთ მიმართული და ფუძეებით გამოღარულ ხაზებზე დაყრდნობილი სამკუთხედების სამი მწკრივი და ირგვლივ სიმეტრიულად განლაგებული სავარცხლის კბილების შტამპის ირიბი ოთხ-ოთხი მოკლე ხაზების ერთი მწკრივი ამკობს.

სიმაღლე — 21, 5; დმ პირის — 15; მუცლის — 27; ძირის — 8,5 სმ.

**528** (12—54:2145). **ხელადა** ცალყურა, მოწაბლისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, ოდნავ გადაშლილი ფართო მომრგვალებულბაკოიანი პირი; საშუალო ზომის შუაზე გამოყვანილი ყელი; დამრეცი მხრები; ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. სწორკუთხა განივკვეთიანი ბიბილოებიანი ბრტყელი ყური ყელზე და მხარზეა შეერთებული. მხრებზე ყელის ძირთან ოთხი, პირთან ერთი და მუცლის ზედა მხარეს სამი ამოღარული სარტყელი ამკობს.

სიმაღლე — 28,5; დმ პირის — 9; მუცლის — 17; ძირის — 9,5 სმ.

529 (12—54:2146). ლ ა ნ გ ა რ ი (ნაკლულია), მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, ფართო პირი, ქობიანი ბაკო, დაბალი, კიდესთან წიბოიანი ყელი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული ტანი და მცირედ გამოყოფილი ბრტყელი ძირი აქვს.

სიმაღლე — 10, დმ პირის — 42; ძირის — 11 სმ.

530 (12—54:2147). ჯ ა მ ი თიხისა, ფართო მრგვალბაკოიანი პირი, ჩაღარული კიდესთან წიბოიანი ვიწრო ყელი; ძირისკენ მკვეთრად დაქანებული ტანი და ოდნავ გამოყოფილი ბრტყელი ძირი აქვს.

სიმაღლე — 3; დმ პირის — 14,5; ძირის — 6 სმ.

531 (12—54:2148). ქ ი ლ ა მონაცრისფროდ გამომწვარი, ოდნავ გადაშლილი მრგვალბაკოიანი პირი; ძალიან დაბალი ყელი; დამრეცი მხრები; ზედა მხარეს. ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს.

სიმაღლე — 12,5; დმ პირის — 9,5; მუცლის — 13,7; ძირის — 6 სმ.

532 (12—54:2148). ქ ი ლ ა თიხისა. ადგილზე არ არის.

533 (12—54:2149; სურ. 298). დ ე რ გ ი ორყურა, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, ფართო, ოდნავ გადაშლილი მრგვალბაკოიანი პირი, ძალიან დაბალი ყელი, დამრეცი მხრები, ზედამხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი ახასიათებს. ოვალურგანივკვეთიანი ბრტყელი ბიბილოებიანი ყურები ორ მოპირდაპირე მხარეს მხარზე და მუცელზე აქვს შეერთებული. ყელის ძირთან სამი დაუდევრად ამოღარული და მხრის ძირთან სამი სწორი და მათ შორის თითო ამოღარული ტალღური ხაზების სარტყელი ამკობს.

სიმაღლე — 33; დმ პირის — 21,5; მუცლის — 32,5; ძირის — 11,5 სმ.

534 (12—54:2140). ხ ე ლ ა დ ი ს ნატეხები, მონაცრისფრო-მოწაბლისფროდ გამომწვარი, ოდნავ გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი პირი, შუაზე შევიწროებული საშუალო ზომის ყელი და დამრეცი მხრები აქვს. სწორკუთხა განივკვეთიანი, პირიდან გამომდინარე ბრტყელი ყური, მხარზეა შეერთებული, პირის მახლობლად და ყელის ძირთან ამოღარული სარტყლებითაა შემკული

დმ პირის — 9 სმ.

535 (12—54:2151; სურ. 297, 300). მ ა ხ ვ ი ლ ი ბრინჯაოსი, წვერმომრგვალებული ფართო ბრტყელი ქედიანი პირი, პირზე ფართოდ გადმოტანილი ვადა, გამოყვანილი მრგვალგანივკვეთიანი ტარი, ტარზე წაკვეთილ კონუსისებრი სამკუთხედებად დაფანჯრული თავი ზემოდან ტიხრით ორ სეგმენტად გაყოფილა. პირზე ქედის ორივე მხარეს ამოკაწრული ზედამხარეს კამარებად შეკრული ხაზებითა და ქედზე ტალღური ხაზით არის შემკული, ვადაზე წვრილ-წვრილ ამოკაწრულ ხაზებს შორის ჩახჩვლეტილი წერტილებითა და

მათ შორის ჩაჩხვლეტილი წერტილებით დაფარული სწორკუთხა სამკუთხედებით.

სიგრძე — 48,5; სიგანე ვადასთან — 7,5 სმ.

536 (12—54:2152; სურ. 301). ხ ე ლ შ ე ბ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი მთლიანმასრიანი, მხრებმომრგვალებული, წვერის მახლობლად გამოყვანილი პირი, პირზე მაღალი მრგვალი ქედი, რომელიც მასრის გაგრძელებას წარმოადგენს, მასრაზე წყვილი რელიეფური სარტყელი და მათ შორის მრგვალი ნახვრეტი აქვს.

სიგრძე — 17,5; მასრის სიგრძე — 8; პირის სიგანე — 3,7 სმ.

537 (12—54:2153). რ გ ო ლ ი (პორტუპეისა?) ბრინჯაოსი, მსხვილი გვერდებდაწახნაგებული მავთულისა, თავები გახსნილი აქვს და ერთიმეორესთან მიახლოებული.

დიამეტრი — 3,5 სმ.

538 (12—54:2153-₁). ი ს რ ი ს პ ი რ ე ბ ი ბრინჯაოსი. ადგილზე არ არის.

539 (12—54:2154; სურ. 303). მ ა შ ა (ჩქიფი) ბრინჯაოსი, ვიწრო ბრტყელი ფირფიტისა, შუაზე შევიწროებულია და ორად მოღუნული ბოლოები შიგნით აქვს ჩაღუნული, ზედაპირზე შემკულია წიწვიანი სახეებით, უწყვეტი სპირალებითა და ირიბი ჭდეებით.

სიგრძე — 12,8 სმ.

540 (12—54:2155; 2156; სურ. 305, 306). ი რ მ ი ს ქანდაკება ბრინჯაოსი; ნაკეთებია ბრინჯაოს თხელი ფირფიტისაგან. ფუყეა. წინა ფეხები უკანაზე მაღალია, კუდი ზემოთ აქვს აპრეხილი და მოღუნული ისე, რომ ზურგზე ებჯინება. ზურგზე გრძელი ფართო ოვალური ნახვრეტი აქვს. პირი დაღებულია, რქები დატოტვილი.

სიმაღლე — 7,5 სმ.

541 (12—54:2156-₁). ი რ მ ი ს ქანდაკება. არ არის.

542 (12—54:2157; სურ. 304). მ ი ლ ე ბ ი ს ნატეხები, ბრინჯაოს ფირფიტებისა.

543 (12—54:2157-₁). მ ი ლ ე ბ ი ბრინჯაოსი. არ არის.

544 (12—54:2157-₂). ი რ მ ი ს რქა. „დამუშავებული" არ არის.

545 (12—54:2158). ს ა რ ტ ყ ლ ი ს ფრაგმენტები, ბრინჯაოს თხელი ფირფიტისა.

546 (12—54:2159); სურ. 302). ბ ა ლ თ ა ბრინჯაოსი, ორმაგბლოკისებრი.
სიგრძე — 3,2 სმ.

547 (12—54:2159-₁). კ ი ლ ი ტ ე ბ ი ბრინჯაოსი. არ არის.

548 (12—54:2159-₂). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი. არ არის.

**ორმოსამარხი 102 (1939, N; სურ. 315)**

**549** (12—54:2210; სურ. 317). ხ ე ლ ა დ ა ცალყურა, მოშავო-მოწაბლისფროდ გამომწვარი, ოდნავ გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი პირი, დაბალი ყელი, გადგმული მხრები, ზედა მხარეს ფართო ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ბრტყელი ძირი აქვს. პირიდან გამოდინარე მრგვალგანივკვეთიანი ყური მხარზეა შეერთებული. ყელი გოფრირებულია, მხრის ძირთან ამოღარული სარტყელი ამკობს. მხრებზე წვერით ზემოთ და მუცელზე წვერით ქვემოთ მიმართული ირიბად დაღარული ხაზებით დაფარული სამკუთხედები.

სიმაღლე — 14,8; დმ პირის — 9; მუცლის — 15; ძირის — 6 სმ.

**550** (12—54:2211; სურ. 322). ქ ი ლ ა წაბლისფრად გამომწვარი, მომრგვალებულბაკოიანი პირი; კასრისებრი მოყვანილობის ტანი და ბრტყელი ძირი აქვს. პირთან წყვილი ფართოდ ამოღარული სარტყელი ამკობს. დეფორმირებულია.

სიმაღლე 15,6; დმ პირის — 8,5; მუცლის — 11,7; ძირის — 6,5 სმ.

**551** (12—54:2212; სურ. 318, 319). ტ ო ლ ჩ ა ცალყურა, მოყავისფროდ გამომწვარი, ზედაპირზე მოშავო, ადგილ-ადგილ მოწაბლისფრო ლაქებით. ფართო მომრგვალებულბაკოიანი პირი; დაბალი გოფრირებული ყელი, ზედამხარეს ფართო ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. პატარა ოვალურგანივკვეთიანი ვიწრო ბრტყელი ყური მუცელზეა შეერთებული.

სიმაღლე — 11; დმ პირის — 8,5; მუცლის დმ — 10.9; ძირის — 5 სმ.

**552** (12—54:2213; სურ. 321). ქ ი ლ ა შავად გამომწვარი მოვარდისფრო ლაქებით. ოდნავ გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი პირი; ძალიან დაბალი ღარისებრი ყელი; დამრეცი მხრები; ზედამხარეს ფართო ძირისკენ მკვეთრად დაქანებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. მხრებზე ორ მოპირდაპირე მხარეს აქვს ჰორიზონტალური მაღლა აღმართული მობრტყო შვერილი ზედ ზონარგასაყრელი ნახვრეტით (ერთი შვერილი მოტეხილია).

სიმაღლე — 9; დმ პირის — 7; ძირის — 4 სმ.

**553** (12—54:2214; სურ. 316). ჰურჭლის ძირი მუცლის ნაწილით, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, ზედა მხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ბრტყელი ძირი აქვს; ძირის ირგვლივ და მუცლის ზედა ნაწილს წყვილ-წყვილი ამოღარული ხაზი ამკობს.

ძირის დიამეტრი — 8 სმ.

**554** (12—54:2215; სურ. 314, 320). ქოთანი ცალყურა, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, ოდნავ გადაშლილი მრგვალბაკოიანი პირი; ძალიან დაბალი ღარისებრი ყელი, დამრეცი მხრები, ზედა მხარეს ფართო, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს, ოვალურ განივ-

კვეთიანი ბრტყელი ყური მუცლის ზედა ნაწილზეა შეერთებული. ყელზე შეიმჩნევა წვრილი ზოლები, მხრებზე და ძირის ირგვლივ ფრჩხილისეული სახეების თითო მწკრივი.

სიმაღლე —14; პირის დიამეტრი — 12; მუცლის დიამეტრი —14,5; ძირის დიამეტრი — 6 სმ.

**სამარხი 103 (1939, N; სურ. 323)**

555 (12—54:2216; სურ. 324). ხელადა ცალყურა, ნაცრისფრად გამომწვარი, აქა-იქ შავი ლაქებით. ოდნავ მომრგვალებულბაკოიანი პირი, დაბალი ფართო ყელი, დამრეცი მხრები; შუაზე ფართო, ძირის მახლობლად შევიწროებული მუცელი და ოდნავ გამოყოფილი ბრტყელი ძირი აქვს. პირიდან გამომდინარე მრგვალგანივკვეთიანი ყური მხარზეა შეერთებული. ყელზე ოთხი და მხრის ძირთან სამი ამოღარული სარტყელი ამკობს.

სიმაღლე — 22; პირის დიამეტრი — 9,5; მუცლის დიამეტრი — 23,5; ძირის დიამეტრი — 10 სმ.

**სამარხი 107 (1939, N)**

556 (12—54:2261; სურ. 327). ქოთანი მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, ფართო ოდნავ გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი პირი, დაბალი ჩაღარული ყელი, დამრეცი მხრები, ზედამხარეს ფართო, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი. ყელის ძირში და ძირის იგვლივ შემკულია ფრჩხილისეული სახეების თითო მწკრივით.

სიმაღლე — 15; პირის დიამეტრი — 13; ძირის დიამეტრი — 8 სმ.

557 (12—54:2262; სურ. 325, 326). ხ ე ლ ა დ ა ცალყურა, მოშავო-მოწაბლისფროდ გამომწვარი, ზედაპირზე შავი მოწაბლისფრო ლაქებით. მომრგვალებულბაკოიანი, ოდნავ გადაშლილი პირი, დაბალი ძაბრისებრი ყელი, დამრეცი მხრები, ზედა მხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული მუცელი, ოდნავ შესამჩნევად გამოყოფილი ბრტყელი ძირი და მხარზე დაძერწილი ოვალურგანივკვეთიანი ვიწრო ბრტყელი ყური აქვს. ყელის ძირში რელიეფური და მხრებზე სამი ასიმეტრიულად ამოღარული ხაზითაა შემკული.

სიმაღლე — 19; დმ პირის — 8,5; ძირის — 7,5 სმ.

558 (12—54:2262-$_1$; სურ. 334, 335). დ ა ნ ა რკინისა, ცალპირლესილი, ნაკლული.

559 (12—54:2262-$_2$; სურ. 328). ს ა მ ა ჯ უ რ ი ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი წვრილი მავთულისა, ზედაპირზე ჭდეული სახეებით შემკული. თავები გახსნილი აქვს და ერთიმეორეზე გადადებული. გატეხილია.

დიამეტრი — 6,5 სმ.

560 (12—54:2262-$_3$; სურ. 330). ს ა კ ი ნ ძ ი ს ნატეხი ბრინჯაოსი. ორფერდა სახურავის მსგავსი თავი, დაღარული ყელი და ყელის ძირში მრგვალი ნახვრეტი აქვს.

561 (12—54:2262-4; სურ. 329). მ ძ ი ვ ე ბ ი სარდიონისა (9). მათგან ერთი მძივსაკიდია მსხლისებრი მოყვანილობისა, ნახევრადგამჭვირვალე მოწითალო-მოვარდისფრო, ექვსი — მოწითალო-მოყავისფრო მანდარინისებრი მოყვანილობის წვრილი მძივია, ორი მოგრძო ცილინდრული, ერთი — მოვარდისფრო, მეორე — მოყვითალო.

562 (12—54:2262-5; სურ. 336, 337). ღ ვ ი ნ ჯ ი ლ ა (4) ზურგამოჭრილები.

563 (12—54:2262-6; სურ. 331—333). რ კ ა ლ ი ს ა და რაღაც ნივთის ნატეხები რკინისა, დაჟანგული. რკალის ნატეხები მრგვალგანივკვეთიანია.

**ორმოსამარხი III (1939, შესაძლოა მოგვიანო ხანის იყოს)**

564 (12—54:2278). ლ ა ნ გ ა რ ი, მონაცრისფროდ გამომწვარი, აქვს ფართო, მომრგვალებულბაკოიანი პირი, დაბალი წიბოიანი ყელი, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული ტანი და ბრტყელი ძირი.

სიმაღლე — 8,5; დმ პირის — 27; ძირის — 9,5 სმ.

565 (12—54:2279). ქ ი ლ ა მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, აქვს ოდნავ გადაშლილი მომრგვალებულბაკოიანი პირი, დაბალი ყელი, დამრეცი მხრები, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული ფართო მუცელი და ბრტყელი ძირი. მხრის ძირთან ნახევარზე ამკობს ერთი უსწორო დაუდევრად ამოკაწრული ხაზი.

სიმაღლე — 24; დმ პირის — 11; ძირის — 9 სმ.

566 (12—54:2280). ქ ო თ ა ნ ი ცალყურა, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, აქვს სწორბაკოიანი პირი, დაბალი ფართო ყელი, დამრეცი მხრები, მაღალი ძირისკენ ოდნავ შევიწროებული მუცელი, ბრტყელი ძირი და პირიდან გამომდინარე მხარზე შეერთებული მრგვალგანივკვეთიანი ყური. ყურის ძირთან ოდნავ შესამჩნევი, დაუდევრად ამოღარული ხაზი გასდევს ნახევარწრიულად. ხელით ნაძერწია, ოდნავ დეფორმირებული. ზედაპირზე გაპრიალებულია, სიგრძივი მსუბუქად დაღარული პრიალა ხაზები შეიმჩნევა.

სიმაღლე — 23,5; დმ პირის — 9; ძირის — 8,5 სმ.

567 (12—54:2281). ფ ი ნ ჯ ა ნ ი ცალყურა, მოწაბლისფროდ გამომწვარი, ოდნავ მოყრილი სწორბაკოიანი ფართო პირი, ძირისკენ თანდათანობით შევიწროებული ტანი, ბრტყელი ძირი და პირთან და მუცელზე შეერთებული მრგვალგანივკვეთიანი ყური აქვს. ყურზე ზედამხარეს ჩაღრმავებულია ღარისებრად. ნაძერწია მსხვილმარცვლოვანი მჭლე თიხისაგან.

სიმაღლე — 7; დმ პირის — 6,5; ძირის — 4 სმ.

568 (12—54:2282). ჭ უ რ ჭ ლ ი ს ნატეხები მონაცრისფროდ გამოწვარი, ბრტყელძირიანი, მსუბუქად დაღარული პრიალა ხაზებით შემკული.

569 (12—54:2283). კ ო ჭ ო ბ ი მოვარდისფროდ გამომწვარი, აქვს ოდნავ გადაშლილი სწორბაკოიანი პირი, ძალიან დაბალი ყელი, გადგმული მხრე-

ბი, ზედა მხარეს ფართო, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი. უხეშადაა ნაძერწი მქისე თიხისაგან.

სიმაღლე — 8; ღმ პირის — 6,5; ძირის — 4,5 სმ.

570 (12—54:2284). სხვადასხვა ჭ უ რ ჭ ლ ი ს ნატეხები, მოვარდისფროდ გამომწვარი ჭურჭლის გვერდების ნატეხები (2), გოფრირებული და სიგრძეზე დაშვებული პრიალა ხაზებით შემკული; მონაცრისფრო-მოშავოდ გამომწვარი ძირ-გვერდების ნატეხები, ბრტყელ ძირზე კიდესთან ამოღარული კონცენტრული ხაზი გასდევს. ყელ-პირის ნატეხები (2), ოდნავ გადაშლილი, ერთს მომრგვალებულბაკოიანი, მეორეს—ბრტყელქობიანბაკოიანი პირი აქვს, გვერდების ნატეხებში გამოირჩევა რელიეფური ტალღური, ამოღარული ჰორიზონტალური და ირიბი ხაზებით სიგრძეზე დაღარული ხაზებით დაფარული სამკუთხედებით და პრიალა ხაზებით შემკული ნატეხები.

571 (12—54:2285). დ ა ნ ი ს უფორმო ნატეხები, რკინისა, ძალიან დაჟანგული.

572 (12—54:2286). ს ა კ ი დ ე ბ ი ბრინჯაოსი, ფოთლისებრი მოყვანილობისა, შუაზე ოდნავ მოღუნული, ირგვლივ და შუაზე შემკულია რელიეფური წერტილებით (3).

სიგრძე — 3; უდ. სიგანე — 1,5 სმ.

573 (12—54:2287). დ უ გ მ ა ბრინჯაოსი, დედალი, ბოლოებჩახვეული, შუაზე გატეხილი.

574 (12—54:2288). ს ა კ ი ნ ძ ი რკინისა, თავმოტეხილი, მრგვალგანივკვეთიანი, წვერისკენ თანდათანობით გაწვრილებული. თან ახლავს რკინის ღეროსი და რკალის თითო პატარა ნატეხი. დაჟანგულია ძალიან. საკინძის სიგრძე— 7 სმ.

575 (12—54:2288-$_1$). ქ ა ნ დ ა კ ე ბ ი ს მ ა გ ვ ა რ ი რაღაც ნივთი, ბრინჯაოსი. არ არის.

576 (12—54:2288-$_2$). ძვლის ნივთი. არ არის.

577 (12—54:2289). ვ ა რ დ უ ლ ე ბ ი ბრინჯაოსი (7) კონუსური მოყვანილობისა. გვერდები გოფრირებული აქვს, შუაზე გახვრეტილია.

დიამეტრი — 3—3,5 სმ.

578 (12—54:2290). ფ ი რ ფ ი ტ ი ს ფრაგმენტები ბრინჯაოსი (4).

579 (12—54:2291). პ ი ნ ც ე ტ ი (მაშა) ბრინჯაოსი, წარბების გამოსაქნელი. ვიწრო ბრტყელი ფირფიტისა, ბოლოებთან გაფართოებული.

სიგრძე — 4,8 სმ.

580 (12—54:2292). ღ ე რ ო ბრინჯაოსი, ოთხკუთხა განივკვეთიანი, მსხვილი, მასიური.

სიგრძე — 4,5; სიგანე — 0,6 სმ.

581 (12—54:2292-$_1$). ღ ე რ ო ბრინჯაოსი. არ არის.

582 (12—54:2293). ს ა მ ა ჯ უ რ ი ს ნატეხი ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვე-

თიანი, ზურგზე შემკულია თანაბარი მანძილით დაშორებული განივად ნაჭდევი ზოლებით.

583 (12—54:2294, 2295). ს ა მ ა ჯ უ რ ე ბ ი ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი ზურგზე ნაჭდევი ხაზებით შემკული. თავები გახსნილი აქვთ და ორს თავი თავზე აქვს გადადებული, ორს — თავები ერთიმეორიდან დაშორებული. ერთი ოდნავ ზურგჩაზნექილია.

584 (12—54:2296). ს ა მ ა ჯ უ რ ე ბ ი ს ნატეხები რკინისა, მრგვალგანივკვეთიანი, ძალიან დაჟანგული, ზოგ მათგანზე ქსოვილის ნაშთია შემორჩენილი.

585 (12—54:2297). ს ა მ ა ჯ უ რ ე ბ ი ს ნატეხები რკინისა, მრგვალგანივკვეთიანი და სწორკუთხა განივკვეთიანი, ამ უკანასკნელს თითქოს ჩახვეული ბოლო ჰქონია (ბოლოს ნაწილია შემორჩენილი).

586 (12—54:2298). ს ა ყ უ რ ე ე ბ ი ბრინჯაოს წვრილი მრგვალგანივკვეთიანი მავთულისა (3) დიდ-პატარა. თავები გახსნილი აქვთ და ერთს—ერთიმეორეზე გადატანილი, მეორეს—დაცილებული. ზურგზე დაკეჭნილი ხაზებითაა შემკული

დიამეტრი — 1,5 — 2 სმ.

587 (12—54:2299). ბ ე ჭ დ ე ბ ი ბრინჯაოსი მრგვალგანივკვეთიანი წვრილი მავთულისა. თავები გახსნილი აქვთ და ორს ერთიმეორეზე გადატანილი, ერთს ერთიმეორეზე დაშორებული. ზურგზე შემკულებია ნაჭდევი სახეებით.

დიამეტრი — 1,8; 2,1; 2,3 სმ.

588 (12—54:2300). ბ ე ჭ ე დ ი ბრინჯაოს ვიწრო ბრტყელი ფირფიტისა, თავები გახსნილი აქვს და ერთიმეორეზე გადატანილი.

დიამეტრი — 1,9 სმ.

589 (12—54:2301). ბ ე ჭ ე დ ი ბრინჯაოს მსხვილი მავთულისა, დეფორმირებული. თავები გახსნილი აქვს და ერთიმეორეზე გადატანილი, ზურგზე შეიმჩნევა ნაჭდევი ხაზები, უხეშადაა დამუშავებული (შესაძლოა, სასაფეთქლე რგოლი იყოს).

590 (12—54:2302). ბ ე ჭ ე დ ი ბრინჯაოსი მრგვალგანივკვეთიანი მავთულისა, ზურგდაკეჭნილი. გატეხილია. ერთი ნატეხი მიჟანგულია რკინის სამაჯურის ნატეხზე.

591 (12—2303). ს ა მ ა ჯ უ რ ი ბრინჯაოსი, ოვალურგანივკვეთიანი რკალი აქვს, ოდნავ ზურგჩაზნექილია. თავები გახსნილია და ერთიმეორეზე გადატანილი.

დიამეტრი — 4 სმ.

592 (12—54:2303-1). ძ ე წ კ ვ ი ბრინჯაოსი; არ არის.

593 (12—54:2304). მ ძ ი ვ ე ბ ი პასტისა და მინისა (?), (56). მათში გამოირჩევა თეთრი პასტის (37). და სამი ცისფერი იოტი; ექვსი თეთრი ოდნავ მოგრძო მრგვალი; ორი ცილინდრული მოყვანილობისაა თეთრი, დიდ-პატარა.

დიდი დაფარულია ირიბად დაღარული ხაზებით, პატარა დაღარული წიწვიანი სახეებით; ორი—რომბული მოყვანილობისაა, ერთი მათგანი ცისფერია, ორმხრივ გახვრეტილი სიგრძეზე და სიგანეზე, მეორე—თეთრია და გახვრეტილია ხუთი მხრიდან სიგრძეზე და ოთხივე გვერდიდან, ისე რომ ოთხივე გვერდის ნახვრეტი ერთ წერტილში იყრის თავს. ოთხი თეთრი მინის მძივია, მოგრძო, ირგვლივ კოპებით შემკული, ირიზებულია მოოქროსფრად.

594 (12—54:2304-1). მ ძ ი ვ ე ბ ი სარდიონისა. არ არის.

595 (12—54:2305). მ ძ ი ვ ე ბ ი სარდიონისა, 800 ერთეული. მათ შორის გამოირჩევა: მოწითალო-მოვარდისფრო ხუთწახნაგა მძივები (765 ერთეული); ზარისებრი მოყვანილობისა, თაფლისფერი (27 ერთეული); მოგრძო სწორკუთხა მოყვანილობისა, სამნახვრეტიანი შემკრები მოწითალო-მოთაფლისფრო; შინდისებრი მოყვანილობისა—მოვარდისფრო და მანდარინისებრი მოყვანილობის მსხვილი მძივი მოწითალო თეთრი ზოლებით.

სარდიონის მძივები, ხუთწახნაგა და ზარისებრი. ამ სამარხს გვიანი პერიოდით უნდა ათარიღებდეს.

596 (12—54:2306). ნ ი ჟ ა რ ე ბ ი კაურისა ,ოვალური მოყვანილობის, ზურგზე ამოჭრილებია (7 ერთეული).

597 (12—54:2307). კ უ ს ჯ ა ვ შ ნ ი ს ნატეხები. ზურგის შუა ნაწილზე შეიმჩნევა ამოღარული ზოლები. აქვს ორი პარალელური მრგვალი პატარა ნახვრეტი.

598 (12—54:2308). ს ა ფ ხ ე კ ი კაჟისა, ყავისფერი.

სიგრძე — 2; სიგანე — 1,5 სმ.

599 (12—54:2309). სამაჯურებისა თუ საკისრე რ კ ა ლ ე ბ ი ს ნატეხები რკინისა, მრგვალგანივკვეთიანი მავთულისა.

600 (12—54:2310). მ ი ნ ი ს ნიმუში.

601 (12—54:2311). თიხნარი მიწის ნიმუში.

**ორმოსამარხი 1 (1938, N)***

602 (12—54/75) რკინის ცელის (?) ფ რ ა გ მ ე ნ ტ ე ბ ი.

603 (12—54/76; სურ. 338). ს ა ს მ ი ს ი თიხის, შავი ფერის. აქვს ოდნავ გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, სფერული მუცელი, მკვეთრად გამოყოფილი ბრტყელი ძირი. მუცელზე ზემოდან ლილვაკით შემკული ოვალურნახვრეტიანი ყურია დაძერწილი. ზედაპირზე ემჩნევა ჯგუფურად განლაგებული 6—7 სიგრძივი პრიალა ზოლი.

სიმაღლე — 11,5; დმ პირის — 8; მუცლის — 11,4;

ძირის — 5 სმ.

აქვე ყოფილა თიხის ლანგარი და ქოთანი.

---

* აქედან მოყოლებულია პარაგრაფის ბოლომდე ა. კალანდაძის ნაშრომში შეტანილი მალხაზ ბარამიძის ხელნაწერი — სამარხეული ინვენტარის აღწერილობა.

ორმოხამარხი 3 (1938, N; სურ. 347)

604 (12—54/86; სურ. 351, 371) შ უ ბ ი ს პ ი რ ი რკინის, დაფნისფოთლისებრპირიანი, მასრაგახსნილი, ორი სამანჭვლე ნახვრეტით.

სიგრძე — 21; სიგანე — 3,3 სმ.

605 (12—54/87; სურ. 348, 378) დ ე რ გ ი თიხის, მონაცრისფრო ღია ლაქებით. აქვს განიერი მხრები, ძირისკენ სწრაფად შევიწროებული მუცელი, პატარა ბრტყელი ძირი. მხარზე და ყელზე 3-3 ღრმა ღარი შემოუყვება, რომელთა შორის დაშტრიხული სამკუთხედებით და რომბებით შევსებული სამკუთხედებია ამოკაწრული. აქვეა ერთი მოკლე ჭდეებით შევსებული ოთხკუთხედი, რომლის წვეროებთან დაშტრიხული სამკუთხედებია ფრთებივით დატანილი. ტანზე 4-დან 11-დე ამოღარული სიგრძივი ზოლების ჯგუფია დატანილი.

სიმაღლე — 26,5; დმ პირის — 31; ძირის — 10,2 სმ.

606 (12—54/88; სურ. 377). ლ ა ნ გ ა რ ი თიხისა, მურა ღია ლაქებით, მსუბუქად პირგადაშლილი, მკვეთრწიბურიანი მხრით და ბრტყელი—დაბალი ქუსლით. შიდა პირზე პრიალით დატანილი ურთიერთგადამკვეთი ხაზებია დატანილი.

სიმღალე — 8; დმ პირის — 33,5; ძირის — 11 სმ.

607 (12—54/89; სურ. 374). დ ო ქ ი თიხის, შავპრიალა; ყელმაღალი, მსუბუქად გაშლილი პირით, მუცელგანიერი, ბრტყელი ძირით. მრავალგანივკვეთიანი ყური პირზე და მხარზეა დაძერწილი. მხარზე ორი კონცენტრული ღარია.

სიმაღლე — 22,5; დმ პირის — 8,8; ძირის — 8,5; მუცლის — 24 სმ.

608 (12—54/90; სურ. 380). დ ო ქ ი თიხის, მონაცრისფრო, ნაკლული ტანზე მსუბუქი ამოღარული 4-4 ზოლია დატანილი.

609 (12—54/91; სურ. 379). ქ ვ ა ბ ქ ო თ ა ნ ა თიხის, მოშავო-მონაცრისფრო, პირფართო. აქვს მკვეთრად გამოყვანილი ბაკო, ბიკონუსური ტანი, გამოყოფილი ბრტყელი ძირი.

სიმაღლე — 12; დმ პირის — 14,4; ძირის — 7,3 სმ.

610. (12—54/92; სურ. 355—357, 361). ი ს რ ი ს პ ი რ ე ბ ი ბრინჯაოსი, ფირფიტოვანი, ნესტარისებრი 1 ც. ყუნწიანია, ფრთებდაშვებული, 1 — ორფრთიანი, 2 — სამკუთხედისებრი, უქუსლო. აქვეა რკინის 1 ც. ყუნწიანი ისრისპირი, პაწია.

611 (12—54/93; სურ. 349, 359). ნ ი ვ თ ი ძვლის. აქვს რგოლით დაბოლოებული თავი; მოგრძო, ბოლოსთან გახვრეტილი ტანი.

სიგრძე — 9,5 სმ.

612 (12—54/94; სურ. 350, 360). ი ს რ ი ს პ ი რ ი ძვლის, პირამიდალური, მოგრძო მრგვალგანივკვეთიანი ყუნწით (6).

სიგრძე — 5,5—6 სმ.

613 (12—54/94₁; სურ. 372). ი ს რ ი ს პ ი რ ი ს წვერის ნატეხი, ძვლისა

614 (12—54/95; სურ. 376). ბ ე ჭ ე დ ი ბრინჯაოსი, ჭდეულზედაპირიანი, თავგახსნილი (6).

615 (12—54/96; სურ. 358, 362, 363, 365). ა გ რ ა ფ ი ბრინჯაოსი, ოვალური, თავბოლო გაბრტყელებული.

616 (12—54/97; სურ. 353, 369). ს ა კ ი ნ ძ ი რკინის, მრგვალგანივკვეთიანი.

სიგრძე — 10 სმ.

617 (12—54/98; სურ. 367). ნ ა ტ ე ხ ე ბ ი რკინის ფიბულის ბუდის დაენის.

618 (12—54/99; სურ. 352, 368). ნ ა ტ ე ხ ი რკინის ნივთის, რკალისებრი, მრგვალგანივკვეთიანი.

619 (12—54/100; სურ. 354, 366). მ ძ ი ვ ე ბ ი თაფლისფერი სარდიონის და გიშერის, ბიკონუსური.

620 (12—54/101; სურ. 364, 370). მ ძ ი ვ ე ბ ი მინისებრი პასტის (1) და სარდიონის (5), პატარა ზომის, 4— ხუთწახნაგაა, 1 — მომრგვალებული.

621 (12—54/102; სურ. 373). ლ ა მ ე ლ ა ობსიდიანის, დამუშავების კვალით.

სამარხში იყო აგრეთვე თიხის ქოთანი, ფიალა, ხის ნივთის ნაშთი.

**ორმოსამარხი 4**
**(1938, N)**

622 (12—54/103). ჭ უ რ ჭ ე ლ ი თიხის, მურა, ნაკლული. აქვს სფერული ტანი, ბრტყელი, მსუბუქად გამოყოფილი ძირი. ოვალურგანივკვეთიანი და ნახვრეტიანი ლილვაკით შემკული. ყური ტანზეა მიძერწილი.

623 (12—54/104; სურ. 402). ლ ა ნ გ ა რ ი თიხის, მონაცრისფრო, საწურიანი. აქვს მსუბუქად გაშლილი პირი, მკვეთრწიბურიანი მხარი, ოდნავ გამოყოფილი ბრტყელი ძირი.

სიმაღლე — 8,5; დმ პირის — 40,5; ძირის — 18,5 სმ.

624 (12—54/105;). ხ ე ლ ა დ ა თიხის, პაწია, მონაცრისფრო, ყელმაღალი, სფერულმუცლიანი, ოვალურგანივკვეთიანი ყური პირზე და მხარზეა მიძერწილი. მხარი ფართო ღარებითაა შემკული.

სიმაღლე — 12; დმ პირის — 9; მუცლის — 15; ძირის — 5,6 სმ.

625 (12—54/106). ს ა ს მ ი ს ი თიხის, მონაცრისფრო ღია ლაქებით, პირგაშლილი, ყელდაღარული, სფერულმუცლიანი, დაბალი ქუსლით. მუცელზე ჰქონია ყურიც.

სიმაღლე — 12; დმ პირის — 8,5; მუცლის — 11; ძირის — 6 სმ.

626 (12—54/107). ი ს რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი, ფირფიტოვანი, ნესტარისებრი, ბოლოში პატარა ქუსლით, წვერთან გახვრეტილი (4).

627 (12—54/108, ს ა ტ ე ვ ა რ ი რკინის ,ძალზე დამტვრეული.

628 (12—54/109). შ უ ბ ი ს პ ი რ ი რკინის, ფრაგმენტები.

იქვე იყო თიხის ქოთანი, ჭურჭელი.

ორმოსამარხი 7 (1938, N)

629 (12—54/117; სურ. 435). ნ ა ტ ე ხ ე ბ ი მონაცრისფრო მოზრდილი ჭურჭლის ტალღოვანი ორნამენტით შემკული.

630 (12—54:118; სურ. 413, 429). ქ ო თ ა ნ ი ღია მოყვითალო ფერის, ხელით ნაძერწი. ოდნავ გადმოკეცილი ბაკო უშუალოდ გადადის სფეროსებრ ტანზე. მხარზე ჰქონია ყური. ყელის ქვეშ ირიბი ჭდეების მწკრივი შემოუყვება.

სიმაღლე — 14; დმ პირის — 10,6; მუცლის — 13; ძირის — 8 სმ.

631 (12—54/119; სურ. 404, 437). ხელადა თიხის, მონაცრისფრო. აქვს მაღალი ცილინდრული ყელი, სფერული ტანი, ბრტყელი ძირი. ყური მხარზე და პირზეა მიძერწილი. მხარზე 3 ფართო ღარი, ხოლო ტანის ქვედა ნაწილში სიგრძივი პრიალა ზოლები ამკობს.

**336** (01/4-338, სურ. 1315). კ ო ჰ ო ბ ი ლეგაფერის თიხისა. პირგადაშლილი, ყელდაბალი, მუცელი გამობერილია და ოთხი კოპი აზის; ძირი ვიწრო და ბრტყელი. სიმაღლე — 10,4; დმ პირის — 8,7; ძირისა — 5,2 სმ.

**337** (01/4—339; სურ. 1316). კ ო ჰ ო ბ ი. აგურისფრად გამომწვარი თიხისა, პატარა ნატეხებად დაშლილი. სიმაღლე — 11; დმ პირის — 8; ძირისა — 4,5 სმ.

**338** (01/4—340). მ ძ ი ვ ე ბ ი სარდიონის, მოვარდისფრო;. გვერდებდაწახნაგებული, მრგვალბრტყელი. 8 ცალი.

**სამარხი 113. 1977. 22. IX; II. 21. S—N. სურ. 1325, 1326**

ქვასამარხია. სამარხის ზომებია: ა) 1,76×1,24; ბ) 1,61×1,09 მ. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე დაუკრძალავთ. სამარხში აღმოჩნდა:

**339** (01/4—341; სურ. 1328). ხ ე ლ ა დ ა ლეგაფერის თიხისა, პირგადაშლილი, ყურიანი; სფერულმუცლიანი და ძირბრტყელი. სიმაღლე — 12,7; დმ პირის — 5,5; ძირისა — 6,8 სმ.

**340** (01/4—342; სურ. 1327). ჯ ა მ ი ლეგაფერის თიხისა, სწორპირიანი, სქელკეციანი, ძირბრტყელი. სიმაღლე — 4,5; დმ პირის — 19,5; ძირისა — 12 სმ.

**სამარხი 114. 1977. 4. IX; II, 21. S—W. სურ. 1329**

ქვაყრილიანი ორმოსამარხია. სამარხის ზომებია: ა) 1,05×0,69; ბ) 0,80×0,60; მიცვალებული მარჯვენა გვერდზე დაუკრძალავთ. სამარხში აღმოჩნდა:

**341** (01/4—343; სურ. 1330). ხ ე ლ ა დ ა ჩალისფერი თიხისა, პირი გადაშლილი აქვს; ყურიანი, ყელი ცილინდრული, ძირბრტყელი: სიმაღლე —13; დმ პირის — 5,5; ძირისა — 7 სმ.

**სამარხი 115. 1977. 24. IX; II. 24. S—N. სურ. 1331, 1332**

ქვაყრილიანი ორმოსამარხია. სამარხის ზომებია: ა) 1,21×0,82; ბ) 1,10×0,60 მ. მიცვალებული ხელფეხმოკეცილი, მარცხენა გვერდზე დაუკრძალავთ. სამარხში აღმოჩნდა:

**342** (01/4—345; სურ. 1334). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, ღერო მრგვალია, ყელი დაბრტყელებულია და გახვრეტილი, თავი კვადრატული ფორმისაა. სიგრძე — 9,5 სმ.

**343** (01/4—346; სურ. 1333). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, № 345-ე საკინძის ანალოგიურია; თავი წატეხილი აქვს.

**344** (01/4—347; სურ. 1335). მ ძ ი ვ ე ბ ი მინის, თეთრი ფერის, ბიკონუსური. 2 ცალი.

**სამარხი 117. 1977. 4. X; II. 24. O—W. სურ. 1337**

ქვასამარხია. სამარხის ზომებია: ა) 1,08×0,73; ბ) 0,86×0,65 მ. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე დაუკრძალავთ. სამარხში აღმოჩნდა:

**345** (01/4—344; სურ. 1338). ხ ე ლ ა დ ა ლეგაფერის თიხისა, ნატეხები. აღდგენა არ მოხერხდა.

**სამარხი 118. 1977 8. X. II. 24. S—N. სურ. 1339**

ქვაყრილიანი ორმოსამარხია. სამარხის ზომებია: ა) 1,20×0,82; ბ) 1,40×0,65 მ. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე დაუკრძალავთ. სამარხში აღმოჩნდა:

**346** (01/4—350; სურ. 1341). დ ო ქ ი თიხისა, ზედაპირი შავად ნაპრიალებია; პირი და ყელის ნაწილი ჩა-

მოტეხილია, ყელზე ირიბხაზოვანი ორნამენტი შემოუყვება; მუცელი სფე- რული აქვს, ძირი ბრტყელი, ყურიანი. სიმაღლე — 25; დმ მუცლის — 22; ძირისა — 10 სმ.

**347** (01/4—351; სურ. 1342). **ჯ ა მ ი** ჩალისფერი თიხისა, პირჩაკეცილი, ბრტყელძირა. სიმაღლე — 6,7; დმ პირის — 20,4; ძირისა — 11,5 სმ.

**348** (01/4—352; სურ. 1340). **კ ო ჭ ო ბ ი** ლეგაფერის თიხისა, პირგადაშ- ლილი, დაბალყურიანი, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე —9,9; დმ პირის — 7,2; ძირის — 5,5 სმ.

**349** (01/4—353). **შ უ ბ ი ს წ ვ ე რ ი** რკინისა, ძლიერ დამტვრეული და დაშლილი.

**სამარხი 119. 1977. 7. X; II, 24**

ქვაყრილიანი ორმოსამარხია. სამარხის ზომებია: ა) 1,20×0,70; ბ) 1,00×0,50 მ. მიცვალებულის ჩონჩხი არეულია. არ მოხერხდა დამხრობისა და პოზის დადგე- ნა. სამარხი უინვენტაროა.

**სამარხი 120. 1977. 7. X; II, 24. S—W. სურ. 1343**

ქვასამარხია. სამარხის ზომებია: ა) 1,55×1,05; ბ) 1,45× .0.9 მ: მიცვალებული ხელფეხმოკეცილი, მარჯვენა გვერდზე დაუკრძალავთ. სამარხში აღმოჩნდა:

**350** (01/4—354). **ხ ე ლ ა დ ა** აგურისფრად გამომ- წვარი თიხისა, ყურიანი, ძირბრტყელი; დაიშალა პატარა ნატეხებად. განაზომების აღება არ მოხერხდა.

**351** (01/4—355; სურ. 1344). **ჯ ა მ ი** ლეგაფერის თიხისა, პირჩაკეცილი, ყურიანი, ძირბრტყელი. სიმაღლე — 8; დმ პირის — 20,8; ძირისა — 11,4 სმ.

**352** (01/4—356). **კ ო ჭ ო ბ ი** აგურისფერი თიხისა, პირგადაშლილი, სფერულმუცლიანი ძირბრტყელი.

**სამარხი 121. 1977. 6. X; II. 24. S—N. სურ. 1345**

ქვაყრილიანი ორმოსამარხია. სამარხის ზომებია: ა) 1,20×1,00; ბ) 1,00×0,80 მ. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე დაუკრძალავთ. სამარხში აღმოჩნდა:

**353** (01/4—358; სურ. 1347). **ჯ ა მ ი** ლეგაფერის თიხისა, პირჩაკეცილი, ძირბრტყელი; სიმაღლე —5,4; დმ პირის — 14,7; ძირისა — 10 სმ.

**354** (01/4—359; სურ. 1346). **ტ ო ლ ჩ ა** ლეგაფერის თიხისა, პირგადაშ- ლილი, ყურიანი, ძირბრტყელი .სიმაღლე — 7,7; დმ პირის — 8; ძირისა — 5,4 სმ.

**355** (01/4—360). **ხ ე ლ ა დ ა** აგურისფრად გამომწვარი თიხისა, პატარა ნატეხებად იყო დაშლილი. აღდგენა არ მოხერხდა.

356 (01/4—357, სურ. 1348). დ ა ნ ა რკინისა, დაჟანგული და დაშლილი.

**სამარხი 122. 1977. S—N.**

ქვაყრილიანი ორმოსამარხია. სამარხის ზომებია: ა) 1,00×0,65; ბ) 0,90×0,56 მ. სამარხში აღმოჩნდა: მცირეწლოვანი ბავშვის ჩონჩხის ნაშთი თიხის ჭურჭლის ლეგაფერის ნატეხებთან ერთად.

357 (01/4—361). რ გ ო ლ ი ბრინჯაოსი, თავგახსნილი, მავთულოვანი. დმ რკალის — 1,5 სმ.

**სამარხი 123. 1977. 3. X. S—N. სურ. 1349, 1350**

ქვაყრილიანი ორმოსამარხია. სამარხის ზომებია: ა) 1,33×0,98; ბ) 1,55×1,23 მ. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე დაუკრძალავთ. სამარხში აღმოჩნდა:

358 (01/4—362; სურ. 1351). ხ ე ლ ა დ ა თიხისა, სამტუჩა, ნაცრისფრად გამომწვარი: ყურიანი, მსხლისებრი მუცელი აქვს, ძირბრტყელი. სიმაღლე — 21,5; დმ პირის — 9: ძირისა — 9 სმ.

359 (01/4—363). ჯ ა მ ი ლეგაფერის თიხისა, პირჩაკეცილი, ძირბრტყელი. სიმაღლე — 7,7; დმ პირის — 21; ძირის — 11 სმ.

360 (01/4—364; სურ. 1352). კ ო ჭ ო ბ ი ლეგაფერის თიხისა, პირსწორი, ყელდაბალი, მუცელი მრგვალია და კოპები აზის. ძირბრტყელი. სიმაღლე — 10; დმ პირის — 7,2; ძირისა — 7,5 სმ.

361 (01/4—365). შ უ ბ ი ს წ ვ ე რ ი რკინისა, ძლიერაა დაშლილი.

362 (01/4—366). დ ა ნ ა რკინისა, ძლიერ დაშლილი ნატეხებია.

**სამარხი 124. 1977. 6. X; II. 24. S—N. სურ. 1353**

ქვაყრილიანი ორმოსამარხია. სამარხის ზომებია: ა) 0,70×0,40; ბ) 0,60×0,30 მ. ნაკლული ჩონჩხი მცირეწლოვან ბავშვს ეკუთვნოდა. სამარხში აღმოჩნდა:

363 (01/4—367). კ ო ჭ ო ბ ი თიხისა, აგურისფრად გამომწვარი, ნატეხები.

364 (01/4—368; სურ. 1354). მ ძ ი ვ ს ა კ ი დ ი მინისა, ცისფერი; გვერდებდაღარული, ფართო ნახვრეტით. დმ ნახვრეტის —1; სიმაღლე მძივისა — 1,4 სმ.

**სამარხი 125. 1977. 6. X; II. 24. S—N. სურ. 1355**

ქვაყრილიანი ორმოსამარხია. სამარხის ზომებია: ა) 1,30×0,70; ბ) 1,20×0,50 მ. მიცვალებულის პოზა ჩონჩხის ძლიერი დაზიანების გამო ვერ დავადგინეთ. სამარხში აღმოჩნდა:

365 (01/4—369). დ ა ნ ა რკინისა, ძლიერ პატარა ნატეხებად დაშლილი.

366 (01/4—370; სურ. 1356). ბ ა ლ თ ა ბრინჯაოსი ,ნახევარკონუსის ფორმის; ზემოდან შემკულია რელიეფური წერტილებით. სიგრძე — 3,2 სმ.

367 (01/4—371; სურ. 1357; ს ა ს ა ფ ე თ ქ ლ ე რ გ ო ლ ი ვერცხლისა,

თავგახსნილი, თავები ოდნავ დაბრტყელებული გახვრეტილია. დმ რკალის — 2,6 სმ.

**სამარხი 126. 1977. 6. X; II. 24. S—N. სურ. 1358**

ქვაყრილიანი ორმოსამარხია. სამარხის ზომებია: ა) 1,60×0,95; ბ) 1,50×0,90 მ. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე დაუკრძალავთ. სამარხში აღმოჩნდა:

**368** (01/4—372; სურ. 1359). ხ ე ლ ა დ ა თიხისა, შავად გამომწვარი, სამტუჩა, ყურიანი, მსხლისებრი ტანი აქვს, ძირბრტყელი; სიმაღლე — 17,7; დმ — პირის —9; მუცლის — 16; ძირისა — 9,3 სმ.

**369** (01/4—373; სურ. 1360). ჯ ა მ ი თიხისა, შავად გამომწვარი, სწორპირიანი, ძირბრტყელი; დაშლილია. შემორჩენილია ნახევარი ნაწილი.

**370** (01/4—374; სურ. 1361). ხ ე ლ ა დ ა თიხისა, ნატეხები. განაზომების აღება არ მოხერხდა.

**371** (01/4—375; სურ. 1362). ს ა მ ა ჯ უ რ ი ბრინჯაოსი, გახსნილი თავები ცხოველსახეებითაა შემკული. დმ რკალის — 5,2, ღეროსი — 0,3 სმ.

**372** (01/4—376). დ ა ნ ა რკინისა, მოხრილი, დაშლილი პატარა ნატეხებად. სიგრძე — 12 სმ.

**სამარხი 127. 1977. 10. X; II. 24. S—N**

ქვიშაქვის ფილებით სახურავგაწყობილი ორმოსამარხია. სამარხის ზომებია: ა) 1,45×0,95; ბ) 1,35×0,85 მ. მიცვალებული მარცხენა გვერდზე დაუკრძალავთ. სამარხში აღმოჩნდა:

**373** (01/4—377; სურ. 1364). ქ ო თ ა ნ ი თიხისა, ლეგაფერის, არათანაბრად გამომწვარი; დაშლილია პატარა ნატეხებად.

**374** (01/4—378; სურ. 1365). ჯ ა მ ი ლეგაფერის თიხისა, ყურიანი პირგადაშლილი, ბრტყელძირიანი. სიმაღლე — 6,5; დმ — 15,6; ძირის — 8 სმ.

**375** (01/4—379; სურ. 1366). კ ო ჭ ო ბ ი ლეგაფერის თიხისა, პირფართო, ყელდაბალი, სფერულმუცლიანი და ძირბრტყელი. სიმაღლე 9,3; დმ პირის — 6,3; მუცლის — 9, ძირისა — 5 სმ.

**376** (01/4—380; სურ. 1363). კ ო ჭ ო ბ ი თიხისა, მოწითალო-მოშავო ფერის; პირგადაშლილი, დაბალყელიანი, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე — 9,7; დმ პირის — 6; მუცლის — 10; ძირისა — 4,5 სმ;

**377** (01/4—381; სურ. 1368). ს ა მ ა გ რ ი (?) ბრინჯაოსი; ბრინჯაოს თხელი ფირფიტისაგან დამზადებული. ბაფთის ფორმის ორი რგოლით ბოლოებში. სიგრძე — 8 სმ; დმ რგოლის — 1,5; 11—1,7 სმ.

**378** (01/4—382; სურ. 1367). ს ა მ ა ჯ უ რ ი რკინის, დაშლილი პატარა ნატეხებად.

**სამარხი 128.**
**1977. 11. X; II.**
**23**

ქვაყრილიანი ორმოსამარხია. სამარხის ზომებია: ა) 120×1,10 მ. სამარხში აღმოჩნდა დაზიანებული თავის ქალას ნატეხები. სამარხი უინვენტაროა.

**სამარხი 129.**
**1977. 3. X; II.**
**23. S—N. სურ.**
**1369, 1370**

ქვაყრილიანი ორმოსამარხია. სამარხის ზომებია: ა) 1,48×0,87; ბ) 1,20×0,80 მ. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე დაუკრძალავთ. სამარხში აღმოჩნდა:

379 (01/4—383; სურ. 1371). კ ო ჭ ო ბ ი თიხისა, მოწითალო-მოყავისფრო, პირი ჩამოტეხილია, ყელდაბალი, სფერულმუცლიანი, ძირბრტყელი. სიმაღლე — 10; დმ პირის — 6; ძირისა — 6,5 სმ.

380 (01/4—384; სურ. 1375). ს ა მ ა ჯ უ რ ი ბრინჯაოსი, ღერო მრგვალია, თავგახსნილი. თავები ცხოველსახეებით შემკული. დმ რკალის — 7,5 სმ.

381 (01/4—385; სურ. 1373). ფ ი რ ფ ი ტ ა ბრინჯაოსი, ორკეცი. სიგრძე— 2; სიგანე — 1,5 სმ.

382 (01/4—386). მ ძ ი ვ ი სარდიონის, წითელი მანდარინისებრი; 1 ცალი. დმ 0,6 სმ.

383 (01/4—387; სურ. 1372). დ ა ნ ა რკინისა, მოხრილი. ტარზე რკინისავე მანჭვლით. სიგრძე — 20 სმ.

384 (01/4—388; სურ. 1374). დ ა ნ ა რკინისა, დაშლილი. 1 სიგრძე —19; 11—16 სმ.

385 (01/4—389). ჯ ა მ ი ლეგაფერის. თიხისა, ძლიერ დამტვრეული.

386 (01/4—390). ჯ ა მ ი თიხისა, დაშლილი პატარა ნატეხებად. აღდგენა არ მოხერხდა.

**სამარხი 130**
**1977. 6. X; O—**
**W. სურ. 1376,**
**1377**

ქვასამარხია. სამარხის ზომებია: ა) 1,10×0,73×0,35; ბ) 0,78×0,53×0,30 მ. მიცვალებული მარცხენა გვერდზე დაუკრძალავთ. სამარხში აღმოჩნდა:

387 (01/4—391; სურ. 1380). ჯ ა მ ი თიხისა, ჩალისფრად გამომწვარი; პირჩაკეცილი, ტუჩიანი, ყურიანი, ძირბრტყელი. სიმაღლე — 4,4; დმ პირის — 9,5; ძირისა — 6,4 სმ.

388 (01/4—392; სურ. 1379). ტ ო ლ ჩ ა ლეგაფერის თიხისა, მრგვალპირიანი; პირგაშლილი, ყურიანი, სფერულმუცლიანი და ძირბრტყელი. სიმაღლე — 12; დმ პირის — 11; მუცლის — 16, ძირისა — 10 სმ.

389 (01/4—393; სურ. 1381). ს ა კ ი ნ ძ ი ს ღ ე რ ო ბრინჯაოსი, ღერო მრგვალია, თავისაკენ მსხვილდება. თავი მოტეხილია. სიგრძე — 10 სმ.

390 (01/4—394; სურ. 1378). ხ ე ლ ა დ ა ღია ჩალისფერი თიხისა, პირგადაშლილი, ყურიანი, ყელდაბალი, სფერულმუცლიანი, ძირბრტყელი.
სიმაღლე — 15,4; დმ პირის — 6,5; ძირისა — 9 სმ.

ქვასამარხია. სამარხის ზომებია: ა) 1,25×0,52×0,40; ბ) 1,19×0,48 მ. მიცვალებული მარცხენა გვერდზე დაუკრძალავთ. სამარხში აღმოჩნდა:

**სამარხი 131.**
**1977. 7. X. II.**
**23. SO—NW**

**391** (01/4—395; სურ. 1383). კ ო ჭ ო ბ ი თიხის, ვიწროპირიანი, ყელდაბალი, მუცელგამობერილი, ძირბრტყელი. სიმაღლე — 9,2; დმ პირის — 5; ძირისა — 7,8 სმ.

**392** (01/4—396; სურ. 1382). ფ ი ა ლ ა თიხის, ჩალისფრად გამომწვარი; პირგადაშლილი, პირის ქვემოთ წელში გამოყვანილი, მრგვალძირიანი. სიმაღლე — 5,3: დმ პირის — 15 სმ.

**393** (01/4—397; სურ. 1384). ც უ ლ ი ს პ ი რ ი რკინისა, პატარა ნატეხებად დაშლილი.

**394** (01/4—398; სურ. 1385). შ უ ბ ი ს პ ი რ ი რკინისა, პატარა ნატეხებად დაშლილი.

ქვაყრილიანი ორმოსამარხია. სამარხის ზომებია: ა) 0,94 ×0,82; ბ) 0,88×0,48 მ. მიცვალებულის ჩონჩხი ნაკლულია. ბავშვის დაკრძალვის პოზა ვერ დავადგინეთ ძლიერი დაზიანების გამო. სამარხში აღმოჩნდა:

**სამარხი 132.**
**1977. 11. X; II,**
**23**

**395** (01/4—399). მ ძ ი ვ ე ბ ი პასტის, ინკრუსტირებული; მრგვალბრტყელი, ფართო ნახვრეტიანი. 18 ცალი.

ქვაყრილიანი ორმოსამარხია. სამარხის ზომებია: ა) 1,37 ×1,00; ბ) 1,30×0,67 მ. მიცვალებული მარცხენა გვერდზე დაუკრძალავთ.
სამარხში აღმოჩნდა:

**სამარხი 133.**
**1977. 6. X; II.**
**24. S—N. სურ.**
**1386**

**396** (01/4—400. სურ. 1387). კ ო ჭ ო ბ ი ლეგაფერის თიხისა, პირგადაშლილი, დაბალყელიანი, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა; მუცელზე კოპები აზის. დმ მუცლის — 9,9; ძირისა — 4,5 სმ.

**397** (01/4—401; სურ. 1389). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, ღერო მრგვალია; თავი კვადრატული ფორმისაა და ჯვარედინი ხაზებითაა შემკული; ყელი დაბრტყელებულია და გახვრეტილი. სიგრძე — 9,5 სმ.

**398** (01/4—402; სურ. 1390). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, № 401-ის ანალოგიურია. გატეხილია ოთხ ნაწილად.

**399** (01/4—403; სურ. 1388). ს ა მ ა ჯ უ რ ი რკინისა, ძლიერ დაჟანგული და დამტვრეული.

ქვაყრილიანი ორმოსამარხია. სამარხის ზომებია: ა) 1,20 ×0,56; ბ) 1,20× 65 მ. მიცვალებული მარცხენა გვერდზე დაუკრძალავთ.
სამარხში აღმოჩნდა:

**სამარხი 134.**
**1977. 7. X; II. 23**
**O—W. სურ. 1391**

**400** (01/4—407; სურ. 1392). კ ო ჭ ო ბ ი ლეგაფე-

რის თიხისა, პირგადაშლილი, დაბალყელიანი, სფერულმუცლიანი, ძირბრტყელი: მუცელზე სამი კოპი აზის. სიმაღლე — 9; დმ ძირის — 6,3 სმ.

401 (01/4—408; სურ. 1393). ხ ე ლ ა დ ა ჩალისფრად გამომწვარი თიხისა, მაღალი ყელი მუცელთან ფართოვდება; ყურიანი, მუცლის ნახევარი და ძირი აკლია. სიმაღლე — 14,5; დმ ძირის — 7; მუცლის — 17,7 სმ.

402 (01/4—409). ჯ ა მ ი თიხისა, პატარა ნატეხებად დაშლილის აღდგენა არ მოხერხდა.

403 (01/4—410; სურ. 1394). დ ა ნ ა რკინისა, მოხრილი; ტარზე ორი მანჭვალი აქვს შემორჩენილი; პირი ბრტყელია. სიგრძე — 10,5 სმ.

**სამარხი 185. 1977 9. X. II. 23. O—W. სურ. 1895, 1396**

ქვიშაქვის ფილით გადახურული ორმოსამარხია. სამარხის ზომებია: ა) 1,05×0,70; ბ) 1,05×0,70 მ. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე დაუკრძალავთ. სამარხში აღმოჩნდა:

404 (01/4—411; სურ. 1398). ხ ე ლ ა დ ა ჩალისფერი თიხისა: პირი მრგვალია და გადაშლილი; ყელდაბალი, სფერულმუცლიანი და ძირბრტყელი. ყურიანი. სიმაღლე —12,7; დმ პირის —6,5; ძირისა —9,5 სმ.

405 (01/4—412. სურ. 1397). ჯ ა მ ი ლეგაფერის თიხისა, პირჩაკეცილი, ტუჩიანი, ძირბრტყელი. სიმაღლე —5; დმ პირის — 18,5; ძირისა — 11,5 სმ.

406 (01/4—413; სურ. 1399). ს ა ს ა ფ ე თ ქ ლ ე რგოლი ვერცხლისა, გახსნილი. დმ რკალის — 1,7 სმ.

**სამარხი 186. 1977 10. X. II. 24. S—N. სურ. 1400, 1401**

ქვაყრილიანი ორმოსამარხია. სამარხის ზომებია: ა) 1,50×0,92; ბ) 1,00×0,80 მ. მიცვალებული მარცხენა გვერდზე დაუკრძალავთ. სამარხში აღმოჩნდა:

407 (01/4—414; სურ. 1402). ჯ ა მ ი ლეგაფერის თიხისა, პირი სწორი აქვს. გვერდი კონუსისებური ძირისაკენ ვიწროვდება. ძირბრტყელი. სიმაღლე უდიდესი— 9; უმცირესი —6. დმ პირის — 24; ძირისა — 10,5 სმ.

408 (01/4—415; სურ. 1403). ტ ო ლ ჩ ა ლეგაფერის თიხისა, პირგადაშლილი, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა, ყურიანი. სიმაღლე — 12,5. დმ პირის — 10,5; ძირის — 6,5 მ.

409 (01/4—416; სურ. 1404). კ ო ჰ ო ბ ი თიხისა, ანგობირებული, პირგადაშლილი, ყელდაბალი, სფერულმუცლიანი, ძირბრტყელი. სიმაღლე —8,5; დმ პირის — 6; ძირისა — 5 სმ.

410 (01/4—417; სურ. 1405). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, ღერო მრგვალია, თავი კვადრატული ფორმისაა და შემკულია წიწოვანი ნაკაწრით; ყელი დაბრტყელებულია და გახვრეტილი. სიგრძე — 10 სმ.

411 (01/4—418; სურ. 1406). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, № 417-ის ანალოგიურია. სიგრძე — 10,5 სმ.

412 (01/4—419, სურ. 1407). მ ძ ი ვ ი სარდიონისა, ვარდისფერი, სფერული. დმ 0,5 სმ.

**სამარხი 187. 1977. II. X; II. 20. O—W**

ქვასამარხია. სამარხის ზომებია: ა) 1,18×0,74; ბ) 0,86×0,60 მ. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე დაუკრძალავთ. სამარხში აღმოჩნდა:

413 (01/4—420; სურ. 1408). ხ ე ლ ა დ ა მოვარდისფრო თიხისა, მრგვალპირიანი, პირგადაშლილი, ყელდაბალი, სფერულმუცლიანი, ყურიანი, ძირბრტყელი სიმაღლე — 18 სმ, დმ პირის 8, ძირისა — 12,5 სმ.

414 (01/4—421; სურ. 1409). ჯ ა მ ი თიხისა, წითლად ანგობირებული, პირგადაშლილი; პირს ქვემოთ ნაჭდევი შემოუყვება. ძირი მრგვალი აქვს, სიმაღლე — 5,6; დმ პირის — 14 სმ.

415 (01/4—422; სურ. 1411). ბ ე ჭ ე დ ი რკინისა, ფარაკიანი, ღერო ბრტყელია. დმ რკალის — 3 სმ.

416 (01/4—423; სურ. 1410). ს ა მ ა ჯ უ რ ი რკინისა; ღერო მრგვალი და დაკეჭნილია, ნატეხები.

417 (01/4—424; სურ. 1412). ფ ი რ ფ ი ტ ა ბრინჯაოსი, მოხრილი, სიგრძე — 1 სმ.

**სამარხი 188. 1977. 10. X; II 20. S—N. სურ. 1415, 1416**

ქვაყრილიანი ორმოსამარხია. სამარხის ზომებია: ა) 1,20×0,70; ბ) 1,05×0,53 მ. მიცვალებული მარცხენა გვერდზე დაუკრძალავთ. სამარხში აღმოჩნდა:

418 (01/4—425; სურ. 1417). ტ ო ლ ჩ ა თიხისა, ყურიანი, ლეგაფერის, პირგადაშლილი, სფერულმუცლიანი, ძირბრტყელი. სიმაღლე — 12,8; დმ პირის — 12; ძირისა — 8 სმ.

419 (01/4—426; სურ. 1419). ჯ ა მ ი ლეგაფერის, თიხისა, პირჩაკეცილი, ტუჩიანი, გვერდები სიმეტრიულად ამოყვანილი, ძირბრტყელი. სიმაღლე — 5,8; დმ პირის — 17, ძირისა — 9 სმ.

420 (01/4—427; სურ. 1418). კ ო ჭ ო ბ ი თიხისა, ლეგაფერის, პირგადაშლილი, დაბალყელიანი, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე — 9; დმ პირის — 5,8; ძირისა — 5 სმ.

421 (01/4—428). ს ა მ ა ჯ უ რ ი ბრინჯაოსი, ღერო მრგვალია, თავგახსნილი, თავები ცხოველსახეებით შემკული. დმ რკალის 5,5 სმ.

**სამარხი 189. 1977 11. X; II, 24. O—W**

ქვიშაქვის ფილით გადახურული ორმოსამრახია. სამარხის ზომებია: ა) 0,80×0,50; ბ) 0,77×0,56 სმ. მიცვალებულის ჩონჩხის ცუდი დაცულობის გამო არ მოხერხდა პოზის დადგენა. სამარხში აღმოჩნდა:

422 (01/4—428 ა; სურ. 1414). ხ ე ლ ა დ ა ჩალის-

ფრად გამომწვარი თიხისა, პირგადაშლილი, ყურიანი, ძირბრტყელი. სიმაღლე — 8,5; დმ პირის — 5; ძირის — 7 სმ.

423 (01/4—429; სურ. 1413). ტ ო ლ ჩ ა მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, ყურიანი, ძირბრტყელი. სიმაღლე — 9; დმ პირის —9; ძირის —8 სმ.

**სამარხი 140. 1977 11. X; II, 23. SO—NW. სურ. 1420.**

ქვაყრილიანი ორმოსამარხია .სამარხის ზომებია: ა) 1,45 ×1,15; ბ) 1,40×1,20 მ. მიცვალებული მარცხენა გვერდზე დაუკრძალავთ. სამარხში აღმოჩნდა:

424 (01/4—430; სურ. 1421). ჯ ა მ ი ლეგაფერის თიხისა, სწორპირიანი, ყურიანი, ძირბრტყელი; ძლიერაა დაზიანებული. შემორჩენილია ძირისა და გვერდის ნახევარი.

425 (01/4—431; სურ. 1422). კ ო ჰ ო ბ ი ლეგაფერის თიხისა, პირგადაშლილი, ვიწროყელიანი; მუცელზე სამი კოპი აზის, ძირბრტყელი. სიმაღლე — 6,5; დმ პირის — 5; ძირისა — 3,7 სმ.

426 (01/4—432; სურ. 1423). კ ო ჰ ო ბ ი ლეგაფერის თიხისა, სფერულმუცლიანი და ძირბრტყელი უნდა ყოფილიყო. სიმაღლე — 6,5; დმ პირის — 4,6; ძირის — 5 სმ.

427 (01/4—433; სურ. 1425). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, ღერო მრგვალია, თავი ცილინდრული ფორმისაა, ყელი დაბრტყელებულია და გახვრეტილი, ბოლო წაწვეტებული. სიგრძე — 9,5 სმ.

428 (01/4—334; სურ. 1424). ს ა მ ა ჯ უ რ ი რკინისა, ღერო მრგვალია და დაკეჰნილი. ნატეხები.

**სამარხი 141. 1977 2. X; II, 23. N—S. სურ. 1426**

ქვაყრილიანი ორმოსამარხია. სამარხის ზომებია: ა) 1,20 ×0,80; ბ) 0,80×0,60 მ. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე დაუკრძალავთ. სამარხში აღმოჩნდა:

429 (01/4—435; სურ. 1427). ხ ე ლ ა დ ა თიხისა, აგურისფრად გამომწვარი მსხლისებრი ტანით, ბრტყელძირა, პირი და ყელის ნაწილი ჩამოტეხილია. სიმაღლე — 15; დმ პირის — 8 სმ.

430 (01/4—436; სურ. 1428). ჯ ა მ ი თიხისა, ყურიანი, აგურისფრად გამომწვარი; სწორპირიანი, ძირბრტყელი, სიმაღლე — 6,3; დმ პირის — 14, ძირისა —8 სმ.

431 (01/4—436[1]) დ ა ნ ა რკინისა, მოხრილი. დაშლილია.

**სამარხი 142. 1977 13. X; II, 23. SO—NW. სურ. 1433**

ქვაყრილიანი ორმოსამარხია. სამარხის ზომებია: ა) 1,40×1,10; ბ) 1,50×1,00 მ. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე დაუკრძალავთ. სამარხში აღმოჩნდა:

432 (01/4—437; სურ. 1434). ხ ე ლ ა დ ა ლეგაფერის თიხისა მრგვალპირიანი, პირგადაშლილი, სფერულმუცლიანი, ძირბრტყელი. მუცელზე კონცენტრული ხაზები შემოუყვება. სიმაღლე — 16,3; დმ პირისა —8; ძირის — 7 სმ.

433 (01/4—438, სურ. 1436). ჯ ა მ ი ლეგაფერის თიხისა, პირჩაკეტილი, ღრმა, სიმეტრიულად ამოყვანილი გვერდები და ბრტყელი ძირი. სიმაღლე — 7,2, პირის დმ —21. დმ პირის — 9 სმ.

434 (01/4—439; სურ. 1435). კ ო ჰ ო ბ ი ლეგაფერის თიხისა, პატარა ნატეხებად დაშლილი, აღდგენა მოხერხდა. სიმაღლე — 8,5; დმ პირის — 6 სმ.

435 (01/440). დ ა ნ ა რკინის, ძლიერ დაჟანგული და დამტვრეული. 18 სმ სიგრძისა.

436 (01/4—441). დ ა ნ ა რკინისა, დამტვრეული .სიგრძე — 12 სმ.

**სამარხი 143. 1977. 11. X; II. 23. SO—NW**

ქვაყრილიანი ორმოსამარხია. სამარხის ზომებია: ა) 0,85 ×0,65; ბ) 0,65×0,48 მ. მიცვალებული მარცხენა გვერდზე დაუკრძალავთ. სამარხში აღმოჩნდა:

437 (01/4—510). ხ ე ლ ა დ ა თიხისა, შავად გამომწვარი, დაშლილი ნატეხებად.

438 (01/4—511). ს ა მ ა ჯ უ რ ი რკინისა, ღერო მრგვალია და დაკეჰნილი.

439 (01/4—512). მ ძ ი ვ ე ბ ი მინისა და პასტის.

**სამარხი 144. 1977. 11. X; II; 23. SW—NO. სურ. 1429**

ქვიშაქვის ორი ფილითა და ერთი მოზრდილი რიყის ქვით სახურავგაწყობილი ორმოსამარხია. სამარხის ზომებია: ა) 0,95×0,65; ბ) 0,90×0,60 მ. მიცვალებული ხელფეხმოკეცილი დაუკრძალავთ. სამარხში აღმოჩანდა:

440 (01/4—443; სურ. 1430). ხ ე ლ ა დ ა ჩალისფრად გამომწვარი, თიხისა, პირგადაშლილი, მსხლისებრი ტანით, ძირბრტყელი. სიმაღლე 9; დმ პირის —5,2; ძირისა —5,3 სმ.

441 (01/4—444; სურ. 1431). ს ა მ ა ჯ უ რ ი რკინისა, ღერო მრგვალია და დაკეჰნილი. ნატეხები.

442 (01/4—445; სურ. 1432). მ ძ ი ვ ი პასტისა, მოყვითალო, მრგვალბრტყელი, ფართო ნახვრეტით. ერთი ცალი. დმ. — 1 სმ.

**სამარხი 145. 1977. 12. X; II, 23. S—N. სურ. 1437, 1438**

ქვაყრილიანი ორმოსამარხია. სამარხის ზომებია: ა) 1,05 ×0,80; ბ) 1,20×0,60 მ. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე დაუკრძალავთ. სამარხში აღმოჩნდა:

443 (01/4—446; სურ. 1439). ხ ე ლ ა დ ა ლეგაფერის თიხისა, ყურიანი, პირი და ყური ჩამოტეხილია. სფერულმუცლიანი, ძირბრტყელი. სიმაღლე — 16,5, დმ მუცლის — 5, ძირისა — 9 სმ.

444 (01/4—447, სურ. 1440, 1442). კ ო ჰ ო ბ ი ლეგაფერის თიხისა, სახურავით. პირგადაშლილი, მხარზე ბრტყელი გახვრეტილი ყურები აქვს; ძირბრტყელი. სახურავის ორივე ყურიც გახვრეტილია: კოჰობის სიმაღლე — 6; დმ ძირის —3 სმ. სახურავის სიმაღლე — 2,2; დმ პირის — 5 სმ.

ქვასამარხია. სამარხის ზომებია: ა) 1,28×0,87×38; ბ) 1,10×0,65 მ. მიცვალებული მარცხენა გვერდზე დაუკრძალავთ.

**სამარხი 146. 1977. 13. X; II. 20. S—N. სურ. 1443, 1444**

სამარხში აღმოჩნდა:

**445** (01/4—448; სურ. 1445). ჯ ა მ ი ლეგაფერის თიხისა, სწორპირიანი, ყურიანი, პირთან ახლო სამი კოპი აზის; ბრტყელძირა, სიმაღლე — 5,8; დმ. ძირის — 8; პირის — 13,5 სმ.

**446** (01/4—449). ხ ე ლ ა დ ა ლეგაფერის თიხისა, პატარა ნატეხებად დაშლილი. აღდგენა არ მოხერხდა.

**447** (01/4—450). კ ო ჰ ო ბ ი თიხისა, დაშლილი იყო პატარა ნატეხებად. აღდგენა არ მოხერხდა.

**448** (01/4—451; სურ. 1450). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, 2 ცალი ძეწკვით. ღერო მრგვალია, ყელი დაბრტყელებული და გახვრეტილია, ნახვრეტში ძეწკვია დამაგრებული და ორივე საკინძს აერთებს. საკინძებს თავი ცილინდრული ფორმისა აქვთ, შემკული ვერტიკალური ნაჭდევებით. I საკინძის სიგრძე — 12 სმ-ია, II-სი — 11,7.

**449** (01/4—452; სურ. 1449). ს ა ს ა ფ ე თ ქ ლ ე რგოლი ვერცხლისა, თავგახსნილი, თავები დაბრტყელებული და გახვრეტილია. დმ რკალის — 2,1 სმ.

**450** (01/4—453; სურ. 1446). კ ო ჰ ო ბ ი ლეგაფერის თიხისა, პირგადაშლილი, სფერულმუცლიანი, ძირბრტყელი. სიმაღლე — 13; დმ პირის — 8; ძირისა — 7 სმ.

**451** (01/4—454; სურ. 1447). ს ა მ ა ჯ უ რ ი რკინისა, ღერო მრგვალია და დაკეჰნილი, ნატეხები. დმ რკალის — 6 სმ.

**452** (01/4—455; სურ. 1448). მ ძ ი ვ ი სარდიონის. ერთი ცალი.

ქვაყრილიანი ორმოსამარხია. სამარხის ზომებია: ა) 1,60×1,20; ბ) 1,50×1,00. მიცვალებული მარცხენა გვერდზე დაუკრძალავთ. სამარხში აღმოჩნდა:

**სამარხი 147. 1977. 20. X; II, 20. S—N. სურ. 1451**

**453** (01/4—456; სურ. 1454). ჯ ა მ ი ლეგაფერის თიხისა, სწორპირიანი, პირზე ნაჭდევი შემოუყვება, ძირბრტყელი, სიმაღლე — 8,5; დმ პირის — 21,5; ძირისა — 11 სმ.

**454** (01/4—457, სურ. 1453). ტ ო ლ ჩ ა თიხისა, შავად გამომწვარი, პირგადაშლილი, ყურიანი სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე — 14,5; დმ პირის — 11,7; ძირისა — 9 სმ.

**455** (01/4—458; სურ. 1452). კ ო ჰ ო ბ ი ლეგაფერის თიხისა. დაშლილი.

**456** (01/4—459; სურ. 1455). ს ა მ ა ჯ უ რ ი ბრინჯაოსი, ღერო მრგვალია, თავგახსნილი, თავები შემკულია ცხოველსახეებით. დმ რკალის—5,5 სმ.

457 (01/4—460; სურ. 1456). რ გ ო ლ ი ბრინჯაოსი, მავთულიანი, თავგახსნილი, თავები დაბრტყელებულია და გახვრეტილი. დმ რკალის — 4,5 სმ.

458 (01/4—461; სურ. 1457). რ გ ო ლ ი ბრინჯაოსი, № 460-ის ანალოგიური, დმ რკალის — 4,5 სმ.

459 (01/4—462; სურ. 1459). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, ღერო მრგვალია, თავბრტყელი, კვადრატული ფორმისაა. ყელი გაბრტყელებული და გახვრეტილია, სიგრძე — 10 სმ.

460 (01/4—463; სურ. 1458). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, № 462-ის ანალოგიური, სიგრძე — 10 სმ.

**სამარხი 148.**
**1977. 11. X; II,**
**23. SW—NO.**
**სურ. 1460—1462**

ქვიშაქვის სამი მოზრდილი ფილებით სახურავგაწყობილი ორმოსამარხია. სამარხის ზომებია: ა) 0,98×0,79; ბ) 0,90×0,70 მ. დაუკრძალავთ ორი მიცვალებული. ერთი მარჯვენა, მეორე მარცხენა გვერდზე. ერთი რიყის ქვის „სასთუმალზე" უდევს ორივე მიცვალებულს თავი. პირველ მიცვალებულს თავის ქალა მეორისაზე დევს. ფეხებთან ალაპის ნაშთია. ალაპის ნაშთი აღმოჩნდა აგრეთვე სამარხის სახურავზე. სამარხში აღმოჩნდა:

461 (01/4—464; სურ. 1463). ხ ე ლ ა დ ა ანგობირებული, პირგადაშლილი, ყურიანი; ყელზე ორი პარალელური წერტილოვანი ორნამენტი შემოუყვება. ძირბრტყელი. სიმაღლე — 2,2; დმ პირის — 10; მუცლის — 19; ძირის — 9,8 სმ.

462 (01/4—465; სურ. 1465). ჯ ა მ ი თიხისა, ლეგაფერის, ღრმა, სწორპირიანი, ძირისკენ ვიწროვდება, ბრტყელძირა. სიმაღლე — 10; დმ პირის — 22; ძირისა — 11,5 სმ.

463 (01/4—466; სურ. 1464). კ ო ჭ ო ბ ი ლეგაფერის თიხისა, პირგადაშლილი, ძირბრტყელი. სიმაღლე — 75; დმ პირის — 6; ძირისა — 3,5 სმ.

464 (01/4—467). კ ო ჭ ო ბ ი ლეგაფერის თიხისა, პირგადაშლილი, სფერულმუცლიანი, ძირბრტყელი. სიმაღლე — 11; დმ პირის — 5, ძირის — 5 სმ.

465 (01/4—468). ს ა მ ა ჯ უ რ ი ბრინჯაოსი, თავგახსნილი, თავი ცხოველსახით შემკული. ბოლო გახვრეტილი. ღერო მრგვალი. დმ რკალის — 4,2 სმ.

**სამარხი 149.**
**1977. 3. XI; II**
**22. N—S**

ქვაყრილიანი ორმოსამარხია. სამარხის ზომებია: ა) 1,15×0,85; ბ) 1,00×0,75 მ. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე დაუკრძალავთ. სამარხში აღმოჩნდა:

466 (01/4—469; სურ. 1469). ს ა ს ა ფ ე თ ქ ლ ე რგოლი ბრინჯაოსი, ღერო მრგვალია თავგახსნილი, თავები შემკულია ცხოველსახეებით, რომელთა თვალებთან ღერო გახვრეტილია. დმ რკალის — 3 სმ.

467 (01/4—470; სურ. 1470). მძივები პასტისა, ლურჯი ინკრუსტირებული, ფართო ნახვრეტით. 2 ცალი.

468 (01/4—471; სურ. (1467, 1468). სამაჯურები რკინისა, ღერო მრგვალია და დაკეჭნილი, ნატეხები. 2 ცალი.

469 (01/4—472; სურ. 1466). კოჭობი ლეგაფერის თიხისა, დაბალყელიანი, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე — 8,2; დმ პირის — 6,7, ძირისა — 6 სმ.

**სამარხი 150. 1977. 13. X; II, 23. S—N. სურ. 1471, 1472**

ქვაყრილიანი ორმოსამარხია. სამარხის ზომებია: ა) 0,96×0,69; ბ) 0,80×0,60 მ. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე დაუკრძალავთ. სამარხში აღმოჩნდა:

470 (01/4—473; სურ. 1473). საკინძი ბრინჯაოსი, ღერო მრგვალია, თავი ცილინდრული ფორმისა აქვს, ყელი დაბრტყელებული და გახვრეტილია. სიგრძე — 10,5 სმ

471 (01/4—473 ა). კოჭობი ლეგაფერის თიხისა, ძლიერი დაზიანების გამო აღწერა არ ხერხდება.

**სამარხი 151. 1977. 18. X; II, 23. SW—NO**

ქვასამარხია. სამარხის ზომებია: ა) 0,99×0,66×0,41; ბ) 0,94×0,63×0,32 მ. ჩონჩხის ცუდი დაცულობის გამო პოზის დადგენა არ მოხერხდა. სამარხში აღმოჩნდა:

472 (01/4—474; სურ.; 1474). ჯამი ლეგაფერის თიხისა, პირმოყრილი, სწორად მოყვანილი გვერდები და ბრტყელი ძირი აქვს. ყურიანი. სიმაღლე — 6; დმ პირის — 12; ძირისა — 9 სმ.

473 (01/4—475). კოჭობი თიხისა, დაზიანების გამო განაზომების აღება არ ხერხდება.

474 (01/4—476; სურ. 1475). დანა რკინისა, დაშლილი პატარა ნატეხებად.

**სამარხი 152. 1977 12. X; II, O—W**

ქვაყრილიანი ორმოსამარხია. სამარხის ზომებია: ა) 1,76×1,00; ბ) 1,20×0,75 მ. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე დაუკრძალავთ. სამარხში აღმოჩნდა:

475 (01/4—477; სურ. 1476). კოჭობი ლეგაფერის თიხისა, პირი და მუცელი ჩამოტეხილი აქვს, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე — 10,5; დმ ძირის — 13,5 სმ.

476 (01/4—478; სურ. 1477). საsაფეთქლე რგოლი ბრინჯაოსი, თავგახსნილი მავთულოვანი მრგვალი ღეროთი. დმ რკალის — 3,5 სმ.

477 (01/4—479; სურ. 1478). რგოლი ბრინჯაოსი, მავთულოვანი, ბრტყელი, თავგახსნილი ღეროთი. დმ რკალის — 2 სმ.

**სამარხი 158. 1977 12. X; II, 23. S—N. სურ. 1479, 1480**

ქვაყრილიანი ორმოსამარხია. სამარხის ზომებია: ა) 1,00×0,56; ბ) 1,00×0,80 მ. მიცვალებული მარცხენა გვერდზე დაუკრძალავთ. სამარხში აღმოჩნდა:

478 (01/4—480, სურ. 1481). ხ ე ლ ა დ ა ლეგაფერის. პირი, ყელი და ყური ჩამოტეხილი აქვს, ვიწროყელიანი მსხლისებრტანიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე — 11; დმ. მუცლის — 11,5; ძირისა — 7,6 სმ.

479 (01/4—481). ჯ ა მ ი მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, მრგვალპირიანი, ტუჩიანი, ყურიანი, ძირბრტყელი. დმ პირის — 5; ძირისა — 3,8 სმ.

480 (01/4—482; სურ. 1483). ს ა მ ა ჯ უ რ ი ბრინჯაოსი, ღერო განივკვეთში ოვალურია, თავგახსნილი, თავები ცხოველსახეებით შემკული. დმ რკალის — 5,5 სმ.

481 (01/4—483; სურ. 1482). ს ა მ ა ჯ უ რ ი ბრინჯაოსი, № 482-ის ანალოგიურია. დმ. რკალის— 5,7 სმ.

482 (01/4—484; სურ. 1486). რ გ ო ლ ი ბრინჯაოსი, მავთულოვანი, ღერო მრგვალია, თავგახსნილი, თავები დაბრტყელებულია და გახვრეტილი. დმ რკალის — 4,5 სმ.

482ა (01/4—485; სურ. 1484). რ გ ო ლ ი ბრინჯაოსი, ღერო მრგვალია, თავებმიჟანგული. დმ რკალის — 2.6 სმ.

483 (01/4—486; სურ. 1489). ს ა მ ა ჯ უ რ ი რკინისა, ღერო მრგვალია და დაკეჭნილი, დამტვრეული პატარა ნატეხებად.

484 (01/4—487; სურ. 1488). ს ა მ ა ჯ უ რ ი რკინისა, ღერო მრგვალია და დაკეჭნილი, დამტვრეული პატარა ნატეხებად.

485 (01/4—488; სურ. 1491). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, ღერო მრგვალია, თავი ცილინდრულია, შემკული ვერტიკალური ნაჭდევებით, ყელი დაბრტყელებული და გახვრეტილია, ბოლო წაწვეტებული. სიგრძე — 8 სმ.

486 (01/4—489; სურ. 1490). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, № 488-ის ანალოგიურია. სიგრე — 8,6 სმ.

487 (01/4—490; სურ. 1485): ს ა ს ა ფ ე თ ქ ლ ე რგოლი ვერცხლისა, ღერო მრგვალია, თავგახსნილი. თავები გახვრეტილია. ღეროზე პატარა კოპი აქვს. დმ რკალის — 2,2 სმ.

488 (01/4—491; სურ. 1487); მ ძ ი ვ ე ბ ი მინისა, სხვადასხვა ზომის, მწვანე და ლურჯი ფერის, ბიკონუსური. 13 ცალი.

**სამარხი 154. 1977. 14. X; II, 23. S—N. სურ. 1492**

ქვაყრილიანი ორმოსამარხია. სამარხის ზომებია: ა) 0,90×0,67; ბ) 1,18×0,87 მ. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე დაუკრძალავთ.

სამარხში აღმოჩნდა:

489 (01/4—492). ჯ ა მ ი ლეგაფერის თიხისა, პირჩაკეცილი. შემორჩენილია პირისა და ძირგვერდის პატარა ნატეხები.

490 (01/4—493). კ ო ჭ ო ბ ი თიხისა, ნატეხებია შემორჩენილი.

491 (01/4—494 სურ. 1494). ს ა მ ა ჯ უ რ ი ბრინჯაოსი, ღერო მრგვალი და დაკეჭნილია; შემორჩენილია ღეროს პატარა ნატეხი.

492 (01/4—495, სურ. 1493). რ გ ო ლ ი რკინისა, გახსნილი, დაჟანგული, დმ რგოლის — 3,6 სმ.

493 (01/4—496). შ უ ბ ი ს პ ი რ ი რკინისა, მასრაგახსნილი, პირი დაჟანგულია, სიგრძე — 29, დმ მასრის — 4,5 სმ.

**სამარხი 155. 1977. 12. X. II. 20. 20. S—N. სურ. 1495**

ქვაყრილიანი ორმოსამარხია. სამარხის ზომებია: ა) 1,10×0,90; ბ) 0,85×0,60 მ. მიცვალებული ხელფეხმოკეცილი, მარცხენა გვერდზე დაუკრძალავთ. სამარხში აღმოჩნდა:

494 (01/4—497; სურ. 1496). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი ღერო მრგვალია და თავისკენ მსხვილდება, ყელი დაბრტყელებულია და გახვრეტილი. ნახვრეტში გაყრილია ძეწკვი, რომელიც ბრინჯაოს გახსნილი რგოლებისგან შედგება. ძეწკვის მეორე ბოლო გაყრილია მეორე საკინძის გაბრტყელებულ და გახვრეტილ ყელში. საკინძის სიგრძე — 9 სმ-ია. ორივე ერთი სიგრძისაა.

495 (01/4—498; სურ. 1497). მ ძ ი ვ ი სარდიონისა, აგურისფერი, მანდარინისებრი. დმ — 0,7 სმ.

**სამარხი 156, 1977. 13. X; II, 20. S—N. სურ. 1498, 1499**

ქვაყრილიანი ორმოსამარხია. სამარხის ზომებია: ა) 1,90×1,15; ბ) 1,50×1,05 მ. სამარხში დაკრძალულია სამი მიცვალებული, მამაკაცი მარჯვენა გვერდზე, ქალი —მარცხენაზე, ბავშვი — მარჯვენა გვერდზე. სამარხში აღმოჩნდა:

496 (01/4—499; სურ. 1501). ჯ ა მ ი ლეგაფერის თიხისა, პირმოყრილი, ძირისკენ თანდათან ვიწროვდება, ძირბრტყელი. სიმაღლე — 8,1; დმ პირის — 20 სმ.

497 (01/4—500). კ ო ჭ ო ბ ი ლეგაფერის თიხისა, დაშლილი პატარა ნატეხებად.

498 (01/4—501; სურ. 1500). ხ ე ლ ა დ ა ლეგაფერის თიხისა, პირის, ყურისა და ყელის ნაწილი ჩამოტეხილია. სფერული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. სიმაღლე — 22, დმ პირის — 7, ძირისა — 12 სმ.

499 (01/4—502). ხ ე ლ ა დ ა ლეგაფერის თიხისა, დაშლილი პატარა ნატეხებად

500 (01/4—503; სურ. 1504). ს ა მ ა ჯ უ რ ი ბრინჯაოსი, ღერო ოვალურია, გახსნილი, თავები ცხოველსახეებით შემკული. დმ რკალის — 7,5 სმ.

501 (01/4—504; სურ. 1505). ს ა მ ა ჯ უ რ ი ბრინჯაოსი, № 503-ის ანალოგიურია, დმ რკალის — 7,0 სმ.

**502** (01/4—505; სურ. 1506). სამაჯური ბრინჯაოსი, ღერო მრგვალია, გახსნილი, თავები ცხოველსახეებით შემკული, დმ რკალის — 4,7 სმ.

**503** (01/4—506; სურ. 1502, 1507). სასაფეთქლე რგოლები ბრინჯაოსი, ორი ცალი, მავთულოვანი ღერო მრგვალია, გახსნილი, ერთი რგოლი გაჭყლეტილია. თავები გადაგრეხილი. პირველი რგოლის დმ —3, მეორესი — 2 სმ.

**504** (01/4—507; სურ. 1508). საკინძი ბრინჯაოსი, ღერო მრგვალია, თავი ოთხკუთხა, ყელი დაბრტყელებულია და გახვრეტილი. სიგრძე — 9,2 სმ.

**505** (01/4—508; სურ. 1509). საკინძი ბრინჯაოსი, № 507 ანალოგიურია, სიგრძე — 9,2 სმ.

**506** (01/4—509, სურ. 1503). დანა რკინისა, მოხრილი. დაშლილი იყო პატარა ნატეხებად.

Т. ДЖГАРКАВА

## КАМАРАХЕВСКИЙ МОГИЛЬНИК. КАТАЛОГ


Резюме

В 1976—1977 гг. Мцхетская постоянно действующая археологическая экспедиция (руководитель проф. А. М. Апакидзе) производила археологические раскопки в Камарахеви, на левом берегу р. Арагви у сел. Цицамури на 23 км Военно-Грузинской дороги. Было раскопано около 430 кв. м площади и выявлено 156 погребений.

На Камарахевском могильнике было засвидетельствовано 4 типа погребальных сооружений: грунтовое погребение с перекрытием из каменных плит; грунтовое погребение с каменной насыпью и грунтовое погребение с земляной насыпью; каменноящичные гробницы. Встречаются и комбинированные погребальные сооружения, стены которых составлены из песчаных плит и булыжника. В 130 могилах обнаружен разнообразный погребальный инвентарь, характерный для раннеантичной и раннеэллинистической эпох.

Каменноящичные и грунтовые погребения ориентированы с юга на север, т. е. головой к югу, с небольшими отклонениями. В индивидуальных погребениях (за исключением двух — 148 и 150) покойники лежат на правом или на левом боку в скорченном положении. Голова каждого покоится на каменной «подушке». Во всех погребениях, кроме инвентаря, который состоит из керамики, бронзы и железа, найдены остатки тризны — кости домашнего и дикого рогатого скота.

Как выяснилось, мужчины жили в среднем 30—35, женщины — 35—40 лет, 5% захоронений приходится на подростков, возраст которых колеблется от 1 до 12 лет.

Керамика как количеством, так и разнообразием форм — один из преобладающих материалов камарахевского могильника. Впервые были выявлены образцы краснокрашенной расписной глиняной посуды (рис. 37, 110, 152), а также кувшины с изображением свастики (рис. 137, 257; 01/4—136, 258). Встречаются кувшины с круглым и трехлепестковым венчиком, миски, горшки, кружки и т. д.

На могильнике в большом количестве обнаружены изделия из металла — железные ножи, бронзовые браслеты, перстни, булавки и др. В комплексах камарахевского могильника встречаются многочисленные сердоликовые и стеклянные бусы.

Материалы, обнаруженные на комарахевском могильнике, находят близкие аналогии с синхронными памятниками Грузии, Закавказья и датируются IV—III вв. до н. э.

ა. აფაქიძე, ვ. ნიკოლაიშვილი, ქ. მელითაური, ა. სიხარულიძე, ვ. სადრაძე, მ. ძნელაძე, გ. მანჯგალაძე, ლ. ხეცურიანი, თ. ჭანიშვილი, გ. გიუნაშვილი, რ. დავლიანიძე, ე. გავაშელი, შ. ირემაშვილი, თ. ბიბილური, ნ. ღლონტი

# დიდი მცხეთა. 1979

(დიდი მცხეთის ტერიტორიაზე 1979 წელს ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგები)

1979 წელს გრძელდებოდა საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება ისტორიული დიდი მცხეთის ტერიტორიაზე. გათხრები ჩატარდა სამთავროს სამაროვანზე, სადაც კვლავ დადასტურდა სხვადასხვა პერიოდის ნამოსახლართა ნაშთები; ღართისკარში პირველად გამოვლინდა ანტიკური ხანის სასიმაგრო სისტემის ნაწილები; სოფ. წილკანთან აღმოჩნდა სამონასტრო კომპლექსი, რომელიც შედგება ეკლესიის, ქვათლილით ნაგები აკლდამისა და სამაროვნის, აგრეთვე, ნამოსახლარისაგან. წეროვანში, ნარეკვავსა და სათოვლეს ნაბაღრებში ძირითადად ითხრებოდა გვიანბრინჯაოადრერკინის ხანის ძეგლები; სოფ. მუხათგვერდთან დადასტურდა სამაროვანი, რომელიც შედგება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისა და ადრელინისტური პერიოდის სამარხებისაგან; სარკინეს ნაქალაქარზე განახლდა გათხრები, რომელიც ჯერ კიდევ 50-იან წლებში დაიწყო. კოდმანზე გამოვლინდა გვიანანტიკური ხანის კრამიტსამარხები. სეზონის მიწურულს კი ქ. მცხეთაში, მცხეთისგორაზე აღმოჩნდა გვიანანტიკურ-ადრეფეოდალური ხანის სამაროვანი.

ამრიგად, საანგარიშო 1979 წელს მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია გათხრებსა და კვლევა-ძიებას აწარმოებდა 9 დამოუკიდებელ უბანზე, რომელთაგანაც 8 ახალმშენებლობათა ტერიტორიაზეა და დაკავშირებულია მათ არქეოლოგიურ მომსახურებასთან.

სამთავროს ველზე (ხელმძღ. გ. მანჯგალაძე) საველე სამუშაოები 8 თვის მანძილზე გაგრძელდა* (აპრილ-ნოემბერში). მუშაობა ძირითადად სამ-

* სამთავროს ველზე საველე სამუშაოებში მონაწილეობდნენ: გ. მანჯგალაძე—რაზმის უფროსი, გ. გიუნაშვილი, დ. ლეკაშვილი — უმცრ. მეცნ. თანამშრომლები; ი. მანჯგალაძე,

თავროს ველის სამ მონაკვეთზე მიმდინარეობდა: 1) ბაიათ-ხევის ნაპირას ე. ი. სამაროვნის უკიდურეს NW მხარეს. იქ დამუშავდა LXXII, XCVI და CXX ნაკვეთები. 2) CXIX ნაკვეთში გრძელდებოდა მუშაობა მე-7 და მე-8 სახლებში და მის მიმდებარე ფართობზე. 3) CXVIII ნაკვეთში გაითხარა სამარხებში, რომლებიც გვიანელინისტური ხანის კულტურულ ფენაში იყო ჩაშვებული.

ხევისპირა მონაკვეთზე, სადაც ზოგ ადგილას 3—3,5 მ სიღრმეზე ჩნდებოდა სამარხები, გაითხარა 45 სამარხი, დანარჩენი 38 სამარხი კი — CXIX და CXVIII ნაკვეთებში. სულ გაითხარა სხვადასხვა პერიოდის 83 სამარხი. აქედან 40 ქვასამარხია, 34—ორმოსამარხი, 4 კრამიტსამარხი, 3 — თიხის ფილასამარხი, 1 — თიხის სარკოფაგი და 1 — კომბინირებული სამარხი.

საანგარიშო წელს შესწავლილი სამარხები ორ ქრონოლოგიურ ჯგუფად იყოფა: პირველი ჯგუფის სამარხები გვიანანტიკურ ხანას (III—IV სს.) მიეკუთვნება, ხოლო მეორე ჯგუფი ადრეული შუა საუკუნეების (IV—VIII სს.) მასალის შემცველია.

CXIX ნაკვეთში აღმოჩენილი მე-7 და მე-8 სახლები, იქ გამოკვლეული მასალების მიხედვით ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრით თარიღდება, ხოლო იქვე გათხრილი მარნის ნაშთი I—II სს. უნდა იყოს (ამის თაობაზე ქვემოთ იქნება საუბარი — „სამთავრო-I"-ის ანგარიშის განხილვისას).

ზემოაღნიშნულ სამარხთაგან მხოლო 34 აღმოჩნდა ინვენტარიანი, დანარჩენი გაძარცული იყო. ინვენტარიანი სამარხების დიდი ნაწილი გვიანანტიკურ ხანას მიეკუთვნება.

გვიანანტიკურ ხანაში დადასტურდა სხვადასხვა ტიპის სამარხი: ქვაყუთი, ორმოსამარხი, თიხის სარკოფაგი, კრამიტსამარხი, თიხის ფილასამარხი და კომბინირებული სამარხი. ადრეულ შუასაუკუნეებში კი მხოლოდ ქვაყუთი და ორმოსამარხი გვხვდება. გვიანანტიკური ხანის ქვაყუთები აღნაგობით განსხვავდება ადრეშუასაუკუნეების პერიოდისათვის დამახასიათებელი ქვაყუთებისაგან. ადრეულ სამარხებზე, როგორც წესი, შეინიშნება ნარიბანდები. ისინი სამარხის O და W კედლებზეა ამოკვეთილი. ამ პერიოდში სამარხი ნაგებობის სიმაღლე 1 მ არ აღემატება, ხოლო სიგრძე 3 მ აღწევს. სამარხის შემადგენელი ქვის ფილები გარედან უხეშად არის დამუშავებული, ხოლო შიგნიდან საგულდაგულოდაა ნაკოდი. სამარხის კედლები თითო-თითო ფილისგან არის შედგენილი

---

თ. ფურცხვანიძე, ო. ბენაშვილი, დ. წიკლაური, ი. ვაჩეიშვილი — ლაბორანტები; მ. რჩეულიშვილი, ნ. კილაძე — ანთროპოლოგები; ვ. მასხარაშვილი, ა. კუცია — გეოდეზისტები; კ. მელითაური — არქიტექტორი; ს. ზურაბიშვილი — მხატვარი; ბ. მაღრაძე, გ. ხუპუა — ფოტოგრაფები.

გვიანდელი სამარხის კედლები ოთხი და მეტი ქვის ფილისგან არის აგებული. ისინი ზომითაც საგრძნობლად განსხვავდებიან წინა პერიოდის სამარხებისაგან.

მაღალი, დიდრონი ლოდებისაგან შედგენილი ქვაყუთი ზედა ნაწილში საგრძნობლად შევიწროებულია და ამის გამო ტრაპეციის მოყვანილობა აქვს. გვიანანტიკური ხანის ორმოსამარხები მოყვანილობით არ განსხვავდება ადრეშუასაუკუნეების ხანის მსგავსი სამარხებისაგან. მათ წაგრძელებული — ოვალისებრი მოყვანილობა აქვს, ხშირ შემთხვევაში ორმოს გადასახურავად გამოყენებულია ქვის ფილები, იშვიათად კი — ბრტყელი კრამიტი ან თიხის ფილა.

თიხის ფილასამარხი, როგორც აღვნიშნეთ, გვიანანტიკურ ხანაში გვხვდება სამთავროს სამაროვანზე. სამარხის ასაგებად გამოყენებულია მთელი — კვადრატული და მისი ნახევარი ფილა (მათი საშუალო განაზომებია: 0,60×0,50×0,03 მ; 0,60×0,60×0,04 მ; 0,63×0,23×0,04 მ.). გრძივი კედლების ასაგებად გამოყენებულია როგორც მთელი, ისე ნახევარფილა, ხოლო განივ კედლებად, მეტწილად, მხოლოდ მთელს იყენებენ.

საანგარიშო წელს გათხრილი კრამიტსამარხები ნაგები იყო მხოლოდ ბრტყელი კრამიტისაგან. ყველა მათგანი ქვის ფილებით გადაუხურავთ. ქვის ფილებით იყო გადახურული აგრეთვე სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ერთადერთი თიხის სარკოფაგიც.

გვიანანტიკური ხანის სამარხებში სამთავროს სამაროვანზე მიცვალებულები გულაღმა გაშოტილნი დაუკრძალავთ, თავით O ან W-კენ მიქცეული. ხელების მდებარეობა ნებისმიერია (ტანის გასწვრივ, მუცელზე, მუცლის ქვემოთ და ა. შ.).

გვიანანტიკური ხანის სამარხებში ვხვდებით ამ ეპოქისათვის დამახასიათებელ ინვენტარს (მცირე ზომის თიხის ჭურჭელს მათ შორის მოჭიქულებსაც; მინის სანელსაცხებლებს, სხვადასხვა ზომისა და მასალის მძივ-სამკაულს და ა. შ.).

საილუსტრაციოდ ვაქვეყნებთ აღნიშნული ეპოქის რამდენიმე სამარხს:

**სამარხი 391. (1879. 29. VI). C XVIII. 6. O—W** ქვის ფილებით გადახურული თიხის სარკოფაგია. ძლიერ დაშლილი და დაზიანებული იყო. განაზომები: 1,80×0,90×0,50 მ. 1,68×0,77×0,43 მ. ორი ინდივიდის ნაკლული ძვლები მიყრილი იყო სამარხის S კედელთან.

სამარხში აღმოჩნდა:

1 (01/1—1459; სურ. 1510). ი ლ ა რ ი ბრინჯაოსი, ღრუტანიანი, დაბრტყელებული ნაწილი (ნიჩაბი) ოვალური აქვს. ნაკლულია.

სიგრძე — 11 სმ, პირის ზომებია: 2×1 სმ.

2 (901/146; სურ. 1511). ს ა ნ ე ლ ს ა ც ხ ე ბ ლ ე მუქი მწვანე მინისა. სიმაღლე — 6,8, მუცლის დმ — 5,8, პირის დმ — 2,8 სმ.

**სამარხი 496. (1979.5.V). C XVIII,6—7 10 (O—W)** მცირე ზომის ბანურსახურავიანი ქვაყუთია. განაზომები: 1,10×0,50×0,45 მ.; 0,73×0,26×0,19 მ. სამარხში წლის ბავშვი დაუკრძალავთ გულაღმა გაშოტილი, თავით O-კენ, ხელები ტანს გასწვრივ ეწყო.

სამარხში აღმოჩნდა:

3 (01/1—1412; სურ. 1512). კ ო ჭ ო ბ ი თიხისა, ორყურა. მწვანედაა მოჭიქული. თიხა გადანატეხში მონაცრისფროა, წვრილმარცვლოვანი. სიმაღლე— 6 სმ, მუცლის დმ — 4,5 სმ.

4 (01/1—1413). მ ძ ი ვ ე ბ ი პასტისა: მოცისფროდ მოჭიქული, ბურთულა (10); ორ და სამ ნაწილედი — ყვითლად მოჭიქული (11); შავი მინისა — მანდარინისებრი (12).

**სამარხი 501. 1979.9.VIII. C XVIII, 9 (O—W).** ბანურსახურავიანი ქვაყუთია. გრძივი კედლები ორ-ორი ერთნაირი ზომის ქვებისაგან შედგება; განივ კედლებზე ნარიბანდებია ამოკვეთილი. სამარხის განაზომებია: 2,10×1,40 მ; (1,97×0,80×0,80 მ.) მიცვალებულის ძვლები მიყრილი იყო სამარხის W კუთხეში.

სამარხში აღმოჩნდა:

5 (01/1—1531; სურ. (1515, 1516). ს ა კ ი დ ე ბ ი ოქროსი, ზარაკისებრი მოყვანილობისა, დაბრტყელებული. დამზადებულია ოქროს თხელი ფურცლისაგან. თავთან ყუნწი აქვს დარჩილული.

6 (01/1—1532; სურ. 1514). ს ა ნ ე ლ ს ა ც ხ ე ბ ლ ე მინისა, მომწვანო ფერისა, ირიზებული. მხოლოდ კედლის ფრაგმენტია შემორჩენილი, რომელზედაც მინის ძაფის ნაშთი ემჩნევა.

7 (01/1—1533). მძივები გიშრისა, რომბისებრი მოყვანილობის, ორნახვრეტიანი (3 ც.), მანდარინისებრი (3).

8 (01/1—1534; სურ. 1513). ამფორისკი (ქილა) მწვანედ მოჭიქული თიხისა, ძირნაკლული, მუცლის დმ — 6, პირის დმ — 3,5 სმ, ყურის სიმაღლე— 3,4 სმ.

**სამარხი 533. 1979.8.IX. C XX, 8 (O—W)** ორმოსამარხია, ქვის ფილებით გადახურული. განაზომები: 1,60×0,65 მ; 1,55×0,65 მ. სამარხში მიცვალებული გულაღმა გაშოტილი ესვენა, თავით O-კენ. მარცხენა ხელი მენჯზე ედო, მარჯვენა — მუცელზე.

სამარხში აღმოჩნდა:

9. (01/1—1518; სურ. 1521). ბ ე ჭ ე დ ი ბრინჯაოსი. რკალი განივკვეთში სამკუთხაა, დაბრტყელებულფარაკიანი. ფარაკზე ასო-ნიშნებია (?) გამოსახული. რკალის დმ — 1,8 სმ.

10 (01/1—1519; სურ. 1520). ბ ე ჭ ე დ ი ბრინჯაოსი. განივკვეთში სამკუთხა რკალი ბრტყელ ფარაკში გადადის. ფარაკზე ასო-ნიშნებია (?) გამოსახული. რკალის დმ — 1,8 სმ.

11 (01/1—1520; სურ. 1523). ბ ე ჭ ე დ ი ბრინჯაოსი. განივკვეთში სამკუთხა რკალი ბრტყელ ფარაკში გადადის. რკალის დმ — 9 სმ.

12 (01/1—1521; სურ. 1522). ბ ე ჭ ე დ ი ბრინჯაოსი. განივკვეთში სამკუთხა რკალი მრგვალ ფარაკში გადადის. ფარაკზე ასო-ნიშანია (?) ამოკვეთილი.

13 (01/1—1522; სურ. 1519). ბ ე ჭ ე დ ი ბრინჯაოსი. განივკვეთში სამკუთხა რკალი დაბრტყელებულ-ოვალისებრი მოყვანილობის ბრტყელ ფარაკში გადადის. ფარაკზე ამოკაწრულია ასო-ნიშანი (?). დმ — 1,8 სმ.

14 (01/1—1523; სურ. 1518). ბ ე ჭ ე დ ი ბრინჯაოსი. რკალი გადადის მოგრძო ოვალის ფორმის ფარაკში, რომელზედაც მრგვალი თვალბუდეა დარჩილული. თვალბუდეში მწვანე მინის კონუსური თვალი ზის. დმ. —1,8 სმ.

15 (01/1—1524; სურ. 1524). ბ ე ჭ ე დ ი ბრინჯაოსი. რკალი გადადის მოგრძო ოვალის ფორმის ფარაკში, რომელზედაც მრგვალი თვალბუდეა მირჩილული. თვალბუდეში ამობურცულზედაპირიანი ცისფერი მინის თვალი ზის, რომელზედაც ღუზა და ორი თევზია გამოსახული (?). რკალის დმ —2,5 სმ.

16 (01/1—1525; სურ. 1517). ბ ე ჭ ე დ ი შავი მინისა. რკალი შიგა მხრიდან სადაა, ხოლო გარედან დაკბილულ-ფიგურული. ფარაკის ადგილზე კონუსური თვალია გამოსახული. რკალის დმ — 2,5 სმ.

17 (01/1—1526; სურ. (1526). მ შ ვ ი ლ დ ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, ბუდეაშლილი, ერთნაწილედი, მუხლზამბარიანი, გარეთაუღლიანი. შემორჩენილია ენა და ზამბარა. სიგრძე — 6,2 სმ.

18 (01/1—1527; სურ. 1527). ს ა ნ ე ლ ს ა ც ხ ე ბ ლ ე მინისა, თეთრი ფერის, ირიზებული. შემორჩენილია პირის ფრაგმენტი. პირის დმ —3,5 სმ.

19 (01/1—1528). ქ ა ლ ც ე დ ო ნ-ო პ ა ლ ი ს მინერალი, დამუშავებელი, მოგრძო თვალის ფორმისა. სიგრძე — 2.5, სიგანე —1,9 სმ.

20 (01/1—1529; სურ. 1525. 1528). მ ძ ი ვ ე ბ ი: სარდიონის, პიროპის, ქარვის, პასტისა, თოთხმეტწახნაგა, ბრტყელია, მილაკისებრი, ცილინდრული—დაწახნაგებული, მრგვალ-ბრტყელი (სურ. 128 ცალი).

**სამარხი 540. 1979.15.VIII. CXX, 4, (O—W)** კრამიტსამარხია, ქვის ფილებით გადახურული. წაგრძელებული ოთხკუთხა ფორმისა. განაზომები: 1,55×0,65×0,42 მ.; 140×0,38×0,20 მ. სამარხში ორი მოზრდილი ინდივიდის ჩონჩხი აღმოჩნდა, ერთი მათგანი გულაღმა გაშოტილი ესვენა, თავით W-კენ. ხელები ტანს გასწვრივ ჰქონდა ჩამოშვებული. მეორე ჩონჩხის ძვლები მიხვეტილი იყო პირველის ქვედა კიდურებთან.

სამარხში აღმოჩნდა:

21 (01/1—1506). მ ძ ი ვ ი მინისა, შავი ფერის, მრგვალი დმ — 1,8 სმ.

22 (01/1—1507; სურ. 1529). ს ა კ ი დ ი ბრინჯაოსი, წარმოადგენს ვერძის თავის ქანდაკებას, რომელსაც დაგრეხილი რქები და მოგრძო ყურები აქვს.

23 (01/1—1548; სურ. 1530). ა ბ ზ ი ნ დ ა ბრინჯაოსი, ოთხკუთხა სათასმე ჩარჩო აქვს.

სიგრძე — 3,5 სმ, სიგანე — 2,2 სმ.

24 (01/1—1549; სურ. 1531). ბ ა ლ თ ა ბრინჯაოსი, ნილბისებურთა ტიპს მიეკუთვნება. სიგრძე — 2,5. სიგანე — 1,9 სმ.

**სამარხი 564.**
**1979.1.VII. LXXVI.**
**12.XVC,4 (O—W)**

ორმოსამარხია, ქვის ფილებით გადახურული. განაზომები: 0,60×0,43 მ; 0,60×0,30 მ. სამარხში ერთი მიცვალებული დაუკრძალავთ, მარჯვენა გვერდზე.

სამარხში აღმოჩნდა:

25 (01/1—1439; სურ. 1532). კ ო ჭ ო ბ ი ღია ფერის თიხისა, დაბალი, ცილინდრული ყელი მუცლისკენ თანაბრად გაფართოებულია, ცალყურა, მუცელზე კოპების სარტყელი ამჩნევია. შერჩენილი აქვს წითელი საღებავის კვალი. ყურს ზემოთ არმაზული (?) წარწერაა ამოკაწრული.

სიმაღლე — 6,5 სმ, დმ მუცლის — 15; ძირის — 5,6 სმ.

26 (01/1—1440; სურ. 1533). ჯ ა მ ი შავად გამომწვარი თიხისა, სწორკედლიანი. ქუსლისაკენ თანზარად მომრგვალებული კალთა აქვს, ღრუქუსლიანი. სიმაღლე — 6,5 სმ, დმ მუცლის — 15; ძირის — 5 სმ;

27 (01/1—1441; სურ. 1534). ს ა ყ უ რ ე ბრინჯაოსი. წარმოადგენს ქვედა ნაწილში კონუსისებრგამსხვილებულ რგოლს. სიმაღლე — 1,7 სმ, სიგრძე — 1,00 სმ.

28 (01/1—1443; სურ. 1535). ს ა ყ უ რ ე ბრინჯაოსი. ზემოაღწერილის ანალოგიურია.

29 (01/1—1443). მ ძ ი ვ ე ბ ი ლურჯი მინისა, მრგვალი (13); გიშრისა, მრგვალი (1); მინისა და მინისებური პასტისა, სხვადასხვა ფორმისა და ზომის (24).

ზემოაღწერილი სამარხები, იქ აღმოჩენილი ნივთების მიხედვით III—IV სს-ით უნდა დათარიღდეს. ამის საფუძველს იძლევა აღნიშნულ სამარხებში აღმოჩენილი მინისა და თიხის მოჭიქული ჭურჭელი, აგრეთვე ოქროს ნივთები (1. გვ. ტაბ. XXXIX, LXXXVII—LXXXVIII,2.).

ამრიგად, როგორც ირკვევა, უმეტესი წილი სამარხებისა, რომლებიც საანგარიშო წელს გაიხსნა სამაროვნის უკიდურეს NW მონაკვეთზე, ემთხვევა ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურად გამოცხადების წინა პერიოდს. აღნიშნულ ვითარებაში, სრულიად ბუნებრივია, ერთ-ერთ სამარხში (533) ქრისტიანული სიმბოლოს აღმოჩენა. უნდა ვიფიქროთ, რომ ადრექრისტიანული ხანის სამარხები ეკუთვნოდა ქალაქის ქრისტიანული თემის წევრებს, რომელ-

თა შორის მცხეთელი მოქალაქეების გარდა უცხო ტომის წარმომადგენლებიც უნდა ყოფილიყვნენ გაერთიანებული (44).

როგორც აღვნიშნეთ, ადრეფეოდალურ ხანაში სამთავროს ველზე გავრცელებული ჩანს ორი ტიპის სამარხი: ქვასამარხი (ქვაყუთი) და ორმოსამარხი. დაკრძალვის პოზა, რომელიც დადასტურებულია აღნიშნული პერიოდის სამარხებში, ინვენტარის სიმცირე, ზოგ შემთხვევაში კი საერთოდ უქონლობა, შეიძლება გამოდგეს ქალაქის მოსახლეობაში, აგრეთვე მის შემოგარენში, ქრისტიანობის ფართოდ გავრცელების საილუსტრაციოდ.

როგორც გასულ წლებში, ამჯერადაც ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ადრეფეოდალური ხანის სამარხები შეიძლება ორ ქრონოლიგიურ ჯგუფად დაიყოს. ნაწილი სამარხისა IV—V სს-ის მასალების შემცველია (მინის ჭურჭელი, საკინძები, მშვილდსაკინძები), ხოლო დანარჩენში კი VI—VIII სს. დამახასიათებელი ინვენტარი დასტურდება (3. ტაბ. I—II).

საანგარიშო წელს სამთავროზე გრძელდებოდა ნამოსახლარის (სამთავრო — I) შესწავლა (ხელმძღ. გ. გიუნაშვილი).

ძირითადი სამუშაოები ჩატარდა XCV და CXIX ნაკვეთების მიჯნაზე, სადაც დასრულდა მე-7 და მე-8 სახლების პრეპარაცია. მეშვიდე სახლი ნახევრადმიწურია, სწორკუთხა, დამხრობილია SOO და NWW-კენ, ე. ი. პირიმხარე აღმოსავლეთით აქვს მიქცეული. სახლის ზურგისა და გვერდის კედლები, რომლებიც ძირითადად კონგლომერატშია გამართული, 1,00—1,20 მ სიმაღლეზე შვეულად მდგარი ქვიშაქვის ფილებით არის ამოყვანილი. შემორჩენილია ე. წ. ორთოსტატების სამი რიგი (განაზომებია: 0,50×0,50×0,20 მ). ზევით კი კედლების წყობა პოლიგონალურია და სამშენებლო მასალადაც ქვატეხილი გამოუყენებიათ. სახლის კედლები თიხის საკმაოდ სქელი ფენით შეულესავთ (სურ. 1547). მე-7 სახლის სახურავი ბანური უნდა ყოფილიყო, ერდოიანი, რომელიც კედლებთან მდგარ სვეტებსა და დედაბოძს უნდა დაყრდნობოდა. ცენტრალური სვეტის (დედაბოძის) სავარაუდო ადგილი მე-8 სახლის გამართვისას დაუზიანებიათ. სახლის იატაკი თიხატკეპნილია, რომელზედაც ცხოვრების ორი დონე, ორი სამშენებლო ჰორიზონტი დადასტურდა. შენობის შემორჩენილი ნაწილის ფართობი≈24,6 მ. (6,00 მ×4,6 მ).

მე-7 სახლის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა პურის საცხობი ღუმელი (განაზომები: 1,90×1,60×0,56 მ; სურ. 1548). იგი ორგანყოფილებიანია: მარცხნივ გამართულია საცხობი (0,50×0,70×0,16 მ), მარჯვნივ კი საცეცხლური, რომლის წინ დიდი სანაცრე ორმოა შემოსაზღვრული (სურ. 1549). ღუმელს მარცხენა მხრიდან მიშენებული აქვს თარო (სიგანე — 0,29 მ), რომელიც სიგრძეზე სცილდება მას (შესაძლოა, იგი ადრეულ სამშენებლო ჰორიზონტს ეკუთვნოდა და გამოიყენეს უფრო გვიან — ღუმელის აგებისას). ღუმელი ნაგებია რიყის ქვით და ქვატეხილით თიხა-ალიზზე.

სახლის იატაკზე აკრეფილი კერამიკა (ორი ძირდაქანებული ტოლჩის ნაწილები) მსგავსია სამთავროს სამაროვნის XIII—XII სს-ით დათარიღებულ კომპლექსებში დადასტურებული ანალოგიური მასალისა (4). ამავე სახლის იატაკზე აიკრიფა, აგრეთვე, უფრო მოგვიანო მასალა, რაც აღნიშნული სახლის გადაკეთებითა და უფრო გვიან ჩაშვებული სამარხების შედეგად გამოწვეული არეულობით შეიძლება აიხსნას.

მე-7 სახლის თარიღის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია ხის სვეტის ძირის ნაშთის (in situ) განსაზღვრის შედეგები. ნახშირის ნიმუში (ТБ—290), განსაზღვრეს თსუ რადიონახშირბადის ლაბორატორიაში: =2610±60, ე. ი. ძვ. წ. აღ. 660±60 წელი.

მე-7 სახლის იატაკზე აიკრიფა, აგრეთვე, პალეოზოოლოგიური მასალა (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, შინაური ღორის, წვრილი რქოსანი პირუტყვის, შინაური ცხვრისა და ვირთხის ძვლები)*.

მე-8 სახლი, რომელიც უფრო გვიან გაუმართავთ, უშუალოდ აზის — აზიანებს მე-7 სახლს და გეგმით და სამშენებლო ტექნიკითაც იმეორებს ამ უკანასკნელს. მე-8 სახლი, შესაძლოა, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობას წარმოადგენდა, რადგანაც იქ არ აღმოჩენილა ამ დროის საცხოვრებელი სახლის ინტერიერისათვის დამახასიათებელი ელემენტები (ღუმელი, საკურთხეველი, ზღვე, და ა. შ.).

XIX ნაკვეთის მე-6, 7, 10, 11 კვადრატებში აღმოჩნდა ხუთი ვერტიკალურად ჩადგმული ქვევრი, რომლებიც მარნის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს. მათ შორის გამოირჩევა ორი ტიპის ქვევრი. პირველი ტიპის ქვევრი თხელკედლიანია, ჩალისფრად გამომწვარი, ფართო პირი და დაბალი ყელი აქვს. ზედაპირზე ემჩნევა ირიბი ჭდეებით შედგენილი ორნამენტი. მეორე ტიპის ქვევრი სადაა, სქელკედლიანი, მოვარდისფროდ გამომწვარი.

ქვევრების ირგვლივ მოსწორებულ თიხატკეპნილ იატაკზე ეყარა სამშენებლო ქვა და კრამიტები. როგორც ჩანს, მარანს კრამიტის სახურავი ჰქონია, რომელიც ხის სვეტებზე ეყრდნობოდა (ქვევრებთან აღმოჩნდა სასვეტე ორმოები). მარნის უფრო სრულად გამოვლენას ხელს უშლის სამარხები, რომლებიც კულტურულ ფენაშია ჩაშვებული. ზემოაღნიშნული ქვევრების ანალოგები აღმოჩენილია კარსნიხევის გვიანანტიკური ხანის ნამოსახლარზე (5. გვ. 17—18).

მარნის სამხრეთით, CXVIII ნაკვეთში გამოვლენილი მე-9 და მე-10 სახლებში და მათ ირგვლივ, კულტურულ ფენაში დადასტურდა ქვევრსამარხების მსგავსი და სინქრონული მასალა. საანგარიშო წელს გაითხარა აღნიშნულ ფენაში ჩაშვებული გვიანანტიკური ხანის რამდენიმე სამარხი.

---

* პალეოზოოლოგიური მასალა განსაზღვრა დ. ბურჩაკმა. იხ. მმაეს არქივი. რვეული 14, 01/0 — 1385.

სამთავროს ველის ჩრდილოეთით, ღ ა რ თ ი ს კ ა რ ი ს ხ ე ვ ი ს მარცხენა სანაპიროზე აღმართული გორის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე, ნავთსადენისათვის ტერასის გაჭრისას გამოვლინდა ალიზით ნაგები კედლების ნაშთები. 25 მ სიგრძის ჭრილში გამოიკვეთა დიდრონი ალიზის აგურები, დამწვარდანახშირებული შრეები და დანახშირებული ძელების ნაწილები. მცირე მასშტაბის საცდელი გათხრებისას (ვ. ნიკოლაიშვილი, თ. ბიბილური, მ. ძნელაძე), (დაახლოებით ერთი ნაკვეთი ფართობი) გამოვლინდა ძლიერ დამწვარი და დაშლილი ფენა, რომელიც შეიცავდა დიდრონი ალიზით (განაზომები: 0,52×0,22×0,12 მ; 0,37×0,22×0,12 მ) ნაგები კედლის ნაშთებს. აღნიშნული კედელი რიყის ქვის შემზადებაზე ჩანს ნაგები. ალიზის კედლის გასამაგრებლად ხის ძელები გამოუყენებიათ. იგი სიგანით 3 მეტრამდე აღწევს და, როგორც ჩანს, ღართისკარის გორას გარშემოსდევს (მსგავსი სურათი დადასტურდა აღნიშნული მონაკვეთის ჩრდილო-დასავლეთით. 0,8 კმ-ზე). გათხრებისას აღმოჩენილი მწირი მასალა — წითლად გამომწვარი და მოწითალო-მოყავისფრო ანგობირებული პირმოყრილი ჯამის ნატეხი, მოყავისფროდ გამომწვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, აგრეთვე ალიზის წყობის ხასიათი, ზომები, სამშენებლო ტექნოლოგია — საშუალებას გვაძლევს თარიღი წინასწარულად ელინისტური პერიოდით განვსაზღვროთ.

საანგარიშო წელს დასრულდა ღართისკარის გორის ტოპო-გეოდეზიური აგეგმვა-დაკვალვა (სამუშაოები შეასრულეს ინჟინერ-გეოდეზისტებმა ვ. მასხარაშვილმა და ა. კუციამ).

ღართისკარში საანგარიშო წელს გამოვლენილი არმაზციხე I ტიპის სასიმაგრო სისტემის ნაშთები, შესაძლოა, წარმოადგენდეს იმ მიუვალ ზღუდეს, რომელიც, სტრაბონის მოწმობით, კეტავდა არაგვის გასწვრივ გამავალ გზას და იცავდა იბერიის დედაქალაქს ჩრდილოეთიდან მომხვდური მომთაბარე ტომების თავდასხმებისაგან (6.XI, III, 5).

ზემოაღნიშნულის გამო, შემთხვევით არ უნდა იყოს ნახსენები „ქართლის ცხოვრებაში" ღ ა რ თ ა, სადაც მცხეთაში მობრუნებულ ახლად გაქრისტიანებულ მირიანს შეეგება ნანა დედოფალი და „ყოველი ერი" (7, გვ. 110). უნდა ვიგულისხმოთ, რომ ანტიკურ ხანაში სწორედ ღართაში იყო გამართული მთავარი ჩრდილოეთის კარი ძველი დედაქალაქისა.

საანგარიშო წელს მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის წ ი ლ კ ნ ი ს რ ა ზ მ მ ა (ხელმძღვ. ვ. ნიკოლაიშვილი) ს. წილკანის აღმოსავლეთით გათხარა გვიანანტიკურ-ადრეფეოდალური ხანის ძეგლები (სურ. 1551, 1558), სამაროვნის ნამოსახლარისა და ეკლესიის ნაშთები — მათ შორის გამოირჩევა და განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქვათლილებით ნაგები მიწისქვეშა აკლდამა. იგი წილკნის საეპისკოპოსო ტაძრის აღმოსავლეთით 1,5 კმ-ზე, მი-

წის თანამედროვე ზედაპირიდან 0,3—0,4 მ სიღრმეზე გამოვლინდა (სურ. 1552)*.

აკლდამა შედგება გეგმაში ოთხკუთხედის მოყვანილობის დასაკრძალავი სენაკისა და დრომოსისაგან, რომელიც მიშენებულია აღმოსავლეთის მხრიდან. იგი დამხრობილია O-დან W-კენ და საერთო სიგრძით 10 მ აღწევს. აკლდამა ნაგებია კარგად გათლილ-ნაკოდი ქვიშაქვის ქვათლილებით კირხსნარზე და ჩადგმულია მისთვის საგანგებოდ ამოთხრილ ქვაბულში. დრომოსსა და დასაკრძალავ კამერას („სახლ—საკრძალავს“) გარშემოსდევს რიყის ქვით, კირხსნარზე ნაგები სამაგრი კედელი (გარსაცმი პერანგი).

ქვაბულში ჩადგმული საკრძალავი კამერის (სახლის) ფართობია 12 მ² (განაზომები: 3,45×3,25×2,88 მ). იგი დაგვირგვინებულია ნახევარწრისებური მოყვანილობის თაღით, რომელიც ქვათლილებით შესანიშნავად ნაგები 29 ჰორიზონტული მწკრივითაა გადმოყვანილი. თაღი გარედან კირხსნარის სქელი ფენით გადაულესავთ (სურ. 1553).

საკრძალავ სენაკს აღმოსავლეთის მხრიდან უერთდება ცამეტსაფეხურიანი დრომოსი (სიგრძე — 5,60 მ), რომელსაც ქვათლილებით გადახურული დერეფნის გავლით (სიგრძე — 2,20 მ) განსასვენებელში შევყავართ. დერეფანში შესასვლელი ერთიანი ქვითაა ამოქოლილი. საკარე ქვის გამოღების შემდეგ — საფასადო ქვაზე — არქიტრავზე გამოჩნდა ტოლმკლავა აყვავებული ჯვრის გამოსახულება, რომელიც ორ ამოღარულ კონცენტრულ წრეშია ჩასმული (სურ. 1555). საკრძალავი კამერის სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლების გასწვრივ საცხედრეებია (ტახტრევნები) აშენებული. ტახტრევნებზე ბორდურით გამოყოფილი ორ-ორი სამარხია გამართული. სამარხები ამოლესილია კირხსნარის სქელი ფენით.

აკლდამაში რვა მიცვალებული აღმოჩნდა დასვენებული — ყველა მამაკაცი. შვიდი მიცვალებული ტახტრევნებზე და მათ შორის არსებულ ფართობ-

---

* 1968 წელს წილკნის ღვთისმშობლის ტაძრის გალავანში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოებისას, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღ. ა. კალანდაძე) ერთ-ერთმა ჯგუფმა (ა. ბოხოჩაძე, ვ. ნიკოლაიშვილი) გათხარა რამდენიმე სამარხი. ერთ-ერთი სამარხი, რომელიც ეკლესიის აბსიდის გარეთ — მის ქვეშ აღმოჩნდა, ახ. წ. პირველი საუკუნეებისა იყო (იხ. ვ. ნიკოლაიშვილის დღიური, რომელიც მმაე-ის არქივში ინახება).

საანგარიშო წელს წილკნის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმის ტერიტორიაზე მიწის სამუშაოებისას აღმოჩნდა ქვათლილებით ნაგები მიწისქვეშა აკლდამა. აღმოჩენის შესახებ ცნობის მიღებისთანავე მიწის სამუშაოები შეაჩერებინა მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ნარეკვავ-წეროვანის რაზმის უფროსმა ვ. სადრაძემ.

წილკანში საველე სამუშაოებში მონაწილეობდნენ: მ. ძნელაძე — უმცრ. მეცნ. თანამშრომელი; ნ. ღლონტი — უფრ. ლაბორანტი; გ. ბერულავა—ლაბორანტი; კ. ტაბიძე—მხატვარი-არქიტექტორი; ვ. მასხარაშვილი და ა. კუცია—ინჟინერ-გეოდეზისტები; ნ. კილაძე და მ. რჩეულიშვილი — ანთროპოლოგები; ვ. ასტახოვი — ფოტოგრაფი; ვ. ნიკოლაიშვილი — რაზმის უფროსი. რაზმმა ველზე დაჰყო 3 თვე — 3 ივლისიდან 3 ოქტომბრამდე.

ზე იყო დაკრძალული ქრისტიანული წესით — გულაღმა გაშოტილი, თავით დასავლეთით. ერთი მიცვალებული კი I ტახტრევნის თავთან იყო ჩაფლული აკლდამის იატაკში (სურ. 1554).

მიცვალებულთა ჩონჩხებზე დალექილ ორგანულ ნივთიერებათა (ქსოვილთა) ნაშთების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი სუდარაში გახვეული დაუკრძალავთ. II ტახტრევნის თავთან იდგა ორიგინალური ფორმის სამგანყოფილებიანი ლამპარი — ჭრაქი 30 (01/23—1; სურ. 1557). სხვა ნივთი აკლდამაში არ აღმოჩენილა. როგორც გაირკვა, აკლდამა ადრევე გაუძარცვავთ. დერეფნის ჭერში გათხრილია მძარცველის ხვრელი, რომელიც შემდეგ გაურემონტებიათ — ამოუქოლავთ ქვებით და კირით გადაულესიათ.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია აკლდამის დასავლეთ კედელზე გამოსახული ოთხპწკარიანი ბერძნული წარწერა — ეპიტაფია და ჯვრის გამოსახულებები, რომელიც წითელი (ოქრა) და შავი საღებავებით არის შესრულებული. ჯვრის მკლავებს შორის ბერძნული ასოებით ჩაწერილია ქრიზმები α და ω წარწერა დაზიანებულია და მხოლოდ ნაწილობრივ იკითხება (სურ. 1556). წილკნის აკლდამის წარწერას სწავლობს პროფ. თ. ყაუხჩიშვილი. აღნიშნული წარწერის პალეოგრაფიული ანალიზის შედეგები მან მოახსენა საველე-არქეოლოგიურ სესიას 1980 წლის 23 აპრილს. პროფ. თ. ყაუხჩიშვილის წინასწარული მოსაზრება ასეთია: „წილკნის აკლდამის ბერძნული წარწერა შესრულებული საღებავით დასავლეთის კედელზე, ძალიან დაზიანებულია, გაბმული ტექსტის აღდგენა ჯერჯერობით არ ხერხდება, იმის მიხედვით, რაც არის შემორჩენილი, ყურადღებას იპყრობს ქრიზმები ასოებით α და W, რაც წარწერისათვის ძირითადი დამათარიღებელია (ჯერჯერობით). ე. ი. ძეგლი აშკარად ქრისტიანული ხანისაა.

იკითხება პირველი ორი სიტყვა — „მ ე ტ ი კ ა ს" და II სტრიქონში სიტყვა „ფ ა რ ა ნ უ".

„ტ ი კ ა ს" უნდა იყოს საკუთარი სახელი, არცთუ ისე გავრცელებული, მაგრამ მაინც დამოწმებული ბერძნულ ონომასტიკონში. „ფ ა რ ა ნ უ" საკუთარ სახელად მიმაჩნია (ნათ. ბრუნვაში). აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ წარწერაში იყო რამდენიმე საკუთარი სახელი, ე. ი. ჩამოთვლა იმ პირთა, ვინც ამ აკლდამაში იყო დაკრძალული. წარწერა წარმოადგენდა ეპიტაფიას (და ალბათ დაახლოებით იმ ტიპისას, როგორიც ავრელი აქოლისის ეპიტაფიაა).

ასოთა მოხაზულობის შესწავლის ყველაზე ახლო პარალელური მასალა არის ერთ IV—V სს. სარკოფაგზე იტალიიდან და ერთ V ს. მოზაიკაზე, კილიკიიდან".

წილკნის აკლდამა აშკარად მაღალი რანგის სასულიერო მოღვაწეთა განსასვენებელი უნდა იყოს. იგი რიგით მესამეა დიდი მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ მსგავს ძეგლთა შორის.

წილკანში აღმოჩენილი აკლდამა კონსტრუქციულად იდენტურია ბერძნულ-რომაულ სამყაროში და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში დადასტურებული ანალოგიური ძეგლებისა (8, 9, 10). მსგავსი ძეგლები აღმოჩენილია აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე — სიონსა და ხორნაბუჯში (11, 12).

წილკანში აღმოჩენილი აკლდამა ადრეფეოდალური ხანის ქართლის ხუროთმოძღვრული ხელოვნების სრულყოფილი ნიმუშია და ლოგიკურად აგრძელებს წინა ეპოქაში დადასტურებულ მაღალგანვითარებულ მშენებლობის ტრადიციებს.

აკლდამის დასავლეთით, 3 მ-ის დაცილებით გამოვლინდა მცირე ზომის დარბაზული (?) ეკლესიის ნაშთი (8×5,5 მ), რომელსაც აქვს ნახევარწრისებრი მოყვანილობის რიყის ქვით კირზე ნაგები აბსიდი. ეკლესიის იატაკი კირხსნარის თხელი ფენით ყოფილა მოკირწყლული (შემორჩენილია მხოლოდ ნაწილობრივ). ეკლესია აკლდამასთან ჩანს დაკავშირებული და იგი ერთი კომპლექსის ნაწილი უნდა იყოს. ამას ადასტურებს ეკლესიისა და აკლდამის ჩრდილოეთით გამავალი კედელი (შემორჩენილი ნაწილის სიგრძე — 22 მ), რომელიც აღნიშნული კომპლექსის ზღუდეს უნდა წარმოადგენდეს (სურ. 1551).

წილკნის აკლდამის გარშემო გამოვლენილი მასალების (კრამიტები, სამარხეული ინვენტარი და სხვ.) საფუძველზე ძეგლი წინასწარულად შეიძლება ადრექრისტიანული ხანით (IV—V სს-ით) დათარიღდეს.

აღნიშნულ თარიღს მხარს უბამს აკლდამაში აღმოჩენილი ჯვრების იკონოგრაფია. არქიტრავის ქვაზე გამოსახული ჯვარი — ე. წ. ბერძნული ჯვრის ტიპისაა და გვხვდება ადრექრისტიანული ხანის ძეგლებზე [13]. ამავდროული ჩანს საღებავით შესრულებული ჯვრებიც [14].

წ ე რ ო ვ ა ნ ს ა და ნ ა რ ე ყ ვ ა ვ შ ი გათხრები ძირითადად ახალმშენებლობებთან დაკავშირებით მიმდინარეობდა.

წეროვნის II სამაროვანზე (ხელმძღ. ს. სადრაძე) კვლევა-ძიება გაგრძელდა LXVIII—LXXXIV ნაკვეთებში, იქ სადაც 32-ბინიანი საცხოვრებელი სახლისათვის ქვაბულს იღებდნენ. მიწის ზედაპირიდან 1,20—1,50 მეტრის სიღრმეზე გამოვლინდა სამეურნეო თუ საკულტო დანიშნულების ორმოები ადრებრინჯაოს ხანისა ( სურ. 1559). ორმოებში აღმოჩნდა თიხის ჰურჰელი, ცხოველთა ძვლები და გადამწვარი ალიზ-ბათქაშის ნატეხები.

აღნიშნულ სამეურნეო ორმოებს შორის (სულ 6 ასეთი ორმო გაითხარა) საყურადღებო მასალა აღმოჩნდა 22-ე ორმოში. ნაკვ. LXXXIII, კვ. 2,3. ორმო მშენებლებმა დააზიანეს, ამიტომ ყელისა და ძირის დიამეტრის დადგენა ვერ მოხერხდა. სიმაღლე — 1,20 სმ. ორმოში გამოვლინდა გადამწვარი თიხის ჰურჰლისა და ბათქაშის ნატეხები, რომელზედაც შეიმჩნეოდა ლასტის კვალი; იატაკზე 20 სმ სისქის დამწვარი მარცვლეული (ხორბალი, ქერი) აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ორმო მარცვლეულის შესანახად იყო გამოყენებული. 22-ე ორ-

მოში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი ანალოგიური და სინქრონულია დიდუბე-კიკეთის კერამიკული მასალებისა [15. ტაბ. I—VI; 16. ტაბ. III—VIII]. „წეროვან — II" სამაროვნის N და S განაპირა მხარეს გაითხარა რამდენიმე სამეურნეო ორმო და 10 ორმოსამარხი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ წეროვნის II სამაროვნის ცენტრალური და სამხრეთი მონაკვეთი ძირითადად გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის სამარხებს ეკავა, ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი კი რკინის ფართო ათვისების ხანის სამარხებით იყო დაფარული. აღნიშნულ მონაკვეთზე მხოლოდ მიწაყრილიანი ორმოსამარხები დადასტურდა. მიცვალებულები კუთხეებმომრგვალებულ, შეეულკედლებაორმოებში ჩაუსვენებიათ. ყველა სამარხი ინდივიდუალური აღმოჩნდა.

საილუსტრაციოდ ვაქვეყნებთ აღნიშნული პერიოდის ერთ-ერთ სამარხს.

**სამარხი 1 (სურ. 1564) 1079. 14. III. XVIII (N—S)**

შეეულკედლება, კუთხეებმომრგვალებული ორმოსამარხია (განაზომები: 1,45×1,00×0,30 მ). მიცვალებული მარცხენა გვერდზე იყო დაკრძალული, ხელფეხმოკეცილი, თავით N-კენ.

სამარხში აღმოჩნდა:

**31** (01/15—11—478; სურ. 1566). დერგი თიხისა.

**32** (01/15—11—479; სურ. 1565). სასმისი თიხისა.

**33** (01/15—11—480). ფიალა თიხისა.

**34** (01/15—11—480). სამაჯური ბრინჯაოსი.

**35** (01/15—11—482). მძივები, მრგვალ-ბრტყელი, სარდიონისა და ბრინჯაოსი.

ზემოაღნიშნული მასალა პარალელებს პოულობს ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გამოვლენილ ძეგლებთან [17. გვ. 246—251; 18. ტაბ. XII—XXV; 19. გვ. 69—73; 20. ტაბ. VI—VII; 21. სურ. 21, 26,41; 22. გვ. 88—132] და გვიანი ბრინჯაოს ადრეული პერიოდით უნდა დათარიღდეს.

განსაკუთრებით საყურადღებოა წეროვანის II სამაროვნის ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის კომპლექსების საოცარი სიახლოვე ართიკის სამაროვნის მასალებთან [22. გვ. 88—132; 23. გვ. 220—232].

როგორც ზევით აღვნიშნეთ, წეროვნის II სამაროვნის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი რკინის ფართო ათვისების ხანის სამარხებითაა დაფარული. აღნიშნულ მონაკვეთზე ადრეული და მოგვიანო სამარხების თანაარსებობის არც ერთი შემთხვევა არ დადასტურებულა. როგორც ჩანს, რკინის ფართო ათვისების ეპოქაში სამარხების გამართვისას ცნობილი იყო ადრეული სამაროვნის არსებობის ფაქტი.

წ ე რ ო ვ ნ ი ს IV სამაროვანზე (ხელმძღვ. ე. გავაშელი), რომელიც წილ-

კნის საბჭოთა მეურნეობის სათბურების დასავლეთით მდებარეობს, გაგრძელ- და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებული მონაკვეთის შესწავ-ლა.

გათხრები ჩატარდა CXCI 9,12 და CXCII ნაკვეთებზე, სადაც გამოვლინდა ორი ტიპის სამარხი: ქვაწრიანი და ქვაყრილიანი (სურ. 1567—1570). ეს უკა-ნასკნელი ფაქტიურად გორასამარხია, რომლის ცენტრალურ ნაწილში გამარ-თულია დასაკრძალავი კამერა. იგი წარმოადგენს შვეულკედლება, კუთხეებ-მომრგვალებულ ღრმა ორმოს (სიგრძე — 1,60—1,80 მ).

ქვაყრილის, დიამეტრი — 8—9 მ აღწევს, ხოლო ქვაწრეების საშუალო დმ — 4—5 მ შეადგენს.

საილუსტრაციოდ ვაქვეყნებთ ერთ-ერთი სამარხის აღწერას.

**სამარხი 7 (სურ. 1568, 1569). 1979. 18.V. CXCII, 7.II. (N—S)**

ქვაყრილიანი გორასამარხია. ყრილი საშუალო ზომის რიყის ქვისაგან შედგებოდა. დმ — 8,30—8,5 მ; სიმაღ-ლე — 0,35—0,37 მ. დასაკრძალავი კამერის განაზომე-ბია: 2,50×1,55×1,60 მ. სამარხის ცენტრალური ნაწი-ლი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისას დაზიანდა. რაც შეეხება კამერას, იგი ადრევე გაუძარცვავთ. მიცვა-ლებული მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი დაუსვენებიათ, თავით NNO-კენ. მიცვალებულის ჩონჩხის ძვლები არეული იყო.

სამარხში აღმოჩნდა:

36 (01/21—54). დერგი თიხისა.

37 (01/21—55). ლანგრის ნაწილები.

38 (01/21—56), დერგი თიხისა.

39 (01/21—57). ობსიდიანის ანატკეცი.

სამარხში აღმოჩნდა აგრეთვე ალაპის ნაშთი: მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ძვლები.

ქვაყრილიან გორასამარხებში აღმოჩენილი მასალები მსგავსია ქართლისა და კახეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ძეგლებისა [24. გვ. 15; 21. ტაბ. LIV, $LIII_2$].

„წეროვანი-IV“ სამაროვანზე დადგინდა შეფარდებითი ქრონოლოგიაც. ამის საფუძველს იძლევა სტრატიგრაფიული მონაცემები. ქვაწრიანი სამარხები, ხშირ შემთხვევაში, აზიანებს გორასამარხებს, ე. ი. უფრო გვიან ჩანს გამართუ-ლი. ამას ადასტურებს, აგრეთვე, ქვაწრიან სამარხებში აღმოჩენილი ინვენტა-რიც.

ქვაწრიან სამარხებშიც მიცვალებულები კიდურებმოკეცილი დაუსვენე-ბიათ, თავით N-კენ. მიცვალებულთა დასაკრძალავად გამოუყენებიათ სარე-ცელი, რომელიც ამისათვის საგანგებოდ ჩადგმულ ქვებზე მდგარა.

ქვაწრიან სამარხებში აღმოჩენილი მასალა: რკინის მახვილი, დანა, შუ-

შისპირი და თიხის ჭურჭელი ზოგადად ძვ. წ. IX—VIII სს. უნდა დათარიღდეს [25; ქრონ. ტაბულა].

საანგარიშო წელს გაგრძელდა გათხრები ნარეკვავის სამაროვანზე (სურ. 1563). (ხელმძღვ. რ. დავლიანიძე). იქ ნავთობის ტრასისათვის თხრილის გატანისას მშენებლებმა დააზიანეს 8 სამარხი. ყველა მათგანი ინდივიდუალური ორმოსამარხია: მიცვალებულები კიდურებმოკეცილი დაუსვენებიათ, მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე, თავით N-კენ.

აღნიშნულ სამარხებში დადასტურებულია არქეოლოგიური მასალა: რკინის მასრგახსნილი შუბისპირი, მშვილდსაკინძი, ზურგდაკეჭნილი სამაჯურები, უმბონები და თიხის ნაწარმი, სამარხებს ძვ. წ. აღ. VIII—VI სს-ით ათარიღებს (25. ქრონ. ტაბულა).

საანგარიშო წელს „საქსოფტექნიკის" მცხეთის განყოფილების ეზოში, ს. გოროვანთან, მშენებლებმა დააზიანეს გორასამარხი (?). ძეგლის ტოპოაგეგმვისა და ფოტოფიქსაციის შემდეგ გაიწმინდა დაზიანებული ნაწილი (სურ. 1571). გორასამარხის სავარაუდო ცენტრში გაიწმინდა ძლიერ ცეცხლში მოხვედრილი, გადამწვარი ფენა (2×3 მ), რომლის ბოლომდე გაწმენდა საანგარიშო წელს ვერ მოხერხდა.

სათოვლე-ნაბაღრებში გრძელდებოდა გათხრები გვიანბრინჯაოადრერკინის ხანის სამაროვანზე (ხელმძღვ. შ. ირემაშვილი). საანგარიშო წელს რაზმმა ველზე იმუშავა 15 ივლისიდან 15 სექტემბრამდე*. გაითხარა 200 $м^2$ ფართობი, რომელზედაც 5 სამარხი გამოვლინდა (სურ. 1572). ყველა მათგანი ქვაყრილიანი ორმოსამარხია.

სამაროვნის გაღმა მხარეს, აბულეთის ხევისა და პატარა ხევის შესაყართან მდებარე კონცხზე, სადაც ჯერ კიდევ 50-იან წლებში დადასტურდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის გორანამოსახლარის არსებობა [26. გვ. 30]. ჩატარდა მცირე მასშტაბის საკონტროლო გათხრები.

საანგარიშო წელს გაიწმინდა აბულეთის გორაზე მდგომი შუასაუკუნეების პერიოდის (X—XI სს.) ორი ეკლესია* (სურ. 1573). აგრეთვე, გაითხარა სამი საძიებო ტრანშეა, რომლებშიაც დადასტურდა სამაროვნის (ქვაყუთები) არსებობა.

ნაბაღრების სამაროვანზე გამოვლენილი სამარხები გამართულია ოთხკუთხა წაგრძელებულ ან კუთხეებმომრგვალებულ ორმოებში. მათი განაზომებია:

---

* რაზმი ველზე მუშაობდა შემდეგი შემადგენლობით: შ. ირემაშვილი — რაზმის უფროსი, ნ. მოლაშვილი, ნ. მაისურაშვილი — ლაბორანტები, ე. გომარელი — მხატვარი, ვ. მასხარაშვილი, ა. კუცია — ინჟინერ-გეოდეზისტები, საველე ფოტოგადაღება შეასრულა ვ. ნიკოლაიშვილმა.

* აბულეთის ორივე ეკლესიის ანაზომები, გეგმა, ჭრილები, აგრეთვე, ცალკეული დეტალების ჩანახატები შეასრულა არქიტექტორმა კ. მელითაურმა.

1,20×1,00—1,70×1,05 მ. სამარხები, როგორც ჩანს, ხის ძელებით ყოფილა გადახურული, რომლის ჩაქცევის შემდეგ ქვების ნაწილი მოხვედრილა დასაკრძალავ დარბაზში. ყველა სამარხი ინჰუმაციურია, მიცვალებულები დაკრძალული არიან ხელფეხმოკეცილი, როგორც წესი, მამაკაცები მარჯვენა, ხოლო ქალები მარცხენა გვერდზე, თავით დასავლეთით. რამდენიმე სამარხში დადასტურდა მიცვალებულის სპეციალურ სარეცელზე (თუ საფენზე) დაკრძალვის ფაქტი. ასე, მაგალითად, მე-16 სამარხში მიცვალებული დაკრძალული იყო იატაკიდან 0.20—0,30 მ სიმაღლეზე, ხოლო სამარხეული ინვენტარის უმრავლესობა მის ქვეშ ელაგა.

სათოვლე-ნაბაღრების სამარხთა უმრავლესობა გამოირჩევა ინვენტარის სიუხვითა და მრავლაფეროვნებით. გვხვდება, აგრეთვე, მწირი ინვენტარის შემცველი სამარხებიც, რაც თავისთავად ქონებრივსა თუ სოციალურ უთანასწორობაზე მიუთითებს.

საანგარიშო წელს გამოვლენილი სამარხებიდან ინვენტარის სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა მე-19 სამარხი, რომელიც სოციალური იერარქიის მაღალ საფეხურზე მდგომი პირის განსასვენებელი უნდა იყოს.

**სამარხი 19 (სურ. 1575). 1979,8.VIII.III$_{11}$. (W—O)**

ქვაყრილიანი ორმოსამარხია (ქვაყრილის განაზომები: 2,00×2,00). სამარხი ორმო თიხნარ ნიადაგში იყო გამართული. იგი წაგრძელებული ოთხკუთხამოყვანილობისა იყო (განაზომები: 1,70×1,05 მ).

სამარხში მიცვალებულის ჩონჩხის ძვლების მხოლოდ ნაწილები დადასტურდა, რამაც გააძნელა დაკრძალვის პოზის დადგენა. სამარხის იატაკზე, აგრეთვე, ინვენტარზე შეიმჩნეოდა მოშავო-მოწაბლისფრო ფენა. ინვენტარი სხვადასხვა სიმაღლეზე აღმოჩნდა. ყველა ნიშნის მიხედვით სამარხი გაძარცული უნდა ყოფილიყო.

სამარხში აღმოჩნდა:

40 (01/18—167). ლანგარი ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხისა.

41 (01/18—168). ლარნაკი მცირე ზომის, თიხისა.

42 (01/18—169). ხელადა ლეგანაცრისფერი, თიხისა.

43 (01/18—170). დერგი ლეგანაცრისფერი, თიხისა.

44 (01/18—171). ქოთანი თიხისა.

45 (01/18—172). ჯამი თიხისა.

46 (01/18—173). დოქი თიხისა.

47 (01/18—174). ქოთანი ორყურა, თიხისა.

48 (01/18—175). ხელადა თიხისა.

49 (01/18—176). სარტყელი ბრინჯაოსი, ზედაპირი მთლიანად დაფარული აქვს ზენურის ხვიების ორნამენტით.

50 (01/18—177). გარსაკრავი ოქროსი, წარმოადგენს ბოლოებგაფართოებულ ოქროს ფურცელს. ნაპირებზე დარჩილული დაკეპნილი მავთული ქმნის ცრუგავარსის იმიტაციას.

51 (01/18—178; სურ. 1578). უმბონი ბრინჯაოსი (2).

52 (01/18—179). ტოლჩა (?) ბრინჯაოსი (ძალზე დაშლილი).

54 (01/18—180). კვერთხისთავი ბრინჯაოსი.

55 (01/18—181). ლანგარი ბრინჯაოსი.

56 (01/18—182; სურ. 1582). საყბეურები ბრინჯაოსი (ლაგამზე იყო დამაგრებული).

57 (01/18—183). ოქროს ფირფიტა (ნატეხი).

58 (01/18—184; სურ. 1578). უმბონი ბრინჯაოსი, ნახევარსფერული, პვირული.

59 (01/18—185; სურ. 1586). შუბისპირი რკინისა, მასრაზე ბრინჯაოს მავთული ჰქონდა დამაგრებული.

60 (01/18—186; 1576). მშვილდსაკინძი ბრინჯაოსი.

61 (01/18—187). უმბონები ბრინჯაოსი (2).

62 (01/18—189; სურ. 1585). მახვილი ბრინჯაოსი, ბოლოებმომრგვალებული, დაფანჯრულკოტიანი ტარი აქვს.

63 (01/18—190—191; სურ. 1591). ბრინჯაოს მილაკები (31).

64 (01/18—193; სურ. 1579). ჩქიფი ბრინჯაოსი.

65 (01/18—194; სურ. 1588). სატევარი რკინისა, ფოთლისებრი.

66 (01/18—192). კილიტები ბრინჯაოსი (80).

67 (01/18—195—196; სურ. 1580, 1581). ირმის ქანდაკებები ბრინჯაოსი.

68 (01/18—197; სურ. 1578). ბრინჯაოს უმბონები (2).

69 (01/18—199—200; სურ. 1589). ბრინჯაოს საკინძები (2).

70 (01/18—201). მინის მძივი, სფერული ფორმისა.

71 (01/18—202—203; სურ. 1577). ბრინჯაოს ზურგდაღარული სამაჯურები (12).

72 (01/18—204; სურ. 1587). ისრისპირი ბრინჯაოსი.

73 (01/18—205; სურ. 1592). სამხარიღლიე ყაწიმის რგოლი ბრინჯაოსი.

74 (01/18—206—207; სურ. 1590). სამხარიღლიე ყაწიმის ბალთა ბრინჯაოსი.

75 (01/18—208—209; სურ. 1583, 1584). ბრინჯაოს ბუნიკი (2).

76 (01/18—210—211). სასაფეთქლე რგოლი ბრინჯაოსი (2.

ზემოაღწერილი სამარხეული ინვენტარი იმითაცაა საინტერესო, რომ ერთად აღმოჩნდა სხვადასხვა პერიოდის კომპლექსებისათვის დამახასიათებელი ნივთები. ასე, მაგალითად, ბრინჯაოს ბოლოებმომრგვალებული მახვილი გვხვდება ადრეულ კომპლექსებში, ხოლო ბრინჯაოს ლაგმები და ზურგდაკეპნილი სამაჯურები უფრო გვიანდელი კომპლექსებისათვისაა დამახასიათებელი.

სწორედ ამის გამო, მე-19 სამარხი გვიანდელი ანალოგების მიხედვით შეიძლება IX—VIII სს. დათარიღდეს [25. ქრ. ტაბულა]. იგი ყველაზე ადრეული სამარხეული კომპლექსია სათოვლე-ნაბაღრებში აქამდე გათხრილ სამარხებს შორის. რაც შეეხება სამაროვანზე აღმოჩენილ დანარჩენ სამარხებს, ისინი ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ძვ. წ. VIII—VI სს უნდა ეკუთვნოდეს [25. ქრ. ტაბულა]. მომდევნო საუკუნეების სამარხები ნაბაღრებში არ გვხვდება, რაც შესაძლოა, იმ დიდი ძვრებით აიხსნას, რომლებიც მცხეთის შემოგარენში მდებარე სამოსახლოებს შეეხო. იგი გაპირობებული იყო ქალაქწარმოქმნისა და სახელმწიფოს წარმოშობასთან დაკავშირებული პროცესებით. ნაბაღრების მოსახლეობა სხვებთან ერთად შეუერთდა იმ დიდ ნაკადს, რომელმაც ქართლის მომავალი დედაქალაქი — დიდი მცხეთა შეავსო.

მ უ ხ ა თ გ ვ ე რ დ თ ა ნ საქართველოს სამხედრო გზის რეკონსტრუქციისას დაზიანდა სამაროვანი, რომელსაც მუხათგვერდი II ეწოდა*. ახლადაღმოჩენილი ძეგლი სამხედრო გზის მე-19 კმ-ზე მდებარეობს, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სოფ. მუხათგვერდის აღმოსავლეთით.

მუხათგვერდის რაზმი (ხელმძღვ. ლ. ხეცურიანი) საველე სამუშაოებს ახორციელებდა 6 თვის მანძილზე — ივნის-ნოემბერში**. გაითხარა 560 $м^2$ ფართობი, რომელზედაც 24 სამარხი გამოვლინდა. აღნიშნული სამარხებიდან 10 გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისა აღმოჩნდა, ხოლო 14 ადრეელინისტური პერიოდით უნდა დათარიღდეს. ქრონოლოგიურად განსხვავებული სამარხები სტრატიგრაფიულად სხვადასხვა დონეზე გამოვლინდა (სურ. 1595). გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში მუხათგვერდის II სამაროვანზე დადასტურდა სამი ტიპის სამარხი: ქვაყრილიანი (№ 12, 17, 18, 19, 20), ქვიშაქვის ფილებით დახურული (№ 11) და ქვაწრიანი (№ 21, 22, 23, 24).

ქვაყრილი ძირითადად საშუალო ზომის რიყის ქვისაგან შედგება. იგი სწორკუთხა მოყვანილობისაა და სხვადასხვა ზომის (2,00×1,30—1,70×1,00 მ). მიცვალებულები ამ ტიპის სამარხში N→S არიან დამხრობილი. ყველა მათგანი ინდივიდუალურია და დამახასიათებელი ნიშნით გამოირჩევა. მაგალითად, ერთ-ერთი სამარხი ორმოს იატაკზე დაფიქსირდა დანახშირებული ფენა, რომელიც, შესაძლოა, სარეცლის ნაშთს წარმოადგენდა. ამ ვარაუდს მიცვალებულის მდგომარეობაც ადასტურებს — იგი თიხის ჰურჰლის ზემო-

---

* „მუხათგვერდი" I — ადრეფეოდალური ხანის სამაროვანი — გაითხარა 1975—76 წწ. იხ. მცხეთა, II. 1978.

** საველე სამუშაოებში მონაწილეობდნენ: ლ. ხეცურიანი — რაზმის უფროსი; თ. ჯღარკავა, თ. ჰანიშვილი, ა. აბუთიძე, მ. ფეოდოროვა — უმცროსი მეცნ. თანამშრომლები; მ შეროზია, ნ. კაპანაძე, ნ. ზუკაკიშვილი, ე. ხახიაშვილი — ლაბორანტები; მ. ლოლიშვილი, ე. გომარელი — მხატვრები; ვ. ასტახოვი, ი. მაღრაძე — ფოტოგრაფები; ვ. მასხარაშვილი, ა. კუცია— ინჟინერ-გეოდეზისტები; მ. რჩეულიშვილი, ნ. კილაძე — ანთროპოლოგები.

დან ესვენა. მე-18 სამარხში მიცვალებულის ჩონჩხი არ აღმოჩენილა. სავარაუდოა, რომ იგი კენოტაფი იყო.

ქვაყრილიანი ორმოსამარხები გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სხვადასხვა ეტაპისათვის დამახასიათებელ ინვენტარს შეიცავს. ასე, მაგალითად, ორფენიანი თიხის ჰურჰელი, თავხვია საკინძები, პირმოყრილი თიხის ჰურჰელი, ბრინჯაოს ალისებრი სატევარი, მასრაგახსნილი შუბისპირი, ირმის რქის ძირი, ე. წ. დახეთქილი მძივები, რომლებიც ამ ტიპის სამარხებში დადასტურდა, აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული სამარხეული კომპლექსების შემადგენლობაში გვხვდება [4. 27, გვ. 141—152; 28. გვ. 41; 29. ტაბ. 111; 30. ტაბ. XXVIII, XXIX]. რაც შეეხება მე-19 სამარხში აღმოჩენილ ინვენტარს (რკინის მასრგახსნილი შუბისპირი და თიხის ჰურჰელი) — იგი რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლებზე დადასტურებული მასალის ანალოგიურია [25.31].

ქვიაშქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხი მუხათგვერდის II სამაროვანზე მხოლოდ ერთადერთი აღმოჩნდა (№ 11). იგი წარმოადგენს ქვიშაქვის ორ უხეშად დამუშავებულ ფილით გადახურულ სწორკუთხა ფორმის ორმოსამარხს (განაზომები: 1,60×1,30 მ). დამხრობილია NO-დან SW-კენ. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოკეცილი დაუკრძალავთ. სამარხის იატაკზე აღმოჩნდა საფენის ნაშთები. სამარხში აღმოჩენილი თიხის ჰურჰელი ანალოგიურია ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრით დათარიღებულ ძეგლებზე აღმოჩენილი მასალისა [21.31].

მუხათგვერდის II სამაროვანზე ოთხი ქვაწრიანი სამარხი გაითხარა (№ 21—24). ამათგან მხოლოდ ერთში (№ 22) აღმოჩნდა მიცვალებულის ჩონჩხი (სურ. 1595). იგი მარჯვენა გვერდზე დაუსვენებიათ, ხელფეხმოკეცილი, თავით NO-კენ. დანარჩენ 3 სამარხში მიცვალებულის ჩონჩხი არ აღმოჩენილა, როგორც ჩანს, ისინი კენოტაფებს წარმოადგენდნენ. ზემოაღნიშნულ სამარხებში მეტად მცირერიცხოვანი ინვენტარი დადასტურდა, თუმცა აღმოსავლეთ საქართველოს ზოგ ადგილებში იგი მიჩნეულია გვარის დაწინაურებული წევრების განსასვენებლად [31. გვ. 18]. მუხათგვერდის სამაროვნის ქვაწრიან სამარხებში აღმოჩენილის მსგავსი ინვენტარი ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევრით დათარიღებულ ძეგლებზეა დადასტურებული [33. 34].

ამრიგად, როგორც ირკვევა, მუხათგვერდი II-ის გვიანბრინჯაო-ადრერკინის სამაროვანი საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ფუნქციონირებს (ძვ. წ. XIV—VII. სს).

როგორც აღვნიშნეთ, მუხათგვერდის II სამაროვანზე ადრეელინისტური ხანის 14 სამარხი გაითხარა. აქედან. 11 ქვაყუთი იყო, ხოლო 3— ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხი. სამარხები მჭიდროდ იყო განლაგებული სამაროვნის SW ნაწილში (XVII ნაკვეთის 3. 4, 8 კვადრატები), მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,90—1,50 მ სიღრმეზე, სილანარევ თიხნარ ნიადაგში (სურ. 1599—1602).

ქვაყუთების (ქვასამარხების) კედლებად და სახურავად ქვიშაქვის თხელი, ცუდად დამუშავებული ფილები გამოუყენებიათ. ამავე ტიპის რამდენიმე ფილით იყო გადახურული ყველა ორმოსამარხი.

ერთგვაროვნება შეინიშნებოდა დაკრძალვის წესში: ყველა მიცვალებული ძლიერ ხელფეხმოკეცილ ესვენა მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თავით SO-კენ. მიცვალებულთა უმრავლესობას (II) თავი ქვის სასთუმალზე ედო. უმეტეს სამარხში დადასტურდა ალაპის ნაშთი (შინაური ღორი, ცხვარი, თხა*). აღსანიშნავია, რომ ალაპი ყოველთვის მიცვალებულის ფეხებთან ეწყო (ზოგ შემთხვევაში თიხის ჭურჭელში ელაგა).

ყველა სამარხი ინვენტარიანი აღმოჩნდა. თითოეულ სამარხში ძირითადად 4—5 ნივთი დადასტურდა (ძირითადად თიხის ჭურჭელი. სამკაული და იარაღი).

თიხის ჭურჭლის უმრავლესობა (სულ ხუთი დასახელების 41 ჭურჭელი აღმოჩნდა) მორგვზეა დამზადებული და გამომწვარია მუქად (გვხვდება ნაცრისფერი, ლეგაფერის, მოყავისფრო, მოშავო და ა. შ.), დანარჩენი ნაწილი (10 ცალი) ღია მოწითალოდაა გამომწვარი, აქედან სამი ჭურჭელი წითელ, ანგობშია ამოვლებული, სამ ცალზე კი წითლად მოხატვის კვალი ემჩნევა.

ელინისტური სამაროვნის თიხის ჭურჭელი სადაა, მაგრამ გამოირჩევა მრავალფორმიანობით. მათ შორის გვხვდება: ჯამ-ფიალა, ხელადა, კოჭობი და ქოთანი. სამკაულებს შორის დამახასიათებელია ბრინჯაოს და ვერცხლის საყურეები, ბრინჯაოს გვერდშეჭრილი ზარაკები; ბეჭდები, რომელთაც ბრინჯაოს ღეროს სპირალურად დახვეული თვალბუდე აქვს; ბრინჯაოს პრიზმულთავიანი და პირამიდისებრთავიანი საკინძები, რომელთაც თავი გახვრეტილი აქვს და თანაც სპირალური ორნამენტით შემკული; რკინის სამაჯურები, რომლებიც განივკვეთში მრგვალია და თავგახსნილი; მრავალფეროვნებით გამოირჩევა მძივები და მძივსაკიდები. მინის, პასტის, ძვლის, ვერცხლისა და სარდიონის მძივები სხვადასხვა ფორმის გვხვდება: მრგვალ-ბრტყელი, სფერული, მანდარინისებრი, მილაკისებრი და ბიკონუსური. ნაწილი მძივებისა ინკრუსტირებულია (სურ. 1610, 1611, 1613).

იარაღი სამაროვანზე სულ 10 ერთეული აღმოჩნდა, რაც დამახასიათებელი ჩანს ამ პერიოდის სამაროვნებისათვის. მათ შორის აღმოჩნდა: სამი მასრაგახსნილი შუბისპირი და რკინის დანები, მეტწილად მოხრილები.

გარდა ზემოაღნიშნული მასალისა, სამაროვანზე აღმოჩნდა თითო-ოროლა სხვადასხვა დანიშნულების ნივთი: ბრინჯაოს ძეწკვის ნაწილები, სალესი ქვა, რკინის ღერო და კაურები.

ზემოაღნიშნულ მასალას მრავალი პარალელი ეძებნება შიდა და ქვემო ქართლის სინქრონულ ძეგლებზე [35. გვ. 117—130. ტაბ. LII;; 18. გვ. 86, ტაბ. XLV,4, 5; 36. ტაბ. XL II4. 37. გვ. 5—52; 38. გვ. 105—109. 39., გვ. 84—102],

* პალეოზოოლოგიური მასალა განსაზღვრა დ. ბ უ რ ჩ ა კ მ ა.

ჩვენს ხელთარსებული მასალები, აგრეთვე, პარალელური მასალის გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს მუხათგვერდის II სამაროვნის ელინისტური ხანის სამარხეული კომპლექსები ძვ. წ. IV—III სს-ით დავათარიღოთ.

საილუსტრაციოდ ვაქვეყნებთ მუხათგვერდის II სამაროვნის ელინისტური ხანის ერთ-ერთ სამარხს.

ს ა მ ა რ ხ ი 1 (სურ. 1599, 1690). 1979. 10. VIII. $XVII_{3,7}$ (SO—NW). ქვასამარხია. წარმოადგენდა ქვიშაქვის უხეშად დამუშავებული თხელი ფილებისაგან შეკრულ, ბანურსახურავიან ქვაყუთს, რომელიც მოყვითალო ფერის თიხნარ ნიადაგში იყო ჩადგმული (განაზომები: 1,15×0,71×0,52; 1,00×0,55×0,48 მ). მიცვალებული (მამაკაცი) ესვენა ძლიერ ხელფეხმოკეცილი, მარჯვენა გვერდზე. თავი რიყის ქვის სასთუმალზე ედო. მიცვალებულის ფეხებთან აღმოჩნდა ალაპის ნაშთი.

სამარხში აღმოჩნდა:

78 (01/11—11—1). ხელადა მოჩალისფროდ გამომწვარი თიხისა, ცალყურიანი.

79 (01/11—11—2). საყურე ვერცხლისა. ნაკლულია.

80 (01/11—11—34). სამაჯურები რკინისა (2), ძლიერ დაჟანგული.

81 (01/11—11——5). მძივები პასტისა და სარდიონისა.

82 (01/11—11—6). შუბისპირი რკინისა, მასრაგახსნილი, ძლიერ დაჟანგული.

საანგარიშო წელს კ ო დ მ ა ნ ზ ე, მცხეთა-შიომღვიმის გზის პირას 1,7 კმ-ზე, დახრამულში აღმოჩნდა კრამიტსამარხები და ნამოსახლარის ნაშთი. კრამიტსამარხები კოდმანისათვის სიახლეა. გაითხარა ორი დანგრეული სამარხი. აღნაგობითა და სამარხეული ინვენტარით კოდმანი II სამაროვანი* (01/8—11) მსგავსია და სინქრონული დიდი მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძეგლებისა (მცხეთა-სამთავრო, კარსნისხევი, ზემო ავჭალა).

საანგარიშო წელს განახლდა გათხრები ს ა რ კ ი ნ ე ს ნაქალაქარზე** (ხელმძღვ. ა. სიხარულიძე), რომელიც ჯერ კიდევ 50-იან წლებში დაიწყო [40].

პირველ რიგში გეოდეზიურად აიგეგმა სავანე-სარკინეთის ქედი და მიმდებარე ტერიტორია, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შემოფარგლულია ჯოჯოხეთის ხევით; ჩრდილო-დასავლეთიდან და დასავლეთიდან მცხეთა-

---

* კოდმანი I (01/8) — ადრეფეოდალური ხანის სამაროვანი — გამოვლინდა 1953 წლის დაზვერვითი გათხრების შედეგად .იხ. მცხეთა, II, თბ., 1978.

* სარკინეს ნაქალაქარზე საველე სამუშაოებში მონაწილეობდნენ: ა. სიხარულიძე — რაზმის უფროსი; კ. მელითაური — უფროსი მეცნ. თანამშრომელი — არქიტექტორი, ა. აბუთიძე — უმცროსი მეცნ. თანამშრომელი; ნ. კაპანაძე, მ. შეროზია — უფრ. ლაბორანტები; ვ. ასტახოვი — ფოტოგრაფი; ვ. მასხარაშვილი, ა. კუცია — გეოდეზისტები.

შიომღვიმის სამანქანო გზითა და ზანგელიების ხევით, სამხრეთიდან კი მდინარე მტკვარზე ჩამავალი ციცაბო კლდეებით (სურ. 1614).

ზემოაღნიშნული ტერიტორია, იქ, სადაც ნაქალაქარი უნდა არსებულიყო, დაიყო სტანდარტულ მცხეთურ ნაკვეთებად (სურ. 1615).

შესრულდა სარკინეს ნაქალაქარის დასავლეთით მდებარე საპარადო შესასვლელის კარიბჭის კომპლექსის სრული გრაფიკული და ფოტოფიქსაცია (სურ. 1616—1618).

კარიბჭის ნანგრევებზე შერჩენილია ძლიერი ხანძრის კვალი. ხანძრის შედეგად ალიზი, აგური და თვით რკინაც ნაწილობრივ წიდადაა ქცეული (სურ. 1621).

კარიბჭის კომპლექსის კედლები ნაგებია ალიზის დიდრონი გამომწვარი აგურით (განაზომები: 0,55×0,40×0,10 მ; 0,53×0,50×0,13 მ). რიყის ქვის შემზადებაზე, მოპირკეთებულია კარგად გათლილ-ნაკოდი ქვიშაქვის კვადრებით (საშუალო ზომები: 0,45×0,20×0,1 მ), რომლებზედაც ღრმულები — პირონებია ამოკვეთილი ქვათლილების ერთმანეთზე გადასაბმელად (სურ. 1621).

ალიზის კედლები ნაგებია ჯაჭვური წყობით და შემტკიცებულია თიხის ხსნარით. ზოგ ადგილას ალიზის კედელი 1,15 მ სიმაღლეზეა შემორჩენილი, ხოლო სიგანეში 2,70 მ აღწევს. ალიზის კედლების გასამაგრებლად ხის ძელები გამოუყენებიათ (სურ. 1618, 1620, 1621).

საანგარიშო წელს კვლავ დადასტურდა კარიბჭის რკინით შეჭედილი კარის ნაწილები. საფუძველი ხისა ჰქონდა, რომელზედაც რკინის დიდრონი ფურცლები ფარფლისებურად ყოფილა შეჭედილი დიდი ზომის თავდაბრტყელებული (ქუდიანი) ლურსმნებით.

სავანე-სარკინეთის ქედის უკიდურეს აღმოსავლეთ მონაკვეთზე, ჯოჯოხეთის ხევის პირას — N-S გრძივ ღერძზე გავლებული იქნა საძიებო თხრილი (10×2 მ). ასევე, მეორე თხრილი პირველის სამხრეთით, 20 მ იქნა გატანილი. 0,40—0,60 მ სიღრმეზე გამოჩნდა დედაქანი — კლდის თირი. თხრილებში დადასტურდა ორივე ტიპის წითლად შეღებილი კრამიტის ნატეხები რომელიც ცნობილია და გავრცელებული დიდი მცხეთის ტერიტორიაზე ძვ. წ. IV საუკუნიდან.

ამრიგად, საანგარიშო წელს სარკინე ნაქალაქარზე ჩატარდა ის აუცილებელი მოსამზადებელი სამუშაოები, რაც სტაციონარული გათხრების განხორციელებისათვის არის საჭირო. აღნიშნული დიდი მასშტაბის გათხრები მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას დაგეგმილი აქვს მიმდინარე — 1980 წლის სეზონისათვის.

საანგარიშო წლის დასასრულს, 1979 წლის მიწურულში ქ. მცხეთაში, მცხეთისგორაზე („მცხეთისგორა II". 01/7—11), კანალიზაციისათვის თხრი-

ლის ამოღებისას, მრევლიშვილისა და ჭავჭავაძის ქუჩებზე გამოვლინდა სამაროვანი (50-მდე სამარხი), რომელიც ძირითადად ქვასამარხებისაგან შედგება. მათ შორის აღნაგობით გამოირჩევა ერთი სამარხი, რომელიც ქვის დიდრონი ნათალი ლოდებით არის ნაგები. აღნიშნულ სამარხებში ძირითადად III—IV საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ინვენტარი (ოქროს ნივთები) დადასტურდა [1. სურ. 137—138]. „მცხეთისგორა — II“ სამაროვნის შესწავლა ამჟამადაც მიმდინარეობს.

Л. АПАКИДЗЕ, В. НИКОЛАИШВИЛИ, К. МЕЛИТАУРИ, А. СИХАРУЛИДЗЕ,
В. САДРАДЗЕ, М. ДЗНЕЛАДЗЕ, Г. МАНДЖГАЛАДЗЕ, Л. ХЕЦУРИАНИ,
Т. ЧАНИШВИЛИ, Г. ГИУНАШВИЛИ, Р. ДАВЛИАНИДЗЕ, Э. ГАВАШЕЛИ,
Ш. ИРЕМАШВИЛИ, Т. БИБИЛУРИ, Н. ГЛОНТИ

## МЦХЕТА. 1979

## МЦХЕТСКАЯ АРХЕОЛОГИЧЕСКАЯ ЭКСПЕДИЦИЯ 1979 ГОДА

Резюме

Мцхетская постоянно действующая археологическая экспедиция в отчетном году продолжала полевые изыскания на различных участках («убани») Великой Мцхета.

I. Самтаврский отряд МАЭ (рук. Г. Манджгаладзе) вскрыл 76 разнотипных погребений позднеантичной эпохи и раннего средневековья. Бóльшая часть вскрытых каменных ящиков, черепичных ящиков, грунтовых захоронений и гробниц, составленных керамическими плитами-плинфами, принадлежит представителям низших слоев населения престольного города; следовательно, добытые в указанных гробницах погребальные комплексы должны быть использованы для воссоздания культурного облика создателей материальных ценностей города античной эпохи.

В массовых погребениях встречаются: глиняные поливные банкообразные сосуды с двумя маленькими плоскими ушками, стеклянные бальзамарии, перстни с геммами, серьги и височные привески, браслеты, бусы и подвески из стекла, египетской пасты, гагата, сердолика и янтаря самых разнообразных форм, пропорций и расцветок.

Основная часть вскрытых захоронений датируется III—IV вв. н. э., т. е. эпохой провозглашения христианства официальной религией Иберии-Картли. следовательно, вполне естественно, что в одной из гробниц (№ 533) обнаружен перстень с геммой, изображающей символ христианской веры — крест. Нужно полагать, что ранние христианские

захоронения принадлежат членам городской христианской общины, в состав которой, наряду с представителями иноземного этнического элемента, входили первые аборигенные христиане.

Большая часть раскопанных каменных ящиков относится к раннему средневековью — IV—VIII вв. н. э. К этой же эпохе принадлежат несколько т. н. поздних грунтовых погребений. Поза погребенных вытянутое на спине захоронение, ориентировка головой на запад, а также скудность, порой отсутствие погребального инвентаря, могут служить признаками растущего процесса христианизации городского населения царства Картли, в первую очередь — стольного города Мцхета и его округи.

На северо-западной части Самтаврского поля продолжались раскопки жилых сооружений первых веков I тысячелетия до н. э.; за отчетный период закончены раскопки двух домов (№№ 7, 8) этой эпохи. При раскопках Самтаврского поля были выявлены также остатки хозяйственных сооружений I—III вв. н. э.

Таким образом, в результате раскопок 1976—1979 гг. Самтаврским отрядом выявлены развалины и остатки жилых и хозяйственных сооружений, относящихся к концу II тысячелетия до н. э. Сооружения и связанные с ними культурные слои сильно повреждены впускными гробницами IV и последующих веков.

2. Цилканским отрядом (рук. В. Николаишвили) на территории с. Цилкани исследовались памятники раннефеодальной эпохи: остатки поселения, малая церковь с полукруглой абсидой и мощенным полом, часть могильника IV в. нашей эры (каменный ящик с глиняным ложем для покойника и грунтовое погребение. Памятники сильно повреждены во время сельскохозяйственных работ).

Особого внимания заслуживает хорошо сохранившийся подземный склеп с дромосом, выстроенным из прекрасно отесанных песчаниковых блоков. Склеп состоит из двух частей: в плане четырехугольной усыпальницы (3,45×3,25×2,88) и пристроенного с восточной стороны дромоса (5,60×1,20 м). Общая длина склепа 10 м. Ориентировка памятника — W — O. Склеп сооружен в вырытом котловане и с наружной стороны окаймлен выложенной из булыжников на известковом растворе стеной, охватывающей также церковку и хозяйственную яму к западу от склепа.

Погребальная камера перекрыта искусно сложенным полукруглым сводом, состоящим из 29 горизонтальных рядов. С наружной стороны свод оштукатурен толстым слоем известкового раствора. Дромос с тридцатью ступеньками, через узкий коридор, перекрытый большими хорошо отесанными плитами, спускается в погребальную камеру

Вход в камеру был замурован цельным камнем-закладом (1,39× ×0,85 м) На архитрав коридора высечено изображение вписанного в круг цветущего креста с равными рукавами.

В погребальной камере, вдоль южной и северной стен, выложены два ложа, облицованных песчаниковыми плитами (2,40×1,35×

×0,10 м) с обмазкой, на каждом из них лежало по одному или два покойника. В погребальной камере обнаружено 8 мужских костяков. Обряд захоронения христианский. У изголовья одного из покойников стоял составленный из трех частей глиняный светильник. Склеп, по всей вероятности принадлежащий высшим церковным служителям, видимо, был ограблен еще в древности — на потолке коридора пробит грабителями лаз — позже замурованный.

На западной стене погребальной камеры имеются сильно поврежденная, исполненная красными и черными красками греческая надпись и изображения крестов. Из сохранившейся части надписи явствует, что в ней перечисляются имена погребенных в склепе (отчетливо читается, например, εγω Τικας, ~~[illegible]~~... Φαρανου.

Цилканский склеп является блестящим памятником раннехристианской культовой (погребальной) архитектуры и свидетельствует о традиционно высоком уровне строительного искусства Картли указанной эпохи. Аналогичные памятники обнаружены в Сиони (Восточная Грузия) и на территории Мцхета, в Могвтакари.

Вокруг склепа были выявлены материалы, позволяющие датировать этот памятник раннехристианской эпохой.

3. Нарекваvский отряд (рук В. Садрадзе) вел раскопки на могильниках сел. Церовани («Церовани» II и IV) и Нареквави, на трассах строящихся оросительных систем, нового нефтепровода и на территории новостроек Института земледелия ГССР.

На могильнике Церовани II было вскрыто 10 грунтовых погребений с земляной насыпью, а также хозяйственные ямы, поврежденные частично захоронениями эпохи поздней бронзы. В хозяйственных ямах сохранились материалы, характерные для Куро-аракской культуры обломки пережжонной обмазки от плетневых стенок, обломки керамических сосудов типа Дидубе-кикетских раннебронзовых пережженные остатки злаков зерновых (ячмень, пшеница), свидетели самых древних поселений на территории Великой Мцхета.

Погребальные комплексы позднебронзовой эпохи представлены хозяйственной керамикой и столовой посудой, широко распространенной по всему Кавказу, в частности на долинах рр. Алазани, Иори и на синхронных могильниках северо-западной Армении. Исключительную близость проявляют они с керамикой Артикского могильника древнего Ширака.

На землях совхоза села Цилкани была выявлена большая группа курганообразных погребений, покрытых сплошной насыпью или окаймленных правильными кругами из булыжника, диаметром 8—9 и 4—5 м соответственно. Под насыпью и каменными кругами — курганными крепидами в подчетырехугольных ямах оказались захороненные в скорченном на боку положении человеческие останки, головой на север, с незначительными отклонениями. Погребальные комплексы состоят из хозяйственной и столовой чернолощенной, богато орнаментированной керамики XV—XIV вв. до н. э., также широко распростра-

ненной на юге Кавказа (Цхинвали, Самтавро, Байбурт и др.), бронзовых украшений, бус и т. д. В каждом захоронении засвидетельствованы остатки тризны — кости мелкого и крупного рогатого скота. Погребения Цилкани IV датируются переходным от средней к поздней бронзе периодом и эпохой широкого освоения железа.

В Нареквави, на трассе строящегося нефтепровода, на правом берегу речки Нареквависцкали изучались грунтовые погребения эпохи поздней бронзы и раннего железа. Устройство погребальных ям и положение костяков обычное для этой эпохи. В погребальный комплекс входят: бронзовый наконечник копья с раскрытой втулкой, дугообразная фибула, части конского убора, бронзовые браслеты со спинкой, покрытой насечками, художественная и столовая керамика и нередко бронзовые пластинчатые обкладки широких поясов, как правило, с поверхностью, покрытой гравировкой, распространенной по всему Кавказу в конце II и в первых веках I тысячелетия до н. э., в силу чего пояса этой группы признаются памятниками, характерными для Кавказской цивилизации II—I тысячелетий до н. э. Таким образом, все шире и отчетливее вырисовываются контуры выделенной впервые на основе новых мцхетских открытий большой культуры народов Кавказа — Кавказской цивилизации эпохи бронзы и раннего железа.

Набагребским отрядом (рук. Ш. Иремашвили) были вскрыты грунтовые, с каменной насыпью погребения со скорченными, уложенными на бок костяками, причем, как правило, женщины покоятся на левом боку, а мужчины — на правом, головой на запад — следовательно, ориентация W→O является характерной для набагребского могильника.

И в отчетном сезоне было зафиксировано захоронение на деревянном ложе (погребение 16). Погребальный инвентарь типичен для Набагреби, изящно украшенная геометрическими узорами, искусно выделанная керамика (горшки, кубки, миски, кружки и т. д.), железный кинжал, наконечник копья с открытой втулкой, цельнолитый бронзовый меч с округлым кончиком, плоские, пластинчатые наконечники стрел, бронзовые и железные браслеты, бусы из пасты, стекла и сердолика, бронзовое навершие начальнического посоха — знак власти, бронзовый пластинчатый пояс, весь покрытый выгравированными узорами, и, что особенно важно, большие ножные кольца — «кавказские сикилы». Большим разнообразием выделяются предметы конского убора—псалии, трензеля и умбоны; украшения: скульптурные фигурки оленей, дугообразная фибула в архаичной форме. На особое положение, наряду с вышеперечисленными предметами, указывают находки золотой обкладки и пластинки в погребении 19, где наряду с более ранними элементами (бронзовый цельнолитый меч с закругленным кончиком) встречаются материалы первых веков I тысячелетия до н. э. (керамика, браслеты, железный листовидный кинжал, бронзовый пояс и т. д.).

На основании дифференцированной датировки погребального инвентаря следует признать, что основная группа наиболее богатых захоронений Набагреби должна быть датирована первыми веками I тысячелетия до н. э. градообразования. На начальном этапе зарождения городской жизни Мцхета притягивает население близлежащих сел, в результате же дальнейшего усиления этого процесса к середине I тысячелетия до н. э. в градообразующих поселениях наблюдается значительное сокращение населения. Набагреби же, как населенный пункт, прекращает существование. Его население, видимо, полностью спустилось вниз, став жертвой синеикизма Великой Мцхета.

Мухатгвердский отряд (рук. Л. Хецуриани) вел раскопки могильника, обнаруженного и поврежденного во время перетрассировки шоссейной дороги у села Мухатгверди, на правобережной части Великой Мцхета. На протяжении трех месяцев была раскопана значительная часть могильника — 560 м².

На могильнике были засвидетельствованы погребения хронологических групп захоронения эпохи поздней бронзы — раннего железа и раннеэллинистического периода.

Было вскрыто всего 17 погребений на глубине 0,80—1,50 м от нынешнего уровня земли. Три погребения относятся к эпохе поздней бронзы — раннего железа, остальные — раннеэллинистического периода. Из 14 погребений раннеэллинистического периода 2 представляли собой каменные гробницы (ящики), остальные 3 — это т. н. поздние грунтовые погребения, перекрытые песчаниковыми плитами. Все захоронения индивидуальные, покойники уложены в сильно скорченном положении на правом или левом боку. Ориентация покойников во всех случаях SO—NW (головой на юго-восток). Как правило, во всех случаях головы усопших покоились на каменной «подушечке». Погребальный инвентарь представлен комплексами, характерными для соответствующих эпох. В большом количестве встречается как красноангибированная, так и керамика черного обжига (кувшины, горшки и горшочки, миски, железные и бронзовые украшения, булавки, браслеты, серьги), железные согнутые ножи, бусы из пасты, стекла и сердолика.

Аналогичные комплексы встречаются на синхронных могильниках Самадло Цихиагора, Камарахеви (Восточная Грузия).

Погребения эпохи поздней бронзы-раннего железа представляют собой грунтовые захоронения с каменной насыпью. Погребения индивидуальные, однако из-за плохой сохранности костяков зафиксировать позу и ориентацию покойников пока не удается. Погребальный инвентарь представлен, в основном, глиняной посудой (горшки серого и черного обжига с зооморфными ушками, миски, блюда, кувшины, чаши), украшениями (бронзовые браслеты с насечками, булавки, пуговки), оружием (бронзовые наконечники стрел и железные наконечники копий с открытой втулкой).

Вышеуказанные материалы находят множество аналогий не толь-

ко в Восточной Грузии, но и непосредственно на территории Великой Мцхета (Церовани, Нареквави, Сатовле-Набагреби).

Вскрытие и изучение погребений раннеэллинистического периода и эпохи поздней бронзы и раннего железа вызывают большой интерес, так как могильники этих эпох впервые засвидетельствованы на правобережной части Великой Мцхета, называемой в исторических источниках «городом армазской стороны».

კონსტანტინე მელითაური

## კარსნისხევის გვიანანტიკური ხანის სახლები

ცალკე დამევალა 1975 წელს გათხრილი და აწ ახალმშენებლობებით დაფარული კარსნისხევის I, II უბნის უკეთ შენახული I და III ნაგებობათა რეკონსტრუქცია. ვახტანგ ნიკოლაიშვილისა და მერაბ ძნელაძის დახმარებით შესაძლებელი გახდა ამ სახლების მიახლოვებითი რეკონსტრუქცია.

